

მნიშვნელობა

'19



140

მნიშვნელობი

'19

საქართველოს
იღია ჭავჭავაძის
სახელობის
მუზეუმისა
არცივის
მოვალეობის
ორგანიზაციის
ორგანიზაციი

გამოდის
1980 წლიდან

№39

თბილისი
2019

ალგანასი „მიზანობარი“ მოგვითხოვს
წიგნებსა და წიგნის ჟურნალებზე,
პიტლიოროპავისა და პიტლიორფილებზე,
მიებებზე წიგნის სამყაროში, სხვადასხვა
ქვეყნისა და მხარის მიზანობრებზე.

მთავარი რედაქტორი ლალო გინამცილი

სარედაქტო საბჭო:

ԵՐԵՄՈ ՀՅԱԼՈՒԽԸ

რეპარატურული გადამზადვებები

ლევან ბეგურიშვილი (მთ. რედაქტორის მოადეილი)

ალექსანდრე ლორი

0681 მილონავა

କାନ୍ତା ମୂଳବିଦ୍ୟାରୀ

ლიანდარმარგავილი

ნათება სიხარულიდა

მოხალი ქავებარის

କମ୍ପ୍ୟୁଟର ବିଜ୍ଞାନ

ቃዕስና ቅዕስ ስራውያን

Digitized by srujanika@gmail.com

მხატვარი

ანზორ თოლდია

გარეკანზე: ქართველთა შორის წერა-კითხების გამატვრცლებელი საზოგადოების თავ-დაპირველი გამგეობა: გამგეობის თავმჯდომარე დამიტრი ჭიფაძი, გამ-გეობის წევრები: ილარ ჭავჭავაძე (თავმჯდომარის ამხანაგი), იაკობ გო-გებაშვილი, ნიკო ცხევდიძე, ივანე მაჩაბელი, ალექსანდრე სარაჯაშვილი, რაფიელ ქისითავა.

ქართველთა გონის წარ-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება - 140

ლევან პეტრიშვილი

მთავარი კულტურული კარა

XIX საუკუნის საქართველოში შექმნილ კულტურულ დაწესებულებათა შორის სრულიად განსაკუთრებულია „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დამსახურება. თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში ეს დაწესებულება იყო ქართველთა ეროვნული თავშესაფარი, მთავარი კულტურული კერა, სადაც თავს იყრიდა იმდროინდელი საქართველოს ინტელექტუალური ელიტა.

„საზოგადოების“ დაფუძნებისათვის ნიადაგი შეამზადა ქართველ 60-იანელთა განმანათლებლურმა მოღვაწეობამ. როგორც იაკობ გოგებაშვილი გადმოგვცემს, 60-იან წლებში არსებობდა ქართველ ინტელიგენტთა ოჯახები, რომლებიც ერთგვარ კულტურულ ცენტრებს წარმოადგენდნენ. ერთ-ერთი ასეთი კერა ყოფილა იოსებ მამაცაშვილის ოჯახი, სადაც დაბადებულა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსების იდეა. იაკობ გოგებაშვილს, ნიკო ცხვედაძესა და ვახტანგ თულაშვილს დახმარება დიმიტრი ყიფიანისათვის უთხოვიათ. დ. ყიფიანი აღტაცებით შეხვედრია ამ წამოწყებას. სწორედ ამ ოთხეულმა ითავა „საზოგადოების“ წესდების შემუშავება.

„წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დაარსების ხელშემწყობ გარემოებად იქცა რუსეთ-თურქეთის ომი. ექვთიმე თაყაიშვილის მოგონების თანახმად, დიმიტრი ყიფიანმა ისარგებლა შექმნილი ვითარებით, როდესაც კავკასიის ფრონტზე ომმა რუსეთისათვის სახით ხასიათი მიიღო და ქართველთა ერთგულებას ამ მომენტში იმპერიისათვის დიდი ფასი დაედო. მთავრობა ყველანაირად ცდილობდა ქართველების გულის მოგებას. დიმიტრი ყიფიანმა შექმნილი ვითარება ხელისუფლებისაგან „საზოგადოების“ დაარსების ნებართვის მოსაპოვებლად გამოიყენა.

1878 წელს დიმიტრი ყიფიანმა, ნიკო ცხვედაძემ, იაკობ გოგუა პაშვილმა და ვახტანგ თულაშვილმა შეადგინეს წესდების პროექტი და იგი გააცნეს გრიგოლ ორბელიანთან შეკრებილ საზოგადოებას. კრების დადგენილებით, პროექტის მთავრობისათვის ნარდგენა დაევალათ დიმიტრი ყიფიანს, ილია ჭავჭავაძესა და ბესარიონ ლოლობერიძეს. 1879 წლის 31 მარტს „საზოგადოების“ წესდების პროექტი დამტკიცდა.

„საზოგადოების“ პროგრამა მეტად მრავალფეროვანი იყო. იგი მიზნად როდი ისახავდა მხოლოდ წერა-კითხვის გავრცელებაზე ზრუნვას. მის ამოცანას წარმოადგენდა, საზოგადოდ, ქართული კულტურის გულშემატყიფრობა. საზოგადოების მიზნები იყო: დაეკარსებინა პირველდაწყებითი და საკვირაო სკოლები, ფინანსურად დახმარებოდა უკვე მოქმედ საგანმანათლებლო დაწესებულებებს, დაეფუძნებინა ბიბლიოთეკები და სამკითხველოები, დაებეჭდა სახელმძღვანელოები და, საერთოდ, ჩასდგომოდა თავში ქართული წიგნის ბეჭდვის საქმეს; დახმარებოდა ქართულ თეატრს, შეექმნა საფუძველი ქართული მეცნიერების განვითარებისათვის, ხელი შეეწყო ქართული ზეპირსიტყვიერების ჩაწერისა და პუბლიკაციისათვის, ქართული ხელნაწერებისა და ხელოვნების ნიმუშების შეკრებისათვის; დაენიშნა სტიპენდიები რუსეთსა და ევროპის ქვეყნებში სასწავლებლად წასული ქართველი სტუდენტებისათვის.

„საზოგადოების“ პირველი სხდომა ჩატარდა 1879 წლის 15 მაისს. ახლად შექმნილი ორგანიზაციის თავმჯდომარეობა შეუთავაზებიათ გრიგოლ ორბელიანისათვის. დიდ პოეტს უარი განუცხადებია ამ საპატიო თანამდებობაზე ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო და „საზოგადოების“ ხელმძღვანელის პოსტზე დიმიტრი ყიფიანის კანდიდატურა წამოუყენებია. ყრილობის ერთსულოვანი გადაწყვეტილებით საზოგადოების პირველ თავმჯდომარედ აირჩიეს დიმიტრი ყიფიანი. გამგეობის წევრებად — ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ცხვედაძე, ივანე მაჩაბელი, ალექსანდრე სარაჯიშვილი და რაფიელ ერისთავი. საზოგადოების თავმჯდომარის ამხანაგად (მოადგილედ) დაინიშნა ილია ჭავჭავაძე.

დაარსების დღიდანვე „საზოგადოება“ აქტიურ საგანმანათლებლო მუშაობას შეუდგა. მისი ფინანსური წყარო იყო სანევრო გადასახადი და ქველმოქმედთა შეწირულობაზი. მცირე ბიუჯეტის მოუხედავად, „საზოგადოებამ“ წლების განმავლობაში მოახერხა არაერთი სახალხო სკოლის გახსნა და უკვე არსებული პირველდაწყებითი საგანმანათლებლო დაწესებულებების დახმარება. საზოგადოებამ ფასდაუდებელი ამაგი დასდო ქართული ეროვნული პედაგოგიური აზრისა და



განათლების ეროვნული სისტემის ჩამოყალიბება-განვითარების, პეტერბურგის რეთვე, ქართველ საზოგადოებაში ეროვნული სულისკვეთების გაღვივების საქმეს. სწორედ ამ საზოგადოების მიერ XIX საუკუნის 80-იან ნლებბი თბილისა და ქუთაისში დაფუძნდა ქართული სათავადაზნაურო გიმნაზიები, რომლებშიც სწავლება მიმდინარეობდა ქართულ ენაზე. „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მოღვაწეთაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართული პედაგოგიური აზრის გამოჩენილ ნარმომადგენელთა — იაკობ გოგებაშვილის, სილოვან ხუნდაძის, იოსებ ოცხელის, ივანე გომელაურის, ლუარსაბ ბოცვაძის და სხვათა ღვაწლი.

1880 წელს იონა მეუნარგიამ დააყენა საკითხი „საზოგადოების“ სამწიგნობროს, ანუ ბიბლიოთეკის დაარსების თაობაზე, რომელშიც ბეჭდურ წიგნებთან ერთად ხელნაწერებსაც უნდა დაედო ბინა. ამგვარი სამკითხველოს გახსნის საჭიროებას მომხსენებელი იმით ასაბუთებდა, რომ ქართული ხელნაწერები თანდათან ნადგურდებოდა, მათი ერთ სივრცეში თავმოყრა კი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ამოცანა იყო. იონა მეუნარგია იმასაც აღნიშნავდა, რომ ასეთი წიგნსაცავის გახსნის შემდეგ „საზოგადოებას“ წიგნებსა და ხელნაწერებს მრავალი შეგნებული ქართველი შესწირავდა. ამ ინიციატივამ საყოველთაო მოწონება დაიმსახურა. „საზოგადოების“ ეს წამოწყება, მართლაც, მთელმა ერმა მიიტანა გულთან და ვისაც კი ესმოდა ხელნაწერთა შეკრების მნიშვნელობა, თავისი წვლილი შეიტანა ამ დიდებულ საქმეში. შედეგად შეიქმნა უნიკალური ფონდი ხელნაწერებისა, რომელიც დღესდღეობით ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშია დაცული და შლიტერით აღინიშნება.

1885 წელს სამეცნიელოს უკანასკნელმა მთავარმა ნიკოლოზ დადიანმა აცნობა „საზოგადოებას“, რომ განზრახული ჰქონდა წიგნსაცავისათვის გადაეცა მის მფლობელობაში არსებული ხელნაწერები (სულ 179 მანუსკრიპტი, მათ შორის ზოგიერთი — VIII, IX, X საუკუნეებით დათარიღებული). ამ ძვირფასი საჩუქრის ჩამოსატანად სამეცნიელოში სპეციალური კომისია გაემგზავრა ილია ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით. სწორედ ამ სტუმრობისას ბრძანა ილიამ ღირსსახსოვარი სიტყვები: სამეცნიელოში მოველ და ნამდვილი საერთველო ვნახეო.

1890 წლიდან „საზოგადოების“ ფონდში დაცულ ხელნაწერთა აღნერას შეუდგა ექვთიმე თაყაიშვილი. ეს აღნერილობა ნაწილ-ნაწილ იძეჭდებოდა „ივერიაში“. საერთოდ, განუზომელია დიდი ექვთიმეს წვლილი ძველი ხელნაწერების მოძიების საქმეში. სწორედ მან მოუპოვა „საზოგადოებას“ არაერთი უნიკალური მანუსკრიპტი და განადგურებისაგან იხსნა მრავალი ისტორიული დოკუმენტი.



1905 წელს დაიბეჭდა დავით კარიჭაშვილის მიერ შექმნილი „კატალოგი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნთ-საცავსა“, რომელმაც ნათელი წარმოდგენა შეუქმნა ქართველებს „საზოგადოებას“ წიგნსაცავში დაცული საგანძურის შესახებ.

„წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ კულტურული მუშაობის კიდევ ერთი მიმართულება იყო ეროვნულ ზეპირ-სიტყვიერებაზე ზრუნვა. 1881 წელს „საზოგადოების“ ყრილობაზე ხალხური სიტყვიერების ნიმუშების შეკრების აუცილებლობის შესახებ მოხსენებით წარდგა იკაობ გოგებაშვილი. მან წამოაყენა იდეა, „საზოგადოების“ გამგეობას მიმართვა გაეგზავნა სახალხო სკოლების მასწავლებლებისათვის, რათა მათ დაეწყოთ ამ მხრივ მუშაობა, მათ შრომას კი „საზოგადოება“ აანაზრაურებდა. იკაობ გოგებაშვილმა და პეტრე უმიქაშვილმა შეადგინეს და 1882 წელს გამოსცეს „პროგრამა ხალხის სიტყვიერების ნაწარმოებების შეკრებისათვის“, რომელიც ფოლკლორისტის სახელმძღვანელოს წარმოადგენს. ამ წიგნაკში ჩამოყალიბებული პრინციპები ხალხური ნაწარმოების ჩაწერისა და შეკრებისა, შეიძლება ითქვას, თანამედროვე მეცნიერული ფოლკლორისტიკის მიდგომათა დონეზეა შემუშავებული.

1878 წელს ბერლინის ტრაქტატის ძალით აჭარა საქართველოს დაუბრუნდა. „საზოგადოების“ წევრებმა გადაწყვიტეს გაეძლიერებინათ კულტურული მუშაობა საქართველოს ძირძველ კუთხეში და მიზნად დაისახეს ბათუმში სკოლის დაარსება. ბათუმის სკოლა გაიხსნა 1881 წელს. მოგვიანებით სკოლა დაარსდა ქობულეთშიც. „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მესვეურები არამხოლოდ საქართველოში ზრუნავდენენ სკოლების დაფუძნებისთვის, არამედ ქვეყნის ფარგლებს გარეთაც, სადაც კი არსებობდა ქართველთა თემი. „საზოგადოებამ“ ქართული სკოლები დააარსა ბაქოსა და საინგილოში. იგეგმებოდა ქართული სკოლის გახსნა ფერეიდანშიც (ამ წამოწყების მოთავენი თავად ფერეიდნები იყვნენ), თუმცა ეს ინიციატივა ველარ განხორციელდა.

საზოგადოების საქმიანობა სულ უფრო დიდ მასშტაბებს მოიცავდა და რთულდებოდა. აუცილებელი გახდა მისი განყოფილებების შექმნა. პირველი განყოფილება გაიხსნა ქუთაისში. მისი დასაყრდენი იყო ცნობილი ქართველი სამოციანელი კირილელორთქიფანიძე.

1882-1885 წლებში „საზოგადოების“ თავმჯდომარე იყო ივანე ბაგრატიონი-მუხრანელი. 1885 წელს „საზოგადოების“ თავმჯდო-



მარედ აირჩიეს ილია ჭავჭავაძე, რომელიც კიდევ შვიდჯერ იქნახულია არჩეული ამ თანამდებობაზე. ილია „საზოგადოებას“ სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა.

1886 წელს საზოგადოებამ აამოქმედა წიგნების გამომცემელი კომისია, რომელსაც უნდა შეერჩია გამოსაცემად ისეთი ნაშრომები, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელი იქნებოდა ძირითად ან დამხმარე სახელმძღვანელოდ. თუმცა შემდეგ „საზოგადოების“ საგამომცემლო საქმიანობა ბევრად უფრო გაფართოვდა და მან მხატვრული ლიტერატურის გამოცემაც ითავა. საზოგადოების ეგიდით გამოიცა: „ვეფხისტყაოსანი“, „აბდულმესიანი“, ლავრენტი არდაზიანის, დანიელ ჭოქაძის, რაფიელ ერისთავის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, გიორგი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, იაკობ გოგებაშვილის, ნიკო ლომოურის, ეკატერინე გაბაძვილის, ალექსანდრე ყაზბეგის, ეგნატე ნინოშვილის, იორდიონ ევდოშვილის, შიო მღვიმელის, დავით კლდიაშვილისა და სხვათა თხზულებანი. სულ, დაარსებიდან 1921 წლამდე, „საზოგადოებამ“ გამოსცა 245 დასახელების წიგნი.

1895 წელს მთელმა საქართველომ იზეიმა რაფიელ ერისთავის ლიტერატურული მოღვაწეობის 50 წლის იუბილე. „საზოგადოების“ სახელით პოეტს მიართვეს ილია ჭავჭავაძის ხელმოწერილი ადრესი.

„წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“, როგორც უმთავრესი ეროვნულ-კულტურული კერის მნიშვნელობა, ყველა შეგნებულ ქართველს პქნონდა გაცნობიერებული. ამიტომაც ცდილობდა ყველა, თავისი შეძლებისამებრ მატერიალურად შესწოდა მას. ძმებმა ზუბალაშვილებმა „საზოგადოებას“ შესწირეს 20 000 მანეთი, ნიკოლოზ ლოლობერიძემ – 45 000 მანეთი უანდერძა, ამდენივე – ალექსანდრე ხახანაშვილმა, სტეფანე ზუბალაშვილმა – 10 000 მანეთი, დიდმა ქართველმა მეცენატმა დავით სარაჯიშვილმა 300 000 მანეთი დაუტოვა საზოგადოებას, მისმა მეუღლემ ეკატერინე ფორაქიშვილმა კი – 90 000 მანეთის ლირებულების ფასიანი ქაღალდები.

თავიანთი უძრავი ქონება და ლიტერატურული ნაწარმოებების გამოცემის უფლება უანდერძეს საზოგადოებას ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა და იაკობ გოგებაშვილმა. ჩვეულებრივი მოქალაქეები თავიანთი შესაძლებლობების ფარგლებში სწირავდნენ საზოგადოებას ნივთებს, ქსოვილებს, ტანსაცმელს. ქართველმა ხელოსნებმა, პოეტ იოსებ დავითაშვილის თაოსნობით, საზოგადოებას შესწირეს სახაზავები, სამკუთხედები, ფარგლები და სხვა სასწავლო იარაღები.



საზოგადოებას დაარსებისას (1879 წ.) მხოლოდ 245 წევრი ჰქონდა, 1913 წელს კი მათმა რაოდენობამ თითქმის 3 000-ს მდგრადი წია. 1914 წელს საზოგადოების ქონების საერთო ღირებულება 360 ათას მანეთს აღემატებოდა, საბრუნავი თანხა კი 120 ათას მანეთს. ამავე წელს საზოგადოება ინახავდა 18 სკოლას, რომელშიც 25 ათასზე მეტი ბავშვი იღებდა დაწყებით განათლებას. საზოგადოებას ჰქონდა 80-ზე მეტი სამკითხველო. 1915 წლისთვის „საზოგადოების“ ბიბლიოთეკაში ინახებოდა 10 000-ზე მეტი ხელნაწერი.

ილიას დალუპვის შემდეგ, 1908 წელს, საზოგადოების თავმჯდომარედ აირჩიეს გიორგი ყაზბეგი. იგი შეცვალა დავით კარიჭაშვილმა. 1921 წელს, საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, განხორციელდა სახალხო განათლების სისტემის რეფორმა. 1922 წლიდან „ნერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ იწოდებოდა „ნიგნების გამომცემელ და გამავრცელებელ ქართულ საზოგადოებად“. 1926 წლიდან კი „ნიგნების გამომცემელი და გამავრცელებელი ქართული საზოგადოება“ გადაიქცა ნიგნების გამომცემელ კოოპერატიულ ამხანაგობად სახელწოდებით „მწიგნობარი“. 1927 წელს საზოგადოებამ არსებობა შეწყვიტა. საზოგადოების უკანასკნელი ხელმძღვანელი გახლდათ იასონ ლორთქიფანიძე (1866-1949), ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე, პუბლიცისტი და ფინანსისტი, მწერალ ნიკო ლორთქიფანიძის ძმა.

დღესდღეობით „ნერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ტრადიციებს აგრძელებს საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაცია, რომელიც კულტურის სფეროში მოღვაწეთა საზოგადოებრივი გაერთიანებადა და მიზნად ისახავს ნიგნიერების დონის ამაღლებაზე ზრუნვას, ნიგნისაღმი ინტერესის გაძლიერებასა და სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურის პოპარდას. იგი დაარსდა 1974 წელს და 1988 წლამდე საქართველოს ნიგნის მოყვარულთა საზოგადოებად იწოდებოდა. 1988 წელს მწიგნობართა ასოციაციას მისი ნინაპრის – „ქართველთა შორის ნერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ერთობითი მთავარი ფუძემდებლის, ილია ჭავჭავაძის სახელი ეწოდა.

ნიკო ცხვედაძი განმანათლებელი და აღმშენებელი



ნიკო ცხვედაძე

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრისა და მე-20 საუკუნის დასასწისის ქართველ საზოგადო მოღვაწეთა შორის ერთ-ერთი საპატიო და დამსახურებული ადგილი უკავია ნიკო ცხვედაძეს. იგი ოთხი ათეული წლის განმავლობაში უანგარიდ და თავდაუზოგავად ემსახურა საქართველოში განათლებისა და წერა-კითხვის გავრცელების მამულიშვილურ საქმეს, რითაც, ა.წერეთლის აზრით, სიცოცხლეშივე დაიმკვიდრა საზოგადო მოღვაწის სახელი.

ნიკოს მშობლები ფრიად განათლებული და მწიგნობრობის მოყვარული პირები

იყვნენ. ბავშვობა ნიკომ სოფელ სოჭინში (ცხინვალის ხეობა) და შემდეგ კავთისხევში გაატარა. სწავლა დაიწყო თბილისის სასულიერო სასწავლებელში, შემდეგ სასულიერო სემინარიაში. სწავლის პერიოდში იგი იმთავიდანვე დაეწაფა თვითგანვითარებას. ეცნობოდა ქართველ საზოგადო მოღვაწეთა და უცხოეთის ცნობილ პედაგოგთა პროგრესულ შედეულებებს. აქედან იწყება მისი მხურვალე მოწადინება და მისია — მთელი თავისი ენერგია და სიცოცხლე შესწიროს ქართველთა განათლების ეროვნულ საქმეს. სემინარიაში სწავლის დროს ნ. ცხვედაძე დაუახლოვდა იაკობ გოგებაშვილს, რომლის პედაგოგიურმა და საგანმანათლებლო შეხედულებებმა კიდევ უფრო განამტკიცა მისი აზრი და მისწრაფება მოზარდი თაობის განათლების საქმეში.

1865 წელს 6. ცხვედაძემ წარჩინებით დაასრულა თბილისის სასულიერო სემინარია და როგორც საუკეთესო კურსდამთავრებული უმაღლესი განათლების მისაღებად გააგზავნეს მოსკოვის სასულიერო აკადემიაში სახელმწიფო ხარჯით. აკადემიაში სწავლის პერიოდში იგი შეუდგა სხვადასხვა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა საფუძვლიან შესწავლას, და როგორც ნიჭიერმა ახალგაზრდამ მოკლე დროში დიდი ავტორიტეტი მოიპოვა მოსკოვის ქართველ სტუდენტთა შორის.

1870 წელს 6. ცხვედაძემ დაიცვა დისერტაცია მოსკოვის სასულიერო აკადემიაში და იმავე წელს დაინიშნა მასწავლებლად თბილისის სასულიერო სემინარიაში. ამ დროს სემინარიაში მოღვაწეობდნენ: ი. გოგებაშვილი, გ. იოსელიანი. ისინი თავიანთი ეროვნულ-დემოკრატიული აზროვნებითა და შეხედულებებით ძლიერ გავლენას ახდენდნენ სემინარიელებზე, უღვიძებდნენ მეცნიერების საფუძვლების შესწავლის სურვილს და აღვივებდნენ მათში პატრიოტულ გრძნობებს. 6. ცხვედაძე საგანგებოდ და გულმოდგინედ ზრუნავდა მოსწავლე ახალგაზრდობაში საქართველოში 60-იანი წლების პროგრესული იდეების შეტანა-გავრცელებისათვის. 6. ცხვედაძემ და ი. გოგებაშვილმა სემინარიის ბიბლიოთეკა გამდიდრეს პროგრესული იდეების მატარებელი ლიტერატურით. მოსწავლეები ასევე სარგებლობდნენ იმ დროისათვის თბილისში ახალგახსნილი ივანოვის კერძო ბიბლიოთეკის წიგნობრივი ფონდებითაც.

თბილისის საულიერო სემინარიაში 1874 წელს ჩატარებული რევიზიის შედეგად სასწავლებლიდან დაითხოვეს ი. გოგებაშვილი და 6. ცხვედაძე, როგორც პოლიტიკურად არასაიმედო პირები. 6. ცხვედაძე ჯერ კიდებ სტუდენტობის დროს ბეჭდავდა სტატიებსა და მიმოხილვებს სამეცნიერო ჟურნალებსა და ჟურნალ „მნათობში“. საულიერო სემინარიიდან გაძევებული 6. ცხვედაძე ერთხანს თავს ირჩენდა კერძო გაკვეთილებით. შემდეგ დაინიშნა პედაგოგად თბილისში 1840 წელს დაარსებულ საქალებო იმსტიტუტში. აქ მოღვაწეობდა იგი 23 წლის განმავლობაში. ამ ხნის მანძილზე მან შეძლო მსმენელებში გაეღვიძებინა არა მარტო ცოდნის შექნის წყურვილი, არამედ აღეზარდა მათში მხურვალე მამულიშვილური გრძნობა. მას თავისი წვლილი შეპქონდა საქართველოში პედაგოგიური აზროვნების განვითარების საქმეში. საქუთარი პედაგოგიური შეხედულებები აღზრდისა და განათლების შესახებ ჩამოყალიბა ნაშრომში „ჩვენი ხალხის განათლება, ხელოსნობა და მეურნეობა“, რომელიც ცალკე წიგნად გამოიცა 1903 წელს. აღნიშნულ ნაშრომში 6. ცხვედაძე ნათლად განმარტავდა სასოფლო



სასწავლებლების ამოცანებსა და დანიშნულებებს. „სასოფლო ხალი
სასწავლებელმა, – წერდა იგი, – უნდა განაღიძოს მოწაფებელი
ყველა სულიერი ძალა, აამოქმედოს ბავშვის ნიჭიერებანი, შეაჩ-
ვიოს მსჯელობას და ამ მაგალითის შემწეობით დააყენოს ისინი
ნმინდა ზნეობრივ გზაზე“.

ილია ჭავჭავაძე დიდად აფასებდა 6. ცხვედაძის პედაგოგიურ
მოღვაწეობას, მის შემოქმედებით საქმიანობას და პროგრესულად
მოაზროვნე პირად მიაჩნდა. სწორედ მას უძღვნა ილიამ აფორიზ-
მი: „საჭირო არის წვრთნა, სწავლა, ვითა ფარ-ხმალი ბრძოლისა,
სჯობს ყოლა უწვრთნის ძალისა, უწვრთნელი შვილის ყოლასა“.
6. ცხვედაძე ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის 70-იანი წლებიდან დაუახ-
ლოვდა ქართველ საზოგადო მოღვაწეებს, ცნობილ პედაგოგებსა
და პროგრესულად მოაზროვნე ინტელიგენციას: ილია ჭავჭავა-
ძეს, აკოდ გოგებაშვილს, დიმიტრი ყიფიანს, გიორგი იოსელიანს,
ალექსანდრე მიქაელიძეს და სხვა ცნობილ მოღვაწეებს, რომ-
ლებიც ძალას არ იშურებდნენ საქართველოში განათლებისა და
მეცნიერების დანერგვა-აღორძინებისათვის. მათთან ერთად 6.
ცხვედაძე ჩვეული ენერგიით შეუდგა საზოგადოებრივ საქმიანო-
ბას; ამ მხრივ ნიშანდობლივია მისი მოღვაწეობა ქართველთა შო-
რის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში. იგი იყო ამ
საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებელი და მისი უერთგულესი
მოღვაწეთაგანი. მას საკუთარი წვლილი შექვენდა საზოგადოების
წინაშე არსებული ამოცანების გადაჭრაში. საზოგადოების წესდე-
ბა ძირითადად შედგენილი იყო 6. ცხვედაძის და დ. ყიფიანის მიერ.
დამფუძნებელ კრებაზე 1879 წელს 6. ცხვედაძე არჩეული იქნა
გამგეობის წევრად. 1885 წლიდან 1907 წლამდე 6. ცხვედაძე იყო
წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარის
ი. ჭავჭავაძის უცვლელი ამხანაგი (მოადგილე). საზოგადოების
საქმიანობის მთელი სიმძიმე სწორედ 6. ცხვედაძეს უკავშირდება,
ვინაიდან ი. ჭავჭავაძე უფრო მეტად ლიტერატურული საქმიანო-
ბით იყო დაკავებული.

6. ცხვედაძე შემართებით ებრძოდა საქართველოში რუსიფი-
კატერულ პოლიტიკას განათლების დარგში. მისი უშუალო მო-
ნანოლებითა და წინადაღებით დააარსა საზოგადოებამ ქართუ-
ლი სახალხო სკოლები: ქუთაისში (1880 წ.), თბილისში (1880წ.) ,
ბათუმში (1881წ) , წინარეხში (1882 წ.) თონეთში (1883 წ.) ძეველ
სენაკში (1884 წ.) , ხელთუბანში (1884 წ.) , კავკავში (1888 წ.) , გო-
მარეთში (1897 წ.) და ყალამშაში (განთიადი, 1904 წ.) . 6. ცხვე-
დაძეს განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ქ. ბათუმში ქართული
სკოლის დაარსებისა და მისთვის მატერიალური დახმარების საქ-

მეში. ამ სკოლასთან დაკავშირებულ ყოველგვარ საკითხს „წყვეტილი“ დღნენ 6. ცხვედაძესთან კონსულტაციის საფუძველზე. ცხვედაძე შენობის აგების საკითხებზე შეკრებილ ბათუმელებს მხურვალე სიტყვით მიმართა 6. ცხვედაძემ. მეორე წელს დაარსებიდან ბათუმის სკოლას ჰქონდა შესაფერისი შენობა და ცალკე ბინები მასნავლებელთათვის. სკოლაში შეეძლოთ ესწავლათ ერთდროულად 200 მოსწავლეს. გარდა ბათუმის სკოლისა, 6. ცხვედაძეს დიდი ამაგი მიუძღვის ძველი სენაკის, ხელთუბნის, კავკავის, გომარეთისა და სხვა ქართულ სასწავლო პროცესის მშობლიურ ენაზე წარმართვის საქმეში.

6. ცხვედაძე, მისთვის ჩვეული შემართებითა და ერთგულებით მუშაობდა მეორე დიდ ქართულ საზოგადოებაშიც, რომელსაც ენოდებოდა „ლარიბ მოწაფეთა შემწე თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საზოგადოება“. მისი დამაარსებელი იყო გიორგი რომანის ძე ერისთავი. საზოგადოება დაარსდა 1877 წელს. ამ ფაქტს გამოეხმაურა ილია ჭავჭავაძე, რომელიც წერდა: „უჩუმრად, ხმამამოულებლივ, უშფოთვრად შედგა ამ ახლო ხანს ერთი ფრიად სასარგებლო საზოგადოება. შეუძლებელ მონაფეთა შემწეობისათვის; ამ საზოგადოების მიზანია მოამზადოს ლარიბინი ყმანი რომელსამე სასწავლებელში შესასვლელად“. 1878 წელს ამ საზოგადოების „გამგებელ კომიტეტის“ შემადგენლობაში არჩეული იყო ნიკო ცხვედაძე. საზოგადოებამ 1879 წელს თბილისში დაარსა ქართული სკოლა, სადაც მოსწავლებს შეეძლოთ პირველდანყებითი განათლება მიეღოთ მშობლიურ ენაზე. ეს იყო პირველი ქართული სკოლა თბილისში, რომელიც შემდეგ გიმნაზიად გადაკეთდა.


ნიკო ცხვედაძე ითვლებოდა თბილისის ქართული გიმნაზიის გამგე-კომიტეტის წევრად. იგი მრავალი წლის მანძილზე ენერგიულად ხელმძღვანელობდა ამ სკოლის მუშაობას. 1888 წლიდან თბილისის სათავადაზნაურო ქართული სკოლა-გიმნაზია სრულ-კომპლექტიან კერძო პროგიმნაზიად გადაიქცა. ნიკო ცხვედაძეს, როგორც კომიტეტის წევრს არასოდეს არ შეუნელებია ყურადღება გიმნაზიის სასწავლო პროცესისადმი. იგი აღნიშნულ გიმნაზიას ემსახურა 32 წლის (1879 – 1911) განმავლობაში. მისი ენერგიული და დაუღალავი შრომის შედეგად თბილისის კერძო გიმნაზიაშ ასობით საფუძვლიანად მომზადებული, უნმინდესი პატრიოტული გრძნობით გამსჭვალული ახალგაზრდა გაუზარდა ქვეყანას, რითაც დიდი წელი შეიტანა ქართული კულტურისა და განათლების ეროვნულ საქმეში.

ნიკო ცხვედაძეს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ცნობილ ქართველ მწერლებთან და ქველმოქმედებთან: დავით სარაჯიშვილთან

1848 – 1911). იგი მოხდენილად, მიზანშენონილად იყენებდა დ. სა-
რაჯიშვილის გულუხვობასა და სიმდიდრეს. როგორც ცნობილი
დ. სარაჯიშვილს ცალკე ჰქონდა გამოყოფილი სასტეპენიდიო თან-
ხა, რომელსაც განაგებდა განსაკუთრებული კომისია 6. ცხვედა-
ძის თავმჯდომარეობით. სარაჯიშვილის სტიპენდიის მისაღებად
საზოგადოებას ყოველწლიურად ათობით სტუდენტი მიმართავდა.
6. ცხვედაძე ეხმარებოდა ყველა უნარიან და ნიჭიერ ახალგაზრ-
დას, რომელთაგან შემდეგ ცნობილი პირები და ნამდვილი საზო-
გადო მოღვაწები გამოსულან; საკმარისია მკითხველი გაეცნოს 6.
ცხვედაძის აზრს ზაქარია ფალიაშვილის შესახებ, რომელსაც მისი
მხარდაჭერით დაენიშნა დ. სარაჯიშვილის სტიპენდია.

ნიკო ცხვედაძეს დიდი წელი 1883 წელს სოფ. ნი-
ნამძღვრიანთკარში დაარსებულ სამეურნეო სასწავლებლის მუშა-
ობაში პედაგოგიური პროცესების სრულყოფილად ნარმართვის
საქმეში. როგორც ცნობილია ეს სასწავლებელი ილია ნინამძღვ-
რიშვილმა (1846 – 1918) დააარსა და ამით საფუძველი ჩაუყარა
საქართველოში დაწყებითი სასოფლო-სამეურნეო განათლებას.

1891 -1893 წლებში ნიკო ცხვედაძე სხვა ქართველ საზოგადო
მოღვაწებთან ერთად არჩეული იყო ქალაქის სათათბიროს პირ-
ველი თანრიგის ხმოსნად, სადაც იგი აქტიურად მოღვაწეობდა
სასკოლო კომიტეტში. 6. ცხვედაძე სისტემატურად სწავლობდა
საქალაქო დაწყებითი სასწავლებლების მუშაობას და სახავდა
პრაქტიკულ ღონისძიებებს ამ ტიპის სასწავლებლების მუშაობის
გაუმჯობესების მიზნით. 6. ცხვედაძემ ფასდაუდებელი სამსახური
გაუწია ქართველ ხალხს იმით, რომ ჯერ კიდევ 1897 წელს წამო-
აყენა ნინადადება თბილისის ქართული გიმნაზიისათვის საუკეთე-
სო ახალი შენობის ასაგებად. ამ საქმეს შესწირა მან თავისი ცხოვ-
რების ბოლო 13 – 14 წელი. 1897 წელს შენობის აგების საკითხი
6. ცხვედაძემ დააყენა „დარიბ მონაცეთა შემწე თბილისის გუბერ-
ნიის თავადაზნაურთა საზოგადოების“ სხდომაზე, სადაც გადაწ-
ყდა თბილისში მინის ნაკვეთის შეძენა გიმნაზიის ახალი შენობის
ასაგებად. ამ დადგენილების საფუძველზე 6. ცხვედაძე შეუდგა
თავისი გეგმის განხორციელებას და მაღლ მის მიერ შეგროვილი
თანხით ვაკეში, ვარაზისხევთან შეიძინა 14.400 კვ. საუკინი მინის
ნაკვეთი და შეუდგა პედაგოგიურად და ხუროთმოძღვრულად
გამართული სკოლის შენობის აგებას. პირველი თანხის ნაწილი
ასევე გაიღო იაკობ გოგებაშვილმა. მოსამზადებელ პერიოდში 6.
ცხვედაძე დაწვრილებით გაეცნო ევროპის სხვადასხვა ტიპისა და
საფეხურის სასკოლო შენობათა გეგმა-პროექტებს და სკოლის
გამგე-კომიტეტთან შეთანხმებით მშენებლობის ხელმძღვანელად



მოინვია ნიჭიერი ახალგაზრდა ხუროთმოძღვარი სიმონ კლდიშვილი ვილი (1865 – 1920). 6. ცხვედაძემ პროექტის წარდგენის შემდეგ, 1880 წელს, მოინვია თბილისის მონინავე ქართველი საზოგადოება და საზეიმოდ ჩაუყარა საძირკველი ქართული კულტურისა და განათლების მომავალ დიდ ეკრას. შენობის ასაგებად საჭირო თანხების შეგროვებისათვის იგი ტაქტიანად, დასაბუთებით მიმართავდა ბანკირებს, ვაჭრებს, თავად-აზნაურებს, ქველმოქმედებს. როგორც 6. ცხვედაძის თანამედროვენი აღნიშნავენ, კონსტანტინე მუხრანბატონი (1837-1902) და დავით სარაჯიშვილი მისი „მსხვერპლი“ იყვნენ; ასეთი მცდელობით, ბრძოლითა და შემართებით 6. ცხვედაძე აგროვებდა საჭირო თანხებს შენობის ასაგებად. შენობის აგება ჭიანურდებოდა იმის გამო, რომ თანხების მოგროვება გვიანდებოდა, მაგრამ 6. ცხვედაძე იმედს არ კარგავდა. იგი საოცარი ოსტატობითა და მოხერხებულობით შოულობდა თანხებს, ზოგი მას გიუს უწოდებდა, იმ მიუვალ ხრამში რა შენობა უნდა აშენდეს. ნიკო არ თმობდა არაფერს, ყველას არწმუნებდა, რომ ამ შენობაში ერთ დროს ქართული უნივერსიტეტი გაიხსნებათ.

1905 წლის რევოლუციამ გარკვეული სიძნელები შეუქმნა შენობის აგებას. თანხის გაღებაზე უარს აცხადებდა თავადაზნაურობა. მათგან ერთმა ნანილმა მოინდომა დაუმთავრებელი შენობის გაყიდვა. 6. ცხვედაძემ მათ განუცხადა: „მთელ საქართველოში ყულაბებით მოვაგროვებო ფულს და შენობას მაინც არ გავყიდიო“. თბილისის სათავადაზნაურო ბანკიც ახლა უფრო ძნელად აძლევდა ფულს. 6. ცხვედაძემ ასეთ პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობაში გადაიტანა დიდი გასაჭირი, მაგრამ არ გატეხილა. გადაიტანა დაცინვა, გაკიცხვა, ბრძოლა, მაგრამ არ შეუნელებია ყურადღება ამ საქმის დამთავრებისათვის და სიცოცხლეშივე მთლიანად ბოლომდე მიიყვანა ეს საშვილიშვილო საქმე. 1906 წელს ახლად აგებულ შენობაში გადავიდა თბილისის ქართული გიმნაზია. 6. ცხვედაძე, თითქმის ჯანგატეხილი და დაუძლურებული ბოლომდე იბრძოდა შენობის დამთავრებისათვის. მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა იმ დროისათვის ცნობილ საზოგადო მოღვაწეებთან და მწერლებთან. ესენი იყვნენ: ილია ჭავჭავაძე, დიმიტრი ყიფიანი, იაკობ გოგებაშვილი, ილია წინამძღვრიშვილი, რაფიელ ერისთავი, ნიკო ნიზანიშვილი, ანტონ ფურცელაძე, ნიკო ლომოური, გიორგი იოსელიანი, ნიკო ნიკოლაძე, დავით სარაჯიშვილი და სხვები. სწორედ მათთან ურთიერთობამ შეაძლებინა მას სიცოცხლისა და ენერგიის დაუზოგავად, საკუთარი ჯანმრთელობის ფასად ეკეთებინა დიდი ეროვნული საქმე. 6. ცხვედაძეს განსაკუთრებილი მეგობრობა ჰქონდა იაკობ გოგებაშვილთან და ილია



ჭავჭავაძესთან. ნ. ცხვედაძემ ღირსეულად დაიტირა თანამეპრძოლი იღვევიდან ნიკო ცხვედაძე ხშირად ადიოდა ილიას საფლავზე, ყვავილებს უვლიდა და თვალცრულობის, სინანულით სტოვებდა საყვარელი თანამე-კალმის საფლავს.

1911 წელს, სიკვდილის ნინა პერიოდში, დასნეულებული და დაუძლურებული ნიკო ცხვედაძე სამკურნალოდ თბილისში მოყავ-დათ კავთისხევიდან ეტლით. ვაკეში რომ გამოიარა და უნივერსი-ტეტის შენობას გაუსწორდნენ ეტლი შეანელებინა, ფეხის კანკა-ლით ნამოდგა, თანმხლებმა პირმა ხელი შეაშეღა; ნიკომ ამაყად, მაგრამ თვალცრულიანმა ერთხელ კიდევ შეხედა უნივერსიტეტის შენობას და ფეხებაკანკალებულმა დიდხანს უმზირა მის მიერ აგე-ბულ ცოდნის ტაძარს. ილია ჭავჭავაძემ თავის დროზე უადგილოდ როდი უწოდა ნიკო ცხვედაძეს „ნიკოლოზ ალმშენებელი“.

ნიკო ცხვედაძის ცალკე ნიგნად გამოცემული ნაშრომები:

ჩვენი ხალხის განათლება, ხელოსნობა და მეურნეობა. თბ., 1903.

Записки о положении городских начальных школ в Тбилисском городского михаиловского ремесленного училища и о мерах к наилучшей постановкею. – ТВ; 1892.

ლიტერატურა 5. ცხვედაძის – ცხოვრებისა და მოღვაწობის შესახებ

ქაჯაია, ვ. ნიკო ცხვედაძე. თბ., 1945. -88გვ;

გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრების ეპიზოდები: ნიგნი 16. თბ., 2008. გვ. 298- 300;

ნიკო ცხვედაძე – 150. თბ., 1995. – 86გვ.;

ბოცვაძე, ნ. ნორჩ მეგობრებთან ერთად. თბ., 1976;

დაგით ეპისკოპოსი: სიტყვანი. თბ., 1991;

სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავ-ლებლები: კრ. 1. თბ., 1953;

ქაჯაია, ვ. გამოჩენილი ქართველი პედაგოგები. თბ., 1973;

ქართველთა შორის ნერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. თბ., 2004.


ძართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებები საზოგადოების საპირლიოთა პო საქმიანობა

140 წლის ნინ, 1879 წელს საქართველოში დაარსდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება (ქშნეგს) – ყველაზე ფართომასშტაბიანი კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი მოძრაობა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში.

მას ჰქონდა საკუთარი წესდება, რომელშიც განსაზღვრული და ჩამოყალიბებული იყო საზოგადოების მიზნები და პროგრამა. ქშნეგ საზოგადოების მესვეურებმა შეიმუშავეს ეფექტური სამოქმედო მექანიზმი, რომელმაც უზრუნველყო დასახული ამოცანების შესრულება. საზოგადოების მასშტაბურობა გამოიხატებოდა არა მარტო შესრულებულ სამუშაოთა რაოდენობაში, არამედ იმითაც, რომ საქართველოს ტერიტორიის გარდა, მისი ფილიალები ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც მუშაობდა. თავისი არსებობის 48 წლის განმავლობაში (1879-1927 წ.წ.) ქშნეგ საზოგადოებამ გამოიარა სამგვარი სახელმწიფოებრივი წყობის – რუსეთის იმპერიის, დამოუკიდებელი საქართველოსა და სსრკ-ს სახელისუფლებო-ბიუროკრატიული წნევი და მაინც შესძლო დასახული მიზნებისკენ ჯიუტი სვლა.

ქშნეგ საზოგადოებამ თავისი მუშაობის ერთ-ერთ მიმართულებად საბილიოთებელ საქმის ორგანიზება-გააქტიურება აირჩია. ყველასათვის გასაგები იყო, რომ საგანმანათლებლო სფეროში ეფექტური შედეგის მისაღწევად არ კმაროდა მხოლოდ სასწავლებლების დაარსება და პრობლემის დაყვანა წერა-კითხვის შესწავლის დონემდე. განათლება თავის თავში მოიცავს ადამიანის აზროვნების განვითარებისა და ინფორმაციულობის ზრდის რთულ ეტაპებს, რომლებსაც სასწავლებლების გარდა აუცილებლად სჭირდება განსხვავებული დამატებითი წყაროები.

საქართველოში, როგორც მრავალსაუკუნოვანი წიგნიერი კულტურის ქვეყანაში, უძველესი დროიდან არსებობდა სხვადასხვა დანიშნულების წიგნთსაცავები. ეკლესია-მონასტრებში იქმნებოდა და და საუკუნეების განმავლობაში გროვდებოდა ქრისტიანული ფილოსოფიისა და ისტორიის შესატყვისი ხელნაწერი და ნაბეჭდი



ნიგნები, რომლებიც გამოიყენებოდა საეკლესიო საქმიანობისათვის. მეორე მხრივ, საერო ცხოვრებაში – სამეფო კარზე თუ მსხვილ ფერდალთა ოჯახებში, თაობიდან თაობას გადაეცემოდა ნიგნებისადმი პატივისცემისა და სათუთი მოვლის ტრადიცია, რამაც დროთა განმავლობაში საოჯახო ბიბლიოთეკების ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი (მაგ., დადიანების ბიბლიოთეკა).

სამეცნიერო ლიტერატურაში მე-19 საუკუნემდე არსებული ბიბლიოთეკები პირობითად დაიყო ორ ჯგუფად – სასულიერო და საერო [2]. მიუხედავად იმისა, რომ ორივე ამ ჯგუფის ბიბლიოთეკები, ნიგნების გამოყენების ფორმების თვალსაზრისით, შეიცავდა საზოგადოებრივი ბიბლიოთეკის გარკვეულ ელემენტებსაც, ეს მაინც შედარებით ჩაკეტილი სივრცე იყო მთელი ქვეყნის მოსახლეობისათვის. ფაქტობრივად, მე-19 საუკუნემდე საქართველოში არ არსებობდა საზოგადოებრივი ბიბლიოთეკები დღევანდელი გაგებით. დიდი ხნის განმავლობაში საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრება სასულიერო და საოჯახო ბიბლიოთეკების ხარჯზე არსებობდა. ვითარება შეიცვალა მოგვიანებით, როდესაც რუსეთის იმპერიის არეალში მოხვედრილ ჩვენს ქვეყანას ევროპულ კულტურულ ტრადიციებთან ზიარების საშუალება მიცია.

მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში მოქმედ სხვადასხვა ტიპის სასწავლო დანესხებულებებთან ფუნქციონირებდა ბიბლიოთეკებიც. მართალია, ზოგიერთი მათგანი გარეშე მყითხველსაც ემსახურებოდა, მაგრამ ეს მაინც არ ცვლიდა საერთო მძიმე სურათს – სახალხო საბიბლიოთეკო ცხოვრების დეფიციტს. დროთა განმავლობაში თბილისში დაარსდა რამდენიმე სახალხო ბიბლიოთეკა (მაგ., მუსინ-პუშკინის ბიბლიოთეკა, ე.კ. კოტოვას ბიბლიოთეკა და ა.შ.), რომლებიც მცირე ხანს მუშაობდნენ და მალევე იხურებოდნენ. ხელისუფლების მხრიდანაც იყო მცდელობები საჯარო ბიბლიოთეკების დაარსებისა, მაგრამ თვითდაფინანსების პირობებში, მატერიალური მხარდაჭერის გარეშე, არც ამ საქმეს მოჰყოლია ნარმატება. გარდა ეკონომიკური ფაქტორისა, ბიბლიოთეკების მუშაობას ხელს უშლიდა ისიც, რომ საბიბლიოთეკო ფონდი ძირითადად რუსული ნიგნებით იყო დაკომპლექტებული, ხოლო ადგილობრივი (ქართველი და სხვ.) მოსახლეობის უმეტესი ნაწილი რუსულ ენას ჯერ კიდევ ვერ ფლობდა. ყველაფერს ამას ემატებოდა მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა და იმდროინდელ ქართული საზოგადოებაში გამეფებული ნიპილიზმი, რაც დამოუკიდებლობის დაკარგვითა და მომდევნო პერიოდში განცდილი სხვადასხვა პოლიტიკური მარცხით იყო გამოწვეული. მოგვიანებით მდგომარეობა შედარებით შეიცვალა.



საქართველოს საბიბლიოთეკო საქმის ისტორიის მნიშვნელოვანი მოვლენა გახდა 1842 წელს დიმიტრი ყიფიანის ინიციატივით და ორგანიზებით „ტფილისის კერძო სამხანაგო ბიბლიოთეკის“ დაარსება. ოთხი წლის შემდეგ, 1846 წელს, მთავარმართებლის კანცელარიის ბიბლიოთეკის ბაზაზე დაარსდა თბილისის საჯარო ბიბლიოთეკა (დღეს – საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა), რომელსაც შეუერთდა „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის“ ფონდი. მიუხედავად იმისა, რომ საჯარო ბიბლიოთეკის კეთილმოწყობასა და დაკომპლექტებაზე ხელისუფლება ზრუნავდა, დიდი ხნის განმავლობაში ვერც იყო ამართლებდა მთავარ დანიშნულებას – საყოვლთაო ხელმისაწვდომობას.

მე-19 საუკუნის 60-70-იან წლებში, ქშნებ საზოგადოების დაარსებამდე, საქართველოს ტერიტორიაზე თანდათან მომრავლდა სხვადასხვა ტიპის ბიბლიოთეკა-სამკითხველოები (მაგ., ენფიანჯიანის, ი. ივანოვის, ა. ლორთქიფანიძისა და სხვ.), რომელთა ფონდები შედარებით ხელმისაწვდომი იყო მოსახლეობის ფართო ფენებისადმი. ეს პროცესი განაპირობა, ერთი მხრივ, ქვეყანაში კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობის გაზრდამ, მეორე მხრივ – ნიგნთბეჭდვისა და ნიგნთვაჭრობის განვითარებამ. საქართველოში ბიბლიოთეკების მუშაობას ზედამხედველობას უწევდა რუსეთის იმპერიის განათლებისა და შინაგან საქმთა სამინისტროები, რომლებსაც დაემატა სამღვდელოებაც. ხელისუფლების მიზანი იყო გააქტიურებული საბიბლიოთეკო ცხოვრების მკაცრი კონტროლი, რათა მოსახლეობას არ მინიდებოდა მათთვის არასაიმედო პოლიტიკური ხასიათის ლიტერატურა. ამავე დროს, მათ ინტერესში არ შედიოდა ბიბლიოთეკების ქართული ნიგნებით მომარაგება. ქართული კულტურის განვითარება ეროვნული ცნობიერების გაღვივების საწინდარი იყო და ხელისუფლება ამ ფაქტორის განეიტრალებას მისი რუსული კულტურით გადაფარვის გზით ცდილობდა. ქართული ინტელიგენცია შესაძლებლობის ფარგლებში ზრუნავდა ქართული ნიგნიერების განვითარებაზე, მაგრამ სერიოზული ორგანიზაციული მექანიზმის გარეშე ამ საქმეს ფრაგმენტული ხასიათი ჰქონდა და, შესაბამისად, შედეგიც ნაკლებად ეფექტური იყო. გითარება სასიკეთოდ შეიცვალა ქართველთა შორის წერა-კითხვის საზოგადოების დაარსების შემდეგ.

ქშნებ-ი მთავარი ამოცანა, წერა-კითხვის სწავლება და საქართველოს მოსახლეობაში განათლების დონის ამაღლება, მოითხოვდა კომპლექსურ მიდგომას. საზოგადოებამ თავისი მუშაობა უპირველესად საქართველოს სხვადასხვა რეგიონში სასწავლებლების დაარსებისკენ მიმართა. მაგრამ გასაგები იყო, რომ სას-



ნავლებლიდან მიღებულ ცოდნას განმტკიცება სჭირდებოდა, რაც მათ და მათ მიზანი მხრივ გულისხმობდა დამატებით ძალის სხმევას. ამიტომ მათ და მათ მიზანი როგორც აღვნიშნეთ, ქმნები დამარსებლებმა სასწავლებლების გარდა საბიბლიოთეკო საქმის ორგანიზებაზეც იზრუნება. საზოგადოების წესდებაში, რომელშიც საზოგადოების მიზნები და ამოცანები პუნქტებად არის ჩამოყალიბებული, ცალკე საკითხებად არის გამოყოფილი საბიბლიოთეკო საქმიანობა. წესდებაში ნათქვამია, რომ საზოგადოება:

§2, გ) „სახალხოთ ნიგნების კითხვასა პმართავს და საკითხავებსა პხსნის;“

ამავე დროს საზოგადოება ვალდებულებას იღებს, რომ:

§2, ე) „შეადგენს თავისს სამწიგნობროს, როგორც თავისთვის, ისე ხალხისთვის საკითხავად“ [6].

ქმნებ საზოგადოების გამგეობამ საბიბლიოთეკო საქმის ორგანიზება-მეთვალყურეობისთვის და წიგნებით მომარაგებისათვის ცალკე გამოყო საბიბლიოთეკო კომისია. მუშაობა სამი მიმართულებით დაიგეგმა: 1) წიგნთსაცავ-მუზეუმის შექმნა; 2) სასკოლო და სხვა სასწავლო დაწესებულებებთან ბიბლიოთეკების დაარსება ან უკვე არსებული ბიბლიოთეკების დახმარება; 3) იაფფასიანი სახალხო სამკითხველოების გამართვა.

წიგნთსაცავ-მუზეუმი

იმ ფასდაუდებელ საქმეთა შორის, რომლებიც ქმნებ საზოგადოების სახელს უკავშირდება, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია 1880 წელს ქართული წიგნსაცავ-მუზეუმის შექმნა. ამ საქმის ინიციატორი იყო ცნობილი საზოგადო მოღვაწე იონა მეუნარეია. სწორედ მას დაევალა ორგანიზაციული საკითხების მოგვარება, რომელმაც საზოგადოების შექმნიდან ერთ წელიწადში გამგეობას წარმოუდგინა წიგნთსაცავის წესდება.

სახალხო სამკითხველოებისაგან განსხვავებით, რომელთა დანიშნულებაც მოსახლეობის ფართო ფენებში განათლების გავრცელება იყო, წიგნსაცავ-მუზეუმში ახალგამოცემულ წიგნებთან ერთად გროვდებოდა ძველნაცემითი ქართული წიგნები, ძველი ხელნაწერები და ისტორიული მნიშვნელობის ნივთები. ილია ჭავჭავაძე და გამგეობის სხვა წევრები გაზითების საშუალებით უხსნიდნენ ქართულ საზოგადოებას ახალი წამოწყების მნიშვნელობას



ქართული კულტურისათვის და სთხოვდნენ, რომ მონაწილეობა მიეღოთ ამ კეთილშობილურ საქმეში – ოჯახებში შემორჩენილოւა ძველი ხელნაწერები, წიგნები და ისტორიული ნივთები გადაეცა საზოგადოებისათვის. გამგეობის მიერ განეულმა აგიტაციამ, ქშნებ საზოგადოების მესვეურთა, განსაკუთრებით კი მისი თავმჯდომარის, ილია ჭავჭავაძის, დიდმა ავტორიტეტმა, ნაყოფი გამოიღო. თავის მხრივ კი, ქართული საზოგადოებაც მზად აღმოჩნდა ასეთი მონილების მისაღებად. პირველივე წლებიდან დაიწყო წიგნსაცავის შევსება იშვიათი წიგნებით, ფურნალ-გაზეთებითა და ხელნაწერებით. წიგნსაცავში შევიდა XVII-XVIII საუკუნეებში გამოცემული ძველნაბეჭდი ქართული წიგნები: ქართულ-იტალიური ლექსიკონი (1629წ.), 1705 წელს მოსკოვში დაბეჭდილი „დავითნი“, ვახტანგ მეექვსის მიერ დაარსებულ პირველ ქართულ სტამბაში დაბეჭდილი წიგნები, ერეკლე მეორის სტამბის წიგნები და ა.შ. ძველნაბეჭდი წიგნების პარალელურად წიგნთსაცავს ემატებოდა ახლად დაბეჭდილი წიგნებიც. ქართული საზოგადოების ძალისხმევამ ის შედეგი გამოიღო, რომ ერთ მთლიანობაში შეიკრა ქართული კულტურის ისტორიის ისეთი მნიშვნელოვანი ელემენტი, როგორიც არის წიგნთბეჭდვა.

წიგნთსაცავის შევსებასთან ერთად არანაკლები ძალისხმევა სჭირდებოდა დოკუმენტების მოყლაპატრონობასა და დაცვას. გამგეობის სხდომებზე, რომლებიც პერიოდულად იმართებოდა, განიხილებოდა წიგნსაცავ-მუზეუმის დროებითი თუ მუდმივი დაბინავების, დოკუმენტების აღრიცხვის, დახარისხების, ყდებში ჩასმის, კატალოგის შედგენისა და სხვა საკითხები. შემუშავდა ქშნებ საზოგადოების ბიბლიოთეკიდან წიგნებისა და ხელნაწერების ხმარების ნესიც.

ფონდის დამუშავებაზე, სისტემაში მოყვანასა და კატალოგების შედგენაზე სხვადასხვა დროს იმუშავეს დ. ბაქრაძემ, მ. ქართველიშვილმა, ე. თაყაიშვილმა და სხვებმა. 1887 წელს გამოვიდა წიგნსაცავის წიგნად დაბეჭდილი პირველი კატალოგი, რომელიც 6. მთვარელიშვილმა შეადგინა. 1905 წელს გამოიცა დ. კარიჭაშვილის მიერ მომზადებული ახალი კატალოგი, ხოლო 1911 წელს – ამ კატალოგის დამატება.

ქშნებ საზოგადოება 1927 წელს დაიხურა. საბჭოთა ხელისუფლებამ მისი ქონება გადაანაწილა სხვადასხვა უნიკებაში. აქედან, წიგნთსაცავის ფონდი გადაეცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, სადაც ინახებოდა 1937 წლამდე. 1937 წელს კი ქშნებ საზოგადოების ბიბლიოთეკის ბეჭდური კოლექცია მიეკუთვნა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას (მაშინ კ. მარქსის



სახელობის საქართველოს სსრ სახელმწ. რესპ. ბიბლიოთეკა), ნიგნი ნიგნი დაც დღესაც მიმდინარეობს მისი შევსება. სწორედ ქშნკვ საზოგადოების წიგნთსაცავია ის მყარი საფუძველი, რომელზეც დგას საქართველოს ეროვნული ბიბლიოგრაფიის ყველაზე სრული არქივი.

სასკოლო ბიბლიოთეკები

წიგნთსაცავ-მუზეუმის დაარსების შემდეგ საზოგადოებამ დაიწყო ზრუნვა, რომ ბიბლიოთეკების მეშვეობით ქართული წიგნები მიეწოდებინა მთელი საქართველოს მოსახლეობისათვის. იმის დასადგენად, თუ რა მდგომარეობა იყო საქართველოს სოფლებში, საზოგადოებამ გაზეთ „ივერიის“ საშუალებით სოფლის მეთვალყურებს მიმართა წერილით, რომელშიც სთხოვდა მიეწოდებინათ შემდეგი ინფორმაცია: 1) არის თუ არა მათ სოფელში სკოლა; 2) არის თუ არა სახალხო წიგნები არის და რა აკლიათ; 4) რომელი წიგნი უფრო მიაჩნიათ საჭიროდ ხალხში გასავრცელებლად. ასეთმა და სხვა ენერგიულმა მოქმედებებმა თავისი ნაყოფი გამოიღო. საზოგადოებას ჰქონდა ამ თვალსაზრისით მეტ-ნაკლებად რეალური სურათი და მის მიხედვით შეეძლო ემოქმედა. თავის მხრივ, ხალხსაც კარგად ესმოდა ასეთი ბიბლიოთეკების მნიშვნელობა და გამოხატვადა სოფლებში წიგნთსაცავების დაარსების სურვილი. გაზეთი „ივერია“ წერდა: „ყმანვილი სოფლის სასწავლებელში ორ-სამს წელიწადს რჩება, რის წვალებითა და ვაი-ვაგლახით ქართულს წერაკითხვასა სწავლობს, თავს ანებებს სასწავლებელს და ნასწავლიც ავინწყდება, რადგან რამდენიმე წელიწადი გადის ისე, რომ წიგნი არ აიღოს ხელში. ამის ასაცილებლად, რასაკვირველია, საჭიროა, რომ წერა კითხვის მცოდნე კითხვის საშუალებას არ იყოს მოკლებული და ყოველთვის ხელთა ჰქონდეს, რომ ნასწავლი არ დაივინწყოს“ [3].

ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი იყო ბიბლიოთეკების გამართვა სკოლებთან ან უკვე დაარსებული ბიბლიოთეკების შევსება ახალი ქართული წიგნებით. 1882 წელს ნიკო ცხვედაძემ ქშნკვს-ს გამგეობაში შეიტანა სკოლებთან ბიბლიოთეკების დაარსების საკითხი. მან საზოგადოებას წარუდგინა ასეთი ბიბლიოთეკების წესდება სათაურით „წესი სახალხო სკოლების ბიბლიოთეკაზედ“ [5]. წესდება ხუთი ჰუნქტისგან შედგებოდა, რომლებშიც სათითაოდ განერილი იყო ბიბლიოთეკების დაარსების მიზანი და მუშაობის ძირითადი პრინციპები. მასში, ასევე, განსაზღვრული იყო ბიბლიოთეკების კუთვნილებისა და მათ მუშაობაზე პასუხისმგებლობის საკითხები, დაკომპლექტების, რესურსების აღრიცხვისა და კატალოგიზაციის



ფორმები. წესდების მიხედვით, ბიბლიოთეკები უნდა ემართათ მას-
ნავლებლებს, ხოლო მათზე მეთვალყურეობა მასნავლებლებზე მის-
ერთად უნდა გაეწიათ სოფლისაგან არჩეულ მზრუნველებს. ბოლო
პუნქტში ხაზგასმულია ბიბლიოთეკების ხელმძღვანელთა პროფე-
სიული კეთილსინდისიერების მნიშვნელობა: „თქმა არ უნდა, რომ
სოფლის ბიბლიოთეკების ბედი დამოკიდებულია მასნავლებელ-
ზე და სკოლის მზრუნველებზე და, რომ თუ ესენი ბეჯითად და
კეთილსინდისიერად მოჰკიდებენ ხელს ბიბლიოთეკების საქმეს,
მაშინ სახალხო სკოლების ბიბლიოთეკები ძლიერ დაეხმარებიან
ხალხის გონიერით განათლებას და ნარმატებას“ [5].

ნარმოდგენილ წესდებას თან ერთვოდა ბიბლიოთეკის დაკომ-
პლექტებისას აუცილებლად გასათვალისწინებელი წიგნების სია,
რომელშიც შედიოდა როგორც ქართველ კლასიკოს მწერალთა
ნანარმოებები, ასევე რუსი და სხვა უცხოელი მწერლების წიგნე-
ბი. ამ წესდებაში შევიდა რამდენიმე ცვლილება და საბოლოო ვა-
რიანტი დაამტკიცეს საზოგადოების გამგეობის საერთო კრებაზე
1882 წლის 6 ივნისს. იგი გახდა სახელმძღვანელო დოკუმენტი
საზოგადოების სკოლების ბიბლიოთეკებისათვის. მის მიხედვით,
საზოგადოების სკოლებთან ორგვარი ბიბლიოთეკა უნდა დაარ-
სებულიყო – სტაციონარული და მოძრავი. გამგეობა ვალდებული
იყო, მოქმარაგებინა ეს ბიბლიოთეკები სახელმძღვანელოებითა
და სასკოლო-საკანცელარიო ნივთებით. საზოგადოების მიერ გაგ-
ზავნილი წიგნები სკოლის კუთვნილებაში რჩებოდა 10 წელი, შემ-
დეგ კი მზრუნველთა საბჭოს შეეძლო მოეთხოვა განმეორებითი
ეგზემპლარები. აუცილებელი პირობა იყო, რომ ბიბლიოთეკის
მზრუნველს საზოგადოების მთავარ გამგეობაში ნარმოდგინა
ბიბლიოთეკის ანგარიში ყოველი წლის 1 აპრილისათვის.

განსაკუთრებული მზრუნველობას იჩენდა ქშნებ საზოგადოება
ბათუმის ქართული სკოლის ბიბლიოთეკის მიმართ – ამარაგებდა
სახელმძღვანელოებით, კლასგარეშე ლიტერატურით, ქართველი
მწერლების თხზულებებით. ბათუმის სკოლის ბიბლიოთეკაში უკ-
ლებლად იგზავნებოდა ქშნებს-ის მიერ გამოცემული ქართული
წიგნები. მათთან ერთად საზოგადოება ბიბლიოთეკას უნერდა
ქართულ და რუსულ უურნალ-გაზეთებს. ზოგადად, საზოგადოება
ნელინადში 150-200 მანეთს ხარჯავდა წიგნების შესაძენად, რაც
იმ დროისათვის მნიშვნელოვან დაფინანსებას ნარმოდგენდა.

ქშნებს დახმარებას უწევდა საკვირაო და სამრევლო სკოლებ-
საც. რაკი მათში ქართული ენა ისნავლებოდა, საზოგადოება უფა-
სოდ უგზავნიდა ქართულ სახელმძღვანელოებს. იგი ზრუნვადა
აგრეთვე უცხოეთში მყოფ ჩეენს თანამემამულეებზე, განსაკუთ-


რებით სტუდენტობაზე, რომ მათ საშუალება ჰქონოდათ, ესარგებ-
ლათ ქართული წიგნებითა და უურნალ-გაზეთებით. უენევის, ფრანგულ-
შავის, ხარკოვის, პეტერბურგის, მოსკოვის, პარიზის, ლონდონის
და სხვა ქალაქების უმაღლეს სასწავლებლებში ქმნკეს-ის მიერ
გაგზავნილი წიგნები მნიშვნელოვნად ამდიდრებდა იქ სხვადასხვა
დროს დაარსებულ ქართულ ბიბლიოთეკებს.

სამკითხველოები

სკოლებთან და სხვა სასწავლო დაწესებულებებთან ბიბლი-
ოთეკების დაარსება ვერ აკმაყოფილებდა გაზრდილ მოთხოვნებს
და, რაც მთავარია, ვერ უზრუნველყოფდა დასახული მიზნების
შესრულებას. ამიტომ ქმნკეს შესაძლებლობის ფარგლებში ხელს
უწყობდა უკვე არსებული სამკითხველოების გაძლიერებასა და
ზრუნავდა ახალი ბიბლიოთეკების დაარსებაზე.

საბიბლიოთეკო კომისია 1892 წლის 3 მარტის სხდომაზე
ქმნკეს-ის გამგეობას მოახსენებდა, რომ სახალხო ბიბლიოთეკები
უნდა გახსნილიყო საქართველოს ყველა დაბა-სოფელში, სადაც
ამის შესაძლებლობა იქნებოდა. პირველი სამკითხველოს გახს-
ნის ინიციატორები ქართველი ქალები აღმჩნდნენ, რომელთა შო-
რის უმეტესობა მასწავლებლები იყვნენ. მათ თხოვნით მიმართეს
ქმნკე საზოგადოებას, რომ აეღო ხელისუფლებისაგან ნებართვა
თბილისში ღარიბებისათვის იაფფასიანი ბიბლიოთეკა-სამკითხ-
ველოს გახსნისა, საქმის ნარმოებას კი თვითონ კისრულობდნენ.
ამავე წლის 11 მარტს გამგეობამ ამ საქმეზე აღძრა შუამდგომლო-
ბა ხელისუფლებასთან, რომელმაც 19 მაისს გასცა ბიბლიოთე-
კის გახსნის ნებართვა. გაზეთი „ივერია“ ახალ ამბად აუნყებდა
თავის მკითხველებს: „ამას ნინად „ნერა-კითხვის გამავრცელებე-
ლი საზოგადოების“ მმართველობამ სთხოვა ბ-ნს ტფილისის გუ-
ბერნატორს, რომ ნება მიეცა თავის ბიბლიოთეკის განყოფილების
გამართვისა სახალხო საკითხავად. ბ-ნს გუბერნატორს შეუწყნა-
რებია თხოვნა საზოგადოებისა. ბიბლიოთეკა გაიმართება არწრუ-
ნისეულსავე ქარვასლაში. მის გამგედ დანიშნულია წევრი მმართ-
ველობისა ქ-ნი ანასტასია მიხეილის ასული წერეთლისა“ [1].

1892 წლის 31 მაისს თბილისში, ქარვასლის შენობაში, გაიხს-
ნა ქმნკეს-ის პირველი ბიბლიოთეკა-სამკითხველო [7]. მასში შე-
საძლებელი იყო ადგილობრივი და რუსული უურნალ-გაზეთებით
სარგებლობა. მომსახურების ფასი 2 კაპიკს შეადგენდა, რაც იაფი
იყო იმ დროისათვის. გამგეობამ წიგნების შესაძენად სამკითხ-
ველოს გამოუყო 30 მანეთი, თუმცა ბიბლიოთეკის დაარსების




დღიდანვე არ შეწყვეტილა მისი დახმარება, როგორც ფულადი ქვემდებრი მოწირულობით, ასევე წიგნებითა და სხვა ნივთიერი სახით. ქმნილი მოწირული მოწევის გამგე ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა პრესის მეშვეობით დროდაღი გამოხატავდა მადლიერებას შემომწირველთა მიმართ. მკითხველთა უმრავლესობას მოსწავლეები, ვაჭრები და მოსამსახურეები შეადგენდნენ [6]. ეს ბიბლიოთეკა დაიხურა 1910 წელს.

ქმნებს-ის მეორე ბიბლიოთეკა-სამკითხველო თბილისში გაიხსნა 1894 წელს. მისი გახსნის სურვილი გამოუთქვამს კუკიის მოსახლეობას, რომელმაც საკუთარი ხარჯებით შეიძინა 400 დასახელების წიგნი და საბიბლიოთეკო ინვენტარი და თხოვნით მიმართა ან. თუმანიშვილ-წერეთლისას, რომ ეშუამდგომლა ქმნებს-ის გამგეობის წინაშე. გუბერნატორის ნებართვის შემდეგ ახლად დაარსებული ბიბლიოთეკის ორგანიზება ითავა ისევ ან. თუმანიშვილი-წერეთლისამ, რომელმაც წინასწარ შეარჩია ადგილი, შეისწავლა მოსახლეობის ინტერესები და ამის მიხედვით დაიწყო მისი დაკომპლექტება. ამავე დროს ან. წერეთელმა წერილი გამოაქვეყნა გაზეთ „ივერიაში“, სადაც ღარიბ მოსახლეობას აუწყებდა იაფფასიანი ბიბლიოთეკის გახსნის ამბავს. მეორე ბიბლიოთეკა, რამდენიმე წყვეტილობით, მუშაობდა 1921 წლამდე. დახურვის შემდეგ მისი ფონდი გადაეცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას.

თბილისის მესამე ბიბლიოთეკის გახსნა დაკავშირებულია მარიამ დემურიას სახელთან. მისი თხოვნით ქმნებ საზოგადოების გამგეობამ მიმართა ხელისუფლებას ნაძალადევში ბიბლიოთეკის გახსნის თაობაზე. იმის გამო, რომ მე-20 საუკუნის დასაწყისში რევოლუციური მოძრაობა მომძლავრებული იყო, ხოლო ნაძალადევში მოსახლეობის უმეტესი ნაწილი მუშები და ხელოსნები იყვნენ, ხელისუფლება დიდხანს თავს იკავებდა ნებართვის გაცემაზე. ბოლოს ილია ჭავჭავაძის ავტორიტეტმა თავისი გააკეთა და 1901 წელს ნაძალადევში გაიხსნა ბიბლიოთეკა. მისი გამგე გახდა მარიამ დემურია, რომელიც დაახლოებული იყო სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელებთან. დროთა განმავლობაში ბიბლიოთეკა გახდა რევოლუციური ლიტერატურის გავრცელების ინიციატორი და ხელისშემწყობი, რის გამოც პოლიციის მცაცრი ზედამხედველობის ქვეშ მოექცა. მიუხედავად დაბრუოლებებისა, ბიბლიოთეკა აქტიურად მუშაობდა და მკითხველთა რაოდენობაც ემატებოდა. საბოლოოდ ბიბლიოთეკა გაუქმდა 1917 წელს.

ქმნებ საზოგადოებამ თბილისის გარდა ბიბლიოთეკები დაარსა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. ქუთაისში პირველი



სამკითხველო-ბიბლიოთეკის დაარსების იდეა ადგილობრივ ქალაქ ნიკოლოზისა და წრეში ნარმოიშვა. განსაკუთრებით აქტიურობდნენ ანასტასიანი დაქრაძე, ეკეტერინე ნიკოლაძე და ოლიმპია ქორაშვილი. მათი ინიციატივითა და ქშნებ საზოგადოების ძალისხმევით 1896 წელს ქუთაისში ჭილაძის სახლში საზეიმოდ გაიხნა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის ბიბლიოთეკა. მისი გამგე გახდა ელენე ჯინოშვილი. რავი ბიბლიოთეკა მცირე ფასად ემსახურებოდა მკითხველს, სხვებთან ერთად ღარიბ მოსახლეობასაც გაუჩნდა წიგნებთან წყდომისა და თვითგანვითარების საშუალება. ბიბლიოთეკა სხვადასხვა წყაროდან იღებდა შემოწირულობებს როგორც წიგნების სახით, ასევე ფინანსურად. ათი წლის განმავლობაში ბიბლიოთეკის ფონდი მდიდრდებოდა და მკითხველიც ემატებოდა, მაგრამ 1906 წლიდან საერთო პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისის პირობებში მისი ფუნქციონირება სერიოზულად შეფერხდა. მდგომარეობის გამოსხივება დაიწყო მას შემდეგ, რაც შეიქმნა ქშნებ საზოგადოების განყოფილებები. საბოლოოდ ქუთაისის ბიბლიოთეკა, რომელმაც თავისი არსებობის მანძილზე შეაგროვა საკმაოდ მდიდარი ფონდი, დაისურა 1918 წელს.


ახალციხის ბიბლიოთეკის გახსნაში დიდი წელილი მიუძღვის დ. კარიჭაშვილს, რომელმაც ქშნებ საზოგადოებას გააცნო იქაური ინტელიგენციის სურვილი და თხოვნა ამ მხარის ქართული წიგნებით მომარაგების შესახებ. ქშნებ საზოგადოების დახმარებით 1895 წელს რაბათში, ნათლისმცემლის ეკლესიის ახლომდებარე სტეფანე პალუხევის სახლში, საზეიმოდ გაიხსნა ბიბლიოთეკა. მის გამგედ დანიშნეს ახალციხის ქართველ ქალთა წრის ხელმძღვანელი და მასნავლებელი კონსტანცა მემფისაშვილი. თავდაპირველად ბიბლიოთეკის ფონდი 600-მდე წიგნს შეიცავდა, მაგრამ მოკლე ხანში გაიზარდა წიგნების რაოდენობა. ბიბლიოთეკაში განევრიანების მსურველთა რაოდენობამ მოლოდინს გადააჭარბა. ხალხი დაენაფა ქართულ წიგნებს და, ფაქტობრივად, აღარც ჰყოფნიდათ. კ. მემფისაშვილი თავის ანგარიშში საზოგადოებას ასე აცნობდა ვითარებას: „არ არის ისეთი მკითხველი, რომელსაც სულ გადაკითხული არ ჰქონდეს, რაც წიგნებია სამკითხველოში და ზეციურ მანანასავით ელოდებიან ახალ წიგნს. ხშირად გაიგონებთ ასეთ ფრაზებს: როდის უნდა გამოაგზავნონ კიდევ წიგნები, ნუთუ ამის მეტი წიგნი არ მოიპოვება ქართულ ენაზე“ [6]. ახალციხის ბიბლიოთეკა წარმატებით განვითარდა და იქაური ქართველობისათვის კულტურის ცენტრად იქცა. 1905 წლის რევოლუციის შემდგომმა პერიოდმა და პირველმა მსოფლიო ომმა მისი მუშაობაც შეაფერხა. 1920 წლიდან მისი ფონდი გადაეცა საქალაქო ერობას,

საბჭოთა ხელისუფლების შემდეგ კი საფუძვლად დაედო აზალის ბიბლიოთეკის სის სარაიონო ბიბლიოთეკას.

აზალციხის ბიბლიოთეკის არსებობამ ხელი შეუწყო სოფელ უდეში ბიბლიოთეკის დაარსებას. ეს თავის მხრივ უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო, რადგან თათართა ბატონობის ქვეშ დიდი ხნის განმავლობაში მოქცეული მოსახლეობა სხვა კულტურის მატარებელი იყო, ბევრმა მათგანმა ქართულიც აღარ იცოდა და ქართული ბიბლიოთეკა მათი ქართული ცნობიერების ამაღლებას შეუწყობდა ხელს. 1897 წელს ივ. მერაბიშვილის სახლში გაიხსნა ქშნკესის ბიბლიოთეკა, რომლის გამგე-პასუხისმგებელ პირად შეარჩიეს იაკობ მერაბიშვილი. სანკის ეტაპზე მხოლოდ 190 ქართული და 5 რუსული წიგნი ჰქონდათ, მაგრამ შემონირულობების წყალობით წლის ბოლომდე ფონდი 300-მდე ერთეულით გაიზარდა. წიგნების ნაკლებობის გამო შემოიღეს კოლექტიური კითხვის პრატიკა. მოგვიანებით ასეთ წესი მხოლოდ წერა-კითხვის უცოდინრებისთვის გამოიყენებოდა. წლების განმავლობაში იზრდებოდა როგორც წიგნების, ასევე მკითხველთა რაოდენობაც. უდეს ბიბლიოთეკით საარგებლობდნენ აგრეთვე მახლობლად მდებარე სოფლების – არალისა და ვალეს მაცხოვრებლებიც. სერიოზული ჩავარდნები ჰქონდა ბიბლიოთეკას 1905 წლის რევოლუციისა და მომდევნო პერიოდის პოლიტიკური კრიზის პერიოდში. საბოლოოდ უდეს ბიბლიოთეკა განადგურდა 1919 წელს ამ მხარეში ბანდების შემოსევის შედეგად.

ქშნკე საზოგადოების სახელს უკავშირდება საქართველოს სხვა რეგიონების ბიბლიოთეკების მუშაობაც. 1899 წელს საზოგადოების ხელში გადავიდა დიდი ჯიხაიშის ბიბლიოთეკა, რომელიც მანამდე ადგილობრივთა მიერ იყო დაარსებული. 1900 წელს გაიხსნა შილდის ბიბლიოთეკა, მომდევნო წელს კი – ხონის ბიბლიოთეკა. 1902 წელს საერთო რაოდენობას მიემატა ხარაგაულისა და ყვირილის ბიბლიოთეკებიც. 1903 წლისთვის საზოგადოების სახელზე ორცხებდა 11 ბიბლიოთეკა [4].

მოგვიანებით, პოლიტიკური კრიზისის პირობებში, ერთგვარად შეფერხდა საბიბლიოთეკო მუშაობის თბილისიდან მართვა, მაგრამ 1909 წლიდან ვითარება სასიკეთოდ შეიცვალა. შეიქმნა ქშნკე საზოგადოების ადგილობრივი განყოფილებები, რომლებმაც უფრო ეფექტურად წარმართეს მუშაობა. გამგეობის რეორგანიზაციის შემდეგ შეიქმნა ხუთი სექცია, მათ შორის საბიბლიოთეკო სექცია. მასში შედიოდნენ შიო არაგვისპირელი, ილია ნაკაშიძე, ივანე გომართელი, პეტრე გელეიშვილი და ივანე მაჭავარიანი. ბიბლიოთეკების უფრო ქმედითი დახმარების მიზნით, გამგეობამ სექციის



წევრები მიამაგრა კონკრეტულ ბიბლიოთეკებს. საბიბლიოოთეკო
სექციას წლების განმავლობაში სათავეში ედგა დავით კარიჭაშვილი.
მის მოღვაწეობასთან დაკავშირებულია სახალხო ბიბლიოთეკების
მასობრივი გახსნა. მან შეიმუშავა სახალხო ბიბლიოთეკების წესდება, რომელსაც თან ახლდა წიგნების სისტემატიზაციის ინს-
ტრუქციაც. ეს წესდება შემდეგ საფუძვლად დაედო სოფლად ბიბ-
ლიოთეკების მუშაობას.

საარქივო მასალებიდან ირკვევა, რომ ქშნკვ საზოგადოებაში
მთლიანობაში გახსნა (ან ხელი შეუწყო გახსნასა და ფუნქციონი-
რებაში) 200-მდე ბიბლიოთეკა საქართველოსა და მის ფარგლებს
გარეთ. ამ ბიბლიოთეკებს ჰქონდათ აღმავლობისა და ჩავარდ-
ნის ეტაპები. მათი ისტორია თითქმის ჰგავს ერთმანეთს, რადგან
ქშნკვ საზოგადოების სახით ერთი იდეური და ფინანსური მხარ-
დამჯერი ჰყავდათ, ხოლო ეკონომიკური პრობლემები ძირითადად
პოლიტიკური კატაკლიზმებით იყო გამოწვეული.

ქშნკვ საზოგადოების ბიბლიოთეკების თანამშრომლებს ფაქ-
ტობრივად არ ჰქონდათ საბიბლიოთეკო პროფესიული განათლება
და არც ერთიანი მეთოდოლოგიური საფუძველი. ბიბლიოთეკა-
რების მუშაობა თითქმის მთლიანად დამოკიდებული იყო მათ ინ-
ტელექტუალური უნარიანობაზე, რომელსაც ავსებდა დიდი საქმის
კეთების კეთილშობილური სურვილი. მიუხედავად ხარვეზებისა,
ქშნკვ საზოგადოების საბიბლიოთეკო საქმიანობამ მნიშვნელოვა-
ნი კვალი დატოვა საქართველოს საბიბლიოთეკო საქმის ისტორი-
აში.

გამოყენებული ლიტერატურა

ახალი ამბავი // ივერია. – 1892. – 21 მაისი, (N104). – გვ. 1.

ლორია, ა.; გურგენიძე, ნ. საბიბლიოთეკო საქმე საქართველოში (1921
წლამდე). – თბ. : მეცნიერება, 1974. – 383გვ.

ნარკვევი // ივერია. – 1891. – N25. – გვ. 2.

ფირცხალავა, ს. „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ 25
წლის განმავლობაში (1879-1904) // ქართველთა შორის წერა-კითხვის გა-
მავრცელებელი საზოგადოება : თანამედროვეთა მოგონებები / [შემდგ.:
ლეილა ნანიტაშვილი]. – თბ. : რჩეული, 2004. – 147გვ

ჩხიტუნიძე, თ. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი
საზოგადოების საბიბლიოთეკო და საგამომცემლო მოღვაწეობა. – თბ. :
მეცნიერება, 1980. – 140გვ.

Уставъ Тифлисскаго общества распространения грамотности среди
грузинского населения наместничества Кавказскаго = წესდებულება
ტფილისის საზოგადოებისა, რომელმაც წიგნის ცოდნა უნდა გაახშიროს



ქართველებს შუა, სადაც მოსახლეობენ კავკასიის სანამესტნოებრივი
Tiფლის, 1879. – 41 c.

ხუნდაძე, ტ. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი სა-
ზოგადოება : ნარკვევი საარქივო მასალების მიხედვით. – თბ. : საბჭ. სა-
ქართველო, 1960. – 161გვ.



სათურა მემანიშვილი-კალაძეარიშვილი

ალექსანდრე ჭაზეგის შემოქმედებითი პროცესის გააზრობისათვის



ალექსანდრე ყაზბეგის, ამ დიდი ქართველი პროზაიკოსის ნაწარმოებებმა მის საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოჩენისთანავე მკითხველის მოწონება და ინტერესი დაიმსახურა. საკმარისია „ქართული სიტყვიერების მეუფედ“ წოდებული გრიგოლ ორბელიანის შეფასება გავიხსენოთ, რომელიც მხცოვან პოეტს მიუწერია გაზეთ „დროების“ ფურცლებზევე, სადაც ალ. ყაზბეგის მოთხობა „მამის მკვლელი“ იძეჭდებოდა და რომელშიც იგი ახალგაზრდა მოჩხუპარიძეს დიდ ბერძენ ეპიკოსს, პომეროსს ადარებს. ასევე მაღალი აზრისა ყოფილან ალ. ყაზბეგის შემოქმედებაზე ისეთი მხატვრული სიტყვის დიდი ხელოვნები, როგორებიც არიან ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, დავით კლდიაშვილი. თავისთავად ცხადია, რომ არა გამორჩეული ნიჭი, ამგვარი შემფასებლების სიმპათის მოპოვება წარმოუდგენელი იქნებოდა. მართლაც, ალ. ყაზბეგის ნაწარმოებების გამომსახველობითი ძალა და ზემოქმედება მკითხველზე ჭეშმარიტად გაუხუნარია. ამდენად, საინტერესოა თვალის გადევნება მის შემოქმედებით

შიც იგი ახალგაზრდა მოჩხუპარიძეს დიდ ბერძენ ეპიკოსს, პომეროსს ადარებს. ასევე მაღალი აზრისა ყოფილან ალ. ყაზბეგის შემოქმედებაზე ისეთი მხატვრული სიტყვის დიდი ხელოვნები, როგორებიც არიან ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, დავით კლდიაშვილი. თავისთავად ცხადია, რომ არა გამორჩეული ნიჭი, ამგვარი შემფასებლების სიმპათის მოპოვება წარმოუდგენელი იქნებოდა. მართლაც, ალ. ყაზბეგის ნაწარმოებების გამომსახველობითი ძალა და ზემოქმედება მკითხველზე ჭეშმარიტად გაუხუნარია. ამდენად, საინტერესოა თვალის გადევნება მის შემოქმედებით




პროცესზე, რათა დავინახოთ, რა სტილური ტენდენციები იყონენ მათგან თავს, როგორაა მიღწეული მის ნანარმოებებში შთამბეჭდავობისა და მხატვრული სიმართლის მაღალი ხარისხი. ამ კითხვაზე საპასუხოდ ყურადღებას მივაპყრობთ ალ. ყაზბეგის ერთ-ერთი ყველაზე ადრეული მოთხოვობა „ელგუჯას“ ვარიანტებს და განვიხილავთ იმ ცვლილებებს, რომლებიც ავტორს საბოლოო ვარიანტის ტექსტში შეუტანია.

როგორც ცნობილია, „ელგუჯა“ ის მოთხოვბაა, რომელმაც მეფის ცენზურისაგან ყველაზე მეტი დევნა და შევინროვება განიცადა. ალ. ყაზბეგმა იგი პირველად 1881 წელს, გაზეთ „დროებაში“ დაბეჭდა. მოთხოვობის ტექსტის ბოლოს მას მიუწერია შენიშვნა, რომლის მიხედვით რამდენიმე ხანში იგი აპირებდა „ელგუჯას“ „ვრცელი და შესწორებული“ ვარიანტის ცალკე წიგნად გამოცემას. (ალ. ყაზბეგი, თხზულებანი, ტომი პირველი. – თბ., 1948. შენიშვნები სოლ. ყუბანენიშვილისა, გვ.474). ეს წიგნი დაიბეჭდა კიდევაც 1884 წელს, მაგრამ მეფის ცენზურამ, როგორც ჩანს, მთელი ტირაჟი გაანადგურა. გადარჩა მხოლოდ ორიოდე ეგზემპლარი, რომლებიც ასოთამნყობებმა გადამალეს. მათგან ერთ-ერთი ცალი თითქმის ორმოცდაათი წლის შემდეგ მაშინდელი ასოთამნყობის – ზ. კოტეტიშვილის მემკვიდრეთა ოჯახში აღმოჩნდა (იქვე) და მისი დახმარებით შესაძლებელი გახდა აღდგენილიყო „ელგუჯას“ ის ვარიანტი, რომელიც ალ. ყაზბეგმა საგანგებოდ გადამუშავა.

გასაკვირი არ არის მნერლის სურვილი, რომ კიდევ ერთხელ მიბრუნებოდა ნანარმოებს, რომელმაც მისი სახელი მთელ ქართველ საზოგადოებას გააცნო და მკითხველის აღტაცება მოუპოვა. წერილში „ალექსანდრე ყაზბეგის „ელგუჯას“ შესახებ“ იონა მეუნარგია, სხვათა შორის, წერს: „არ შემიძლია არა ვთქვა, რომ იმ პირობებში, რომელშიაც ბ-ნი ყაზბეგი წერდა თავის მოთხოვობებს, უნაკლულოდ წერა შეუძლებელია. დღეს ერთ ფელეტონს აქ დანერდა და დააბეჭდვინებდა, ხვალ გორში დასწერდა, ზეგ ქუთაისში, მაზევ ფოთში და ბათუმში. არც გასწორება, არც მეორეჯერ გადაკითხვა, არც უკანასკნელი რედაქცია. ჩქარა, ფელეტონი! ეტყოდნენ რედაქციაში ავტორს, და ამ ფელეტონებიდან წელ-წელა ცხვა, ცხვა და ჩინებული მოთხოვობა გამოცხვა“ (ი. მეუნარგია, ალ. ყაზბეგის „ელგუჯას“ შესახებ, დროება, 1881, №269).

ალ. ყაზბეგის თანამედროვეთა მოგონებებში არაერთგზისაა მითითებული მისი შემოქმედებითი მუშაობის ამგვარი ხასიათი. მნერლის მეგობარი და თაყვანისმცემელი, ალექსანდრე გულისაშვილი წერს: „ოთხმოციან წლებში გაზეთ „დროებაში“, რომელსაც სცემდა სერგეი მესხი, იბეჭდებოდა ფელეტონებად ალ. ყაზბეგის




მოთხოვობა „ელგუჯას“. მაშინდელი ახალგაზრდობა მოუთმენლად ელოდა ყოველდღიური გაზიეთის გამოსვლას და დიდის აღტაცებით კითხულობდა მას. ყველას უფრო ის უკვირდა, რომ... „ელგუჯას“ ავტორი თვით რედაქციის სადგომში სრულიად მოუმზადებლივ ექსპრომტად წერდა „ელგუჯას“ „დროების“ ფელეტონებში. ეს ფაქტი კარგად იციან ჩვენი მწერლობის ვეტერანებმა“ (ალ. გულისაშვილი, ალ. ყაზბეგის გარშემო, ცხოვრება ალ. ყაზბეგისა, თბ., 1988, გვ. 262-263).

ასეთ ვითარებაში სრულიად გასაგებია, რომ მოგვიანებით, როდესაც „ელგუჯას“ ცალკე წიგნად გამოცემა დააპირა, ალ. ყაზბეგმა მთლიანად გადაამუშავა ნაწარმოები. ასოთამწყობ ლუარსაბ ხელაძის მოგონების მიხედვით, 1884 წელს „ელგუჯას“ აწყობდნენ „გაზეთებიდან და კარგა ნაწილს ხელნაწერიდან, რომელიც მოჰქონდა თვით ყაზბეგს, კორექტურას ასწორებდა თვით ალექსანდრე, მომეტებულად სტამბაში“ (ლ. ხელაძე, ცხოვრება ალ. ყაზბეგისა, თბ., 1988, გვ. 259).

ეს მოგონებაც ადასტურებს, რომ ალ. ყაზბეგი ნაწარმოების მხოლოდ გადამუშავებით კი არ დაკმაყოფილებულა, არამედ მისი ნაწილი, ფაქტობრივად, ხელახლა დაუწერია. ეს ნათელი ხდება „ელგუჯას“ 1881 წლისა და 1884 წლის ვარიანტების შედარების საფუძველზეც.

ამჟამად ჩვენს ყურადღებას მიიღაპყრობთ „ელგუჯას“ XX-XXVI თავებს, რომლებშიც განსხვავება პირველსა და საბოლოო ვარიანტებს შორის განსაკუთრებით ხელშესახებია. ამ ორი ვარიანტის შედარებამ აჩვენა, რომ ალექსანდრე ყაზბეგმა ცვლილებათა რამდენიმე კონკრეტულ სახეობას საგანგებო მნიშვნელობა მიანიჭა. ამ ცვლილებებში გამომჟღავნებული სტილური ტენდენციების გაანალიზება გარკვეულ ნარმოდგენას შეგვიქმნის იმასთან დაკავშირებით, თუ რას ეფუძნება ალ. ყაზბეგის ნაწარმოებთა გამომსახველობითი ძალა.

„ელგუჯას“ ორი ვარიანტის შედარების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ საგანგებო დამუშავების კვალი, უპირველეს ყოვლისა, ატყვია იმ ეპიზოდებს, რომლებიც შეიცავენ აღნერას ბუნების სურათების, სიტუაციების ან, საზოგადოდ, იმ გარემოსი, რომელშიც მოქმედება მიმდინარეობს. ეს ეხება იმ ეპიზოდებს, რომლებშიც გადმოცემულია, მაგალითად, რუსის ჯარის შემოსვლის მოლოდინი ქვეშეს ხეობაში, თვით ამ ხეობის აღნერა, ნაცემი მოხევეების ურმით შემოყვანა; ამავე არეალში უნდა მოვიაზროთ აღნერა იმ გზისა, რომელიც რუსებისაგან სვიმონთან გაგზავნილმა მაცნემ გაიარა აჯანყებული მთიულების ბანაკამდე; ნაწარმოების ის მონაკვეთი, როდესაც აჯანყებული მთიულები გაიგებენ, რომ დედა-



ქალაქი რუსების შემოსვლას დამშვიდებით შეხვდა; ეპიზოდები რომლებშიც ნაჩვენებია ავადყოფ სვიმონ ჩიფიკაშვილთან, მაზრაურის ახალი უფროსის შემოსვლა, გარდაცვლილი სვიმონის დატირება და ა.შ.

პირვანდელ ვარიანტში ეს ეპიზოდები, უმეტესწილად, მოთხოვობილია მოკლედ, უბრალოდ, მხოლოდ ამბის სახით. მათ არ ახლავს დიდი ემოციური სიმძაფრე და ექსპრესიულობა. 1884 წლის ვარიანტში კი მათ საფუძველზე აღ. ყაზბეგი ქმნის უაღრესად შთამბეჭდავ, მღელვარებით აღსავს თვალსაჩინო ხატებს, რომლებიც ხანგრძლივად იბეჭდება მკითხველის ნარმოსახვაში. მწერლის მიერ საბოლოო ვარიანტში შეტანილ ცვლილებათა ანალიზმა აჩვენა – ამგვარი შედეგი, ერთი მხრივ, მიღწეულია იმით, რომ ხსენებულ ეპიზოდებში აღ. ყაზბეგს შემოაქვს დაწვრილებითი აღწერა, რომელიც დატვირთულია უაღრესად კონკრეტული შინაარსით და გამყარებულია დამახასიათებელი დეტალებით. ეს ზრდის გამომსახველობის ძალასაც, დამაჯერებლობის ხარისხსაც და სურათს ერთობ ხორცებს ხმულად, ხელშესახებად ნარმოგვიდგენს. ამასთან ერთად, ცვლილების არსი მდგომარეობს იმაშიც, რომ სურათი აისახოს მოძრაობის, მოქმედების პროცესში. საყოველთაოდ ცნობილია ჯერ კიდევ არისტოტელეს დროიდან, რომ ის, რაც მოძრაობაშია აღწერილი, განსაკუთრებით თვალსაჩინოა, ცოცხალი და, აქედან გამომდინარე, ზემოქმედების გამორჩეული ძალის მქონეც. ეს არის სურათის დინამიკურობის საფუძველი. მაშასადამე, უნდა დავასკვნათ, რომ აღ. ყაზბეგის მიერ შექმნილი მხატვრული სახეების გამძლეობას, შთამბეჭდავობას კონკრეტული შინაარსის მატარებელი ნიუანსებით აღჭურვილი მოძრაობითი ხატები განსაზღვრავს.

მეტი სინათლისათვის მოვიყვანოთ ორიოდე მაგალითი: „იყო დილის ათი საათი, როდესაც ქვეშეთში რაღაცა განსაკუთრებითი მოძრაობა იყო“ (აღ. ყაზბეგი, თხზ., ტ. V, თბ., 1950, გვ.409) – ასეა გადმოცემული რუსის ჯარის გამოჩენის მოლოდინი „ელგუჯას“ პირველ ვარიანტში. მხატვრული დამუშავების შემდეგ ეს ადგილი ამგვარი დეტალური აღწერით იშლება: „დილის ათი საათი იქნებოდა, როდესაც ქვეშეთში რაღაცა არეულობა მოხდა; ხალხი მიდიოდიოდა, ყველას პირისახეზედ რიღასიც მოლოდინი ეტყყობოდა, მათი თვალები ხშირად მიექცეოდნენ ქვეშის დაღმართს, რომელზედაც უნინ ისეთის გაჭირვებით დადიოდნენ ხოლმე და შეუბრალებელს ზვავებს და კლდის ნაშალებს იმდენი მსხვერპლი მოჰქონდა“ (აღ. ყაზბეგი, თხზ., ტ. I, თბ., 1948, გვ.109).



ავადმყოფი სციმონ ჩოფიკაშვილის ოთახში მაზრის ახალი უფარცელებელი როსის შემოსვლა აღ. ყაზბეგმა თავდაპირველად ასე გადმოხცა: „ამ დროს კარებში მოისმა რაღაცა ხმაურობა და ერთბაშად გაიღო ოთახის კარები ხრიალით. ყველას გაუკვირდა ეს ანბავი... ერთბაშად იმათ თვალწინ ნარმოუდგათ რამდენიმე შეიარაღებული ყაზახი და ის ძველი ნაჩალნიკი ბ.ც., რომელიც სციმონმა გამოსცვალა“ (აღ. ყაზბეგი, თხზ., ტ. V, თბ., 1950, გვ.424). საბოლოო ვარიანტში კი ეს ეპიზოდი გაცილებით თვალსაჩინო და დინამიკურია მოძრაობაში აღწერისა და კონკრეტიზაციის ხარჯზე: „ამ სიტყვების დროს გარედან რაღაცა ხმაურობა მოისმა; ერთბაშად გაიღო კარები და ყველამ გაკვირვებით იქით მიიხედვე... კარებში გამოჩნდა რამდენიმე შეიარაღებული ყაზახი, რომელთაც სამხედრო ტანისამოსში გამოჭიმული ვიღაცა უფროსი ნინ მიუძღვებოდა“ (აღ. ყაზბეგი, თხზ., ტ. I, თბ., 1948, გვ.141).

ეს და მრავალი სხვა ამგვარი მაგალითი გვარწმუნებს, რომ კონკრეტული შინაარსისა და მოძრაობითი ხატების შემოტანით თხრობის ექსპრესიულობისა და შთამბეჭდავობის მიღწევა აღ. ყაზბეგის შემოქმედების არსებითი სტილური ნიშანია.

კიდევ ერთი სტილური ტენდენცია, რომელიც გამოიკვეთა „ელგუჯას“ მხატვრული დამუშავების პროცესის გაანალიზებისას, აღ. ყაზბეგის ენას უკავშირდება. ცნობილია, რომ საგანგებო კვლევის ობიექტად აღ. ყაზბეგის ენა დღემდე არ ქცეულა. არსებობს მხოლოდ ტრადიციული შეხედულება, რომ იგი გაუმართავია, განსაკუთრებით, სინტაქსური თვალსაზრისით. თუმცა ამასთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია უაღრესად საყურადღებო მოსაზრება, რომლის მიხედვით სინტაქსური გაუმართავობა ნაწარმოების მხატვრული დონის შეფასებისას ცალსახა ნაკლად არ შეიძლება მივიჩნიოთ, რამდენადაც თავდაპირველად „დასაძეგნია, აქვს თუ არა რაიმე სტილისტური ფუნქცია გარკვეულ ენობრივ ფორმებს, განვიცდით თუ არა ნაწარმოების აღქმის პროცესში შეუსაბამობას მნერლის მიზანდასახულობასა და ენობრივ მხარეს შორის, ე.ი. გვიჩნდება თუ არა მოთხოვნა სხვაგვარად გამოხატვისა“ (ლ. მინაშვილი, ქართული ლიტერატურა, ტომი II, „საქართველოს მაცნე“, გვ.440). თუ ამ შეხედულებით ვიხელმძღვანელებთ, უნდა ვალიაროთ, რომ აღ. ყაზბეგის ენა მნიშვნელოვან როლს ასრულებს მისი განუმეორებელი სტილის შექმნაში და არავითარ შემთხვევაში არ აქვეითებს მის თხზულებათა მხატვრულ დონეს. სხვათა შორის, უნდა ითქვას, რომ ყაზბეგის ნაწარმოებთა ენის საერთო გამომსახველობით ძალას აღიარებს მისი უშედავათო კრიტიკოსიც სწორედ ენის საკითხში – იონა მე-

უნარგია. იგი ამბობს, რომ ყაზბეგის ენა, მართალია, „ცალკე და ფრაზა ფრაზით გარჩეული, ვერ არის გამართული და დახვეწიებული“, „სუსტია ფორმებით“, მაგრამ, ამავე დროს, „ყაზბეგის ნერის კილო კარგია. ის ლამაზად უხდება როგორც ბუნების აღნერას, ისე სულიერ მოძრაობის და ხალხის ზნეობის უკლებად გამოსახვას“ (იონა მეუნარგია, ალ. ყაზბეგის „ელგუჯას“ შესახებ, ცხოვრება ალ. ყაზბეგისა, თბ., 1988, გვ.241). იონა მეუნარგიას ეს ნერილი „ელგუჯას“ პირველი ვარიანტის განხილვას წარმოადგენს, თუმცა მასში უკვე საგსებით ნაგრძნობია ყაზბეგის ენის მხატვრული შესაძლებლობა. მით უფრო დიდ ყურადღებას იქცევს ის ენობრივი ცვლილებები, რომლებიც ალ. ყაზბეგს მიზანმიმართულად შეუტანია მოთხრობის ბოლო ვარიანტში. ესენია ეპითეტები, შედარებები, ან, ზოგადად, შესიტყვებები, რომლებიც აღბეჭდილი არიან ექსპრესიულობით და ამძაფრებენ მონათხრობის ემოციურ ფონს. ასეთი ეფექტი მიღწეულია, ერთი მხრივ, კონტრასტით მნერლის მიერ გამოყენებულ გამოსახვის საშუალებასა და მის კონტექსტს შორის და, მეორე მხრივ, შესიტყვებათა ისეთი კომბინაციებით, რომლებიც უჩვეულოა მეოთხველის ყურისათვის. მაგალითად: „მეურმეები სად მოხაფრულიყვნენ, ...კაცი ძნელად მოიფიქრებდა“; „იმათ რუსთა საერთო გუნდიდან რაოდენიმე ნანილი მოენყვითათ და დამთვრალს ვეშაპებსავით დარეოდნენ“; „გაშმაგებული მთიელი ქალს ისე გაჰყურებდა, როგორც მიმინო, რომელსაც მწყერი დაუნახავს და გაფათვრას უპირებსო“; „ძლიერსა ყინვას ხეები გაეჭირხლა და მთაბარისათვის თეთრი ზენარი გადაეფარებინა“; „აფიცერმა ენა ჩაიკვნიტა და ამრეზილი, ურმებისაკენ გაპრუნდა“; „მათია მთლად გაფითრდა, თვალთაგან ნანინნკლები გადმოსცვივდა და მთლად თრთოლამ აიტანა“ და ა.შ. მრავლადაა, ასევე, ისეთი ემოციურობით აღბეჭდილი, გულშიჩამნვდომი ფრაზები, როგორიცაა: „ცრემლებით დალორთხილი სახე“, „მგლოვიარე ხმა“, „მწარე ღიმილი“, „გულის ჩამთუთქავი სიტყვა“, „გაბრაზებული ხარხარი“, „სამარის მსგავსი სიჩუმე“, „მტვერჩამკვდარი ხორცი“, „შემოძარცვული ტანისამოსი“, „მედგარი დახვედრა“ და სხვ. ან კიდევ: „მოიგლიჯა ქუდი“, ფანდურის ხმა „კაცს გულს უნურავდა“, „თავს დაცემულმა ზარმა ფეხებამდის გაუარა“ და ა.შ.

ეს შესიტყვებები ქმნის ალ. ყაზბეგის სტილის ერთ არსებით მხარეს, რამდენადაც მათი ფუნქცია ემოციური მუხტის გამძაფრებაში მდგომარეობს და ამით ძლიერდება მნერლის მიერ შექმნილი მხატვრული სახეების აღქმა.

მაგალითად, ის ეპიზოდი, როდესაც აჯანყებული მთიულები გაიგებენ, რომ დედაქალაქი რუსების შემოსვლას დამშვიდებით შეხვ-



და, თავდაპირველად ასე იყო გადმოცემული: „ამ სიტყვებს ისეთი ჩანას მოქმედება ჰქონდა იქ მყოფებზედ, რომ ხმა ჩაუწყვიტა ყველას ერთბაშად. დიდხანს დარჩნენ ისე ჩუმად; თითონ მოსულსაც ვერ გაეძენა სიტყვის წარმოთქმა და ვერც იქ მყოფებს კითხვა“ (ალ. ყაზბეგი, თხზ., ტ. V, თბ., 1950, გვ. 418). საბოლოო ვარიანტში კი მან ასეთი სახე მიიღო: „ამ სიტყვებმა ელვასავით გაირბინა; ყველანი და ყოველისფერი გაჩუმდა. ყველას ერთბაშად ხმა ჩაუწყდა და ზედვე იმ ადგილზედ გაშეშდა, რომელზედაც მთიულის სიტყვებმა მოუსწრო. ამ სამარის მსგავს სიჩუმეში დარჩნენ და პირგამ-შრალებს სიტყვა ვეღარ მოეხერხებინათ. მოსულს ესმოდა თავისი მდგომარეობა, ესმოდა, რომ მისგან მოტანილს ამბავს წყევლითა და ქოლვით მიიღებდნენ და ლაპარაკის გაგრძელება ვეღარ მოეხერხებინა. ყველას მძიმე ლოდად დააწვათ ეს ხმა და თავს დაცე-მულმა ზარმა ფეხებამდის გაუარა“ (ალ. ყაზბეგი, თხზ., ტ. I, თბ., 1948, გვ. 129). ცხადია, მხატვრული დამუშავების შედეგად შეუდა-რებლად გაზრდილია ამ ეპიზოდის გამომსახველობითი ძალა, იკ-ვეთება რა მასში ყველა ის სტილური ტენდენცია, რომელთა შესა-ხებ ზემოთ გვერდია საუბარი.

„ელგუჯას“ საბოლოო ვარიანტში შეტანილი ცვლილებების გა-ანალიზების საფუძველზე გამომუდავნდა, რომ მნერალს საგანგე-ბოდ უმუშავია პერსონაჟთა სახეების შექმნაზეც. დამუშავებულია, მაგალითად, ელგუჯას პორტრეტი სვიმონ ჩიოფიკაშვილის დატი-რების ეპიზოდში, ქალაქიდან მოპრუნებული მაცნის სახე, მათიას პორტრეტი მათიასა და მზაღლს უკანასკნელი შეხვედრისას და სხვ. ხოლო 23-ე თავში გაჩნდა მაზრის უფროსის პორტრეტი, რო-მელიც პირველ ვარიანტში საერთოდ არ იყო. ადრეული და საბო-ლოო ვარიანტების შედარება საკმაო მასალას იძლევა იმის გამო-საკვლევად, პერსონაჟთა სახეების ფორმირება-სრულყოფისათვის გამოსახვის რა საშუალებებია გამოყენებული ან როგორ ყალიბ-დება პერსონაჟის პორტრეტის ხატვის ყაზბეგისეული მეთოდი. ანალიზი ცხადყოფს, რომ მხატვრული დამუშავების შედეგად პერ-სონაჟთა პორტრეტები დაიტვირთა ინდივიდუალური შინაარსით, გამოიკვეთა კონკრეტული დეტალები, როგორც თვისობრივი მა-ხასიათებელი, აქცენტი გაკეთდა მოძრაობაში ასახვაზე და გაჩნდა განსაკუთრებული ემოციური შეფერილობის მქონე ეპითეტები. ეს ნიშნავს, რომ პერსონაჟებზე მუშაობის შემთხვევაშიც თავს იჩენს ყველა ის ტენდენცია, რომლებიც გამოიკვეთა საზოგადოდ ყაზბე-გის შემოქმედების დახასიათებისას. ამის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს, თუნდაც, ქალაქიდან დაბრუნებული მაცნის სახის ასახვაში შეტანილი ცვლილებების თავისებურება. თავდაპირველ



ვარიანტში ვკითხულობთ: „ამ ლაპარაკში რომ იყვნენ, შემოიძინოთ ერთი მთიული. იმისი დაღალვა და აჩქარებული ქშენა ამტკიცებდა, რომ რაღაცა საშური საქმე უნდა ჰქონოდა... – საქართველო მშვიდობით არის! – წამოიძახა იმან და ჩაჰეთ თავი“ (ალ. ყაზბეგი, თხზ., ტ. V, თბ., 1950, გვ. 418). ამ უბრალოდ, მხოლოდ ამბის სახით გადმოცემულ ეპიზოდში ფაქტობრივად შეუძლებელია, რომ მკითხველმა წარმოიდგინოს მაცნის სახე. გვიანდელ ვარიანტში კი მის საფუძველზე ალ. ყაზბეგმა უაღრესად შთამბეჭდავი თვალსაჩინო ხატი შექმნა: „ამ ლაპარაკის დროს ხალხში ერთი მთიული შემოერია, შემოვიდა წრის შუა და თავი ჩაჰეთ თავი. მისი დაღალვა, აჩქარებული ქშენა და არეული პირისახე აშეარად ამტკიცებდა, რომ მეტად ჩქარა ეარა და რაღაცა საშური, საჭირო საქმე უნდა ჰქონოდა... – საქართველო დამშვიდებული არისო... – მგლოვიარეს ხმით წამოიძახა იმან, მოიგლიჯა ქუდი და მწარედ ჩაჰეთ თავი“ (ალ. ყაზბეგი, თხზ., ტ. I, თბ., 1948, გვ. 129).

აშკარაა, რომ გამოსახვის ის თავისებურებები, რომელთა საშუალებითაც გამოიკვეთა პორტრეტი, ჩანასახის სახით არსებობდა ძველ ვარიანტშიც. მხატვრული დამუშავების პროცესში კი მათ უკვე ტენდენციის სახე მიიღეს, რამდენადაც მწერლის მუშაობა იმ კუთხით წარიმართა, რომ გაღრმავებულიყო გამოსახვის იმ ხერხების ფუნქცია, რომლებიც კომპლექსურად წარმოადგენენ ყაზბეგის სტილის საფუძველს ყველა განხილულ შემთხვევაში.

სწორედ ამ მეთოდით 1884 წლის ვარიანტის ტექსტში ალ. ყაზბეგს საგანგებოდ დაუმუშავებია ელგუჯას პორტრეტი სვიმონ ჩოფიკაშვილის დატირების ეპიზოდში. მოთხრობის პირველ ვერსიაში ეს მონაკვეთი მოკლედ და შედარებით მშრალადაა გადმოცემული:

„შემოვიდა ელგუჯა ფანტურით ხელში, თმა-განენილი და მკერდ-გადაღელილი. პირი-სახეზედ ეტყობოდა ნამდვილი მწუხარება და მღელვარება. ის შესდგა შუა ადგილას და ჩაჰერა ფანტურს „დაძახილისა“, რომლის ხმამაც პაერში გაირბინა რაღაც გულის გამტაც კვნესათ. პირველში იმან დაიწყო ზუზუნი, ტუჩებ-მოკუმულმა; სიმწრით ამ ტუჩებს თითქოს მოკვნეტას უპირებდა, და ამ სურათმა ისე დაიმორჩილა იქ მყოფი, რომ ბუზის გაფრენასაც კი გაიგებდით“ (ალ. ყაზბეგი, თხზ., ტ. V, თბ., 1950, გვ. 426). ამ უბრალოდ აღნერილ სურათს მეორე ვარიანტში ენაცვლება მღელვარებით აღსავს, ღრმა მწუხარების გამომხატველი თვალსაჩინო სახე, რომელიც მკითხველის წარმოსახვისაგან მოუცილებელი ხდება:


„ხალხი ორად გაიყო და მათ შუა გამოჩნდა ლომებრივ ვაჟკაცი, რომელსაც თმა გასწენოდა, საკინძი ჩამოსწყვეტოდა და გული გადაღელოდა. შესაზარი იყო იმისი მხენე და გმირული, ჭმუნვით მოცული და მდუღარე ცრემლებით დალორთხილი სახე.“

ელგუჯას ხელში ეპყრა ფანდური და მთრთოლვარე თითებით სიმებს დაათამაშებდა. ის გამოვიდა შუა ადგილას და შესდგა; რამდენჯერმე გადაავლო იქ მყოფს ხალხს თვალი და ყველამ იგრძნონა მდვილად შეწუხებულის კაცის გული, ყველა დაემორჩილა, გაჩუმდა, გაჩურდა. იმ ნამში ბუზი რომ გაფრენილიყო, იმის მოძრაობის ხმასაც კი გაიგონებდით.

მოხევემ ჩაპერა და ჩაპერა ფანდურის ძალებს, დაათამაშა თითები და ჰარი მკვნესავის ხმით შეირყა. ბოლოს გაივლო ტუჩებს კბილები და ისე ძალზედ მოუჭირა, თითქოს მოკვნეტას უპირებსო; მოჰყვა უსიტყვილ ზუზუნს და ამ ხმაზე ყველას გული ამოუჯდა, ცახცახი დააწყებინა” (ალ. ყაზბეგი, თხზ., ტ. I, თბ., 1948, გვ. 146).

მოჰყვანილი მაგალითებიც ადასტურებს, რომ, გარდა ზემოთქმულისა, ალ. ყაზბეგის პერსონაჟები განსაკუთრებით მთამბეჭდავნი იმითაც არიან, რომ მწერალს არ აკმაყოფილებს მხოლოდ მათი გარეგნული მხარის ჩვენება. იგი მიისწრაფვის, უფრო ღრმად ჩანვდეს პერსონაჟს და მისი სულიერი ვითარება ნარმოაჩინოს მკითხველის ივალწინ. ალბათ, ამიტომაცაა, რომ პერსონაჟთა გარეგნული ნიშნების დაწვრილებით აღნერა ყაზბეგისათვის საერთოდ ნაკლებად დამახასიათებელია. თუმცა ამ თვალსაზრისით გამონაკლისს ნარმოადგენს მაზრის უფროსის პორტრეტი 23-ე თავში. მაგრამ მიუხედავად ამისა, ალ. ყაზბეგი ნაკლებადადა დაინტერესებული უშუალოდ გარეგნული პორტრეტის შექმნით. არა-მედ იგი საგანგებოდ არჩევს ისეთ გარეგნულ ნიშნებს, რომლებიც სულიერ მდგომარეობაზე მიმთითებლად გვევლინება. სწორედ ამ ფუნქციითაა გასოყენებული პერსონაჟთა ხატვისას გამოსახვის იმ საშუალებათა ერთობლიობა, რომლებიც ჩვენ ყაზბეგის შემოქმედებითი მუშაობისათვის საზოგადოდ დამახასიათებელ სტილურ ტენდენციებად მოვიხსენიეთ.

ბოლოს, უნდა დავასკვნათ, რომ განსახიერების ალ. ყაზბეგის მიერ შერჩეული გზა უაღრესად ქმედითია იმ თვალსაზრისითაც, რომ მას შეუძლია არა მხოლოდ თვალსაზრისიდ დაანახვოს მკითხველს „ელგუჯა“ მთელი მხატვრული სამყარო, არამედ ღრმად აგრძნობინოს, განაცდევინოს კიდეც. ნაწარმოების ზემოქმედების ძალის საიდუმლო გარკვეულნილად სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მასში ასახული იდეალები, მისი მაღალეთიკურ-ზნეობრივი სამყარო, მასში გადმოცემული უფაქიზესი ადამიანური გრძნობები თუ, ზოგადად, ცხოვრებისეული დრამა, უპირველეს ყოვლისა, განცდის გზით შემოდის და მკვიდრდება მკითხველში. განსახიერების ამგვარი ხასიათი სავსებით შეესაბამება ნანარმოების თემატიკას, რომელშიც „ეროვნული პრობლემატიკის გვერდით განსახიერდა



თემები მეგობრობისა, გმირობა-ვაუკაცობისა და სიყვარულისა
ნარმოზნდა ამ გრძნობათა სიმაღლე, სირთულე, მათი წარმმართ
ველი ძალა ადამიანის ცხოვრებაში” (ლ. მინაშვილი, ლიტერატუ-
რული ნარკვევები და წერილები, თბ., 2003, გვ.224). მნერლის
დიდი მხატვრული ოსტატობაც სწორედ ამაში მდგომარეობს.

დამოწმებული ლიტერატურა

1. ალ. ყაზბეგი, თხზულებანი, ტომი პირველი, თბ., 1948, ტომი მეხუ-
თე, თბ., 1950;
2. ცხოვრება ალ. ყაზბეგისა, თბ., 1988;
3. ი. მეუნარგია, ალ. ყაზბეგის „ელგუჯას“ შესახებ, დროება, 1881,
№269;
4. ქართული ლიტერატურა, ტომი II, „საქართველოს მაცნე“, 2013;
5. ლ. მინაშვილი, ლიტერატურული ნარკვევები და წერილები, თბ.,
2003.



ლელა ნიუარაძე

გესარიონ ნიუარაძე მნიგნობარი და საზოგადო მოღვაწე




ბესარიონ ნიუარაძე

ბესარიონ ნიუარაძე მნიგნელოვანი ფიგურაა ქართველ საზოგადი მოღვაწეთა შორის XIX საუკუნის უკანასკნელი მეოთხედისა და XX საუკუნის ორი ათეული წლის მანძილზე. იგი დაიბადა 1852 წლის 21 ნოემბერს სვანეთის მაღალმთიან სოფელ უშგულში და სვანეთისავე წარსულისა და ანტყოს კვლევა-ძიებას შეალია თავისი სიცოცხლე.

ნიუარაძეები, ისევე როგორც ყველა სვანური გვარი, სამხუბებად („სახოებად“) იყოფა. დღეისათვის სვანი ნიუარაძეების შემდეგი სამხუბებია ცნობილი: ავგულარ, ქუჩეიშა და ნაგვაშა. ბესარიონის ოჯახი ავგულარების, სამხუბის სუთმამშერთა შტოს ეკუთვნოდა; ეს იყო მთელ ზემო სვანეთში გამორჩეული სამხუბი.

1868 წელს ბესარიონი ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში ჩაირიცხა. იმერეთის ეპისკოპოსმა გაპრიელმა, რომელმაც სვანეთში პირველად 1866 წელს იმოგზაურა და საკუთარი თვალით ნანახის შედეგად დარწმუნდა იქ სწავლა-განათლების შეტანის აუცილებლობაში, ქრისტიანობის აღმდეგნელ საზოგადოებას სვანთა შვილებისათვის შვიდი სტიპენდია დაანიშვნინა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში. „ერთი ამ სტიპენდიანტთაგანი მე ვიყავიო“, – აღნიშნავს თვითონ ბესარიონი.¹

¹ ბესარიონ ნიუარაძე, კორესპონდენცია, „მწყემსი“. № 15, 1896.



1874 წელს, ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის დამსახურება
ბის შემდეგ, იგი აგრძელებს სწავლას თბილისის სასულიერო სე-
მინარიაში. ეს წლები ბ. ნიუარაძის ბიოგრაფიის მნიშვნელოვანი
პერიოდია; აქ იგი დაუახლოვდა შემდეგში ისეთ გამოჩენილ მოღ-
ვანებს, როგორებიც იყვნენ: თ. ჟორდანია, ა. ყიფშიძე, ნ. ლომო-
ური, ს. მგალობლიშვილი, ი. მეუნარგია და სხვანი. სამწუხაროდ,
ხანგრძლივი და ხშირი ავადმყოფობის გამო, 1878 წლიდან იგი
ტოვებს სემინარიას. მოგვიანებით, 1883-92 წლებში ქუთაისის სა-
თავადაზნაურო სასწავლებელში იწყებს მიშაობას მასწავლებლად.

1892 წ. 27 მაისს ბესარიონი მღვდლად ეკურთხა: ჯერ ითარის,
ხოლო შემდეგ მესტიის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდელმსახური
იყო. იგი გამოირჩეოდა თავმდაბლობით, თავაზიანობით, სიდარ-
ბაისლითა და მტევრმეტყველებით, იყო სვანეთის შესანიშნავი
მცოდნე, სამართლიანი მომრიგებელი და ავტორიტეტული პიროვ-
ნება.

სიცოცხლის უკანასკნელი წლები ბ. ნიუარაძემ მესტიაში გაატა-
რა 1919 წლის გაზაფხულზე იგი ფილტვების ანთებით გარდაიც-
ვალა. იმავე წლის 11 მაისს თბილისის საზოგადოებრიობამ გადა-
იხადა ბ. ნიუარაძის პანაშვიდი ქაშვეთის ეკლესიაში. მისი ნეშტი,
ანდერძისამებრ, დაკრძალულია უშგულის წმინდა მარიამის ეკლე-
სიის (ლამარიას) გალავანში.

უანგარო და თავმდაბალი მოღვანის უბრალოება მის საფლავ-
საც ეტყობა. მაგრამ მისი ღვანლი სამშობლოს წინაშე იმდენად
დიდია, რომ საჭიროა შთამომავლობამ, მით უფრო მისმა თანა-
მემამულებმა, შესაფერისად დააფასონ იგი, მეტი ყურადღებით
მოექცნენ მის სახელს, მის შრომებს, მის საფლავს.

სვანეთი ყოველთვის იზიდავდა ჩვენი წარსულის თვალსაჩინო
მკვლევრებს: დიმიტრი ბაქრაძე, თედო ჟორდანია, ალექსანდრე
ხახანაშვილი, ნიკო მარი, ექვთიმე თაყაიშვილი, კორნელი კეკე-
ლიძე, აკაკი შანიძე – ხშირად მიაშურებდნენ ხოლმე სვანეთს სა-
მეცნიერო კვლევისათვის, მათი მასპინძელი და კონსულტანტი კი
ყოველთვის ბ. ნიუარაძე იყო.

ბესარიონის დახმარებითა და უშუალო მონაწილეობით სვა-
ნეთში არქეოლოგიური ექსპედიცია მოაწყო ცნობილმა რუსმა
მკვლევარმა ქალმა გრაფინია პრასკოვია უვაროვამ. „ეს სახარება
(ჰადიშისა) არავის უნახავს, გარდა გრაფინია პრასკოვია უვაროვი-
სა, რომელმაც რამდენიმე ადგილი და სურათები ფოტოგრაფიით
გადააღებინა“¹ – ნერდა ბ. ნიუარაძე.

¹ ბესარიონ ნიუარაძე, სვანეთის ხელნაწერები, სახარებანი, – „მოამბე“. 1904

მნიშვნელოვანი დახმარება გაუწია პ. ნიუარაძემ ზაქარია ფარებაში.¹

1910 წელს ექვთიმე თაყაიშვილმა იმოგზაურა ლეჩხუმსა და სვანეთში. ბესარიონმა მას სხვადასხვა კუთხეში მოძიებული ხელნაწერები უჩვენა. ე. თაყაიშვილმა პ. ნიუარაძის სახლში აღნერა 15 ხელნაწერი, მათ შორის, ადიშის ოთხთავი (897 ნ.) , „იერუსალიმის კანონარი“ და სხვა, რომლებიც ბესარიონს მრავლად ჰქონია. „მესტიაში პ. ნიუარაძის სახლში კიდევ ბევრი ხელნაწერი იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ მოკლებული დავვრჩით საშუალებას ისინი გადაგვესინჯა, ვინაიდან ბესარიონი ერთი კვირით ვატაცის ეახლა და მისი დაბრუნების შემდეგ ჩვენ უკვე მულახის თემში ვიყავით“² – აღნიშნავს ე. თაყაიშვილი.

თავისი დროის საზოგადო მოღვაწეებთან დაახლოებულ პ. ნიუარაძეს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ილია ჭავჭავაძესთან. ილიას მისთვის ურჩევია: „თუ შენ საქართველო ოდნავ მაინც გიყვარს, სვანეთში უნდა ნახვიდე და იქიდან ამოგვიდგე მხარშიონ“.³ ბესარიონს ეს რჩევა უყოფილი და იულია. ილიას მიერ საერთო საქმის უღელში ჩაბმულთა შორის პ. ნიუარაძემ თავისი ადგილი ღირსეულად დაიჭირა.

პ. ნიუარაძეს პატრიოტული მოვალეობაც ავალდებულებდა დაეთმო ქალაქური ცხოვრება და ემოღვანა ბნელეთით და რუტინით მოცულ სვანეთში, სადაც მაღამოსავით საჭირო იყო განათლებული ადამიანი.

პ. ნიუარაძის პირველი წერილი 1873 წელს გამოქვეყნდა. იგი სისტემატურად თანამშრომლობდა იმდროინდელ უურნალ-გაზე-თებში შემდეგი ფსევდონიმებით: თავისუფალი სვანი. მის კალამს ეკუთვნის სამოცდათამდე წერილი, მათ შორის, რიგი ვრცელი ნარკვევია. წერილების თემატიკა მრავალფეროვანია; ისინი შეეხება სვანეთის ისტორიას, ეთნოგრაფიას, არქეოლოგიას, ფოლკლორს, ენას, სვანეთში დაცულ ძველ ხელნაწერებს. იგი არა მარტო მასალის შემკრები იყო, – არამედ ნიჭიერი მკვლევარიც. როგორც პროფ. ზ. ჭუმბურიძე აღნიშნავს თავის წიგნში – „სვანური ენა“, პ. ნიუარაძეს შეუკრებია სვანური ანდაზები, გამოცანები და სიმღერები, უთარგმნია რუსულად და გამოუქვეყნებია 1830 წელს უურ-

1 ზ. ფალიაშვილი, ქართული ხალხური სიმღერების კრებული. – 1910

2 ექ. თაყაიშვილი, „არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს“ – პარიზი, 1937, გვ. 313

3 ვ. ძიძეგური, ბესარიონ ნიუარაძე („თავისუფალი სვანი“), – გაზეთი „სახალხო საქმე“, №253, 1919.

ნაღ „Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа“¹ -ში.

ბ. ნიუარაძეს საქმიანი ურთიერთობა პქონდა სხვა ქართველ მოღვაწეებთანაც. სვანეთის ძველ ხელნაწერთა შესწავლა-გამოცემის საკითხთან დაკავშირებით იგი წერდა, რომ რიგი ხელნაწერი „ამ ზაფხულს განიხილეს დიდათ პატივცემულმა პროფესორმა ბ-მა ხახანაშვილმა და მამა პ. კარბელაშვილმა, რომელნიც უფრეს დად თავიანთ გამოკვლევას გამოაქვეყნებდნენ“.²

ცმობილია, თუ რა მაღალ შეფასებას აძლევდნენ ბ. ნიუარაძის მოღვაწეობას ნ. მარი, ივ. ჯავახიშვილი, ა. შანიძე, კ. კეკელიძე, დ. კარიჭაშვილი, მ. ილინა და სხვები. ს. ყაუჟეჩიშვილმა მას შემთხვევით როდი უწოდა „სვანური ფილოლოგის ფუძემდებელი“, ხოლო ა. შანიძემ – „სვანეთის ბურჯი“.

„ივერია“ აღნიშნავდა, რომ „თავისუფალი სვანის“ წერილები, რომლებიც სხვადასხვა დროს იძექდებოდა ჩვენს გაზიერებში, ამჟამად გერმანულ ენაზე ითარგმნებაო. მეორე ცნობა ეხება ბ. ნიუარაძის შრომების რუსულად თარგმნას და მათ გამოკვეყნებას რაფიელ ერისთავის მიერ.³

ბ. ნიუარაძემ არაერთი უნიკალური ხელნაწერი და ხელოვნების ძეგლი გადაარჩინა დაღუპვას და შემოუნახა შთამომავლობას. „ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მარტო ადიშის სახარებისა და იერუსალიმის კანონარის შენახვა ქართული მწერლობისათვის მაძლევს უფლებას ყოველთვის პირნათლად ვიყო ქართველობასთან“, – სწერდა იგი 1909 წელს ექვთიმე თაყაიშვილს. ბ. ნიუარაძე ლირსეულად იმსახურებს ალ. ცაგარელის მაღალ შეფასებას: „თქვენი შრომები თქვენი სამშობლო ენისა და მხარის გამოკვლებზედ ლირსნი არიან ყოველივე ექბისა და პატივისა“.⁴

ბ. ნიუარაძემ ი. ჭავჭავაძესთან ერთად გარკვეული შრომა გასწია ქართულ-სვანური ლექსიკონის შესადგენად. დიდი ილია ჭავჭავაძე დაინტერესებული იყო სვანური ენით, იმ ძირეული სიტყვებით, რომლებიც საერთო ქართულისა და სვანურისათვის. მის „სალექსიკონი მასალაში“ მოცემულია ქართულ-სვანური ენობრივი ურთიერთობის ასთერთმეტი ნიმუში, რომლებიც საერთო ძირებზე მიუთითებენ. ხელნაწერთა ფონდში დაცული „ქართულ-სვანური ლექსიკონის“ მასალა შესრულებულია სხვა ხელით. უთუოდ

1 ზ. ჭუმბურიძე, „სვანური ენა“ – თბილისი, 2007.

2 „თავისუფალი სვანი, სვანეთის მანუსკრიპტები“ – „ივერია“, №194, 1903.

3 ახალი ამბავი – „ივერია“, №6, 1887.

4 ალ. ცაგარელის წერილი ბ. ნიუარაძესთან, ინახება ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილების არქივში.



იგი ილიას დავალებითაა შედგენილი (სავარაუდებელია, ბესარიონი ნიუარაძის მიერ)¹. ლექსიკურ მასალაში ილია ხედავდა სვანთა ქართული თველობის ერთ-ერთ საბუთს; სწორედ ამ გარემოებამ განსაზღვრა პ. ნიუარაძის პოზიცია ხსენებულ საკითხში.

პ. ნიუარაძე სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა მაშინ, როდესაც ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკა მძვინვარებდა და მეტად მტკიცნებული იყო ქართველი ერისათვის, მით უმტეს, სვანეთი-სათვის, სადაც ქართულ ენას მოწყურებულ ახალგაზრდობას რუსულ ენაზე ასწავლიდნენ. საჭირო იყო რუსი „თეორეტიკოსებისათვის“ მეცნიერულად დასაბუთებული პასუხის გაცემა. პ. ნიუარაძემ მყაცრად გააკრიტიკა 1864 წელს გამოცემული ლუშნუ ანბან („სვანური ანბანი“)². შტაბს-კაპიტან თავად შახოვსკოის ნინადადებამ სვანეთში ღვთისმსახურების რუსულ ენაზე გადაყვანის შესახებ ადგილობრივ მოსახლეობაში დიდი პროტესტი გამოიწვია. ლუშნუ ანბანის შესახებ ბესარიონი წერდა: „პირველი გვერდის ნახევარი უსლარის მიერ შედგენილს ალფაბეტას უჭირავს, რომელსაც საფუძვლად რუსული ასოები უძევს – მთელი ნახევარი გვერდი ალფაბეტას შემდგენელს მოუნდომებია იმ 13 ასოს ახსნისათვის, რომელიც რუსულში არ მოიპოვება სვანურის გამოსახატავად, ხოლო ქართულში კი არის“. პ. ნიუარაძეს მოპყავს რიგი მაგალითები, იწუნებს მათ და დასძენს: „აქ დასახელებული მაგალითები საკმაო უნდა იყოს „ლუშნუ ანბანის“ უვარებისობისათვის. სკოლებში მისი ხმარება ნამდვილს ვნებას მოუტანს სვანების სარჩმუნოებრივსა და ზნეობრივ აღზრდას“.³

1962-1964 წლებში გამოიცა პ. ნიუარაძის ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები ორ წიგნად პროფესორ აღ. რობაქიძის რედაქციით. მეცნიერული საზოგადოება ამ გამოცემებს დიდი ინტერესით შეხვდა; დაიბეჭდა მრავალი საყურადღებო რეცენზია.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია II წიგნში მოცემული ცნობები სვანეთის გეოგრაფიისა და სვანების ყოფა-ცხოვრების შესახებ და მათი ბრძოლა თავდაცვისათვის და სხვ. გულგრილს ვერ დატოვებს კაცს ხალდეს ამბები, რომლის დამხვდური და საკუთარი თვალით მნახველი იყო ბესარიონი და რომელიც შეიძლება არ მომ-

¹ შ. ძიძიგური, ლიტერატურულ-ენათმეცნიერული ნარკვევები. — თბილისი, 1974, გვ.98.

² ლუშნუ ანბან, თიფლის. 1864

³ თავისუფალი სვანი, საბიბლიოგრაფიო შენიშვნა, — „ივერია“ №6, ტფილისი, 1891.



ხდარიყო, გონივრულად რომ მოპყრობოდნენ თავისუფლების მოყუდარულ ხალხს (სვანების ალელვება 1875-1876 წლებში).¹

ბ. ნიუარაძის ნარკვევები არა მარტო სვანების, არამედ მათი მეზობელი კავკასიელი ხალხებისთვისაც საიმედო წყაროა მთელი რიგი საკითხების შესწავლისათვის.

როგორც ჩანს, ბ. ნიუარაძე დიდხანს მუშაობდა სვანურ ლექსიკონზე, რომელიც უშესულურ მეტყველებას ემყარება. გამოთქმულია მოსაზრება, რომ იგი ი. ჭავჭავაძის დავალებითაა შედგენილი. ეს კიდევ ერთი დამადასტურებელი ფაქტია ილია ჭავჭავაძესთან ბ. ნიუარაძის ახლო ურთიერთობისა.

ბესარიონს ხშირი მიმოწერა ჰქონდა 6. მართან, რომელიც თავის წერილში რჩევას აძლევდა ბ. ნიუარაძეს ლექსიკონის გამოცემის შესახებ და სთავაზობდა, სვანური ტექსტებისათვის გამოეყენებინა ასოები: ა, ო, უ, . . . და კიდევ რამდენიმე ნიშანი.

საგულისხმოა დავით კარიჭაშვილის ორი წერილი ბ. ნიუარაძისადმი (1899 და 1912 წ.წ.). ორივე წერილი წერა-კითხვის გამავცელებელი საზოგადოების საქმიანობას ეხება, რომლის აქტიური წევრიც იყო ბ. ნიუარაძე. პირველ წერილში საუბარია ბესარიონის მიერ ხელნაწერთა შეკრების შესახებ, მეორე წერილში კი დ. კარიჭაშვილი ატყობინებს მას, რომ „წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ მოისმინა თაყაიშვილის განცხადება შენის ლექსიკონის შესახებ, გამგეობამ გამოსთქვა სურვილი, რომ შენი ლექსიკონი შეიძინოს და გამოსცეს“. ეს წერილი იწყება მიმართვით „მათ ბესარიონ“ და მთავრდება სიტყვებით: „შენი მეგობარი დ. კარიჭაშვილი“.²

ბ. ნიუარაძის კალამს ეკუთვნის აგრეთვე „მოკლე გრამატიკული მიმოხილვა სვანურისა“.³

ბ. ნიუარაძის მიერ განეული დიდი შრომის ნაყოფია „ქართულ-სვანურ – რუსული ლექსიკონი“, მაგრამ მისი გამოცემა ავტორის სიცოცხლეში, მიუხედავად არაერთი ცდისა, ვერ მოხერხდა. ამ რამდენიმე წლის წინ პროფესორი იზა ჩანტლაძე აღნიშნავდა: „ძალზე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ბესარიონ ნიუარაძის ქართულ-სვანურ-რუსული ლექსიკონის გამოცემის საქმე. აკადემიკოს აკაკი შანიძის ცნობით, 812 გვერდის შემცველი ხელნაწერი 1912 წელს შექმნია რუსეთის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიას, ამჟამად კი იგი ინახება პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის

1 ბ. ნიუარაძე, „ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები“. ტ. II- თბ, 1964, გვ. 173

2 დ. კარიჭაშვილის წერილი ბ. ნიუარაძესთან, ინახება ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილების არქივში.

3 ახალი ამბავი – „ივერია“, № 6. ტფილისი. 1887.

ინსტიტუტში. განსაკუთრებით გულდასაწყვეტი ის არის, უკანასკნელ ხანებში ჩვენი სისხლხორცეული საქმის მოუგვარებლობაზე უცხოელი კოლეგები მიგვითითებენ¹. საბედნიეროდ, ამ ლექსიკონის გამოცემა მოვახერხეთ 2007 წლის, ლექსიკონს თან დავურთეთ წინასიტყვაობა და სათანადო კომენტარები ლ. ნიუარაძე.

ლექსიკონი გამოიცა ავტოგრაფული ნუსხის მიხედვით, რომელიც დაცული იყო ბ. ნიუარაძის ოჯახში. ავტოგრაფი დათარიღებულია 1888 წლით. ის დაწერილია ყდაში ჩასმულ აკინძულ რვეულებზე და შეიცავს 814 გვერდს. ლექსიკონი გამოსცა და წინასიტყვაობა დაურთო ლელა ნიუარაძემ.

მუშაობის პროცესში გაირკვა, რომ ბ. ნიუარაძე სარგებლობდა დ. ჩუბინაშვილის „ქართულ-რუსული ლექსიკონით“, თუმცა მისი ლექსიკონი მოცულობით, რასაკვირველია, დ. ჩუბინაშვილის ნაშრომზე გაცილებით პატარაა.

ლექსიკონის შედგენის პრინციპი, რაღა თქმა უნდა, ავტორისეული დარჩა. ჩვენ მიერ შეტანილი ცვლილებები, ავტორის ტექსტი-საგან გასამიჯნავად, ჩასმულია კვადრატულ ფრჩხილებში; ჩვენი განმარტებების გვერდით ზოგჯერ ისეთი ავტორისეული განმარტებებიც დავტოვეთ, რომელთა მართებულობაშიც არ ვიყავით დარწმუნებული. ავტორის მიერ ქართული და რუსული სიტყვების დაწერილობაში დამვებული უნებლივ შეცდომები გასწორებულია დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონის მიხედვით, რაც შეხება სვანურ ეკვივალენტებს, ისინი ჩვენ მიერ არის დამატებული (კვადრატულ ფრჩხილებში).

ლექსიკონში შესული მრავალი სიტყვა მეტად დირექტულია არა მხოლოდ საკუთრივ დღევანდელი სვანურისთვის, არამედ ქართველურ ენათა შედარებისთვისაც. აქ წარმოდგენილია ბევრი ისეთი ძველი სიტყვა, რომელიც დღეს თითქმის ხმარებიდან არის გასული. მაგ., ლიცლამაგვ (ამხანაგობა), დოშდ (მოვარე), ლიქთხგლე (აბებრება), ლილშგი (აბურვა), ჩული შეუმინე (გაგლახავება), მუშკვარი (გადაგუდა), გვილგ ვანჩე (გულდახურული), ისტამ (ზმანება)² და ა.შ.

ლექსიკონის გამოცემას დიდი ინტერესით გამოეხმაურნენ უცხოელი ქართველოლოგები: ბ. უტიე, ვ. ბოედერი, ი. გიბერტი, კ. შმიდტი, მათი აზრით, ეს წიგნი ქართველოლოგთათვის სასარგებლო და საჭირო დამხმარე საშუალებად დარჩება.

¹ ი. ჩანტლაძე, სვანური ენის ზოგადი დახასიათება – კავკასიის მაცნე, №1, თბილისი, 2000, გვ.113.

² ბ. ნიუარაძე, ქართულ-სვანურ-რუსული ლექსიკონი. თბ. 2007.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბ. ნიუარაძე, კორესპონდენცია. – „მწყემსი“, №15. – ტფილისი, 1896.
2. ბ. ნიუარაძე, სვანეთის ხელნაწერები, სახარებანი. – „მოამბე“, ტფილისი, 1904.
3. ბ. ნიუარაძე, „სვანურ-რუსულ-ქართული ლექსიკონი“, /ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და ნინასიტყვაობა დაურთო ლელა ნიუარაძემ. – თბილისი, 2007.
4. ბ. ნიუარაძე, „ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები“, ტ. II, – თბილისი, 1964.
5. თავისუფალი სვანი, სვანეთის მანუსკრიპტები, – „ივერია“, №194, ტფილისი, 1903.
6. თავისუფალი სვანი, ბიბლიოგრაფიული შენიშვნა . – „ივერია“, №6 , ტფილისი, 1891.
7. ახალი ამბავი. – „ივერია“, №6, 1887.
8. ლუսი ანბან, – თიფლის, 1864.
9. სვანური ენა (შემდგენლები: ზ. ჭუმბურიძე, ლ. ნიუარაძე, რ. ქურდაძე). – თბილისი, 2007.
10. ზ. ფალიაშვილი , ქართული ხალხური სიმღერების კრებული . – თბილისი, 1910.
11. ექ. თაყაიშვილი, „არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ – სვანეთში 1910 წელს“ – პარიზი, 1937.
12. ვ. ძიძიგური, ბესარიონ ნიუარაძე („ თავისუფალი სვანი“), – გაზეთი „სახალხო საქმე“, №253, 1919.
13. ალ. ცაგარელის წერილი ბ. ნიუარაძესთან, /ინახება ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილების არქივში.
14. შ. ძიძიგური, ლიტერატურულ – ენათმეცნიერული ნარკვევები, – თბილისი, 1974.
15. ი. ჩანტლაძე, სვანური ენის ზოგადი დახასიათება – კავკასიის მაცნე, № 1, თბილისი, 2000.
16. დ. კარიჭაშვილის წერილი ბ. ნიუარაძესთან. / ინახება ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილების არქივში.

ქართველობის თანამედროვე გამოცვები და მათი ძალების გზები

გამოვიდა პროფესორ ტარიელ ფუტკარაძის 340-გვერდიანი მეცნიერული წიგნი „ქართველოლოგიის თანამედროვე გამოწვევები“ („უნივერსალი“, თბილისი, 2019).

ქართველი ერის ენობრივ-ეთნიკური ისტორიის ფონზე ნაშრომში ნაჩვენებია ქართველოლოგიის თანამედროვე გამოწვევების ნათელი სურათი და მათი შესაძლო დაძლევის გზები.

ქრონოლოგიური ჩარჩო წიგნისა მოიცავს 200 ნელს. სწორედ 200 ნელის წინ შემუშავდა რუსული იმპერიული გეგმა ქართველი ერის ენობრივ-ეთნიკური ერთიანობის დაშლისა, რომელიც პერიოდულად აქტიურდება და გააქტიურდა დღესაც.

ეს წიგნი არ არის ორ დღეში დაწერილი, არამედ იგი ინერებოდა, შეიძლება ითქვას, თითქმის მეოთხედი საუკუნის განმავლობაში და აი, როგორ:

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამავე უნივერსიტეტის დიალექტოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის, პროფ. ტარიელ ფუტკარაძის ხელმძღვანელობით, 1995 წლიდან დღემდე თითქმის ყოველწლიურად ტარდება ქართველოლოგიური საერთაშორისო კონფერენცია: „ქუთაისური საუბრები“ და „ქართველური მემკვიდრეობის“ ოცდაორი კრებული ამშვენებს დღეს ქართული წიგნის თაროს – ნაყოფი ამ კონფერენციებისა.

„ქუთაისური საუბრების“ სამეცნიერო ფორუმებს თავიდან ბოლომდე წითელ ზოლად გასდევდა სჯა-ბაასი იმ პრობლემებზე, რომლებსაც ეძღვნება ტარიელ ფუტკარაძის ნაშრომი. შესაბამისად, შეიძლება ამ წიგნს, ასე ვთქვათ, ამ კონფერენციათა ერთგვარი რეზიუმეც კი ვუწოდოთ.

წიგნის რედაქტორია პროფესორი მერაბ ჩუხუა, რომლის წინა-სიტყვაობაც უძლვის ნაშრომს. ასევე ერთვის მას პროფესორების: ნუგზარ ანთელავას, ეკა დადიანისა და რევაზ შეროზიას რეცენზიები.



ნაშრომი შედგება შესავლისა და ხუთი თავისგან, ესენიჭაროვან
სამსახურის მიერთებული

1. ქართველი ერის ენობრივ-ეთნიკური ერთიანობის საკითხი საერთაშორისო დოკუმენტებში;
2. საქართველოს ენობრივი სიტუაცია „რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტიის“ რატიფიკაციის კონტექსტში“;
3. ტერმინოლოგიური დივერსიები;
4. ქართული ენის ტექნოლოგიზება;
5. ქართველთა ენობრივი დაცვის პერსპექტივა.

ბოლოს ნარმოდგენილია შემაჯამებელი მსჯელობა, დანართუბი, რეცენზიები.

ნიგნში, პირველად, მდიდარ დოკუმენტურ და საარქივო მასალებზე დაყრდნობით, გაანალიზებულია თანამედროვე ლინგვისტური ქართველოლოგიის ზემოხსენებული ხუთივე გამოწვევა.

შესავალში წიგნის ავტორი ამახვილებს ყურადღებას იმაზე, რომ მეოთხე საუკუნიდან, ანუ მას მერე, რაც საქართველომ გააკეთა ისტორიული არჩევანი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, „ქრისტიანობა, როგორც მსოფლმხედველობა და დასავლურ-კავკასიური კულტურა, ქართველთა იდენტობის ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორად იქცა“, ხოლო 1555 წელს, ირანსა და ოსმალეთს შორის დადებული ზავის შემდეგ, მუსლიმანური იმპერიების აგრესიით შენუხებული ქართველი ხალხი როგორი იმედით უყურებდა ერთმორწმუნე რუსეთის იმპერიას, რომელმაც საპირისპირო რამ გააკეთა – ქართველთა ასიმილაცია დაიწყო (19); როგორც წიგნის ავტორი ტ. ფუტკარაძე წერს: „რუსმა მოხელეებმა შეიმუშავეს სტრატეგია, რომლის მთავარი მიმართულება იყო ქართველთა დედაენის გავრცელების არეალის მაქსიმალურად შეზღუდვა; ამ სტრატეგიის ხერხემალი იყო პეტერბურგის უნივერსიტეტში შექმნილი ფსევდომეცნიერული იდეოლოგებმა ე. ნ. ოთხი ქართველური ენის შესახებ“ (20).

მივყვეთ თავებს, რომლებიც დაყოფილია ქვეთავებად:

თავი I. „ქართველი ერის ენობრივ-ეთნიკური ერთიანობის საკითხი საერთაშორისო დოკუმენტებში“; ქვეთავები:

1. „ჰაიდი ტალიავინის დასკვნის ერთი ნაწილის ანალიზი“;
2. „ოთხი ქართველური ენის იდეოლოგების შექმნის ისტორია“;
3. „ჩხოუშიელი ავტონომისტები“;
4. ისაკ უვანიას ჯგუფი;
5. ლავრენტი ბერიას პოზიცია;

6. ოთხი ქართველური ენის იდეოლოგება;
7. „ქართველური ენობრივი სამყაროს სეგმენტაციის შესახებ თრი ძირითადი თვალსაზრისი (ისტორიული ანალიზი)“.

პირველი შთაბეჭდილება, რაც ამ თავის ქვეთავებთან დაკავშირებით დამრჩა, არის ის, რომ ისინი, პრობლემისადმი მეცნიერული წვდომით, დოკუმენტური მასალის სიმდიდრითა და მათი ანალიზით, ცალკეული ნიგნების შთაბეჭდილებას ტოვებენ.

„ჰაიდი ტალიავინის დასკვნის ერთი ნაწილის ანალიზში“ წიგნის ავტორი ხახს უსვამს, რომ დასავლეთელი ექსპერტებისთვის მადეზორიენტირებელია არა მხოლოდ რუსულ, არამედ ქართულ სიერცეში დღემდე გაბატონებული მიდგომებიც (31).

აქვე ავტორი მსჯელობს „ოთხი ქართველური ენის“ იდეოლოგების შექმნის ისტორიაზე და ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ეს იდეოლოგება შეიქმნა რუსეთის იმპერიაში, საქართველოს რუსეთთან შეერთების მერე, რომელიც გაბატონებულ სამეცნიერო იდეოლოგიად აქცია 6. მარისა და ი. სტალინის ავტორიტეტებმა.

საყურადღებოა მსჯელობა ქართული სამნიგნობრო ენის ნარმოშობასთან დაკავშირებით; კერძოდ, წიგნის ავტორი, უახლეს მეცნიერულ მონაცემებზე დაყრდნობით, წერს, რომ „კოლხური არქეოლოგიური კულტურის არეალში იყო ძვ. წ. II-I ათასწლეულებში არსებული საერთოქართველური ენა, რომელზეც დაფუძნდა ქართველთა სამნიგნობრო ენა“ (37); რომ „საერთოქართველური ენის საფუძველზე – თანამედროვე ქართველთა ყველა ენობრივი ქვესისტემისათვის ამოსავალი ენობრივი ვარიანტის საფუძველზე (და არა ქართლ-კახურ დიალექტზე) – შექმნილმა ქართულმა სამნიგნობრო ენამ, საქართველოს სახელმწიფოს რთულ გეოპოლიტიკურ სიტუაციაში არსებობის მიუხედავად, XX საუკუნეებდე უზრუნველყო ქართველთა ენობრივ-ეთნიკური ერთიანობის შენარჩუნება“ (38).

აქვე საუბარია, მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან როგორ ცდილობდნენ რუსი მოხელები, გამოედევნათ ქართული ენა სვანეთიდან და სამეგრელოდან, რა მიზნითაც რუსმა გენერალმა უსლარმა, რუსული ანბანის საფუძველზე შექმნა სვანური ანბანი, ხოლო პეტერბურგელმა პროფესორმა ალ. გრენმა – მეგრული ანბანი; ივანე პეტროვმა და თადა აშორდიამ კი შექმნეს მეორე მეგრული ანბანი და საკითხავი ნიგნი მეგრულად. მეცნიერი აღნერს იმ მძიმე ვითარებას, რომელიც შეიქმნა 1886 წელს, როცა ლევიცკი ცდილობდა, სამეგრელოს სკოლები გადაეყვანა მეგრულ „ენაზე“ და შეექმნა მეგრული „სამნიგნობრო კულტურა“, ხაზგასმულია, რომ ამ გზით რუსი მოხელეები ცდილობდნენ, სამეგრელოს მოსახლე-



ობისათვის წაერთმიათ მრავალსაუკუნოვანი ქართული სამარტინო ხობრო კულტურა.

პროფ. ტ. ფუტყარაძე უფრო დეტალურად აღნიერს მომდევნო კრიზისს, ბოლშევიკების ბატონობის პირველ ეტაპზე შექმნილ ვითარებას:

1925 წელს ციბაკ ბუკონიამ, სოლომონ ბესელიამ და კიდევ 18 პირმა „სამეგრელოს მშრომელი ხალხის“ სახელით მიმართეს „სრულიად რუსეთის სტაროსტას, მამა მიხეილ ივანეს ძე კალინინს“; დოკუმენტში ორი ძირითადი მოთხოვნა იყო: 1. სამეგრელოს ავტონომიის უშუალო დაქვემდებარება მოსკოვზე საქართველოს სუვერენიტეტის გარეშე, რომ „სამუდამოდ განმტკიცდეს სამეგრელოსა და რუსეთის მშრომელთა კავშირი“; ავტონომიის სახელის ორი ვარიანტი იყო შემუშავებული: ან ლაზ-კოლხიდა, ან: მარგალისტანი“ (57). აქვე საუბარია იმაზე, თუ როგორ ცდილობდა ისაკ ჯვანია სამეგრელოს ადმინისტრაციული ოლქის შექმნას, მეგრული სკოლების დაარსებასა და მეგრული გაზეთების გამოცემას (60).

თემას აგრძელებს საინტერესო ქვეთავი: „ლავრენტი ბერიას პოზიცია“; მასში ნაჩვენებია, თუ როგორ შეენინააღმდეგნენ 6. მარისა და ი. სტალინის იდეოლოგების ქართველი საზოგადო მოღვაწეები: კონსტანტინე გამსახურდია, თედო სახოვია, შალვა დადიანი... პარტიული მუშაკები: ალ. გეგეჭკორი და ლ. ბერია; ენათმეცნიერები: სილოვან ხუნდაძე, არნოლდ ჩიქობავა, ვუკოლ ბერიძე, გიორგი ახვლედიანი, ვარლამ თოფურია... აქ საუბარია იმაზე, თუ როგორ გაიხსნა და დაიხურა შემდეგ მეგრული სკოლები. ნარმოჩენილია ამ საქმეში ლ. ბერიას სწორი პოზიცია. ავტორი ყველგან ხაზს უსვამს, რომ მეგრული „ენისა“ და სამეგრელოს ავტონომიის, საკითხი წამოიქრებოდა ხოლმე არა სამეგრელოში, არამედ რუსეთის იმპერიის ცენტრში.

ტ. ფუტყარაძე სამართლიანად აღნიშნავს: 6. მარისა და ი. სტალინის თეორიული „დებულებები“ დღემდე მიზანმიმართულადაა გაბატონებული რუსულ სამეცნიერო ველში; დღემდე სვანური და მეგრულ-ლაზური /ან ლაზურ-მეგრული/ ქართულისაგან განსხვავებულ „უმნერლობო ქართველურ ენებადაა“ გამოცხადებული (113), რაც ისტორიის გაყალბებაა: მოგეხსენებათ, უმნერლობო ენა იმ ხალხის ენაა, რომელსაც დედაენაზე არა აქვს მნიგნობრობა; არადა, თუ ვინმეა ქართული სამნიგნობრო ენის შემქმნელი, ვართ ჩვენ მეგრულ-ლაზები, სვანები; რა თქმა უნდა, სხვა ქართველებთან ერთად.

პირველი თავის დასკვნით ნაწილში ხაზგასმულია, რომ არამეცნიერულია და დიდი საფრთხის შემცველია „უმნერლობო ქართვე-



ლური ენების” დაძველების უსაფუძვლო მცდელობა, რადგან ეს არის ქართველთა ენობრივ-ეთნიკური ერთიანობის დანაწევრების გზა.

თავი II. საქართველოს ენობრივი სიტუაცია „რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტიის” რატიფიკაციის კონტექსტში.


ძნელია. წიგნის რომელიმე თავი განსაკუთრებულად გამოყო, ყველა თავში არსებითი პრობლემებია წარმოდგენილი, მაგრამ რადგან ამჯერად მნვავეა მეგრულისა და სვანურის ენობრივი სტატუსის პრობლემა, მეტ ყურადღებას დავუთმობ მეორე თავს:

მოწმენი ვართ იმისა, რომ არ თავდება კამათი მეგრულისა და სვანურის ენობრივ სტატუსთან დაკავშირებით. არც იმის კონტურები იკვეთება, რომ ახლო მომავალში გადაწყდება ეს პრობლემა, რადგან ჯერ კიდევ არ არის დადგენილი ზუსტად, თუ სად გადის ზღვარი ენასა და დიალექტს მორის; მსოფლიოში არსებული დაახლოებით შვიდი ათასამდე ენიდან ნახევრის სტატუსი გაურკვეველ მდგრმარეობაშია, მათ შორის არის მეგრული და სვანური.

1992 წელს ევროსაბჭომ გამოაქვეყნა „ევროპული ქარტია რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ”, რომლის მიხედვით, „მაღალი ხარისხით“ უნდა იყოს დაცული რეგიონის ან უმცირესობის ენა; მაგალითად, დაწყებით კლასში მაინც უნდა იყოს სწავლება რეგიონულ ენაზე, უნდა არსებობდეს ტელემედია და პრესა რეგიონული ენაზე, უნდა იყოს გამოყენებული საქმისნარმოების ენად რეგიონული ენა უმცირესობით დასახლებულ რეგიონებში და ასე შემდეგ.

აქვე უნდა აღინიშნოს მთავარი: „ენის ქარტიაში“ ხაზგასმით წერია, რომ მოცემული მეტყველების სტატუსი: „ენაა“ თუ „დიალექტი, უნდა განსაზღვროს მოცემულმა სახელმწიფომ რეალური ისტორიიდან და რისკებიდან გამომდინარე; ასევე, მოცემული სახელმწიფოს უფლებაა, „რატიფიკაციის“ დოკუმენტს დაურთოს „საფრთხის ქვეშ მყოფი „რეგიონული ენების“ თუ დიალექტების ჩამონათვალი. როგორც წიგნის ავტორი ხაზს უსვამს, ჯერჯერობით, გარკვეული რისკების გამო, ევროპის სახელმწიფოთა ნაწილი არ შეუერთდა „ენის ქარტიას“, მხოლოდ ნახევარმა – 24-მა მოახდინა მისი რატიფიცირება, 9-მ მოაწერა ხელი მას, ხოლო 15-ს არ ჩამოუყალიბებია თავისი პოზიცია, რომელთა შორის არის საქართველოც (126).

ამ ფონზე საინტერესოა, თუ როგორ იქცევა არაბული სამყარო ენის სტატუსთან დაკავშირებით:



არსებობს 340-მილიონიანი არაბული სამყარო, 22 ქვეყნით, ერთი სალიტერატურო ენითა და მრავალი დიალექტით, რომელიც ბიც შედგება ორი ჯგუფისაგან, აღმოსავლური და დასავლური.

აღმოსავლურში შედის: ეგვიპტური, სუდანური, სირია-პალესტინური, იორდანიული, არაბეთის ნახევარკუნძულისა, მის მახლობლად მდებარე კუნძულებისა, ერაყული და შუა აზიური.

დასავლური დიალექტებია: მაროკოული, ალჟირული, ტუნისური, ლიბიური, მაღრიბულის ევროპული კილოები: ანდალუსიური, სიცილიური (დღეს უკვე მევდარია), და მალტური (მას მერე, რაც მალტა შეუერთდა ევროკავშირს, ეწოდება მალტური).

მალტურის მსგავსად, განკერძოებით დგას აღმოსავლეთში შუა აზიის არაბული დიალექტები (კაშკადარისა და ბუხარის რაიონებში), რომლებიც მესოპოტამიის დიალექტებთან ჩანს დაკავშირებული.

გარდა ამისა, მიღებულია არაბული დიალექტების დაყოფა სოციალურ ფენათა შორის არსებული განსხვავების მიხედვით. ამ მხრივ გამოიყოფა სამი დიალექტი: ბედუინების, ფელაპებისა და ქალაქელების.

დიალექტები მეტნაკლებად არიან დაშორებული ერთმანეთისგან, ზოგჯერ იმ დონეზეც, რომ მათ შორის ურთიერთგაგება არც არის. ზოგიერთი, მაგალითად, შუა აზიური არაბული დიალექტი ისეა დაშორებული არაბულ ენათა ოჯახს, რომ მათ შორის არამც თუ ურთიერთგაგება, ნათესაური კავშირიც კი გამქრალია, მაგრამ ის მაინც არაბული ენის დიალექტად იწოდება.

როგორც ვხედავთ, არაბები ენის სტატუსს ანიჭებენ მხოლოდ სალიტერატურო არაბულს, როგორც არაბული სამყაროს გამაერთიანებელ ძალას და არა - დიალექტებს; მათ კარგადა აქვთ გაცნობიერებული, თუ რა მოჰყვება დიალექტებისათვის ენის სტატუსის მინიჭებას ერთიანი არაბული სამყაროსთვის.

მაშინ, როცა 340-მილიონიან არაბებს ჰყოფნით ერთი სალიტერატურო ენა, ჩვენ, ისეთ ერს, 5 მილიონიც რომ არა ვართ, რატომ არ გვყოფნის ერთი და რატომ ვისწრაფვით იქითვენ, რომ გვეონდეს სამი ან ოთხი სალიტერატურო ენა, რომელიც, ხომ ცხადია, სადამდე მიიყვანს თვით ამ ენებს.

დავუბრუნდეთ „ენის ქარტიას“, რომელშიც ხაზგასმით ნერია, რომ „ენისა და კილოს სადაც საკითხის გადაჭრა დამოკიდებულია არა მხოლოდ წმინდა ლინგვისტურ მოსაზრებებზე, არამედ სხვადასხვა ფსიქოსოციოლოგიურ და პოლიტიკურ ფაქტორზე, რომელებიც ცალკეულ შემთხვევაში განსხვავებულ პასუხს შეიძლება იძლეოდეს“.



თუკი ენის სტატუსთან დაკავშირებით სადაცო საკითხების გამოყენება
დაჭრა შეიძლება არა მხოლოდ წმინდა ღინგვისტურ მოსაზრებების მიმდევა
ზე, არამედ სხვადასხვა ფსიქო-სოციოლოგიურ და პოლიტიკურ
ფაქტორზე დაყრდნობით და ეს ჩვეულებრივი მოვლენაა მსოფლიო პრაქტიკაში, ჩვენ რატომ უნდა მივიღოთ მაინც
დამაინც ის გადაწყვეტილება, რომელიც ხელს უწყობს საერთოქ ართველური სამყაროს ენობრივე თნიკური ერთიანობის დაშლას?

ორი აზრი არ არის იმაში, რომ მეგრული და სვანური უნდა გახდეს სახელმწიფოებრივი ზრუნვის საგანი, მაგრამ არა „ოთხი ენის იდეოლოგიის“ მიხედვით (რომელიც ოთხ ეთნოსად დაანაწევრებს ჩვენს მრავალსაუკუნოვან ერს).

თავი III. „ტერმინოლოგიური დივერსიები“. როგორც წიგნის ავტორი წერს: „არაიშვიათად, დაინტერესებული მხარე გააზრებულად იყენებს არაადეკვატურ ტერმინს, ან რომელიმე საზეიმო/სამგლოვიარო დღეს ისე არქემევს სახელს, რომ შეცდომაში შეიყვანოს მოცემული საზოგადოება“ (142) და ქვეთავებად სვამს კითხვებს, რომელთაც თავადვე საყურადღებოდ პასუხობს:

1. „სეპარატისტი თუ კოლაბორაციონისტი?“.

საკითხი ეხება ბოლო ხანებში რუსეთ-საქართველოს შორის წარმოებული ომების „ქართულ-აფხაზურ“ და „ქართულ-ოსურ“ ეროვნულ კონფლიქტებად წარმოჩენას და წერს, რომ პრორუსი აფხაზები, ოსები, სომხები და ქართველები არიან კოლაბორაციონისტები და არა სეპარატისტები (145).

2. „9 აპრილი – დამოუკიდებლობის აღდგენის დღე თუ გლოვის დღე?“

დღემდე 9 აპრილი აღინიშნება გლოვის დღედ, რაც შეურაცხოფას აყენებს დამოუკიდებლობისთვის მებრძოლ გმირთა სულებს. „9 აპრილი ოფიციალურად უნდა გამოცხადდეს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღედ“ (147) – წერს წიგნის ავტორი.

3. „26 მაისი – საქართველოს დამოუკიდებლობის დღე თუ საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის სახით გამოცხადების დღე?“

საქართველოს დამოუკიდებლობა 200-წლიანი რუსული ოკუპაციის შემდეგ პირველად აღდგა 1918 წლის 26 მაისს და მეორედ – 1991 წლის 9 აპრილს, შესაბამისად, ეს ორი თარიღი უნდა იყოს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღე და არა 25 თებერვალი, როგორც იყო ეს ბოლო ხანებამდე და რასაც პოლიტიკურ ცინიზმს უწოდებს მეცნიერი.

4. „14 აპრილი – დედაენის დღე თუ საქართველოს სახელმწიფო ენის დღე?“

წიგნის ავტორის აზრით, „საქართველოს ყველა მოქალაქემ, ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად, 14 აპრილი უნდა იზემოს, როგორც თავისი სახელმწიფო ენის დღე.“

5. „ტაო-კლარჯეთში ავტოქტონი ქართველობაა თუ ქართული დიასპორა?“ „საქართველოს რეგიონები თუ საქართველოს კუთხეები?“

საქართველოს ამჟამიმდელ საზღვრებს გარეთ მცხოვრებ ქართველთა აღსანიშნავად ხელისუფლება იყენებს ტერმინს „დიასპორა“. მკვლევრის აზრით კი, „საკუთარ მინა-წყალზე მცხოვრები ავტოქტონი ქართველები, რომლებიც მხოლოდ პოლიტიკური კატაკლიზმების გამო აღმოჩნდნენ სხვა სახელმწიფოს (თურქეთისა და აზერბაიჯანის) შემადგენლობაში, ისტორიულ-ეთნიკურ უმცირეობას წარმოადგენენ და არა დიასპორას“ (153).

6. „საქართველოს რეგიონები თუ საქართველოს კუთხეები?“

ბოლო ხანებში აქტიურად გამოიყენება ტერმინი „რეგიონი“, რაც მეცნიერს სახიფათოდ მიაჩნია და შეგვასენებს, რომ „რეგიონალური თვითმმართველობის დამკვიდრებით საქართველოს მოსახლეობის ცნობიერებაში ააქტუალურებენ ფედერაციულ მოწყობას“ (153).

IV თავში – „ქართული ენის ტექნოლოგიზება“ – გამოყოფილია ორი ქვეთავა:


1. „ავტომატური აკადემიური თარგმანის საკითხი“;

2. „ერთენოვანი ქართული ტექსტების ეროვნული კორპუსი“.

პირველ ქვეთავში ავტორი ნერს, რომ უახლეს ხანში საქართველომაც უნდა შეძლოს, სახელმწიფო ენაზე განახორციელოს აკადემიური ორენოვანი თარგმანი, რათა ქართულმა ენამ არ დაკარგოს კულტურული ენის ფუნქცია.

მეორე ქვეთავში წიგნის ავტორი უპირისპირდება არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში შექმნილ პროექტს: „საქართველოს ლინგვისტური პორტრეტი“, სადაც ქართველური ენობრივი სამყარო წარმოდგენილია სამი ქართველური ენითა (ქართული, სვანური, ზანური) და მათი დიალექტებით. ასევე ენისაალმდეგება იგი იმ ნაციონალური კორპუსის შექმნას, სადაც ქართველური ენობრივი სამყარო წარმოდგენილია ოთხი ქართველური ენით: ქართულით, სვანურით, ლაზურითა და მეგრულით (158).

ტ. ფუტკარაძის აზრით, თუ მომზადდება „ქართული ენის ტექსტების ერთენოვანი კორპუსი, (რომელშიც შევა ზანურ-სვანური



მასალაც), ციფრული ტექნოლოგიების ეპოქაშიც ქართული „ენა“ შეინარჩუნებს როგორც ქართველთა მაკონსოლიდებელ, ახევი კულტურისა და განათლების ენის ფუნქციას. სამი ან ოთხი ქართველური „ენის“ ტექსტების კორპუსზე ორიენტირება კი XXI საუკუნეში განახორციელებს რუსეთის იმპერიის გეგმას – საბოლოოდ დაანაწევრებს ქართველთა ენობრივ-ეთნიკურ ერთობასა და ისტორიულ დედაენას – ქართულ (ქართველურ) სამწიგნობრო ენას გაუუცხოებს ქართველთა მესამედს“ (159).

აქვე მკვლევარი გვთავაზობს თავის მოსაზრებას ქართული ენის ტექსტების ერთენოვანი ეროვნული კორპუსის შექმნასთან დაკაშირებით, რომელშიც შევა ზანურ-სვანური მასალაც.

V თავი ეძღვნება „ქართველთა ენობრივი მემკვიდრეობის დაცვის პერსპექტივას“, რომლის ქვეთავებია:

1. „ქართული ენის პრესტიუზი“;
2. „ქართველური ენობრივი მემკვიდრეობა და „სისხლით დაცული ანბანი“;
3. „გერმანული გამოცდილება“.

მეცნიერი „ქართული ენის პრესტიუზი“ ეხება ჩვენი ეროვნული უმცირესობებისათვის ქართული ენის სწავლების პროექტი(ებ)ის სახელწოდებებს: „ქართული ენა, როგორც მეორე ენა,“ „ქართული ენა მომავალი ნარმატებისათვის“ და მათ ნაცვლად გვთავაზობს ასეთ ვარიანტს: „ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის სწავლება“, რაც მისი აზრით, ასწევს ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის, პრესტიუს (160).

მეორე ქვეთავში ავტორის აზრით: „აუცილებელია, ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში შევიდეს ნარჩევი მეგრულ-ლაზურ-სვანური დიალექტების ლექსიკაც“ და იმოწმებს კ. გამსახურდისა სიტყვებს: „XX საუკუნის მწერლობამ უნდა მოგვცეს ილიას ქართლურის, აკაკის იმერულის, ვაჟას ფშაურის, მეგრულისა და გურული ენობრივი ელემენტების სრული სინთეზი“ აი, ეს იქნება იდეალური ლიტერატურული ქართული“ (167).

მესამე ქვეთავში მკვლევარი, გერმანული გამოცდილების, საფუძველზე ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ „გარევეულ რეგულაციას უნდა დაექვემდებაროს სკოლაში სწავლების პროცესში ქართველური დიალექტების გამოყენება (175).“

შემაჯამებელი მსჯელობიდან მოვიყვანთ ერთ ამონარიდს:

„პუმანიტარული მეცნიერებები ყალიბდება ბოლო 200 წლის



მანძილზე. მრავალსაუკუნოვანი სამწიგნობრივი კულტურული მქონე ქართველი ერის საცხოვრისი – საქართველო – ბოლო 200 წლის მანძილზე ოკუპირებული ჰქონდა რუსეთის იმპერიას.

საქართველოს/ კავკასიის შენარჩუნების მიზნით, რუსეთის მოხელეები ცდილობდნენ ენობრივ-ეთნიკურად დაენაწევრებინათ ქართველები, ზოგადად, კავკასიელები; ამ მიზნით ქმნიდნენ ფსევდომეცნიერულ დებულებებს (იდეოლოგებს) ქართველთა/ კავკასიელთა ენობრივი ისტორიისა და ქართველური/ კავკასიური სამეტყველო კოდების კვალიფიკაციის მიმართულებით

სამწევხაროდ, საქართველოს მეგობარი ქვეყნების ექსპერტებმა ნაკლებად იციან ქართველთა ენობრივ-ეთნიკური რეალური ისტორია და ზეპირ ქართველურ ენობრივ სახესხვაობათა სტატუსის განსაზღვრისას თუ ქართველთა ეთნიკური იდენტობის კვალიფიცირებისას ეყრდნობიან რუსული ენობრივი (ეთნიკური) პოლიტიკის ნიაღში შექმნილ იდეოლოგებებს. ნიშანდობლივია, რომ არაერთი აკადემიური საერთაშორისო ცნობარის, ენციკლოპედიისა თუ ეთნიკური რუკის მიხედვით, ქართველთა ნახევარი ქართველად არ მიიჩნევა” (177).

წიგნის ავტორს აქვე მოაქვს ინფორმაცია მსოფლიო გლობალური ქსელის ძირითადი ეთნოლოგიური ენციკლოპედიდან, რომლის მიხედვით საქართველოში არის შემდეგი ეთნიკური ჯგუფები (ქნები):

აზერბაიჯანელები – 270 000, ასირიელები (აისორები) – 3 400, აფხაზები – 129 000, ბაცბები – 3 200, ურუმები (ბერძნები) – 90 000, ლაზები – 1 000, მეგრელები – 345 000, ოსები – 35 000, რუსები – 405 000, სვანები (სამწერლობო ენად იყენებენ ქართულსა და რუსულს) – 15 000, სომხები – 448 000, ურუმები – 97 746, ქართველები – 3 200 000, ქართველი ებრაელები – 2 800, ქურთები – 26 600 (177).

მკვლევარი ხაზსს უსვამს, რომ ენციკლოპედიას საფუძვლად უდევს საბჭოთა პერიოდში შექმნილი ე. წ. „ოთხი ქართველური ენის „იდეოლოგია“, რომლის მიხედვით, უმწერლობო ენების მფლობელად ცხადდებიან მეგრელები, ლაზები და სვანები.

ამ ენციკლოპედიის მიხედვით, მეგრელები, ლაზები და სვანები ისეთივე მიმართებაში არიან ქართველებთან, როგორც საქართველოში მცხოვრები ყველა დანარჩენი ეთნიკური უმცირეობანი: აზერბაიჯანელები, ასირიელები (აისორები), აფხაზები, ბაცბები, ურუმები, რუსები, ქართველი ებრაელები და ქურთები.

არ ვიცი, ვინ როგორ აღიქვამს ამ ეთნიკურ რუკას, მაგრამ ჩემთვის ის ნამდვილად არ არის ქართველთა კეთილმოსურნის მიერ შედგენილი.



რუსულ იმპერიას ნამდვილად ვერ მივიჩნევთ უცოდველ კრატერული ვად საქართველოსთან მიმართებაში. არც მისგან მომდინარე თთხმობაში ქართველური ენის თეორია მოდის მათგან ქართველებზე ზრუნვით და სიფრთხილე გვმართებს, რათა, ნებით თუ უნებლიერ, საუკუნის მერე ხელი არ შევუწყოთ „ჩხოუშიელ ავტონომისტთა“ რეანიმაციას.

ნაშრომს აქვს 14 დანართი, რომლებიც 340-გვერდიანი წიგნის 113 გვერდს იჭრს. მათში 1925 წლიდან დღემდე, საგაზეთო და საარქივო მდიდარ დოკუმენტურ მასალებზე დაყრდნობით, გადაშლილია ვრცელი პანორამა პრობლემისა, აი, სათაურები აქ წარმოდგენილი მეტად საინტერესო მასალებისა: „ალ. გეგეჭკორი, იანოვსკი-ვოსტორგოვის ლირსეულ მემკვიდრეებს“, „ლავრენტი ბერია მეგრელ ავტონომისტთა შესახებ“, „ფახულანის თემის კოლექტიური წერილი მეგრულის წინააღმდეგ“, „მოხსენება მეგრული პირველი ჯგუფების მუშაობის შედეგების შემსწავლელი კომისიისა“, „საქართველოს ავტონომისტების შესახებ“, „თედო სახოკიას მოხსენება, სამეგრელოს მკვიდრთა 1925 წლის რეზოლუცია“, „ტარას შენგელიას „დანოსი“ (ცილისმწამებლური წერილი)“, „არნ. ჩიქობავა - ჩვენი დედაქალაქი და ჩვენი დედაენა“, „არნ. ჩიქობავა - არ დავივინულოთ დედაენა, ლ. ბერიას წერილი ი. სტალინს“, „ივ. ჯავახიშვილი ნიკო მარის წინააღმდეგ“, „ტარიელ ფუტკარაძე - საერთოქართველური ენისა და თანამედროვე ქართველური ქვესისტემების ისტორიული მიმართების ამსახველი სხვადასხვა სქემის შეპირისპირებითი ანალიზი“.

მოტანილი მასალიდან სამეგრელოს ავტონომიის მსურველთა საერთო პათოსს ნათლად გამოხატავს ერთი ამონარიდი ალ. გეგეჭკორის წერილიდან: „იანოვსკი-ვოსტორგოვის ლირსეულ მემკვიდრეებს“, რომელიც ამოღებულია 1925 წლის გაზეთ „კომუნისტიდან“: „დაკვრითი წესით გაანთავისუფლეთ სამეგრელოს მშრომელი ხალხი საქართველოს განგებ თავზე მოხვეულ სუვერენიტეტისგან და კვლავ სამუდამოდ განამტკიცეთ სამეგრელოს და რუსეთის მშრომელთა ისტორიული კავშირი“ (186).

დასაწყისში ვწერდით, რომ 200 წლის ნინ შემუშავდა რუსული იმპერიული გეგმა ქართველი ერის ენობრივ-ეთნიკური ერთიანობის დაშლისა, რომელიც პერიოდულად აქტიურდება. გააქტიურდა იგი გასული საუკუნის 20-იან წლებში, იმდენად, რომ წამოვიდა მოთხოვნა სამეგრელოს ავტონომიისა, შეიქმნა მეგრული ანბანი, მეგრულად დაინწყო საქმისნარმოება და სწავლა დაწყებით კლასებში, გაზეთის გამოცემა... და აი, აქტიურდება იგი დღესაც იმ დონეზე, რომ მეგრულად (ასევე სვანურად) ბიბლიური წიგნებიც კი



ითარგმნება; ისევ გაჩნდა მოთხოვნა სამეცნიეროს ავტონომიუნდებულის მეგრულისა და სვანურის რეგიონულ ენად გამოცხადებისა; ჩვენს თვალწინ დაინტერეს მეგრული სამნივნობრო ენის შექმნა (რითაც მეგრელებს, სვანებს უუცხოებენ მრავალსაუკუნოებან სამნივნობრო კულტურას – ქართულ კულტურას) და ა.შ.

2019 წლის 12 აპრილის გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნდა სერგი (გიორგი) საჯაიას ლია ნერილი რომლის ადრესატები ბრძანდებიან საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე. მიმართვის ასლი გაედაგზავნათ: საქართველოს პრემიერ მინისტრს მამუკა ბახტაძეს, საქართველოს ენის დეპარტამენტის თავმჯდომარეს გიორგი ალიბეგაშვილს და საქართველოს მნერალთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარეს თემურ ჩალაძაშვილს.

ნერილი ეხება 2019 წლის 29 მარტს თბილისში, საქართველოს მნერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემია „ქალდეას“ თაოსნობით გამართულ ყოველთა ქართველთა წარმომადგენლობით კრებას, რომელმაც განიხილა ამ აკადემიის ნევრის მნერალ სერგი (გიორგი) საჯაიას მოხსენება „რუსეთის იმპერიის ეთნოფაბრიკაციული დივერსიების ახალი ტალღის შესახებ სამეცნიეროში“.

აღნიშნული განხილვა ფაქტობრივად იყო 1925 წელს პირველი თავყრილობის გაგრძელება (1925 წელს თბილისში, რუსთაველის თეატრში თედო სახოკიას თავმჯდომარეობით ჩატარებულმა კრებამ დაგმო სხვა ქართველთაგან მეგრელთა ენობრივად გამიჯვნის მცდელობა).

კრების მონანილეებმა განაცხადეს, რომ რამდენიმე თვითმარქიას, რომლებიც შეიკრიბნენ 2019 წლის 24 თებერვალს ქ. ზუგდიდში, უფლება არა აქვს, ისაუბროს სამეცნიელოს სახელით; ისინი დაიქირავა რუსეთის იმპერიამ.

დიახ, საუკუნის მერე ისევ გააქტიურდა რუსული იმპერიული გეგმა, რომლის საბოლოო მიზანია არა მეგრულისა და სვანურის გადარჩენა, არამედ, თავის მეგრულ-სვანურიანად, ქართველი ერის გადაშენება.

და აი, ამ დროს ქვეყნდება მდიდარ ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით, არგუმენტირებული მოსაზრებებით, ლოგიკური სახელ მწიფო ტრივი ხელვით დაწერილი წიგნი ტარიელ ფუტკარაძისა: „ქართველოლოგიის თანამედროვე გამოწვევები“, რომელიც, პრობლემებისადმი უკან მიღევნებული ლამპარი კი არ არის,



არამედ გვაძლევს კარგად გააზრებულ სტრატეგიას, ნინ ალექსანდრე და მისი მიმდევარების გეთ ქართველთა ენობრივ-ეთნიკურ დანაწევრების მცდელობას.

ნიგნი სცილდება ლინგვისტიკის სფეროს და მისით, ენათმეც-ნიერებთან ერთად, უნდა დაინტერესდნენ ისტორიკოსები და პო-ლიტიკოსები.



ალექსანდრე ლორია

საპირლიოთეპო საძმო გვიანდებულ საქართველოში

XIII საუკუნის მეორე მეოთხედი საქართველოში კატასტროფული მოვლენებით აღინიშნა. ქვეყანას ჯერ ხორეზმელები შემოესივნებ და თბილისი დაიჭირეს, შემდეგ ამას მონღოლების არაერთგზის ლაშქრობა მოჰყვა. ამან ერთიანი სახელმწიფოს დაშლას დაუდო სათავე-დაინტენციური, ეკონომიკური, კულტურულ-საგანმანათლებლო, სამწიგნობრო დაქვეითება. ამას 80-იან წლებში გამანადგურებელი მინისტრები დაერთო, რომლის ეპიცენტრი სამცხეში იყო, მაგრამ ისეთი ძლიერი, რომ მისმა გამოძახილმა მცხეთის ტაძარიც კი შეარყია.

ეკლესია-მონასტრები მძიმე პირობებში ჩავარდნენ. დაირღვა ტაძართა კულტურული ერთიანობა, რაც უმთავრესად აქ დაცული წიგნსაცავების კონტაქტების განყვეტაში გამოიხატა. ამან წიგნების ფონდების განვითარებაზე უარყოფითად იმოქმედა; ძირი გამოეთხარა ერთიან სამწიგნობრო საქმიანობას. ბევრგან შეწყდა კიდეც ბიბლიოთეკების არსებობა.

ამგვარ პირობებში თუნდაც ყოველგვარ მცირედ გამოსხივებასაც კი უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა, მით უფრო, რომ შექმნილი ვითარება ქართველი კაცის ზნეობრივ გადაგვარებას ინვევდა. იყო იმვიათად ერთგვარი გამოცოცხლებაც, როგორც, მაგალითად, გიორგი ბრწყინვალის მეფობისას, მაგრამ ასეთი რამ ნაკლებად აღინიშნებოდა, ყველაზე დიდი უბედურება მაინც იყო ტაოს, შავშეთის, კლარჯეთის, შემდეგ აჭარისა და ჭანეთის დაკარგვა. დაინტენციურებულ სამხრეთ საქართველოს - ქვეყნის ერთი-მეოთხედის „გათათრება“. აქ არსებული წიგნადი სიმდიდრე თითქმის მთლიანად დაიკარგა. XVI საუკუნიდან ამ მხარეს უკვე არავითარი ადგილი აღარ აქვს საქართველოს საბიბლიოთეპო საქმის ისტორიაში. ამ მხრივ მთელი სიმძიმე ქართლ-კახეთის ეკლესია-მონასტრებზე



იქნა გადატანილი, ხოლო დასავლეთ საქართველოში საბიძლებული მთეკო ცენტრის როლს კვლავ გელათი ინარჩუნებდა. აქ საქმიანდო მდიდარი წიგნსაცავი შემორჩა XVII საუკუნის მეორე ნახევრამდე. ცნობილია, რომ თავის დროს ამას სპეციალურად აღნიშნავდნენ რუსეთის ელჩები ნ. ტოლჩანოვი და ა. იევლევი თავიანთ ანგარიშებში.

გელათში, მიუხედავად იმისა, რომ ის კარგა ხანს ახერხებდა შეენარჩუნებინა თავისი მდგრადი პოზიციები, წლების განმავლობაში აქაურობა თანდათან მაინც ჰყარგავდა პირველობას, მანაც მძიმედ განიცადა რღვევა და დაქვეითება, ყველაზე მძიმე დარტყმა მიაყენეს ოსმალებმა 1510 წელს. შემდეგ ბევრს ეცადა იმერეთის მეფე ბაგრატი, აღედგინა აქაურობა, მაგრამ ძველი დიდების დაბრუნება ვერ მოხერხდა, თუმცა მას შემდეგ, როდესაც იქ 1519 წელს საეპისკოპოსო კათედრალი დაარსდა, შედარებით დაჩქარდა აქაური კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის გაფართოება. გელათი დასავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის რეზიდენციად იქცა; შესამჩნევად გამდიდრდა წიგნსაცავიც.

XVIII საუკუნიდან კვლავ დაიწყო აღდგენითი საქმიანობა, რაც უმეტესად სწორედ მეფეთა ინიციატივით ხდებოდა. მართალია, XVII საუკუნეში მონასტრის მამულები ფეოდალებმა მიიტაცეს, მაგრამ თანდათან ამ საქმის მოგვარებაც დაიწყო და უკვე XIX საუკუნისათვის გელათი ისევ ძლიერი ფეოდალური სენიორიაა, რომელიც ყმებსა და მამულებს ფლობს.

გელათს ერთხანს მხარში ედგა მარტვილის მონასტერი. საქართველოს ძლიერების დაცემის შემდეგაც აქ ახერხებდნენ ენარმოებინათ სასულიერო-მწიგნობრული საქმიანობა. ამგვარი მოღვაწეობა XIX საუკუნის ნახევრამდე არ შენყვეტილა. აქ, როგორც ჩანს, მდიდარი წიგნადი ფონდი იყო.

დასავლეთ საქართველოში აქა-იქ მრავლად იხსნებოდა მცირე-მცირე ეკლესია-მონასტრები, მაგრამ მათი ღვანწლი საბიძლიოთეკო საქმეში გვიანუკეთდალურ ხანაში საკმაოდ მოკრძალებულია, ეპოქის ბოლოს, შედარებით ფართოვდება საეკლესიო-სამონასტრო და მწიგნობრული მოღვაწეობა, მაგრამ ეს საკმაოდ ვიწრო ხასიათისაა და რაიმე განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ იძენს საბიძლიოთეკო საქმის ისტორიაში. იმერეთში, სამეგრელოში, გურიასა და აფხაზეთში ამ პერიოდში ინტერესი წიგნების მიმართ თანდათან იზრდება, იწყება ნაბეჭდი წიგნის გამოცემის ცდები, მაგრამ ძირითადი აღორძინება შემდგომ ეტაპზე-რეფორმამდელ პერიოდში იჩენს თავს და უკვე რეფორმის შემდეგ საკმაოდ მაღალ დონეს აღწევს.



რაც შეეხება საქართველოს აღმოსავლეთს, ამ მხარეში მოცული მულ ხანაში ძალისხმევით კვლავ ადრინდელი ეპოქის სამონასტრო-საეკლესიო წიგნსაცავები გამოირჩევიან, თუმც ის ენერგია და მოცულობა, რაც მანამდე ჰქონდათ, უკვე აღარ გააჩნდათ.

ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაშლის შემდეგ აღმოსავლეთ საქართველოში მონინავე როლს მცხეთის სასულიერო საზოგადოების მოღვაწეობა ასრულებდა. ბევრი სასულიერო ლიტერატურული ძეგლის არსებობაა აქ დადასტურებული, მათ შორის აღსანიშნავია უძველესი ჰაგიოგრაფიული ნაწარმოები „მარტვილობა და მონამება წმიდისა ევსტათი მცხეთელისა“.

ცნობილია, რომ მცხეთის უდიდესი სასულიერო ტაძრის – სვეტიცხოვლის დაარსებიდანვე აქ წიგნების დიდი თავმოყრა შეიმჩნევა, ტაძარი მუდამ ინარჩუნებდა თავის სახეს, დიდი ავბედითობის დროსაც კი, რაკი შენობაში სპეციალური სამალავი იყო. ცნობილია, რომ 1723 წელს მტრის შემოჭრისას მთელი ქონება წიგნებთან ერთად იქნა გატანილი ლარვისში. ამგვარმა სიფრთხილემ განაპირობა, რომ სვეტიცხოვლში კარგა ხანს იყო შემორჩენილი სამნიგნობრო-წიგნსაცავი. მაგრამ უამთასვლამ, იმგვარმა ავბედითობის დროს, რაც გვიანთვეოდაბურ საქართველოს დაატყდა თავს, არ დააკლო თავისი მსახურალი ხელი აქაურობას.

საქართველოს პოლიტიკური დაქუცმაცებულობის პირობებში დიდი ზარალი განიცადა ერთ დროს ფრიად აღზევებულმა შიომღვიმემ, რომელიც პილიგრიმთა მოზღვავებამ იმდროინდელ ქალაქად აქცია. მიუხედავად უმძიმესი პირობებისა, შიომღვიმემ თავისი სახე XIX საუკუნეში შეინარჩუნა. მართალია, იმ დროისათვის იქ სამონასტრო საქმიანობა აღარ სრულდებოდა, მაგრამ მრავალი ხელნაწერი ჰქონდათ დაუნჯებული. ამაზე შეტყველებს ის, რომ 1879 წელს აქედან არქიმანდრიტ კესარიონს მრავალი წიგნი წამოულია თბილისის ფერიცვალობის მონასტრისათვის.

თავისი მნიშვნელობით, მასშტაბურობით, საქმიანობით გამოიჩინდა გარეჯის უდაბნოს სასულიერო კომპლექსი. აქ მისი არსებობის ბოლო წუთამდე მიმდინარეობდა სასულიერო და მნიგნობრული მოღვაწეობა, მიუხედავად იმისა, რომ არაერთგზის განუცდია რბევა და ანიკება-ჯერ მონღლოლები, მერე სპარსელები, ბოლოს-ლეჯები. ეს სამონასტრო კომპლექსი რომ ჯერ კიდევ ფეხზე იდგა, სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, ამაში მას ხელს უწყობდა მეფე-მთავრების აქტიური მხარდაჭერა. აქაურ მონასტრებში სხვადასხვა მიმართულებით ხდებოდა ლიტერატურული საქმიანობა-ჰაგიოგრაფიული-ჰიმნოგრაფიული, დოგმატიკურ-პოლემიკური, კულტურულ-საგანმანათლებლო, დიდი ადგილი ჰქონ-



და დათმობილი ხელნაწერების გადაწერა-გამრავლებას, უდაბნოს კომპლექსში მოქცეული მონასტრების ნიგნიერების საქმის განვითარებას, ფონდების მოვლასა და დაცვას.

გარეჯის სამონასტრო კომპლექსის დაქცეულ-დანგრეული და ჩამკვდარი მდგომარეობის გამოცოცხლება XVII საუკუნის II ნახევარში არჩილ მაფემ დაიწყო, მაგრამ ყველა გაუქმებული მონასტრის ამოქმედება ვერ მოასწორო. შემდეგ ამ საქმის ერევლე პირველმა მოკიდა ხელი. აქ განაშენიანებას სათავეში ჩაუყენა ენერგიული სასულიერო მოღვაწე - ბერი ონფორე მაჭუტაძე. რომელმაც სამშენებლო-ორგანიზაციულ საქმიანობის გარდა ხელი მოჰკიდა მნიგნობრული საქმიანობის გააქტიურებას. მომრავლდნენ მნერლები, მოქადაგენი, კალიგრაფები, ბიბლიოფილები, ამან გარეჯი ქართული მნერლობის უმნიშვნელოვანეს კერად აქცია, რამაც განაპირობა წიგნების დიდი რაოდენობით თავმოყრა, გამოჩნდა სტამბური საღვთისმსახურო წიგნები, ჩამოყალიბდა გარეჯის სამნიგნობოთა მთავარი ბიბლიოთეკა, რომლის წიგნად ფონდის აღწერას თვითონ ონფორე მაჭუტაძე ჩაუდგა სათავეში.

ამგვარმა აღორძინებამ დიდხანს არ გასტანა - სპარსელთა და ოსმალთა შემოჭრებმა, ლეკების თარეშმა, კვლავ დააძაბუნა გარეჯის სულისკვეთება. დაქვეითების გზაზე შემდგარი სამონასტრო კომპლექსის აღორძინებას ერევლე მეორეც შეუდგა, ბევრს ეცადა, არ დაცლილიყო კომპლექსი, მაგრამ დრომ და ავბედითობამ საბოლოოდ მაინც თავისი გაიტანა.

გარეჯის სამონასტრო კომპლექსში ბიბლიოფილურ-სამნიგნობო, სამნერლო საქმიანობასა და წიგნსაცავების მოცულობაზე მეტყველებს იმ გამოჩენილ ადამიანთა ხსენება, რომლებსაც სხვადასხვა დროს აქ უმოღვანიათ: ონფორე გარეშველი (პირველი აღმშენებელი - XII საუკუნე), დავით აღმაშენებლის ვაჟი დემეტრე პირველი; სულხან-საბა ორბელიანი; ბესარიონ გაბაშვილი-ორბელიშვილი; გრიგოლ დოდორქელი; ანტონ პირველი; ცნობილი მოგზაური და მნერალი ტიმოთე გაბაშვილი; გაბრიელ მცირე; მნერლები: იონა გედევანიშვილი, გიორგი ავალიშვილი და მრავალნი სხვანი. მათი საქმიანობა ამდიდრებდა როგორც ქართულ ლიტერატურას საერთოდ, ისე წიგნსაცავებს, რომლებსაც ისინი მეურვეობდნენ. გარეჯის კომპლექსში გაჩაღებულმა სამნიგნობო მოღვაწეობამ XVIII საუკუნის შუა ნლებისთვის აქ მეტად მდიდარი ბიბლიოთეკის შექმნას შეუწყო ხელი. გარეჯის წიგნებით სარგებლობდნენ ნარჩინებული საერო და სასულიერო მოღვაწენი.

ცნობილია, რომ დავით გარეჯის კომპლექსში სამ მონასტერს თავისი საკმაოდ დიდი ბიბლიოთეკა ჰქონდა - დავითის ლავრა,

იოანე ნათლისმცემლის და დოდოს მონასტრები. საბოლოოდ ისი-
ნი გაერთიანდნენ და ამგვარად საკმაოდ დიდი ბიბლიოთეკა შეიქმნა,
რომელსაც მოცულობითა და მნიშვნელობით საქართველოში
იმ პერიოდში ბადალი არ ჰყოლია. აქედან დიდხანს მარაგდებოდა
წიგნებით აღმოსავლეთ საქართველოს ბევრი სამონასტრო ბიბლი-
ოთეკა.

ის ფაქტი, მრავალგზის დარბევა-აოხრების შემდეგ ამ ბიბლი-
ოთეკებიდან ჩვენამდე მაინც ამდენმა წიგნმა რომ მოაღწია, გვა-
ფიქრებინებს, აქ ხელნაწერების დიდი თავმოყრა უნდა ყოფილი-
ყო, როგორც ცნობილია, გარეჯის დაქცეულ ნაგრევებში XIX
საუკუნის მეორე ნახევრამდე მრავალი წიგნი ყოფილა მიმოფან-
ტული სრულიად უპატრონოდ. ილია ჭავჭავაძე აღირთოვანებით
შეხვდა მათ აღმოჩენას. იგი „ივერიის“ ფურცლებიდან ამცნობდა
ქართველ ხალხს: „დავით გარეჯის მონასტერში ასზედ მეტი წიგ-
ნი აღმოჩნდა და მათ შორის ზოგი იმისთანაა თავისი სიძველით,
რომ ფასდაუდებელიაო“. 1886 წელს აქ 110 ხელნაწერი ჯერ კიდევ
ინახებოდა.

კახეთში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ცენტრს აღავერდის მო-
ნასტერი წარმოადგენდა. ისიც არაერთხელ დაურბევია მტერს,
მინისძვრა და დიდი ხანძარიც გადაუტანია, მაგრამ ყოველთვის
მშვიდობიანობის დადგომის დროს თავდადებული საქმიანობა
იმართებოდა აღსადგენად. ამ მიდამოებში თურქმანთა ტომები ჩა-
მოასახლეს, რაც ქრისტიანული კულტურის წალენჯიხას ნიშნავდა.
1659 წელს კახეთის აჯანყებამ აღვეთა ეს საშიშროება, მაგრამ
ტაძარს დიდხანს არ გაუხარია. მინისძვრამ საგრძნობლად შეარ-
ყია. ბევრს ეცადა თეიმურაზ მეორის მეუღლე – დედოფალი თამა-
რი და მისი ვაჟი – უკვე მეფე ერეკლე II ამ ტაძრისათვის ყოფილი
დიდება დაებრუნებინათ, მაგრამ აღავერდი ვეღარ იქცა ძველე-
ბურ მძღავრ საეკლესიო და კულტურის ცენტრად. აქ ერთ დროს
დიდი შრომა იქნა განეული წიგნების გადაწერა-გადანუსხვისა და
მათი დაკაზმვა-განახლებისათვის. აქ ხდებოდა ელჩების მიღება,
სახელმწიფო დოკუმენტების შედგენა, რაც ბიბლიოთეკაში იყრიდა
თავს. აქ შექმნილი ხელნაწერები გვაფიქრებინებს, რომ აქაურობა
საკმაოდ შთამბეჭდავი იქნებოდა. XIX საუკუნის დასაწყისიდან ის
უბრალო სასულიერო-საეკლესიო დაწესებულებად ოქცა, სადაც
ბიბლიოთეკის მხოლოდ ნარჩენებიღა შემორჩა.

აღმოსავლეთ საქართველოში XIII-XVIII საუკუნეებში, მიუხედა-
ვად უმძიმესი პლიტიკურ-ეკონომიკური ვითარებისა, სტიქიური
უბედურებისა, მრავალგზის შევიწროვებისა, კულტურულ-სა-
განმანათლებლო საქმიანობას არ წყვეტდნენ ადრე დაარსებული



და ოდესლაც აღორძინებული ბიბლიოთეკები, მათი რესურსებითაც მნიშვნელოვნად დაკინდა, მაგრამ თითქმის XIX საუკუნის ზამთრისა დეგამდე ისინი მაინც აგრძელებდნენ კულტურულ-სამწიგნობრო საქმიანობას მეტ-ნაკლები წარმატებით. წიგნების გადაწყვა-გა-დაუსხვა, მათი შეგროვება და დაუნჯება მუდამ გრძელდებოდა. ნიშანდობლივია, რომ საქართველოში არ ყოფილა თითქმის არც ერთი ეკლესია-მონასტერი, წიგნების შეგროვება-დაცვაზე რომ არ ეზრუნოს, რა მოცულობისა არ ყოფილიყო ის, ან რამდენად ხალხ-ნაკლულ ადგილას არ უნდა ყოფილიყო გაშენებული. ამგვარ ნიმუ-შად შეიძლება მივიჩნიოთ, მაგალითად, ნეკრესი, რომელიც რთუ-ლად მისადგომ ტერიტორიაზეა, მაგრამ ადრე ხალხმრავლობით გამოირჩეოდა. თავის დროს ის საკმაოდ დაწინაურებული ყოფილა; ავტედობის შედეგად საგრძნობლად შეირყა, მაგრამ სამწიგნობ-რო საქმიანობა არ შეუწყვეტია. როგორც ეპარქია, იგი საკმაოდ ძლიერ ცენტრს წარმოადგენდა. ეს ეპარქია 1811 წლამდე არსე-ბობდა. XVIII-XIX საუკუნეებში აქ მრავალ თვალსაჩინო ადამიანს უმოლვანია. საერთოდ, აღსანიშნავია ნეკრესული ხელნაწერების სიუხვე, რაც აქ კარგი წიგნსაცავის არსებობაზე მიგვანიშნებს. დაახლოებით იმავეს თქმა შეიძლება ბოლნისის, რუისისა და ურბ-ნისის ტაძრებზე.

რუისში დიდი სამონასტრო ბიბლიოთეკა არსებულა, რასაც აქ მოპოვებული ხელნაწერები მონმობენ. რუისი და ურბნისი დიდ-ხანს ინარჩუნებდნენ ეპარქიას, რაც ასევე 1811 წელს რუსეთის ომპერიულმა მთავრობამ გააუქმა. ურბნისში უმოლვანია XVI სა-უკუნის თვალსაჩინო შემოქმედს ვლასი ურბნელს. მისი და მისი მონაცეების სახელთან არის დაკავშირებული მრავალი წიგნის გადაწყვა-გადაუსხვა, მათი დაცვა-გადარჩენა. ამ მხრივ დიდი ღვანლი გასწიეს აგრეთვე ევდემოზ რატიშვილმა და იოსებ ურბ-ნელმა. ცნობილია, რომ ურბნისში საკმაოდ მოზრდილი ბიბლი-ოთეკა ყოფილა.

ქართლში ნაყოფიერ საქმიანობას განავრძობდა სამთავისის მონასტერი. აქ უმოლვანიათ XVI – XVIII ს.ს. წიგნიერების თვალ-საჩინო წარმომადგენლებს – კვირიანე სამთავნელსა და ანტონ პირველს. ამ მონასტრებს მხარს უბამდა ქვათახევის ტაძარიც. აღ-სანიშნავია, რომ აქაურობა XVIII საუკუნეში მსხვილ დასახლებულ პუნქტს წარმოადგენდა.

ასევე არ ნყვეტდა აქტუალურ საქმიანობას უძველესი წილკნის მო-ნასტერი. საკმაოდ დიდი ბიბლიოთეკის არსებობაზე მეტყველებს აქ მრავალი ხელნაწერის აღმოჩენა. წილკანში უმოლვანიათ წიგნის თვალ-საჩინო გადამწერებს – ზაქარია მიქაელს, იოსებ სამებელსა და სხვ.



საქართველოში ყველგან, ყოველ მხარეში არსებობდა ტრიუმფული თუ პატარა ბიბლიოთეკა ძველი ქალაქებისა თუ სოფლების ეკლესია – მონასტრებში, რომლებშიც შესაფერისი მწიგნობრული მოღვაწეობა სწარმოებდა, მოყოლებული ადრეული ფერდალური ხანიდან, შემდგომ ეტაპების ჩათვლით; მაგრამ ამ თვალსაზრისით, ცხადია, ყველაზე მნიშვნელოვან როლს თბილისი ასრულებდა. მას შემდეგ, რაც მან უცხო ტომთა ბატონობას დააღწია თავი, მართლია, პირველ ხანებში ვერ მოახერხა ისე აღორძინებულიყო, რომ სათავეში ჩასდგომიდა ქართული კულტურის განვითარებას, მაგრამ შემდეგ, როცა ქვეყანას სრული კულტურული განადგურება ემუქრებოდა, იძულებული შეიქმნა, ეს მძიმე ტვირთი სწორედ მას ეკისრა. ეს ქალაქი ძალიან მაღლე იქცა კულტურულ-მწიგნობრული მოძრაობის საყოველთაო ცენტრად.

თბილისის სასულიერო ცენტრები პოლიტიკური დაქვეითების დროსაც, სხვებთან შედარებით, უკეთ ახერხებდნენ კულტურულ-საგანმანათლებლო და სამწიგნობრო მიმართულებით ემოღვანათ. ამ პერიოდში თბილისის ეკლესია-მონასტრებმა მოახერხეს საბიბლიოთეკო ტრადიციების შნარჩუნება, მიუხედავად იმისა, რომ მონღლოლებმა ტროფეის სახით მრავალი წიგნი გაიტაცეს ქალაქიდან; მაგრამ ამ დარბევებმა უკვე თავისი დამაქცეველი როლი ითამაშეს – XVIII საუკუნემდე თბილისმა ვერ შეძლო რაიმე მნიშვნელოვანი კვალი დაეჩინა საქართველოს კულტურულ-მწიგნობრულ და საბიბლიოთეკო საქმიანობაზე. აღორძინების დასაწყისი ემთხვევა დიდი განმანათლებლის, მეცნიერის, მწიგნობრისა და მწერლის – ვახტანგ მეექვსის მეფების პირველ პერიოდს, როცა ქვეყნად დროებით ჩამოვარდა სიმშვიდე. მეფემ დიდი ჯაფის შედეგად შეძლო საქართველოში პირველი სტამბის დაარსება. პირველად სწორედ აქ დაიბეჭდა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, მეფის ბრძანებით მთელ საქართველოში დაიგზავნა მონოდება, შეერიბათ სადმე თუ ეგულებოდათ ხელნანერები და მიენოდებინათ სასახლისათვის ან საქათალიკოსოსათვის, რის სანაცვლოდ დაბეჭდილ წიგნებს გასცემდნენ.

მეფის კარზე უამრავმა ხელნანერმა მოიყარა თავი. გადაწყდა, ცალკე საცავი აგებულიყო, არსებობდა რამდენიმე მოსაზრება, მაგრამ ამ პროექტისათვის სიონის ტაძარი ამჟობინეს, სადაც ცალკე უნდა აშენებულიყო ბიბლიოთეკა. არეულობისა და ვახტანგის რუსეთში გადახვენის შედეგ, შეგროვილი წიგნები დაიფანტა. ბევრი რებმა საფრანგეთში წაიღეს, უმეტესობა მოღალატე ბატონიშვილმა იასემ დაწვა, დიდი ნაწილი რომელილაც ამილახვარმა გაიტანა რუსეთში 1795 წელს აღა-მაჰმად-ხანის შემოსევამ თით-



ქმის ბოლო მოუღო მას, ხოლო რაც გადარჩა, ერეკლეს გარდაცვალის ვალების შემდეგ, საფიქრებელია, რომ მდვდლებმა და ბიბლიოთეკარმა პავლე დეკანოზმა იმ ფონდს შეუერთეს, რომელიც სიონის ბიბლიოთეკაში იყო დაცული.

სიონის ბიბლიოთეკის დაარსება თბილისის მიტროპოლიტი იოსებ სააკაძეს (თბილელს) მიეწერება, რაც დასტურდება ერთ-ერთ ქვაზე ამოკვეთილი წარწერით.

ეს არის საბიბლიოთეკო საქმის ისტორიაში პირველი ცდა საქართველოში დამოუკიდებელი, საყოველთაო ხმარებისათვის განკუთვნილი ბიბლიოთეკის შექმნისა, რაც ბედის უკუღმართობის შედეგად ვერ განხორციელდა. XVIII საუკუნის დასაწყისისათვის წიგნადი ფონდი სავსებით დაშლილი ჩანს. არის საფუძველი დავასკვნათ, რომ სიონის ბიბლიოთეკა დომენტი კათოლიკოსის ძალისხმევით კვლავ ამოქმედებულა, მაგრამ მისი შემდგომი საქმიანობის შესახებ ცნობები არ მოიპოვება; ცნობილია, რომ აქ ბიბლიოთეკა XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე არსებობდა, რაც ისტორიული ფაქტია. 1860 წელს ეგზარხოს ევსევის ბრძანებით ამ ბიბლიოთეკის შენობა დაუნგრევიათ. რუსიფიკატორი ეგზარხოსისათვის, ცხადია, ქართული წიგნების ბედი საკითხავი არ იყო და უმეტესი მათგანი დაიკარგებოდა. რაც გადაურჩა ბედისწერას, ბოლოს უკვე ახალ ქართულ სახელმწიფოს ჩაბარდა. თავისი მნიშვნელობით ეს ფონდი რაიმე განსაკუთრებულ თავისთავად არ წარმოადგენდა, თუმცა მათი არსებობა ქართული კულტურისათვის უდავოა.

ვახტანგ მეექვსის მიერ მიღწეული კულტურული საქმიანობის დაქვეითება კვლავ ინყებს აღორძინებას XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც საქმეს სათავეში კათოლიკოსი ანტონ პირველი – მნიგნობარი, მრავალმხრივი მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე, ცნობილი მეცნენატი – ჩაუდგა სათავეში. მან დიდი კვალი დააჩნია მწერლობის განვითარების საქმეს. ამ პერიოდში მოღვაწეობდა აგრეთვე ცნობილი საეკლესიო მოღვაწე ზაქარია გაბაშვილი, რომელიც რელიგიურ საკითხებში ანტონ პირველს უპირისისპირდებოდა, მაგრამ ეს მას ხელს არ უშლიდა, წიგნისა და წიგნიერებისათვის ეზრუნა და ხელი შეეწყო ქართული კულტურის აღორძინებისათვის.

ამ პერიოდში და ცოტათი უფრო მოგვიანებითაც საკულტო დაწესებულებებში კულტურულ-საგანმანათლებლო და წიგნიერების საქმეში ჩაბმული იყვნენ დიდოსტატები: კალიგრაფი და მთარგმნელი ისაკ მცირე, იესე სიონელი, ნიკოლოზ მიქაელ და ქართული კალიგრაფის სკოლის ბრწყინვალე წარმომადგენლები მესხიშვი-



ლებისა და ჩაჩიკაშვილების ოჯახებიდან. ისინი ძირითადად აზა
ჩისხატში, სიონსა, მეტეხსა, ჯვრის მონასტერში მოღვაწეობდნენ,
სადაც ბიბლიოთეკები არსებობდა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვან კულტურულ კერძებს წარ-
მოადგენდა ის სასულიერო დაწესებულებები, სადაც სკოლებიც
იყო. ცხადია, ისინი ბიბლიოთეკების გარეშე ვერ დარჩებოდნენ.
ნიგნები სწავლების უპირველეს იარაღს წარმოადგენდა იმ დროს,
აქ, უპირველეს ყოვლისა, საღმრთო წერილს ასწავლიდნენ. X სა-
უკუნიდან სკოლები ბიზანტიური სისტემით იყო გამართული,
როგორც, მაგალითად, პეტრიწონის სკოლა. ამ სკოლის გამაგრძე-
ლებლად საქართველოში გელათის მონასტერი გამოდის მისი აკა-
დემიით, მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეებში სკოლები სხვა-
დასხვა პუნქტებშიც იხსენებოდა. იყალთოში ამ სისტემით აკადემია
მოქმედებდა, ვარაუდობენ, რომ გრემშიც. ამ სასწავლებლებში იმ
პერიოდში მსოფლიოში ყველაზე მეტად გავრცელებულ საგნებს
ასწავლიდნენ.

როცა ქვეყნის დაქვეითების ხანა დადგა, სწავლა-აღზრდისა და
საბიბლიოთეკო მოღვაწეობის საქმეც დაქვეითდა, მაგრამ შემდეგ
ახალი აღორძინების დროს – XVIII საუკუნის II ნახევარში, საგრძ-
ნობლად გაუმჯობესდა.

1755 წელს ანჩისხატის ეზოში გაიმართა სემინარია, რომელიც
ნიგნებით ამარაგებდა მოსწავლებს ადგილზე მოხმარებით. 1758
წელს ერეკლე II-ის ინიციატივით თელავშიც დაარსდა სკოლა, სა-
დაც სრულწლოვანებიც უუფლებოდნენ ცოდნას. ამ სკოლის ბაზა-
ზე 1782 წელს გაიხსნა მოსკოვის სლავურ-ლათინური აკადემიის
ყაიდის სასწავლებელი.

თბილისის სემინარიის გახსნამ სტიმული მისცა, რომ სხვადას-
ხვა მონასტრებს პირველდაწყებითი სკოლები შეექმნათ. ასეთი
სკოლები გაიხსნა სიონში, მეტეხში, კალოუბანში, ანჩისხატში, XII
საუკუნის მეორე ნახევარში ამგვარი სკოლები მთელ საქართვე-
ლოს მოედო. ცხადია, ეს ხელს უწყობდა საეკლესიო-დაწესებულე-
ბებში ბიბლიოთეკების მომრავლებასაც.

არსებობდა აქა-იქ კერძო სკოლებიც, ძირითადად, წარჩინებულ
ბანოვანთა ინიციატივით შექმნილი. ამგვარი რამ ქმნიდა ნიადაგს
საბიბლიოთეკო ქსელის გასაფართოებლად.

გვიანთვეოდალურ ხანაში დასახლებულ პუნქტებში მოსახლე-
ობის მომრავლებამ საქალაქო ცხოვრების გაფართოება გამოიწვია,
რასაც მოჰყვებოდა მრავალი სიახლის დაწერგვა, განსაკუთრებით
სასწავლო -საგანმანათლებლო და სამწიგნობრო საქმის თვალსაზ-
რისით. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველო-



ში კერძო-საოჯახო ბიბლიოთეკების ტრადიციის აღორძინებული განვითარება. საჯარო ბიბლიოთეკების თანაბრად ჩნდება დიდგვაროვანთა საოჯახო ბიბლიოთეკები. კერძო ბიბლიოთეკებში დაცული იყო როგორც სასულიერო, ისე საერო ხასიათის ნიგნები. ამგვარი ბიბლიოთეკები ჰქონდათ როგორც საერო, ისე სასულიერო პირებს.

კერძო ბიბლიოთეკების არსებობაზე მეტყველებს უამრავი წარწერა, რომლებზედაც მათი მფლობელების სხვადასხვა ხასიათის წარწერებია გაკეთებული. ჩვეულება იყო კერძო პირთაგან წიგნებზე წანაწერების გაკეთება-ჩუქების, სხვადასხვა გადაცემის, მათი მოვლა-დაცვისა და სხვა. ამგვარი შინაარსის წიგნების მზითვებში გატანება ძვირფას სარიტუალო ჩვეულებას წარმოადგენდა.

ამგვარი რამ ჯერ კიდევ ადრეცენდალურ ხანაშიც იკიდებს ფეხს. ცნობილია, დავით აღმაშენებელი თავის საგანძურში უამრავ მნიშვნელოვან წიგნს ფლობდა. მისი მაგალითი მისაბაძი იყო სხვა მეფე-თავადებისათვის, სწავლულთა და დიდ სასულიერო მოღვაწეთათვის. ეს ტრადიცია განაგრძობდა არსებობას შემდგომ ეტაპზეც, კერძოდ, გვიანეულ ფეოდალურ ხანაში. სულხან-საბა ორბელიანის ცნობით, ვახტანგ მეხუთეს საჯარო წიგნსაცავში უცხოური წიგნებიც კი ჰქონია. გადმოცემითაა ცნობილი, რომ ერეკლე მეფესაც ჰქონდა კარზე დიდი წიგნსაცავი. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ მას 40-მდე წიგნი აქვს აღნიშნული მზითვების ნუსხაში, რომელიც ქალიშვილს გაატანა.

ისტორიულადაა ცნობილი, რომ პირად საკუთრებაში ვასტანგ მეექვესესაც დიდი კერძო ბიბლიოთეკა ჰქონდა; ასევე მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონდა ანტონ პირველსაც, იესე ბარათაშვილს, კათოლიკოს დომენტის, თემურაზ ბატონიშვილს, დავით რექტორს და სხვებს. საგულისხმოა ის საგვარეულო ბიბლიოთეკები, რომლებიც სხვადასხვა დროს იქმნებოდა საქართველოში: ბაგრატიონთა, გურიელთა, დადიანთა, მუხრან ბატონის, ციციშვილთა, წერეთელთა, თუმანიშვილთა, ჩუბინაშვილთა, აბაშიძეთა და სხვ. ეს ბიბლიოთეკები ა.ჯანაშიას ტერმინით, ძირითადად, „შერეული ტიპის“ ბიბლიოთეკებს წარმოადგენდნენ, სადაც თავმოყრილი იყო როგორც სასულიერო, ისე საერო (სამოქალაქო) წიგნები.

ცნობილია, რომ პირადი ბიბლიოთეკები დიდ როლს თამაშობდნენ, განსაკუთრებით გვიანი ფეოდალური ხანის მიწურულს და სასულიერო დაწესებულებათა დაქვეითების, ქვეყნის პოლიტიკური დაცემულობის პერიოდში. ამ ბიბლიოთეკებმა უდიდესი როლი შეასრულეს მომდევნო ეტაპის საბიბლიოთეკო საქმის ისტორიაში ხალხის წიგნიერების, კულტურისა და განათლების შენარჩუნე-



ბისა და განვითარების საქმეში, მაგრამ გვიანფეოდალურ ხანები
ჯერ კიდევ არ დამდგარიყო ის დრო, როდესაც საერო ტიპის ბიბ-
ლიოთეების მთელი სისტემა აქტიურად ჩაერთვებოდა ქვეყნის
სასწავლო-საგანმანათლებლო, კულტურისა და წიგნიერების გან-
ვითარების საქმეში.

მთელ ამ პერიოდში მაინც განსაკუთრებულად გამოირჩევა
საეკლესიო-სამონასტრო და სასწავლებლების ბიბლიოთეკების
მოღვაწეობა. ყოველივე ამას თუ დავუმატებთ გვიანფეოდალუ-
რი ხანის ბიბლიოთეკების რაოდენობას და მოცულობას, ნათელი
გახდება, ისტორიის ამ მონაკვეთში, განსაკუთრებით მის დასკვ-
ნით ეტაპზე, რაოდენ დიდი წიგნადი პროდუქცია ყოფილა მოდე-
ბული მთელ ქვეყანას. ისიც გასათვალისწინებელია, რომ საკმაოდ
მდგრადი იყო მათი გამრავლება-დაცვის ტრადიციები. ეს გვიჩვე-
ნებს, რა დიდი სულიერი სიმდიდრე იყო დაუნჯებული დიდ თუ პა-
ტარა ბიბლიოთეკებში, რომლებიც განუზომელ როლს ასრულებ-
დნენ ქვეყნის კულტურულ-საგანმანათლებლო და სამწიგნობრო
საქმიანობის განვითარებაზე, რაზედაც მთლიანად იყო დამოკიდე-
ბული ქვეყნის პოლიტიკურად არსებობა.

გამოყენებული ლიტერატურა

კეკელიძე კ., ბარამიძე ა. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია
(V-XVIII ს.ს.) – თბ. 1969.

ლორია ა., გურგენიძე ნ. საბიბლიოთეკო საქმე საქართველოში:
(1921 წლამდე) – თბ. 1974.

მენაბდე ლ. ძველი ქართული მწერლობის კერები – ტ.1.; ნაკვ.2. – თბ.
1962.

ქართული საბჭოთა ენციკლოპედია: 1-11. – თბ. 1975-1987

ჯანაშვილი მ. ქართული წიგნი და ქართული ბიბლიოთეკა // მარქსის
სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის მრომები: ტ.5. – თბ. 1940.



ნოდარ გრიგორაშვილი

ი. გრიგაშვილის პირლიოთეპა-მუზეუმი

საქართველოს სახალხო პოეტმა – აკადემიკოსმა ი. გრიშაშვილმა მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა დატოვა. 1904-1963 წლების განმავლობაში ჩვენმა სასოქადულო პოეტმა და მოღვაწემ დიდი შრომისა და გარჯის შედეგად შექმნა უმდიდრესი ბიბლიოთეკა. აქ დაცულია ძვირფასი ლიტერატურა, მრავალი უნიკალური გამოცემა. მისმა ნიგნადმა ფონდმა და პერიოდიკამ 60 000 ერთეულს მიაღწია. მთლიანად ფონდი (მხედველობაში გვაქვს ნიგნებისა და პრესის გარდა, ძველი თბილისის ამსახველი ეთნოგრაფიული ნივთები, ძველებური ვერცხლის ქამარ-ხანჯლები, ფოტომასალა, სახვითი ხელოვნების ნიმუშები, თეატრის აფიშები, პროგრამები, ნოტები, ფირფიტები და სხვადასხვა სამუზეუმო სიძღველები) 100 000 ერთეულს აღემატება. ყოველივე ეს სულიერი სიმდიდრე ი. გრიშაშვილმა უსასყიდლოდ გადასცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას.

ნიგნებს დიდი სიყვარულით აგროვებდა. თითქმის ყოველდღე დადიოდა ბუკინისტურ მაღაზიებში, კვირაობით ნიგნების ბაზრობებზე საბურთალოზე; რუსეთში ყოფნისას – მოსკოვის და ლენინგრადის ბუკინისტურ მაღაზიებში, და მოპქონდა უამრავი ძველი და ახალი ნიგნები და უურნალები, გულდასმით ათვალიერებდა, კითხულობდა.

ნიგნების გაცვეთილ ფურცლებს ფაქიზად და დიდი გულმოდგინებით აღადგენდა ხოლმე თხელი პაპიროსის ქაღალდზე დაწებებით, ხმარებისგან გაცვეთილი და დაზიანებული ნიგნების „სამკურნალოდ“ ჰქონდა ყველა საჭირო მასალა. სახამებლისაგან გაკეთებულ წებოს ხმარობდა ყოველთვის, ქაღალდის ფურცლებს არ აყვითლებსო. ქაღალდის საჭრელი გრძელი მაკრატელი, წებო, სადგისი, მუყაო და სხვ. მუდამ ჯიბით დაპქონდა სპეციალური სია, სადაც მითითებული ჰქონდა, რომელი ნიგნი ან უურნალი უნდა

ეშოვნა პირველ რიგში. თუ მის ბიბლიოთეკას რომელიმე ჟურნალის ნომერი აკლდა, ვერ მოისვენებდა, სანამ არ იშოვიდა და კომპლექტს არ შეავსებდა. მას დიდი ინტუიცია ჰქონდა. ნიგნების გროვაში სწორედ იმ ნიგნს ნააწყდებოდა, რომელიც მას აინტერესებდა და პატარა ბავშვივით გახარებული ბუკინისტს ექსპრომტს ეტყოდა:


როცა ახალ წიგნს ვყიდულობ,
ვხტი და ვცმუკავ, როგორც ბავშვი,
ისე არსად მელექსება,
როგორც ამ ჩემს წიგნთსაცავში.

განსაკუთრებით უყვარდა ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეული პატარა წიგნები, რომლებსაც „სემიჩკას“ ეძახდა. ი. გრიშაშვილმა შეიძინა, შეაგროვა ისეთი წიგნები და პერიოდიკა, რომლებსაც ვერ შეხვდებით ვერც ერთ ბიბლიოთეკაში. „ქართული წიგნის ბიბლიოგრაფიის“ | ტომში, რომელშიც აღრიცხულია 1629-1920 წლებში გამოცემული ქართული წიგნები, არ არის შეტანილი 240-ზე მეტი დასახელების გამოცემა, რომლებსაც შემდგენლებმა ვერ მიაკვლიეს საქართველოს და რუსეთის დიდ წიგნსაცავებში და დაცულია ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში.

ლ. თაქთაქიშვილის და ტ. მაჭავარიანის შედგენილი, 2008 წელს გამოცემული „საქართველოს ეროვნული ბიბლიოგრაფია“, რუსულ ენაზე გამოცემული წიგნადი გამოცემები, – ტ.1. 1737-1917; აღნუსხულია ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში დაცული 1460 ეგზემპლარი.

პოეტს დაუცავს, შემოუნახავს ისეთი წიგნებიც, მეფის მთავრობის ცენზურას აკინძვისთანავე რომ აუკრძალავს და გაუნადგურებია, ი. გრიშაშვილს კი როგორდაც მოუხერხებია მათი დაცვა, გადარჩენა, ფურცლები აუწყვია და წიგნად აუკინძავს.


მაგალითად, იშვიათობას წარმოადგენს კრებული „ნიავი“. კრებულისათვის თავთურცელი და კანი გაუკეთებია და თავთურცელზე დაუწერია: „ერთადერთი ეგზემპლარი, ი. გრიშაშვილის საკუთრება. სალიტერატურო კრებული. კ. თუმანიშვილის გამოცემა. 1908 წელს ეს წიგნი აკრძალულ იქმნა და სულ არ გამოსულა. მე შევიძინე ცალ-ცალკე ფურცლებიანად ასოთამწყობ დ. კილაძის შემწეობით.



ბიბლიოთეკა-მუზეუმის სტენდი

ა. წერეთლის „ჩემი ნაწერების“ მე-2 წიგნი, 1913 წელს გამოსაცემად და დასაბჭეფლად გამზადებული, ცენზურის მიერ აიკრძალა, არ გამოცემულა პოემა „ვორონცოვის“ გამო, იმავე წელს დაიბჭედა ახალი გამოცემა პოემა „ვორონცოვის“ გარეშე. ეს ერთადერთი, „გამოუშიგნავი“, ეგზემპლარი დაცულია ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში.

ქართული წიგნებისა და უურნალ-გაზეთების გარდა ბიბლიოთეკაში მრავლად არის იშვიათი ლიტერატურა უცხო ენებზე. სრულადაა ნარმოდგენილი „ეფთხისტყაოსნის“ გამოცემები, დაწყებული ვახტანგისეული პირველი გამოცემიდან 1963 წლის გამოცემის ჩათვლით. მთლიანად არის დაცული ძველი თბილისის ფოლკლორული ლიტერატურა. ბევრია გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეების, მწერლების, მეცნიერების წიგნები მათივე ავტოგრაფებით. მაგალითად, ალ. ორბელიანის, პლ. იოსელიანის, ი. ჭავჭავაძის, ი. ტურგენევის, რაფ. ერისთავის, ა. ყაზბეგის, ვაჟა-ფშაველას, ი. მაჩაბლის, დ. ერისთავის, ი. გოგებაშვილის, ნ. მარის, პ. უმიკაშვილის, ნ. ხიზანიშვილის, ე. თაყაიშვილის და სხვათა. ი. გრიშაშვილისადმი მიძღვნილი თანამედროვე მწერალთა და მეცნიერთა წიგნები წარწერებით: მაგალითად, ი. ჯავახიშვილის, კ. კეკელიძის, პ.



პიბლიოთეკა-მუზეუმის სტენდი

ინგოროვას, ა. შანიძის, ვ. ბარნოვის, მ. ჯავახიშვილის, ო. ფორშის, ო. თუმანიანის, ბ. პასტერნაკის, ტ. ტაბიძის, ა. ისააკიანის, კ. გამსახურდიას, გ. ლეონიძისა და ა. შ.

რუსულ ენაზე გამოცემული მხატვრული ლიტერატურის საგანძურიდან აღსანიშნავია XVIII საუკუნის იშვიათი გამოცემები, XIX საუკუნის დიდი რუსი მწერლების სიცოცხლეშივე დასტამბული წიგნები. მაგალითად გ. დერჟავინის, ა. პუშკინის, ი. კრილოვის, ა. ოსტროვსკის, ნ. ნეკრასოვის, ი. ტურგენევის, ლ. ტოლსტოის, ა. ჩეხოვისა და ა. შ. სრულად არის წარმოდგენილი XX საუკუნის რუსი მწერლების : ვ. ბრიუსოვის, ა. ბლოკის, ა. ბელის, კ. ბალმონტის, ვ. მაიაკოვსკის, ს. ესენინის, ვ. ხლებინიკოვის, ა. ახმატოვას, ო. მანდელშტამის, მ. ცვეტაევას, ბ. პასტერნაკის და სხვათა პირველი გამოცემები.

დიდი საქმის ერთი ნაწილია ასეთი იშვიათი ფონდის შექმნა, და თავმოყრა, მეორე არანაკლებ მნიშვნელოვანია წიგნებზე, უურნალ-გაზეთებზე ის ლიტერატურულ-ისტორიული, საცნობარობიბლიოგრაფიული საკვლევაძიებო მუშაობა მინანერების, შენიშვნების, აღნერილობების სახით, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის, თეატრის, ძველი

თბილისის, კავკასიისმცოდნეობის, საერთოდ, კულტურისა და წერილობრივი უფლების ისტორიისათვის, ახსნილი და განმარტებულია მრავალი უცნობი ამბავი, მოვლენა, გაშიფრულია სხვადასხვა ტერმინი, ბიბლიოფილს ჩაუტარებია ლექსიკოლოგიური სამუშაოები, რომლის ნიმუშად გამოდგება მეტად საინტერესო – 1997 წელს გამოცემული „ქალაქური ლექსიკონი“. მისი ნაწერების უმრავლესობა, საკუთარი და თარგმნილი ლექსები, გამოკვლევები, ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები, იუმორისტული ნაწერები, ბიბლიოგრაფიული მიმოხილვები, კორესპონდენციები, ეპისტოლარული მემკვიდრეობა არ დაბეჭდილა და ფართო მკითხველი საზოგადოება დღესდღეობით მოკლებულია გაეცნოს მწერლის დიდ მემკვიდრეობას.

აქვე გაგაცნობთ ბიბლიოთეკა-მუზეუმში დაცულ რამდენიმე იშვიათ წიგნს.

ი. გრიშაშვილს ბუკინისტურ მაღაზიაში 200 მანეთად შეუძენია „ქართლის ცხოვრება“, დასაბამითგან მეცხრამეტე საუკუნემდის, ნაწილი მეორე. ახალი მოთხოვობა, 1469 წლიდგან, ვიდრე 1800 წლამდე, გამოცემული უ. ჩუბინოვისაგან. სანქტ-პეტერბურგის, 1854.“

ეს წიგნი იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ მისი მფლობელი იყო პოეტი, გრამატურგი, პუბლიცისტი და ისტორიკოსი, ერეკლე II -ის შვილიშვილი ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანი. წიგნის მრავალ გვერდებზე ალ. ორბელიანის მინაწერები და შენიშვნებია, იგი ასწორებს, აზუსტებს მემატიინების მიერ მოწოდებულ ისტორიულ ამბებს.

ბიბლიოთეკის მუზეუმში არის კიდევ ალ. ორბელიანის მეორე წიგნი მისივე ნაწარმოები „ბატონის-შვილის ირაკლის პირველი დრო. ტრაგედია 4 მოქმ. – ტფ; 1864წ.) წიგნი ეკუთვნოდა თვით ავტორს ალ. – ორბელიანს. კარგად არის შემონახული, ავტორს შესწორებები შეაქვს მთელ რიგ გვერდებზე. ეს წიგნი ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა. არსად არ არის აღნერილი, უცნობია.

შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ მე-14 გამოცემას, რომელიც თბილისში დაისტამპა 1899 წელს, თავფურცელზე დაბეჭდილი საგამომცემლო ცნობა: „მე-14 გამოცემა ვლადიმერ რომანის - ძე ყიფიანის მიერ“, ი. გრიშაშვილს შემოუხაზავს და მიუწერია: „ნამდვილად კი ეს წიგნი გამოსცა ზ. ჭიჭინაძემ ამ ყიფიანის საფარით. მერე ყიფიანმა თანხა ვერ ჩაიბარა და ჩხუბი ჰქონდათ. ეს წიგნი, რომელიც ღირდა 30 კაპ., ხალხში სწრაფად ვერ გასაღდა. კონკურენცია გაუწია კ. თავართქილაძემ, რომელმაც ამავე წელს ბათუმში გამოსცა „ვეფხისტყაოსანი“ 20 კაპიკად და ხალხმა კონს-



ტანტინე თავართქილაძის გამოცემა დაიტაცა (ნაამბობები მიხეილ გაჩეჩილაძისა. ი.გრ. 1934, 10/XII).

Г-жа Дрансе. Пленницы Шамиля. воспоминание. Пер. с франц. К Дзюбинского.-Тифлис, 1858, 193c.

შამილის გატაცებულ ილ. ორბელიანის და დ. ჭავჭავაძის ოჯახის ნევრებს შორის იყო დავით ჭავჭავაძის შვილების „გუვერნანტკა“, ფრანგი ქალბატონი დრანსე, რომელმაც აღნერა შამილთან გატარებული ტყვეობის დღეები. ეს ნიგნი მეტად პოპულარული იყო საზოგადოებაში. 1859 წლს მეორედ და მესამედ გამოიცა.

პირველი 1858 წლის გამოცემის ფორმაცზე ი. გრიშაშვილის მინანერია: „ამ იშვიათ ნიგნში მივეცი 60 მან. არტ. გაბუნიას თანდასწრებით. რა ტუტუცი ვარ. ამის ნაცვლად ვამლი მეყიდა არა სჯობდა?

ახ, ერთი აზრი მანუხებს მარად,
ჩემი ნიგნები, ჩემი ნიგნები!
ბიბლიოთეკა დარჩება ასე
და მე კი... მე კი აღარ ვიქნები.
„ჩემი ლექსიდან“ ი. გრ. 1939.6/IV.

Волфияская экспериментальная физика. С немец. подлинника на латинском языке сокращ. с которого на рос. язык перевел М. Ломоносов. спб, нмн. А.Н, 1760.34, 183c.

ნიგნი ეკუთვნოდა ცნობილ ისტორიკოსს პლატონ იოსელიანს.
ფორმაცზე: „Из книг Кандидата богословия Платона Иоселиани. 1825 г. октябре 19-20 дня. Спб.

И Тургенев Записки охотника ч.1.М, Изд. университет. типографии, 1852.

თავფურცელზე: „А. О. Фон-видерту на помять нашего знакомства в Петербурге. (Спб, 23 июль, 1854). От автора.

ი. გრიშაშვილმა დაიცვა რეპრესირებულ მნერალთა ნიგნები მათივე ავტოგრაფებით განადგურებისაგან. შინაურებისაგან გამიგია, რომ ნიგნები რძის ბიდონში ჩააწყო და თავის პატარა ბალში მინაში ჩამალა.

მ. ჯავახიშვილი. არსენა მარაბდელი რომანი – თბ., 1932

ფორმაცის მე-2 გვ. „დიდ პოეტს, მკვლევარს, ქართული სიტყვის ჭირისუფალს – სოსო გრიშაშვილს. მიხეილ ჯავახიშვილი 7/II-1933“.

მ. ჯავახიშვილი. გივი შადური. რომანი. – ტფ. 1929.

თავფურცელზე: „დიდ პოეტს და მეგობარს სოსო გრიშაშვილს. მ. ჯავახიშვილი 14.XII.31“.



საქართველოს

გრ. რობაქიძე. გველის პერანგი. რომანი, -ტფ, 1926.

ფორმაცზე: „ი. გრიშაშვილს -შუშპარა ლექსების ავტორს. გრ. რობაქიძე.“

15/X. 1926 . ტფილისი“.

ცისფერი ყანწები. სამხატვრო - სალიტ. ჟურნალი. ქუთაისი, 1916, №2.

კანზე: „რითმების ამირბარს. პ. იაშვილი“.

ა. ისააკიანი. აბულალა მარი. ყასიდი შვიდი სურა. თარგ. ტ. ტაბიძის. ტფ, 1931.

თავფურცელზე: „ძვირფას იოსებ გრიშაშვილს, რომელსაც შეუძლია ამ ნიგნის შეცდომების გაგებაც და დამალვაც. ტიციან ტაბიძე. 30/IV-1932 ნ. ქ. ტფილისი.“



პარმენ მარგველაშვილი

ოქსფორდის უნივერსიტეტი დაცული ძართული განპი

მსოფლიოს დოკუმენტირებული საგანძურის იუნესკოს ნუსხაში საქართველოში დაცული ნიმუშებიდან ოთხი ერთეულია შესული:

1. უძველეს ქართულ ხელნაწერთა კოლექცია;
2. ბერძნულენოვანი კულტურისათვის უმნიშვნელოვანესი ხელნაწერი მემკვიდრეობა;
3. ვახუშტი ბაგრატიონის საქართველოს გეოგრაფიული ატლასი
- და 4. ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა უძველესი ნუსხები.

უნდა აღვნიშნოთ ის უნივერსური გარემოება, რომ განცხადება იუნესკოს მსოფლიოს დოკუმენტირებული საგანძურის ნუსხაში ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა კოლექციის შესატანად ერთდრო-ულად ორმა ქვეყანამ გააკეთა – ინგლისმა და საქართველომ. საქ-მე ისაა, რომ ოქსფორდის უნივერსიტეტის ბოდლის ბიბლიოთეკის წიგნებისა და ხელნაწერების უორდროპისეული კოლექცია ქართველობისა მასალის ერთი ყველაზე გამორჩეული კოლექციაა საქართველოს ფარგლებს გარეთ და ითვლის მრავალ პირად წე-რილს, მოგზაურთა ჩანაწერებს, ქართული მუსიკის ნიმუშებს, იშ-ვიათ და გამორჩეულ წიგნებსა და ხელნაწერებს და მათ შორისაა რუსთველის პოემის მეჩვიდმეტე საუკუნის მდიდრულად დასურა-თებული ნუსხებიც.

ოქსფორდის უნივერსიტეტის ბოდლის ბიბლიოთეკის საცავებში დაცული ვეფხისტყაოსნის ორი უძვირფასესი დასურათებული ხელნაწერის შესახებ ბიბლიოთეკის ვებ გვერდი აკეთებს განმარტებას, რომ ვეფხისტყაოსნის ნუსხები არის ბოდლის ბიბლიოთე-კის კოლექციის მესამე განძი, რომელიც შეტანილ იქნა იუნესკოს საკაცობრიო დოკუმენტირებული საგანძურის ჩამონათვალში; რომ თავად ქართული ეპიკური პოემა თარიღდება გვიანი მეთორ-მეტე საუკუნით, როცა საქართველო აღწევს შუა საუკუნეებრი-ვი სოციალური, ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური

განვითარების პიკს; რომი 1904 წლის 10 მარტის დამოუკიდებელი დღის დასახური გამოიჩინება გასაოცარი ჰარმონიით, პოეტური მშვენიერებით და ელეგანტური ენით, რის გამოც მეტად რთულია მისი სხვა ნებისმიერ ენაზე თარგმნა და წარმოჩენა და რომ, სავარაუდოდ, ინგლისურენოვანი საზოგადოების ვეფხისტყაოსანთან დაახლოების ყველაზე დიდ და მნიშვნელოვან მცდელობას წარმოადგენს მარჯორი უორდროპისა და მისი ძმის, ოლივერ უორდროპის ძალისხმევა.


სერ ოლივერ უორდროპი საქართველოში 1887 წლის აპრილში „ოქროს საწმისის ქვეყნის“ შესასწავლად ზღვით შემოვიდა და



23 წლის ახალგაზრდამ რუსეთის იმპერიის ქუთაისისა და თბილისის გუბერნიებში მოგზაურობის შთაპეჭდილებები და დაკვირვებები, სათაურით – „საქართველოს სამეფო, მოგზაურობა ბანოვანთა, ღვინისა და სიმღერის ქვეყანაში“, უკვე 1888 წელს ლონდონში, ინგლისურ ენაზე შესანიშნავ ნიგნად გააცნო სამყაროს. ძმის გავლენით საქართველოს სამეფოთი დაინტერესდა მისი უმცროსი დაც – 18 წლის მარჯორი, რომელმაც მარი ბროსეს ქართული ენის თვითმასწავლებლისა და ქართულენოვანი ბიბლიის დახმარებით, დამოუკიდებლად დაინყო ქართული ენის შესასწავლა. 1891 წლისათვის ის უკვე ისე გაინათა, რომ ვეფხისტყაოსნის ინგლისურად თარგმნას შეუდგა. თარგმანის პირველი ვარიანტი, როგორც თავად წერს, 1898 წლის ნოემბრის პირველ რიცხვებში ქერჩში დაასრულა, მთელი მომდევნო დრო კი, 1909 წლამდე, ანუ სიცოცხლის ბოლომდე, ამ შრომის დახვენას დაუთმო. მარჯორი უორდროპის უდროო გარდაცვალების შემდეგ, საყვარელი დის 18 წლის ნაღვანი ოლივერმა წინასიტყვაობითა და დამხმარე სამეცნიერო მასალით აღჭურვა, 1912 წელს ნიგნად გამოსცა და ამით, როგორც თავად აღნიშნავს, ოლივერ და მარჯორი უორდროპებმა „ინგლისურენო-

ვანი საზოგადოება და მკითხველი გაამდიდრეს წიგნით, რომელიც
არის დიდი წარსულის მქონე კულტურული ხალხის სულის სარეკო

მადლიერებით უნდა გავიხსენო ოქსფორდის უნივერსიტეტის
ბოდლის ბიბლიოთეკა, რომელმაც 2002 წლის შემოდგომაზე სანი-
მუშოდ მიმასპინძლა, სამეცნიერო კვლევის შესანიშნავი პირობები
შემიქმნა, ხელნაწერთა მინიატურების საგამომცემლო მიზნები-
თან მისადაგებული ელექტრონული სახე დამიმზადა და კვლევის
შედეგების გამოქვეყნების ნება დამრთო. დიდი კმაყოფილებით
აღვინიშნავ იმასაც, რომ წილად მხვდა ბედნიერება ბიბლიოთეკის
თანამშრომლების თანხლებით დამეთვალიერებინა უორდოპების
ფონდის საცავი და იქ თავმოყრილი საგანძურო. საცავში სათუ-
თად დაცული ნიმუშებიდან ჩემთვის მეტად მნიშვნელოვანი აღ-
მოჩნდა 1887 წელს გრიგოლ ჩარკვიანის მიერ დასტამბული მცირე
(A5) ფორმატის ვეფხისტყაოსანი, რომელიც 1891 წელს მარჯორი
უორდოპას ჯერ დაუშლია და შემდეგ იგი სამუშაო წიგნად აუკინ-
ძავს ისე, რომ დასტამბული ტექსტის ყოველ ფურცელს სუფთა
ფურცელი მოსდევს. მათზე მარჯორის ხელით, ქართულ თუ ინგ-
ლისურ ენაზე დატანილია არაერთი შენიშვნა, ზოგიერთ მათგანზე
თარგმანის ნიმუშებიცაა, პოემის სტროფებიც მარჯორის ხელი-
თაა გადანომრილი და ასზე მეტი აფორიზმი ფანქრით საგანგე-
ბოდაა გხაზული. აშკარაა, რომ მარჯორი პოემას ამ გამოცემის
მიხედვით თარგმნიდა. წიგნის სატიტულო ფურცელზე ოლივერის
ხელით გაკეთებული განმარტება კი ადასტურებს, რომ ეს წიგნი
განუყრელად, როგორც მისი „გულის მესაიდუმლე“, ყველა თან
ახლდა მარჯორის. წიგნი საფხეა სხვადასხვა ქვეყანასა თუ მხარეში
დაკრეფილი მინდვრის პატარა ყვავილებით – ყოველი მესამე თუ
მეოთხე ფურცლის შემდეგ მოთავსებულია ერთმანეთისაგან გან-
სხვავებული გამხმარი ყვავილი, ან თეთრი ლამაზი ბაფთით შეკ-
რული კონა ძალზე პატარა ყვავილებისა. არ გამოვრიცხავ, რომ
ვეფხისტყაოსანთან მინდვრის ყვავილების დაკავშირებისაკენ მას
ვეფხისტყაოსნის იმ მინიატურებიანმა ხელნაწერმაც უბიძგა, რომ-
ლის დასურათებებში მრავლადაა გამოყენებული, ხშირად არაპ-
როპორციულად დიდი, საგანგებოდ თამამად აქცენტირებული,
ბოტანიკოსის დაკვირვებული ინტერესის შეგავსად, დეტალებით,
ზოგან მწერებთან ერთად დახატული მინდვრის ყვავილები. ეს
ხელნაწერი, რომელიც ახლა უორდოპების ფონდში ინახება (ნუს-
ხა ჭ-17), მარჯორის 1890 წელს წერეთლებთან საჩერებში სტუმ-
რობისას უნდა ენახა, უორდოპების საკუთრებად კი ის დიდი ხნის
შემდეგ, ქართული კულტურის ამ მოამაგის უდროო გარდაცვალე-
ბის შემდეგ იქცა.



ჩემს მიერ ბოდლის ბიბლიოთეკაში ჩატარებული კვლევის შედეგები მხოლოდ 2013 წელს გამოქვეყნდა, მაგრამ სხვადასხვა მიმომართ ზეზთა გამო ამ გამოცემის პრეზენტაცია და ფართო საზოგადოებისათვის მიწოდება დღემდე ვერ მოხერხდა, ამიტომ ვფიქრობ, „მწიგნობარის“ მკითხველთათვის ინტერესმოკლებული არ იქნება ვეფხისტყაოსნის ოქსფორდში დაცული ნუსხების კვლევის შედეგების გაცნობა, მით უფრო, რომ ორიგინალში ჭ-27 ნუსხას აქამდე მხოლოდ ექვთიმე თაყაიშვილი იცნობდა, ხოლო ჭ-17 ნუსხა არც ერთი ქართველი ხელოვნებათმცოდნის თუ რუსთველოლოგის ხელში არ იყო მოხვედრილი.

დღეისათვის „ვეფხისტყაოსნის“ 160-ზე მეტი ხელნაწერი და პოემის ტექსტის რამდენიმე ათეული ცალკეული ფრაგმენტია ცნობილი. ამათგან ხუთ ხელნაწერს ახლავს დასურათება; ესენია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ნუსხები H-2074, H-599 და შ-5006 და ოქსფორდის უნივერსიტეტის ბოდლის ბიბლიოთეკაში, უორდორპების ფონდში დაცული ნუსხები ჭ-17 და ჭ-27. დასურათება, როგორც ჩანს, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ Q-1082 ნუსხასაც ახლდა, თუმცა ახლა ამ ნუსხის ერთადერთი შემორჩენილი მინიატურა დამოუკიდებლად ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში (ფონდი ქ. №1148).

„ვეფხისტყაოსნის“ საქართველოში დაცულ ნუსხებში არსებული დამასურათებელი მინიატურები შესრულებულია ხელნაწერი ტექსტისაგან დამოუკიდებელ ფურცლებზე და ნუსხებში ჩართულია სხვა, უცნობი თუ დაკარგული ხელნაწერებიდან, ან ცალკე არსებული ალბომებიდან. გამორჩეულია ბოდლის ბიბლიოთეკაში დაცული ნუსხები, რადგან ჭ-17 ნუსხის დასურათება, ერთის გარდა, ტექსტის თანადროულია და იმთავითვე ამ ხელნაწერისათვის იყო გათვალისწინებული, ხოლო ჭ-27 ნუსხის ფურცლები ჯერ ფერადხაზებიანი ჩარჩოებით იყო მონიშნული, ტექსტით მისი შევსება კი გაცილებით გვიან, თანაც სულ სხვა დედნიდან შესრულებულა, ვიდრე მოჩარჩოების მომენტისათვის იყო გათვალისწინებული. ამ დასკვნის საფუძველს იძლევა ის ფაქტი, რომ რამდენიმე მინიატურა ტექსტისათვის გათვალისწინებულ ფურცლებზევეა შესრულებული, ხოლო აშკარად იმავე, თანადროულ დამოუკიდებელ ფურცლებზე შესრულებული მინიატურებიდან ერთ-ერთი ასურათებს ისეთ სიუჟეტს, რომელსაც ნუსხაში ახლა არსებული ტექსტი არ შეიცავს.

ხელნაწერის გამოქვეყნებული აღნერილობიდან ვიგებთ, რომ ნუსხა ჭ-27 შეიცავს 176 ფურცელს; ფურცლის ზომებია 25 სმ/18



სმ; პალეოგრაფიულად ხელნაწერი XVII საუკუნით თარიღილებული სათაურები და სტროფთა დასახუისები შესრულებულია სინგურით; ხელნაწერი დაზიანებულია თავში; აკლია, აგრეთვე, 82-ე და 140-ე ფურცლები; 79, 90-92, 133-135-ე ფურცლები აღდგენილია XVIII საუკუნის ხელით; შეიცავს პოემის 1536 სტროფს. მოეპოვება 21 ილუსტრაცია; ექვთიმე თაყაიშვილის ცნობით, ეს ხელნაწერი პოლივექტოს კარბელაშვილს მიუყიდია ელენე ერისთავის ასულ თარხან-მოურავისათვის, საბოლოოდ კი, მრავალგვარ ხიფათს გადარჩენილი ხელნაწერი მოხვედრილა ოქსფორდში, ბოდლის ბიბლიოთეკაში. ხელნაწერის მიკროფილმი საქართველოში მიღებულია 1958 წელს. ჩვენი გამოკვლევის შემდეგ, აღნერილობას ასეთი დაზუსტება უნდა დაგვუმატოთ: როგორც მინიატურები, ისე ტექსტი შესრულებულია ერთი და იმავე ხარისხის, ორი მხრიდან სქელი გრუნტით დამუშავებულ, მაგრამ არაპრიალა სპარსულ ქალალზე. ფურცლებზე ჯერ გაეკთდა ტექსტისათვის განკუთვნილი არის მოჩარჩოება და თავდაპირველად მათზე იმუშავა მხატვარმა. ნუსხაში არსებული ტექსტი გადაწყრილია სხვა დედნიდან და გაცილებით უფრო გვიან, ვიდრე შეიქმნებოდა მინიატურები. მინიატურების მოჩარჩოების ზომები ძირითადად არის 19 სმ / 12,5 სმ, ორი მათგანის - 9 სმ / 12,5 სმ, ერთის - 6 სმ / 12,5 სმ; ხოლო იმ 22-ე მინიატურის ზომები, რომელიც ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება, არის - 18,5 სმ / 13,5 სმ.

ჭ-27 ნუსხა დიდი ხნის განმავლობაში ინახებოდა პარიზში, ექვთიმე თაყაიშვილთან. მანვე დეტალურად აღნერა ნუსხა და დავით კაკაბაძის თხოვნით აღნერილობა და სამი მინიატურის ფოტოასლი თბილისში გამოუგზავნა მხატვრის ძმას, სარგის კაკაბაძეს, რომელმაც იგი, სხვა ვრცელ კვლევით მასალასთან ერთად, ქართულ საზოგადოებას 1927 წელს გამოცემული „ვეფხისტყაოსნით“ გააცნო.

შესნავლის საფუძველზე, „საწერი მასალისა და ხელის მიხედვით“, ექვთიმე თაყაიშვილი ამ ხელნაწერს XVII საუკუნეს მიაკუთვნებს, მაგრამ საინტერესოა ძველ ხელნაწერთა მოყვარული იმ ინგლისელის შთაბეჭდილება, ვინც „ვეფხისტყაოსნის“ ეს ნუსხა პარიზში 25 000 ფრანკად შეიძინა. ამ კოლექციონერის შთაბეჭდილებას ექვთიმე თაყაიშვილი თავის „მოგონებებში“ აქვეყნებს:

„დადიანებს (იმხანად ნუსხის მესაკუთრეებს - პ.მ.) აღმოაჩნდათ ერთი კარგად ნაცნობი მდიდარი ინგლისელი, რომელსაც, ეტყობა, ცოტა რამ გაეგებოდა ძველი ხელნაწერებისა, და აჩვენეს მას. ინგლისელს დიდად მოსწონებოდა ხელნაწერი და ეკითხა, თუ გაქვთ ცნობა, რომელი საუკუნისაა? ეპასუხათ, ხელნაწერს

თარიღი არ უნდერია, მაგრამ პროფ. თაყაიშვილი XVII საუკუნეს აკუთხნებსო. ინგლისელს ეთქვა, ბევრი ძველი ხელნაწერი მინახა ხას, ვერკვევი მათში და ეს ხელნაწერი, მასალის მიხედვით, XVII საუკუნეზე უფრო ძველი უნდა იყოს (ქაღალდი კი, მაგრამ სქელია და ტყავსა ჰგავს!). რაღა ბევრი გავაგრძელო, იმ ინგლისელმა, რომლის არც ვინაობა ვიცი და არც ხელობა, არ მინახავს – იყიდა დადიანებისაგან ხელნაწერი 25000 ფრანკად.... იმ ინგლისელმა ბოლოს ბრიტანეთის მუზეუმს შესწირა ელენე თარხან-მოურავის ნაქონი „ვეფხისტყაოსანი“.

სპარსული ხელოვნების აღიარებული ექსპერტის, ბ. გრეის 1951 წლის პუბლიკაციიდან ვიგებთ, რომ ძველ ხელნაწერთა მცოდნე და მოყვარული პირი, რომელმაც საკმაოდ სოლიდური თანხა „ვეფხისტყაოსნის“ ამ დასურათებულ ნუსხაში სწორედ მისი სიძველის გამო გადაიხადა, ყოფილა სერ ბერნარ ეკსტეინი და რომ ნუსხა მის მემკვიდრეებს ბოდლის ბიბლიოთეკისათვის მიუყიდიათ 1949 წელს. ბ. გრეის პროფესიული გულისყურით შეუსწავლია „ვეფხისტყაოსნის“ დასურათებებთან დაკავშირებული ყველა პუბლიკაცია, ისე როგორც ბოდლის ბიბლიოთეკაში არსებული „ვეფხისტყაოსნის“ დასურათებული ნუსხები ჭ -17 და ჭ -27 და ამ უკანასკნელთან დაკავშირებით წერს: „[...] ის ტკერეფორმ ა მატ-ტერ ფორ ცონგრატულატიონ ტკატ ტკე ბოდლეიან ჰას ბეენ აბლე ტო ადდ ტო იტს ცოლლეცტიონ ა მანუსცრიპტ ოფ ღუსტ' აველი' ს ეპიც წჷიცჷ ეხცელს ანყ ოფ ტკოსე მენტიონედ ინ ტკე ქუალიტყ ოფ იტს მინიატურეს.“ ბ. გრეი სპარსული მინიატურების ის ერთადერთი ექსპერტია, რომელმაც ორიგინალში შეისწავლა ეს ნუსხა, ამიტომ მის თვალსაზრისს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. მისი შეფასებით ამ ნუსხაში „ყველა მინიატურის სტილი ერთნაირი და შეკრად სპარსულია, მაგრამ როგორც კომპოზიციით, ისე ფერადოვნებით ისინი განსხვავებულია მისი თანადროული სპარსული მინიატურებისაგან“. ექვთიმე თაყაიშვილისეულ დათარიდებასთან დაკავშირებით მევლევარი აღნიშნავს: „[...] იფ იტ ის ნესსე-სარყ ტო აცცეპტ თაკაისპვილი' ს დატინგ, ევენ ტკე ცოსტუმეს არე სურპრისინგლყ ოლდ-ფასპიონედ; ფორ ტკე მალე ფასპიონს არე ტკოსე ოფ შპაპ აბბას ტკე ცერეატ (1587-1629), ანდ ტკე ფემალე არე ოფ ტკე სიხტეენტკ ცენტურყ. თკე სმალლ სცალე ოფ ტკე ფი-გურეს ანდ ტკე დელიცაცყ ოფ ტკე დრანინგ არე მორე რემინის-ცენტ ოფ 1545 ტკენ ოფ 1645.“

ამ შეფასებით, ვფიქრობ, სახეზეა მნიშვნელოვანი წინააღმდეგობა და შეუთავსებლობა დათარიდების პალეოგრაფიულ და სახელოვნებათმცოდნეო შედეგებს შორის.

როგორც აღვნიშნეთ,
შავ-თეთრი ფოტო ამ
ნუსხის სამი მინიატუ-
რისა საქართველოში
პირველად დ. კაკაბაძის
წყალობით, გასული სა-
უკუნის ოციან ნლებ-
ში მოხვდა და მათზე
დაფუძნებით, მეტად
საყურადღებო მოსაზ-
რებები გამოიტქვა შ. ამი-
რანაშვილმა. იგი წერს:
„იმ სამი ფოტოგრაფიის
შედარებითი შესწავლა,
რომელიც ჩვენ მხატვ-
რის, დ. კაკაბაძის თა-
ვაზიანობის წყალობით
ხელთა გვაქვს, ნათელ-
ყოფს, რომ ყველა მინი-
ატურა XVII საუკუნეში
არა შესრულებული“ და
„რუსთაველის პოემის ამ
ხელნაწერის მინიატუ-
რის შედარებით შეს-
წავლას იმ დასკვნამდე
მივყავართ, რომ იგი ამ
თხზულების უძველესი
ილუსტრაციაა ქართულ ხელოვნებაში. XIII-XIV საუკუნის ძველი
ორიგინალია იგი, თუ ამ ორიგინალის განმეორება XVII საუკუნეში
— ამის თქმა მხოლოდ ორიგინალის (და არა ფოტოსურათის) შეს-
წავლის შემდეგ გახდება შესაძლებელი“.

დღეს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საცავებში გვაქვს
მთლიანი ნუსხის შავ-თეთრი ფოტოასლი და ნუსხაში არსებული
მინიატურების დიდი ზომის ფერადი სლაიდები. იქვე აღმოჩნდა
დაცული ამ ნუსხის კუთვნილი ცალკე ფურცელი, რომლის ერთ
მხარეზე მინიატურა, მეორე მხარეზე კი პროლოგის რამდენიმე
სტროფია მოთავსებული. მას მიაკვლია ელ. მაჭავარიანმა და გა-
მოაქვეყნა კიდეც ფერადი ილუსტრაცია სათანადო გამოკვლევას-
თან ერთად. სამწუხაოდ, ამ მინიატურის გამოქვეყნებული ფე-
რადი ფოტო რეტუშირებულია და მასზე დაყრდნობამ მკვლევარი,





შესაძლოა, შეცდომაშიაც შეიყვანოს. როგორც ჩანს, სწორედ ასტურეული შემთხვევასთან გვაქვს საქმე ფერადი ფოტოპუბლიკაციის თანმიმდევრის სტატიის არასწორი დასკვნის სახით. საქმე ისაა, რომ მკვლევრის აზრით, მინიატურაზე გამოსახულია თინათინი და როსტევანი და ამდენად, თითქოს, მინიატურა ასახავს თინათინის გამეფების სცენას. მაგრამ, თუ ყურადღებით შევისწავლით ორიგინალს, ადგილად შევთანხმდებით, რომ ამ მინიატურაზე გვირგვინოსნის ნინ, სკამზე მჯდომი პერსონაჟი არის მამაკაცი, მართალია უნცერულვაშო, მაგრამ პოემა ხომ სწორედ ასეთად ახასიათებს ავთანდილს; მისი სამოსი უდავოდ მამაკაცურია – სარტყელში ხანჯლის ვადა უჩანს, თავზე ჩაჩქანი ახურავს, როგორც მხედართმთავარს შეეფერება; ავთანდილს სხვა მინიატურებშიაც მსგავსი ქუდი ხურავს და ქუდზე ფრთაა მიმაგრებული. ჩვენი აზრით, ეს მინიატურა უფრო ეხმიანება თინათინის გამეფების თაობაზე როსტევან მეფის ვაზირებთან თათბირს. ჩვენთვის უფრო მეტად ყურადსაღებია ის, რომ ელ. მაჭავარიანი ამ მინიატურის გამომსახველობითი მხარეს პარალელს უქებნის XVI საუკუნით დათარიღებულ „იოსებზილი-ხანიანის“ ნუსხის დასურათებებთან, რაც ამ დაკვირვებას აახლოვებს ბ. გრეის დასკვნებთან.

ი. ხუსკივაძის მონოგრაფიიდან „ქართული საერო მინიატურა, XVI-XVIII საუკუნეები“ (1976) ირკვევა, რომ ავტორისათვის ცნობილია, როგორც ბ. გრეის, ისე შ. ამირანაშვილისა და ელ. მაჭავარიანის მოსაზრებები და არგუმენტაცია, მაგრამ იგი მათ კრიტიკულად არ განიხილავს. ი. ხუსკივაძე ფერადი სლაიდების ანალიზის საფუძველზე მიიჩნევს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ განხილული ნუსხის მინიატურები XVII საუკუნის მეორე ნახევარს მიეკუთვნება“. მისი სიტყვებით: „აშკარაა ისიც, რომ ეს დასურათება „როსტომიანის“ შემდეგ უნდა იყოს შესრულებული, ე.ი. 1671 წლის შემდეგ“ და მკვლევარს გამოაქვს საბოლოო დასკვნა: „ამ მინიატურათა შესრულების დრო შეიძლება XVII საუკუნის ბოლო ოცი წლით შემოიფარგლოს“.

მართალია, პალეოგრაფიული ნიშნების საფუძველზე მკვლევრები ერთ აზრზე არიან და თანხმდებიან, რომ ტექსტი გადაწერილი უნდა იყოს XVII საუკუნის მეორე ნახევარში, მაგრამ დასურათების სახელოვნებათმცოდნეო ანალიზიდან გამომდინარე დასკვნების ორი ჯგუფი ერთმანეთისაგან დიდად განსხვავდება. შესაბამისად, სასურველია ამ განსხვავებათა მიზეზის დადგენა და ნარმოქმნილი დაპირისპირების დაძლევა.

უდავოა, რომ ხელოვნებათმცოდნეთა თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში, არათუ მნიშვნელოვან, არამედ გადამწყვეტ როლს თამა-



შობს ნუსხაში, იმავე ხარისხის ქალალდზე, მინიატურებთან ერთად არსებული ხელნაწერის პალეოგრაფიულ მონაცემთა მოწმობა.

ამ წინადადების საილუსტრაციოდ მოვიტანოთ მაგალითები.

შ. ამირანაშვილმა იცის, რომ „აღნერილობის თანახმად – ერთის გარდა, ყველა მინიატურა ცალკე ყოფილა და შემდეგ ჩაუწებებიათ ხელნაწერში“. ამიტომ მისთვის გამორიცხული არ არის მინიატურათაგან ზოგი ადრე იყოს შესრულებული, ზოგი კი ხელნაწერის შექმნის თანადროულად. თუმცა, ავტორი პრინციპულად მიიჩნევს ერთ-ერთი მინიატურის („აქა ტარიელის, ავთანდილისა და ფრიდონის ომი ქაჯეთს“) ადრეულ წარმომავლობას და ამბობს, ის ან ორიგინალია, ან გვიან შესრულებული ასლი XIII საუკუნის მინიატურისაო.

კიდევ უფრო მკაფიოა მეორე მაგალითი.

ი. ხუსკივაძემ ფერადი სლაბიდების მიხედვით შეისწავლა ყველა მინიატურა, ბ. გრეის მსგავსად, მანაც ისინი ერთი ავტორის შემოქმედების ნაყოფად მიიჩნია და, იმ ფაქტის გამო, რომ სამ შემთხვევაში დასურათება და ძირითადი კალიგრაფის ხელით გადაწერილი ტექსტი ერთი და იმავე ქალალდზე არის შესრულებული, ნუსხის დასურათებაც ტექსტის გადაწერის თანადროულ პროცესად ჩათვალა – ისინი მან ერთი ეპოქის, XVII საუკუნის დასასრულის ქმნილებად აღიარა. აქედან გამომდინარე, მინიატურათა შესრულების მაღალი ხარისხი ბუნებრივად იქცა ქართული სამინიატურო ხელოვნების განვითარების მის მერ განვითარებული თეორიულ-ლოგიკური სქემის კეთილად დამავარგვინებელ ელემენტად.

მინიატურათა ორიგინალების შესწავლის საფუძველზე ბ. გრეი ადასტურებს, რომ დასურათება არის ერთი სტილისა, ამიტომ, თუკი პალეოგრაფიული მონაცემები ნუსხის შექმნის თარიღად უცილობლად მოითხოვს XVII საუკუნის მეორე ნახევარს, მაშინ, მისი თვალსაზრისით, არამარტო ძალზე მოულოდნელი და საკვირველი, არამედ ამ ეპოქისათვის საერთოდ შეუსაბამოდ ჩნდება მინიატურებში გამოყენებული გამომსახველობითი საშუალებები.

ამ მაგალითებიდან აშკარაა, თუ რა დიდ და განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ხელნაწერი ტექსტისა და დასურათების თანადროულობის პრობლემა.

ხელნაწერის ორიგინალის შესწავლის საფუძველზე შეიძლება ვამტკიცოთ, რომ დამსურათებელი და კალიგრაფი სხვადასხვა ნუსხით სარგებლობდნენ, ეკრძოდ, კვლევის შედეგად გაცხადდა, რომ დამსურათებელი სარგებლობდა დედნით, რომლის სტროფული შედგენილობა განსხვავდება ამ ნუსხის კალიგრაფის ხელთ არსებული დედნის სტროფული შედგენილობისაგან. გაირკვა ისიც,

რომ დასურათება, ისე როგორც მოჩარჩოება, გაკეთებული უფლისობრივი უფრო ადრე, მანამ, ვიდრე ამ ფურცლებზე კალიგრაფი გადაწერდა ტექსტს. ანუ სამართლიანია მხოლოდ ასეთი დასკვნა: ერთი მხრივ, გადამწერისა და, მეორე მხრივ, დამსურათებლისა და მომჩარჩოებლის საქმიანობა არ არის თანადროული.

აღნიშნული დასკვნის საფუძველს ნარმოადგენს ერთ-ერთი მინიატურის დეტალური შესწავლა და იმ ტექსტის ანალიზი, რომლის დასასურათებლადაც უნდა შექმნილიყო ეს მინიატურა.

ჩვენი ანალიზი ითვალისწინებს ბუნებრივ დაშვებას, რომ მართალია მხატვარი თავისუფალია დასასურათებელი ეპიზოდებისა და შესაბამისი მხატვრული გამომსახველობითი ხერხების არჩევანში, მაგრამ ის აუცილებლად არის შებოჭილი დასასურათებელი ეპიზოდის შესატყვისი კონკრეტული ტექსტით და მოქმედებს მხოლოდ ამ ტექსტით განსაზღვრულ ფარგლებში.

განსახილველი მინიატურა, ნუსხის ახლანდელი აკინძვით, ასურათებს ხატაეთთან ძირითადი, პირველი ომის აღმწერ ტექსტს, მაგრამ არც მინიატურის ქვემოთ გაკეთებული მინანერი და, რაც მთავარია, არც მინიატურით გადმოცემული სიუჟეტი არ შეესატყვისება ამ ეპიზოდის აღმწერ ნუსხისეულ ტექსტს.

მინანერი დაზიანებულია, მაგრამ შემორჩენილიც საკმარისია იმ დასკვნისათვის, რომ აქ, ტარიელის ინდოეთს მისვლისა და რამაზ მეფის დამორჩილების, ანუ ინდო-ხატაელთა მეორე ომის ამსახველ სურათთანა გვაქს საქმე. ამკარაა, რომ შემორჩენილი წარნერა: „აქა ტარიელის ინდოეთს მისულა და რამაზის –“ ტარიელის ინდოეთს და არა ხატაეთს მისვლას გულისხმობს.

აღსანიშნავია, რომ ხელნანერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ნუსხის შავ-თეთრ ფოტოსასლზე ამ მინიატურას ნარნერა და ქვედა რეგისტრის მნიშვნელოვანი ნაწილი საერთოდ არ ახლავს. საქმე ისაა, რომ, ამ მინიატურის ზომა ხელნანერის აკინძულ ფორმატში არ თავსდება, სიმაღლეში უფრო დიდია და ამიტომ ქვემოდან არის შეკეცილი; შედეგად, ნახატის ქვედა ნაწილთან ერთად, ფოტოგრაფირებისას დაიკარგა მნიშვნელოვანი ინფორმაცია.

ჩვენთვის საინტერესო ამ მინიატურაზე გამოსახულია სამ რეგისტრად წარმოდგენილი ბატალური სცენა. სცენის ქვედა რეგისტრში მოცემულია დინამიური საბრძოლო მოქმედება, განგმირული მხედარი და საოცრად ექსპრესიული გამოსახულება ნაქცეული ცხენისა, რომელიც გადმობრუნებას ცდილობს. ზედა რეგისტრი, მუქი ლურჯი ცის ფონზე გამოსახულ მესაყვირეებსა და დროშებს აქვს დათმობილი. საკვანძო ხასიათისაა შუა რეგისტრი, სადაც გვირგვინოსანი მხედრის წინ დგას ვედრებად ხელშემართული თავშიმველი

მამაკაცი, რომელსაც ყელზე მანდილი აქვს შემოხვეული და თან
ორი ქალი ახლავს. უდავოა, რომ შუა რეგისტრის ეს სცენა ბურთა
თებს უკლებლივ ყველა ძველი ხელნაწერის შემადგენელ ინდო-ხა-
ტაელთა ამბის შემდეგ სტროფს (სტროფს ვიმოწმებთ „ვეფხისტ-
ყალსნის ხელნაწერთა ვარიანტების“ ოთხორმეულის მიხედვით):

„შინა ნავიდეს გარდახდეს ეს თურე არ ლაყაბია
რამაზ ჰყავს ორთა დედათა ყელსა მანდილი აბია
შეშინებული საბრალოდ დუღდა მართ ვითა ქვაბია
„შეგცოდე მომკალ მე ხვალემ რამცა ვინ მიასაბია“.

(1815)

ამრიგად, ვიმეორებთ, რომ ამ მინიატურის შუა რეგისტრი ასუ-
რათებს ინდო-ხატაელთა ომის იმ ტექსტს, რომელიც პოემის გაგრ-
ძელებად არის მიჩნეული და რომ ყელზე მანდილშებმული რამაზ
მეფის ტარიელის წინაშე ორი ქალის თანხლებით უდიდესი დამ-
დაბლების ამბავი ყველა ძველ ნუსხაში დასტურდება და რომ, არა-
მარტო მინიატურის მინაწერით, არამედ ამ ნიშნითაც მინიატურის
ადგილი ტექსტის ბოლოში უნდა მოძებნილიყო. მაგრამ, როგორც
ჩანს, ამკინძავმა თუ დამკაბალონებელმა, ან თავად კალიგრაფმა
უფრო მნიშვნელოვნად ჩათვალა მინიატურის ქვედა რეგისტრში
გამოსახული ბრძოლის სცენა, მას მიანიჭა გადამწყვეტი მნიშვ-
ნელობა და, რადგანაც ჭ-27 ნუსხაში არსებული ინდო-ხატაელთა
ამბავის გადმომცემი ტექსტი შებრძოლებასა და სისხლისლვრას
არ შეიცავს, სცენა გადმოიტანა წინ, იმ სიუჟეტის დასასურათებ-
ლად, სადაც ხატაელებთან ტარიელის სისხლისმღვრელი ბრძოლა
ვრცლად და შთაბეჭდავად არის გადმოცემული. თუმცა, ცხადია,
ამით წინააღმდეგობა არ მოიხსნა, რადგან პოემის ამ ეპიზოდისთ-
ვის გაუგებარი და ტექსტთან შეუსაბამო გამოდის შუა რეგისტრის
სცენა, სადაც ორი ქალის თანხლებით, ყელზე მანდილით მოსილი
თავშიშველი, მავედრებელი რამაზ მეფეა გამოსახული, რაც პრვე-
ლი ომისათვის სრულიად შეუსაბამოა.

წინააღმდეგობის მოხსნის გზას გვთავაზობს ორი ძველი ხელნა-
ნერი, რომლებშიაც პოემის დამატებაში არსებულ ინდო-ხატაელთა
ამბავს შებრძოლებისა და სისხლისლვრის აღმწერი ტექსტი ავსებს.
ეს ორი ნუსხა, შ-4499 და K-205, რომლებიც ერთი და იმავე კალიგ-
რაფის ხელით, 1690 წლის ახლო ხანებში არის გადაწერილი, არ
ტოვებს იმის შთაბეჭდილებას, რომ დამატებითი სტროფები თა-
ვად გადამწერის შემოქმედებად ჩავთვალოთ და არ ვივარაუდოთ,
რომ ისინი იმ დედნისეულია, საიდანაც ნუსხები გადაიწერა; ამ ეპი-
ზოდის გაცილებით ადრეულ ნარმომავლობაზე მეტყველებს 1646
წელს გადაწერილი თავაქარაშვილისეული ნუსხა, რომლის და-



კარგულ ფურცლებზე მხოლოდ და მხოლოდ ეს სტროფები უნდა იკავება ყოფილიყო მოთავსებული. ტექსტის პრინციპული მნიშვნელობის გამო, აქვე სრულად მოვიტანთ სათანადო სტროფებს, რომლებიც გვთავაზობს გმირთა საქციელის, მათ მოქმედებათა ლოგიკური თანმიმდევრულობისა და მოტივაციის განსხვავებულ ვერსიას.

ტარიელის, ავთანდილისა და ფრიდონის სარდლობით ინდოეთს უახლოვდება არაბთა მხედრობა. უკლებლივ ყველა ძველი ხელნაწერი მოგვითხრობს:

„ცოტაი წავლეს გამოჩნდა ხუთასი ცხენოსანია
შეტევებასა და მომოდეს ყმანი არაბთა თანია
ტარიელ იტყვის „ნუ იქთო“ მისცა საქმისა ნანია
მოვიდეს აჩნდეს უაბჯრო არცა თუ ჰერნდეს დანია“ (1812)

სიუჟეტს, რომელიც ამ სტროფით იწყება, ორი გაგრძელება აქვს: ხელნაწერთა უდიდესი უმრავლესობის ვერსია და მეორე ვერსია, რომელსაც გვთავაზობს №-4499 და K-205 ნუსხები და თავაქარაშვილისეული H-599 ხელნაწერი. მეორე ვერსია, დამატებითი შვიდი სტროფით, ეპიზოდის ასეთ გაგრძელებას გვთავაზობს:

უბრძანა ერთხელ კვლაც ვნახე რამაზის სიმუხთალია
ამათი ისრე მოდენა ჩვენზედა არ მართალია
ფიცი არა სწამს დღე-კრულსა არცა მაპმადის რჯულია
ლალატს ეცდების უცილოდ ეს მათგან გაზრახულია (1813,1)
ან შეუტიოთ ნუ ვარჩევთ მათ გაუცუდოთ ფლიდობა
ავთანდილ ბრძანა: „ვაცალოთ ქნან ჩვენკენ მონაზიდობა
ჩვენცა ცოტანი ვეჩენეთ ვსცნათ მათი ხმალთა დიდობა
გამოაცხადებს უცილოდ სადა ჰყავს ლაშქართ ყრილობა“ (1813,2)
რამაზ ბრძანა „შევეხვენეთ შევეტყუნეთ საქმით ჩვენით
ვერას ვუზამთ გოლიითათა თუ არ ხერხით თვალთა ჩენით
შეგვანანებს აქ მოსვლასა ამოგვაგდებს ლაშქრით ჩვენით
შევეხვენეთ ნუ დაგვხოცო მიუვიდეთ ნებით ჩვენით“ (1813,3)
ალარ აცალეს მათ გმირთა მათ ხერხთა გამამრჩევლობა
შესძახეს „ნახეთ ან რამაზ ამ ჩვენთა ხმალთა მკვეთლობა
ცოტა წინარე წამოდევ არას გიშველის დედლობა
ფრიდონის სიკასკასობა შენს ლაშქარზედა ძველობა“ (1813,4)

მართ ამაზედა შეიქნა შეტევებ-შემოტევება
ხატაელთ ღმერთი შერისხდა შეექნა გამომჟღავნება
ლაშქარნი სრულად მოვიდეს რაც რამაზს გულში ენება
ავთანდილ ბრძანა „ამათი მე ესე ასრე მენება“ (1813,5)

აქეთ არაბი გაუხდეს და შეუტივეს ცხენები
ტარიელ ხელთა აიღო შუბსა ახმარა მძლე ნები
უკრა და ცხენსა გაავლო იგ სიკვდილისა მქენები
რამაზს შეჰყარა ან ღმერთმან სამთა გმირთაგან სენები (1813,6)

უბრძანა თუ „სიმუხთლე ორჯელ შენი შემიტყვია
 არ გაგიშვებ შენ ცოცხალსა ესე ჩემგან შეგიტყვია
 არც გაუშვებ ხატაელთა რაცა ჩვენთა ხელთა ტყვეა“

შიში მოჰკლავს უსაცილოდ რამაზს ესე შემიტყვია (1813,7)

ამას მოსდევს კვლავ ყველა ხელნაწერით დადასტურებული
 ტარიელის წინაშე მუხლმოყრილი რამაზ მეფის მიერ შენდობის და
 პატიების თხოვნისა და ვედრების აღმნერი სტროფები.

ამრიგად, ხელნაწერთა უმეტესობაში, სახელდობრ ე.ნ. „სამეფო
 კარის“ ნუსხებში მოთხრობის ლოგიკა ასეთია: ხუთასი ცხენოსა-
 ნი, რამაზ მეფესთან ერთად, მოსანანიებლად მოემართებოდნენ
 ტარიელისაკენ და არც ერთ მათგანს დანაც კი არ ედო ჯიბეში,
 არათუ რაიმე საბრძოლო იარაღი. და რადგან რამაზ მეფემ, მუხლ-
 მოყრილმა აღიარა თავისი დანაშაული და მოინანია, შემდეგ კი ორ
 დედასთან ერთად ყელზე მანდილ მოხვეული ეახლა ტარიელს, ეს
 საკმარისი შეიქნა შენდობისა და ინდოხატაელთა ურთიერთობის
 დარეგულირებისათვის.

მეორე, ჩვენი აზრით, არანაკლებ საინტერესო და რეალისტური
 ლოგიკით, ხატაელებმა თავისი ორპირი და ფლიდი ბუნება ამჯე-
 რადაც გამოავლინეს და შებრძოლების შემდეგ, მხოლოდ ძალის
 წინაშე მოიდრიკეს ქედი, მხოლოდ რეალური განადგურების საფრ-
 თხის გამო მიმართეს მონანიების ხერხს, გადარჩენის ბოლო შანსს.
 ტარიელმა კი კვლავ ყველას უჩვენა მიტევების მეფური და ღვთი-
 ური მაგალითი.

ჩვენთვის საინტერესო მინიატურა, ინდოხატაელთა ამბის
 სწორედ ასეთი ეპიზოდის შემცველ ტექსტს ასურთებს. ანუ მი-
 ნიატურების მხატვარი სარგებლობდა დედნით, რომლის ტექსტი,
 ინდოხატაელთა მეორე შეტაკების ეპიზოდში, სისხლისლვრასა
 და მსხვერპლსაც გულისხმობს. და რადგან ჭ -27 ნუსხის ტექსტი
 ასეთ მოვლენას, თუ ეპიზოდის გაგრძელების ასეთ ვერსიას არ იც-
 ნობს და არ აღნერს, ამიტომ ერთადერთი სამართლიანი დასკვნა
 იყვეთება: მხატვარი და კალიგრაფი სარგებლობდნენ განსხვავე-
 ბული დედნებით, ამასთან ნუსხის ფურცლებზე თავდაპირველად
 მუშაობდა მხატვარი. დასურათება და მოჩარჩოება გაკეთებულია
 ცარიელ ფურცლებზე და უფრო ადრე, ვიდრე ამ ფურცლებზე კა-
 ლიგრაფი გადაიტანდა ტექსტს (კალიგრაფის საქმიანობა რომ მო-
 ჩარჩოების ჩემდეგ მიმდინარეობდა, ამას ცხადყოფს მაგალითად
 მინიატურის შემცველი 14-ი გვერდიც, რომელიც სანიმუშოდ აქვეა
 მოტანილი).

ვფიქრობთ, აღნიშნული ანალიზის საფუძველზე გამორიცხუ-
 ლად უნდა ჩაითვალოს ჭ -27 ნუსხის მინიატურებისა და ტექსტის



შექმნის თანადროულობა და ამიტომ, პალეოგრაფიული დასტურების ნების შეზღუდვებისაგან გათავისუფლებულებმა, შეიძლება დამოუკიდებლად მოვიმარჯვოთ სახელოვნებათმცოდნეო არგუმენტები, რომელთა თანახმადაც მინიატურების შექმნის თარიღი XVI საუკუნის შუა ხანების მახლობლად ან კიდევ უფრო ადრინდელ პერიოდშია საძიებელი.

მოცემული ნუსხის მომავალ მკვლევართათვის, ტექსტოლოგთა თუ ხელოვნებათმცოდნეთათვის, შეიძლება სასარგებლო გამოდგეს იმის აღნიშვნაც, რომ ძირითად კალიგრაფს გადაუნომრავს არა გვერდები ან რვეულები, როგორც ამას პრაქტიკულად ყველა კალიგრაფი აკეთებს, არამედ დასათაურებები და ეს ფაქტი ამ ნუსხის უნიკალურ განსაკუთრებულობას წარმოადგენს. ნუსხაში დასათაურებები გაკეთებულია სინგურით და ყოველი მათგანის გასწვრივ, ჩარჩოს სიახლოვეს, გარედან მინერილია ასონიშნებით გამოხატული შესატყვისი რიგითი ნომერი. რახან ნუსხა თავსა და ბოლოში ნაკლული და დაზიანებულიცაა, თითქმის უწყვეტად იკითხება შემორჩენილ დასათაურებათა რიგითი ნომრები, დაწყებული „ვ“-დან დამთავრებული „ნე“-თი, ნაშლილია და არსებულ დასათაურებებთან აღარ იყითხება ასო ნიშნები „ე“, „დ“, „ივ“, „იზ“, „ით“, „კგ“ და „მჴ“; ხელნაწერის შუა, დაზიანებულ, თუმცა აღდგენილ ნაწილში, რიგითობის „მ“-დან „მგ“-ზე არსებული ნახტომი გვკარნახობს, რომ თავდაპირველ ტექსტში დამატებით უნდა ყოფილიყო ორი დასათაურება და 10 სტროფი ტექსტისა. არსებობს შეცდომა ან გააზრებული გამონაკლისიც: ერთ დასათაურებას, „ფატმანის-გან ნესტან დარეჯანის ამბის მბობა ავთანდილთან“, არ გააჩნია რიგითი ნომერი, მაშინ როცა ის მოთავსებულია მეზობელ დასათაურებათა თანმიმდევრულ „ლვ“ და „ლზ“ რიგით ნომრებს შორის.

ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ტექსტიცა და მინიატურებიც ერთნაირი ფერადი ხაზებით შესრულებული ჩარჩოებით არის მოსილი. როგორც ნესი, დასათაურება ჩარჩოხაზებით არ გამოიყოფა ტექსტისაგან, მაგრამ რატომდაც, ტექსტის შემცველ გვერდებზე მოთავსებულ მინიატურებს აუცილებლად უშუალოდ ეკვრის, ან მოსდევს სათანადო დასათაურება და ყოველი მათგანი, ტექსტისაგანაც და ნახატისაგანაც, ჩარჩო ხაზებითაა გამიჯნული. ირკვევა, რომ ორი საწერი ხაზის დამტევი ეს ჩარჩოებიც ნინასწარ, საგანგებოდ იყო მომზადებული. ის რომ დასათაურება ახლდა, ნუსხისაგან განცალკევებულად არსებულ ფურცელზე, როსტევანისა და ვაზირების თათბირის დამასურათებელ მინიატურასაც, დასტურდება

მინიატურის ზომებითაც და მის ქვემოთ სინგურით ნაწერი ლიტერატურული ასონიშნის შემორჩენილი კვალითაც.

რაც შეეხება ოქსფორდის უნივერსიტეტში დაცულ მეორე ნუსხას, საქართველოში არსებული მისი ფოტოპირის საფუძველზე გაკეთებულ აღნერილობაში კვითხულობა:

ნუსხაში ჭ-17 გვაქვს 238 ფურცელი; ხელნაწერი თავნაკლულია, დაზიანებულია შიგადაშიგაც; შეიცავს 1867 სტროფს; ხელნაწერი პალეოგრაფიულად XVII საუკუნის მიწურულით თარიღდება; ჩართულია 48 ილუსტრაცია, რომელთაგან ზოგი დეფექტურია; ილუსტრაციათა მეორე გვერდზე არის სხვადასხვა შინაარსის მინაწერები; ხელნაწერის მფლობელი ერთ დროს ყოფილა იმერეთის მეფის დავითის ქალი მზეხათუნი (გარდ. 1830 წ.); ხელნაწერი ამჟამად ინახება ოქსფორდში, ბოდლის ბიბლიოთეკის უორდროპების ფონდში.

ორიგინალის შესწავლის საფუძველზე ამ აღნერას ასეთი მოკლე ინფორმაცია უნდა დაემატოს:

ხელნაწერის ყდა გაკეთებულია ტყავგადაკრული ხისაგან, ტყავი კი დაწნეხვით არის მოჩუქურთმებული. ნუსხა შესრულებულია იტალიურ ჭვირნიშნიან ფურცლებზე. ჭვირნიშნების მიხედვით, ხელნაწერი დამზადებული უნდა იყოს 1690 წლის უშუალო მახლობლობაში. ფურცლების ზომებია 27,5 სმ/20 სმ, ნაწერის ჩარჩოს ზომები კი 24,5 სმ/17 სმ. მეტნაკლებად დაზიანებული სახით შემორჩენილია 52 მინიატურა. ხელნაწერში მოთავსებულია ერთი, შედარებით ახალი, ალბათ XVIII-XIX საუკუნეებში შესრულებული მინიატურა, რომელზეც როსტევანისა და ავთანდილის ნადირობაა ასახული. ყველა დანარჩენი მინიატურა შესრულებულია ძირითადი ხელნაწერი ტექსტის თანადროულად, იმავე ხარისხის ქაღალდზე. მინიატურების განმდმარტავი მინაწერები გაკეთებულია იმავე კალიგრაფის ხელით. აშკარაა, რომ დაკარგულია მინიატურის შემცველი ფურცლები 119 და 120, 174 და 175, 180 და 181 ფურცლებს შორის, 235 და 236 ფურცლებს შორის კი დაკარგულია ორი მინიატურის შემცველი ფურცელი.

ნუსხის ზედაპირული დათვალიერების დროსვე თვალშისაცემია ქაღალდის ხარისხი – ტექსტიც და მინიატურებიც შესრულებულია თხელ, კარგად გაპრიალებულ ქაღალდზე. მასსოვდა რ. პატარიძის დასკვნა იმის შესახებ, რომ მე-17 საუკუნის 30-იანი წლებიდან საქართველოში დიდი რაოდენობით შემოდის სპარსული ქაღალდი და რომ „სპარსული ქაღალდი ძალიან თხელია, მაგრამ „მწვე“ გალესილია და მელანს არ ატარებს. მხედრული დამწერლობისათვის ასეთი ქაღალდი საუკეთესოა“. ამიტომ ეს ქაღალდიც სპარსული

წარმომავლობისად ჩავთვალე და შევეცადე აღმენუსხა სადღებრძოლო ვების ხარისხის განსაკუთრებულობები, დამეჭირა სხვა რაიმე ნიუანსი, რომელიც ხელნაწერისა და დასურათებათა დათარიღებისათვის შეიძლება ყოფილიყო მნიშვნელოვანი. ამ დაკვირვებამ მიმიყვანა დასკვნამდე, რომ მხატვრის ფერადოვანი პალიტრის საღებავებიდან და სხვა გამოყენებული მასალიდან ზოგიერთი არც ისე ხარისხიანია. არადა მასალის ხარისხი, საბოლოო ჯამში, განაპირობებს საღებავების სხივოსნობასაც და დაგრუნტულ ქაღალდზე ან სხვა საფუძველზე საღებავის შექიდულობისა და გამძლეობის ხარისხსაც. საქმე ისაა, რომ ზოგიერთი ნედლეულისაგან მიღებული საღებავი ამჟღავნებს აგრესიულ ბუნებას, მაგრამ გრუნტის, გამხსნელის და შემაკავშირებელი მასალის (კვერცხის ცილის თუ გულის, ცხოველური თუ მცენარეული ნებოების) სათანადო შეხამებით, მათი სათანადო მომზადებითა და გამოყენებით, მრავალი სპარსული მინიატურა დარჩა უცვლელი და დღესაც მომნუსხველ შთაბეჭდილებას ახდენს. ისტორიული ტრადიციისამებრ, ყოველი მხატვარი თავად იყო როგორც საღებავების, ისე ხატვისათვის საჭირო სხვა მასალის შემქმნელიც. ჭ-17 ნუსხის დამსურათებელს, როგორც მინერალებისაგან ისე ორგანული ნედლეულისაგან პიგმენტების მისაღები მასალის, აგრეთვე გრუნტის და პიგმენტების შემაკავშირებელი და საღებავის გამხსნელი მასალის მნირი არჩევანი ჰქონია. მწვანე ფერისათვის მას, როგორც ჩანს, გამოყენებია სამაგალითო აგრესიულობით გამორჩეული პიგმენტი ვერდიგრის, რომელიც შედარებით იოლად მიიღება ძმარში ჩაძირული სპილენძის ფირფიტებისაგან. ამ ნუსით მიღებული მწვანე საღებავი ხშირად იმდენად დესტრუქციულ ბუნებას ამჟღავნებს, რომ ჭამს არათუ იმ ქაღალდს, რომელზედაც უშუალოდ დაეფინება, არამედ შემხებ ფურცლებსაც. ალბათ ასეთი პიგმენტით დამზადებული მწვანე ფერის საღებავია გამოყენებული ჩვენი ნუსხის, როგორც დასურათებისას, ისე ფერადოვან ჩარჩოთა ხაზებისთვისაც – სწორედ, ამას უნდა გამოეწვია, ისედაც თხელი და მყიფე ფურცლების გამოხმობა და მსხვრევა.

როცა ფერთა აგრესიულობის ხარისხის დასადგენად ზურგის მხრიდან სინათლის შუქზე გავხედე ფურცლებს, მოყვითალო-მომნვანო ფერთა ინტენსიურად გამოუნილ ლაქებთან ერთად, ნათლად გამოჩნდა არა მარტო ვერჯერების მკაფიო და მჭიდრო ფონი, არამედ ამ ფონის დამრღვევი რაღაც რთული თეთრი კონტურიც. ცხადი გახდა, რომ საქმე მქონდა ევროპული და არა სპარსული წარმომავლობის ქაღალდთან. სასწრაფოდ შევუდექი ხელნაწერის დეტალურ შესწავლას. ყოველი მეორე თუ არა, მესამე ფურცელი



მაინც, ჭვირნიშნიანი აღმოჩნდა. დავადგინე და შეძლებისდაც უკავშირდებოდა მად ამოვხატე წყლის ნიშნებით გამოხატულ დამღათა სახე. მა-მინვე დავიწყე ევროპული ქაღალდის წარმოების ისტორიასთან დაკავშირებული ლიტერატურისა და კატალოგების შესწავლა და ჩვენი ფურცლების დამახასიათებელი წყლის ნიშნების ანალოგების ძიება. სამწუხაროდ, ოქსფორდის ბოდლის ბიბლიოთეკაში არსებული და ჩემს მიერ მოძიებული ლიტერატურა მხოლოდ XVII საუკუნემდე წარმოებული ქაღალდების შესახებ შეიცავდა სისტე-მატიზებულ მონაცემებს. მათ შორის კი ჩვენი ფურცლების დამ-ღას ანალოგი არ მოეძებნა. ცხადია, ესეც მნიშვნელოვანი შედეგი იყო, რადგან ამით გაირკვა, რომ ნუსხა XVII საუკუნეში ან უფრო მოგვიანებით დამზადებულ ქაღალდზე უნდა შესრულებულიყო. აღვიჯურვე მოთმინებით და უკან დაბრუნებისთანავე დავიწყე რ. პატარიძის ფასდაუდებელი შრომების შესწავლა, ქართული ჭვირ-ნიშნიანი ხელნაწერების დათარილების საკითხებს რომ ეხება. ამ შრომებში აღნიშნულია ასეთი ფაქტი: „XVII საუკუნის მეორე ნა-ხევრიდან საქართველოში გაჩნდა თხელი იტალიური ქაღალდი, რომელიც, სპარსული ქაღალდის მსგავსად „მწვე“ გალესილია. ეს ქაღალდი არაფრით ჩამოუვარდება სპარსულ ქაღალდს და სპარ-სულ ქაღალდს ცვლის, ასეთი თხელი „მწვე“ გალესილი ქაღალდი XVII საუკუნის საქართველოში შედარებით ცოტაა. ეს ქაღალდი ბერგამული წარმოშობისაა“. დავათვალიერე ამ ნაშრომში მითი-თებული „ვეფხისტყაოსნის“ ყველა ნუსხა, რომელიც ასეთ იტა-ლიურ ქაღალდზე შესრულებული და საბედნიეროდ გაირკვა, რომ ჭ -17 ნუსხის ჭვირნიშნები მიესადაგება 27-ე ნომრით აღნიშნული დამდების ტიპს (სხვადასხვა ვარიაცია, გვირგვინის, მტევნისა და მასრის), რომელთა შესაბამის ჭვირნიშნიან ქაღალდებზეა გადაწე-რილი მაგალითად, ჭ - 4499, ჭ - 4988, K-205, H-461 ნუსხები, ყოვე-ლი მათგანის შექმნის თარიღი 1690 წლის მახლობლობაში იყრის თავს. ბუნებრივია ამ თარიღის სიახლოვეს უნდა ვიგულისხმოთ მზეხათუნისეული ხელნაწერის შექმნის თარიღიც, რადგან, რო-გორც რ. პატარიძე მიუთითებს, ქვეყანაში შემოსული ამა თუ იმ დამდის მქონე ქაღალდის ოდენობის რეალიზება, ათვისება, თუ გა-მოყენება მაქსიმუმ ხუთი-ათი წლის განმავლობაში ხდებოდა. ასე რომ საკმაო მაღალი საიმედობით შეიძლება ჭ -17 ნუსხის შექმნა, მისი თანადროული მინიატურებითურთ, 1690 წლის ახლო ხანებში ვივარაუდოთ.

ეს ნუსხა თავადმა გიორგი წერეთელმა, მისი ბიძაშვილის, როს-ტომ წერეთლის ცოლის, ხიდისთაველი შიო (სიმონ) ბერიძის ასუ-ლის, ვენერა ბერიძის დიდი ღვაწლით, ბოდლის ბიბლიოთეკას უძ-ღვნა 1911 წლის 8 ოქტომბერს.



ვენერა ბერიძე უორდოპებისათვის განსაკუთრებით ახლოშეს უდიდესი ქართველია; იმდენად, რომ მარჯორი მასზე დაქორწინებასაც კი ურჩევდა ოლივერს; უორდოპების არქივში სწორედ ვენერას-თან მიმოწერის პირად წერილებს უკავია ყველაზე მეტი ადგილი. ოლივერისადმი 1911 წლის 20 აპრილს მინერილ მის წერილში ვკითხულობთ: „ვეფხისტყაოსნის“ დაბეჭდვა რომ განგიზრახავს, დიდად ვიხარით და მოველით მოუთმენლად გავიგოთ თქვენი სჯა ამ ჩვენი დიდების შესახებ. რომელ ხელნაწერს თხოულობ ოლივერ, ვეფხისტყაოსანს ჩვენი ოჯახისას თუ რამე სხვას. თუ იმ „ვეფხისტყაოსანზე“ მწერ, დანამდვილებით ვეცდები, გამოგიგ ზავნო მხოლოდ სანახავად, თორებ ის შენირული აქვთ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას თუ მუზეუმს „არ ვიცი (საუბარია შ-5006 წერეთლისეული ნუსხის შესახებ – პ.პ.). თუ სულით გინდა რომ მანდ იყოს ვეფხისტყაოსანი ხელით-ნაწერი, მაშინ ვეცდები სხვა ვიშვო, მომწერე კარგათ, რომ მივხვდე და ყოველ ღონეს ვიხმარ რომ ვიშვო...“. 1911 წლის 3 სექტემბრის წერილით კი ვგებულობთ: „... რაც შეეხება იმას, რომ მწერ ძველი ნაწერების შესახებ, რასაკვირველია, მეც და სხვა შეგნებული ვინც არის, ვცდილობთ, რომ არ დაიბნეს. ვეძებთ, მაგრამ მაინც ბევრი იკარგება და უფრო ბევრი რუსებს უვარდება ხელში. ოლივერ, როსტომას ბიძაშვილს, რომელიც გვერდით ცხოვრობს, თუ გახსოვთ თითქმის ერთ ეზოში ვდგავართ, ჩვენი სახლიდან მათი ძლიერ ახლოსაა, რომელსაც ჩვენ გიგას ვეძახით და ისე კი სახელად გრიგოლ სიმონის ძე წერეთელია, სურს გამოგიგ ზავნოს ოქსფორდში მარჯორის ბიბლიოთეკას შესწიროს ხელით ნაწერი სურათებიანი ვეფხისტყაოსანი და არ ვიცი თუ როგორ გამოვაგზავნო, გთხოვ კარგათ მომწერო, რა რიგათ გამოვაგზავნო, რომ არ დაიკარგოს.“

საქართველოსადმი უორდოპების განსაკუთრებულმა სიყვარულმა და საქართველოსათვის განეულმა დიდმა სამსახურმა განაპირობა ის, რომ იმ დროის ქართველ მკვლევართათვის უცნობი ნუსხა პირდაპირ ლონდონში აღმოჩნდა. არადა, როგორც ჩანს, ეს ის ნუსხაა, რომლის კვალი მრავალი ქართველი მკვლევრისათვის გამოდგა მოუხელთებელი, თუმცა გ. შარაძის „არქეოგრაფიული ძებანი“ ყველაზე ახლოს მივიდა სინამდვილესთან. ის ვრცელი ფაქტობრივი მასალის განხილვის შემდეგ ასეთ საკითხს ნამოსნევს წინ: „უნდა დავადგინოთ, ვინ იყო ეს თ.ა. დავითის ძე წერეთელი (რომელსაც ამ 90 წლის წინათ „ვეფხისტყაოსნის“ შ - 5006 ნუსხაზე ძველი და მეტი ლირსების მქონე ხელნაწერი ჰქონია) და რა ნათესაური კავშირი ჰქონდა გრიგოლ წერეთლის ოჯახთან. ხომ არ არის იგი გრიგოლ წერეთლის ძმისშვილის, დავით სიმონის ძე წერეთლის (გარდ. 1872 წ.) ვაჟი?“.



როგორც ირკვევა, სწორი იყო გურამ შარაძის ძიების „მიმართულება – XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან გამომჟღავნებული“ მაგრამ მოუხელთებელი, დასურათებული „ვეფხისტყაოსანი“ მართლაც ინახებოდა გრიგოლ წერეთლის ძმისშვილის დავით სიმონის ძე წერეთლის ვაჟის სიმონის ოჯახში. აი, ამ სიმონის ვაჟმა, გიგა (გიორგი) სიმონის ძე წერეთელმა, ვენერა ბერიძის თხოვნით, გადადგა შეიძლება სადავო, მაგრამ, ჩემი აზრით, გამართლებული და მნიშვნელოვანი ნაბიჯი – ძვირფას ხელნაწერს მოუქებნა ყველაზე უკეთესი განძთსაცავი ოქსფორდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის სახით, და ამავე ქმედებით, ღირსეულად გამოხატა უორდროპებისადმი ქართველი ხალხის მადლიერება.

გამოყენებული ლიტერატურა

პარმენ მარგველაშვილი, ვეფხისტყაოსნის დასურათებული ხელნაწერები, 2013

შალვა ამირანაშვილი, შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“ ძველ ქართულ ხელოვნებაში, ენიმკის მოამბეჭ Ⅲ, 1938.

შალვა ამირანაშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ დასურათება, 1966.

ელენე მაჭავარიანი, „ვეფხისტყაოსნის“ უორდროპისეული ხელნაწერის უცნობი მინიატურა, შოთა რუსთაველი, 1966.

რამაზ პატარიძე, „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა ჭვირწიშნები, მრავალთავი – V, 1975.

გურამ შარაძე, არქეოგრაფიული ძიებანი, 1973.

სარგის ცაიშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერები და პოემის ტექსტის ისტორია, I, 1984.

იუზა ხუსკივაძე, ქართული საერო მინიატურა XVI-XVIII საუკუნეები, 1976.

შორენა ბორაშვილი-შტოიერი, საიდუმლოდ შენახული ქართული საგანძური (ოქსფორდის ბოდლის ბიბლიოთეკის უორდროპის კოლექციის მასალები), 2009.

„ვეფხისტყაოსანი“, სარგის კაკაბაძის რედაქციითა და გამოკვლევით, 1927.

ასილ რაყ, ერსიან პაინტინგ, 1977.

ასილ რაყ, თჰე მან ინ ტჰე ანტჰერს სკინ, ინ ოდლეიან იბრარყ. თჰე ოდლეიან იბრარყ რეცორდ, III, 32, 1951.

შ. ამირანაშვილი, გრუზიული მინიატურა, მოსკოვი, 1966.



ლევან გეგურიშვილი

ზვიად გამსახურდიას თეორიულ-
ლიტერატურული შეხედულებები



ზვიად
გამსახურდია

80



ლიტერატურისა და ხელოვნების თეორიულ პრობლემებზე ზვიად გამსახურდიას საგანგებო ტრაქტატები არ შეუქმნია, თუმცა მის მრავალფეროვან სამეცნიერო და უსეისტურ მემკვიდრეობაზე დაყრდნობით სავსებით შესაძლებელია ავტორის ზოგად, თეორიულ-ლიტერატურულ შეხედულებებზე საუბარი.

ამჯერად შევეცდებით ნათელვყოთ ზვიად გამსახურდიას თვალსაზრისი რამდენიმე არსებითი საკითხის – მხატვრული ლიტერატურის არსისა და დანიშნულების, ლიტერატურათმცოდნეობის მეთოდოლოგიისა და თარგმანის თეორიული პრობლემების – ირგვლივ.

როგორია მხატვრული შემოქმედების სპეციფიკა? რა დანიშნულება აქვს, ზვიად გამსახურდიას შეხედულებით, სიტყვაკაზმულ

მწერლობას? ზ. გამსახურდიას ესთეტიკურ კონცეფციაში სინთეზი ზირებულია კლასიკური ესთეტიკიდან, შუა საუკუნეების ქრისტიანული ღვთისმეტყველებიდან და მისი თანამედროვე დასაფლურია ლიტერატურათმცოდნეობიდან მომდინარე პრინციპები.

ზვიად გამსახურდია, უპირველეს ყოვლისა, აღიარებს ლიტერატურის კათარზისულ, ვნებათაგან განმწმედ მნიშვნელობას. შუა საუკუნეების ქრისტიან თეოლოგთა დარად მასაც მიაჩნია, რომ ჭეშმარიტი მწერლობა „სახისმეტყველებითი ღვთისმეტყველებაა“, ლიტერატურამ სახეობრივი აზროვნების გზით ხელი უნდა შეუწყოს მკითხველის სულიერ ამაღლებას, მარადიულთან, წარუვალთან თანაზიარებას. მწერლობისა და რელიგიის ღრმა, შინაგან კავშირზე ზვიად გამსახურდია მისი თანამედროვე დასავლური ლიტერატურათმცოდნეობის გამოცდილებაზე დაყრდნობით მსჯელობს: „თანამედროვე ლიტერატურათმცოდნენი თვლიან, რომ სწორედ მითოსში და მეტაფორაში მჟღავნდება დანიშნულება და ფუნქცია ლიტერატურისა. ამ თვალსაზრისით ადამიანის სულიერი მოღვაწეობა შეითავსებს მეტაფორულ და მითოსურ აზროვნებას... ხატის, მითოსის გადმოცემით პოეზია რელიგიას, მსოფლიქვრეტას უახლოვდება“¹.

ზვიად გამსახურდიას თქმით, მხატვრულ შემოქმედებაში წარმართველია ადამიანის ზეინტელექტალური უნარები, სულიერი გამოცდილება, ინტუიცია. იგი მიიჩნევს, რომ „პოეზია რეალობის ინტუიტური ცხადქმნის შედეგი უფროა, ვიდრე ინტელექტუალური ტვინის ჭყლეტისა“², შემოქმედის ინტუიციური ლოგიკა კი ხშირად ბევრად უფრო ღრმად სწერდება რეალობას, ვიდრე ემპირიული განსჯა. ზვიად გამსახურდიას აზრით, ჭეშმარიტი პოეზია ყოველთვის ღრმადსულიერია თავისი ბუნებით და რელიგიურ გამოცხადებასთანაა წილნაყარი. აქედან გამომდინარეობს გამსახურდიას თვალსაზრისი, რომ გაუმართლებელია სასულიერო და საერო პოეზიის ერთმანეთისაგან მკაცრი გამიჯვნა, რადგანაც საერთოა მათი საწყისი: „ქართული რელიგიური პოეზიის შვილია საერო პოეზიაც. უნდა ითქვას, რომ ტერმინები „საერო“ და „სასულიერო“ მხოლოდ პირობითად უნდა ვიხმაროთ, არ არსებობს გარდაუვალი ზღვარი მათ შორის. არსებობს მხოლოდ ერთი ქართული პოეზია, რომელიც არა მარტო უხუცესთაგანია მსოფლიოში, არამედ უდიდესთაგანიც“³.

1 ზ. გამსახურდია, ვეფხისტყაოსნის, სახისმეტყველება, თბილისი, 1991, გვ. 5.

2 ზ. გამსახურდია, წერილები, ესსები, თბილისი, 1991, გვ. 452.

3 ზ. გამსახურდია, წერილები, ესსები, თბილისი, 1991, გვ. 407.



მხატვრული შემოქმედების ბუნების ზ. გამსახურდიას ეულ ხელ-ლენი გასთანაა დაკავშირებული მისი თვალსაზრისი ლიტერატურათმუშავე ცოდნეობის მეთოდის შესახებ. XX საუკუნის 70-იან წლებში აღნიშნულ საკითხზე მეტად საინტერესო პოლემიკა გაიმართა გურამ ასათიანსა და ზვიად გამსახურდიას შორის. ეს უკანასკნელი თავის პოლემიკურ წერილებში გაძედულად დაუპირისპირდა საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობის ოფიციალურ თვალსაზრისს, საბჭოთა კრიტიკის ცრუმეცნიერულ, სოციოლოგისტურ მეთოდოლოგიას.

კრიტიკის მეთოდებზე მსჯელობისას ზ. გამსახურდია, უპირველეს ყოვლისა, ერთმანეთისაგან მკვეთრად მიჯნავს ჰუმანიტარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს. მისი თქმით, ბუნებისმეცნიერებას საქმე აქვს ემპირიულ სინამდვილესთან, ფაქტების სამყაროსთან, ბუნებრივ მოვლენებთან და მექანიკურ მიზეზშედეგობრიობასთან, სადაც პიროვნების როლი, მისი შემოქმედებითი ინიციატივა უკანა პლაზე ინაცვლებს. მისგან არსებითად განსხვავდებიან ჰუმანიტარული მეცნიერებები და კერძოდ, – ლიტერატურათმცოდნეობა, რომელსაც მატერიალურთან კი არ აქვს საქმე, არამედ „ადამიანის სულის შემოქმედებით ნამოლვანართან, იმ ცხოველმყოფ იდეებთან, რომელიც შობენ ლიტერატურას. აქ უმთავრესია პიროვნების როლი, მისი შემოქმედებითი ინიციატივა. ჭეშმარიტების კრიტერიუმიც აქ უფრო ესთეტიკურია, ვიდრე ფორმალურ-ლოგიკური, ვინაიდან ხელოვნება გამოცხადება ზელოგიური სინამდვილისა... პოეზია აბსოლუტური რეალობაა“¹.

შესაბამისად, ზ. გამსახურდია მიიჩნევს, რომ განსხვავებული უნდა იყოს ლიტერატურათმცოდნეობისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კვლევის მეთოდოლოგიაც. თუ ამ უკანასკნელის საფუძველს ემპირიული მეთოდი ნარმოადგენს, ლიტერატურათმცოდნეობაში არსებითია კრიტიკოსის შინაგანი გამოცდილება, ინტუიცია. ზ. გამსახურდიას თვალთახედვით, კრიტიკა უფრო ხელოვნების დარგია, ვიდრე მეცნიერებისა, ამიტომაც კრიტიკოსს არანაკლებ ესაჭიროება შთაგონება და შემოქმედებითი სული, ვიდრე მწერალს: „კრიტიკა ხელოვნების დარგთაგანია, სადაც განუზომელი მნიშვნელობა აქვს ინტუიტიურ წვდომას, შემოქმედებით გზნებას და სულის თავისუფლებას. ასეთია გოტესეული, ემერსონისეული, ელიოტისეული გაგება კრიტიკისა“.

ზ. გამსახურდია იმასაც აღნიშნავს, რომ ინტუიციური მეთოდი მხოლოდ ჰუმანიტარულ მეცნიერებებში როდია გამოსადეგი.

1 ზ. გამსახურდია, წერილები, ესსები. თბილისი, 1991, გვ. 453.



მას დიდი მნიშვნელობა აქვს საბუნების მეტყველო დარგისთვის საც. ადამიანის ინტელექტუალურ უნარებს თავისი მოქმედების ასე თუ ისე შეზღუდული სფერო გააჩნიათ, რომლის იქითაც ისინი უძლური არიან. ასეთ დროს ერთვება საქმეში, ზ. გამსახურდიას თქმით, ინტუიციური აზროვნება და იგი ავსებს, აშუქებს ცდის-მიერ, პასიურ მოცემულობას.

კრიტიკისათვის ყველაზე შესაფერის ჟანრად ზვიად გამსახურდიას ესეისტიკა მიაჩნია, რადგან ესეიში ყველაზე უკეთაა შესაძლებელი კრიტიკოსის ინტუიციური მიგნებების, დაკვირვებების ობიექტივაცია, აზრის ლაკონიურად გამოთქმა, მნერლის შემოქმედების იმ თავისებურებათა მოხელობა და დახასიათება, რაც ემპირიული მეთოდის საფუძველზე შეუძლებელია: „ესეე, როგორც კრიტიკის უანრი, ფრიად პერსპექტიულია ამ მხრივ, – ნერს ზ. გამსახურდია, – მასში ფართო გასაქანი აქვს გაბედულ, მხატვრულ აზროვნებას. ესეეისტის არგუმენტებსაც არ უნდა მოვთხოვოთ ყოველთვის ანთროპოლოგიის, ფიქოლოგიის, ფიზიოლოგიის ან სხვა რომელიმე ემპირიული მეცნიერების არგუმენტების ჩარჩოში ჩატევა“¹.

ზვიად გამსახურდიას ესეები ამერიკული და დასავლეთევრო-პული მნერლობის კლასიკოსთა შემოქმედების შესახებ შესანიშნავი მაგალითია იმისა, თუ როგორი ოსტატობით შეიძლება გამოიყენოს კრიტიკოსმა ესეეს უანრი თავისი სათქმელის გადმოსაცემად. ავტორის შინაგან გამოცდილებაზე, ინტუიციაზე დაფუძნებული კვლევის ბრწინვალე ნიმუშია ზ. გამსახურდიას ნაშრომი შუა საუკუნეების მისტიკური ძეგლის – „ქებავ და დიდებავ ქართულისა ენისაა“ – შესახებ, აგრეთვე – მონოგრაფია „ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება“. აქ ზ. გამსახურდია არ ერიდება გაბედული ჰიპოთეზების ნამოყენებას, თუმცა ისინი მკვლევრის ფანტაზიის ლალ გაქანებას როდი ეფუძნება, არამედ ყოველთვის შინაგანი, ინტუიციური ლოგიკითაა გამყარებული.

დღიდია ზვიად გამსახურდიას, როგორც მთარგმნელის დამსახურება ქართული კულტურის ნინაშე. ქართული ლიტერატურა მან გაამდიდრა მსოფლიო კლასიკის უმნიშვნელოვანეს ნიმუშთა პრწინვალე თარგმანებით. ზ. გამსახურდია აქტიურად იყო დაინტერესებული თარგმანის თეორიის საკითხებითაც და ამ თემაზე არაერთი კრიტიკულ-პოლემიკური წერილიც გამოაქვეყნა.

ზ. გამსახურდიას მთარგმნელობითი საქმიანობა ეროვნული ლიტერატურისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა განვითარე-

¹ ზ. გამსახურდია, წერილები, ესეები. თბილისი, 1991, გვ. 452.

გის აუცილებელ კომპონენტად, კულტურული პროცესების მრავალფეროვნების ერთ-ერთ მთავარ პირობად მიაჩინია. თარგმანი, ისევე როგორც კრიტიკა, მისთვის, უპირველეს ყოვლისა, შემოქმედებითი მოღვაწეობა. ზ. გამსახურდია ტერმინ „თარგმანების“ ძველ ქართულში დამკვიდრებული მნიშვნელობის აქტუალიზაციას ახდენს. ძველად „თარგმანება“ გულისხმობდა განმარტებას, ეგზეგტიკურ საქმიანობას. „მთარგმანებელი“. ზ. გამსახურდიას თქმით, „ქართულ ენაზე ნიშნავს მაგს. ეს არის კაცი, გადმომთარგმნელი კაცთა ენაზე იდუმალის, გამოუთქმელის. „თარგმნა“ გულისხმობს ინტერპრეტაციას. ასენას გააზრებას და არამარტო გადმოღებას. იგი შემოქმედებითი წვის შედეგია და არა უბრალო განმეორება. ასეთ დროს ხელახლა იშვის ნაწარმოები, იგი სუნთქვას პირველყოფილი სისადავითა და მშვენებით“¹.

მთარგმნელის ოსტატობა, ზ. გამსახურდიას აზრით, იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად მოახერხებს იგი მშვიდობით გასვლას „ბნეკარედის სცილასა და თავისუფალი თარგმანის ქარიბდას შორის“². იგი მაღალ შეფასებას აძლევს შეუ საუკუნეების ქართველ მთარგმნელთა მოღვაწეობას და აღნიშნავს, რომ სადლეისოდაც მისალებია გიორგი მთაწმინდელის მთარგმნელობითი მეთოდი, დედნისამი მისი მიღება. „კლებისა და შემატების“ პრინციპი, გამართლებულია იმ შემთხვევაში, როდესაც მთარგმნელის ნინაშე დგება ქართული ენის ბუნებრიობის დაცვის აუცილებლობა. ზ. გამსახურდია მიიჩნევს, რომ მთარგმნელის უპირველესი ამოცანა უნდა იყოს არა ცალკეული სიტყვებისა და ფრაზების ზედმინევნითი კოპირება, არამედ დედნის პოეტური ჩანაფიქრისა და საერთო სულის შენარჩუნება. მთარგმნელი ვალდებულია გაითვალისწინოს ავტორის შემოქმედებითი ბუნება და მოახერხოს შექმნას „ცოცხალი ექვივალენტი ნაწარმოების სტილისა“³.

ცალკეულ შემთხვევებში ზვიად გამსახურდიას გამართლებულად მიაჩინია ლექსის პროზაული თარგმანი. იგი ითვალისწინებს თანამედროვე დასავლური მთარგმნელობითი ხელოვნების გამოცდილებას და აღნიშნავს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, ტექსტის სირთულის გამო, შეუძლებელია პოეტური ნიმუშების ლექსითი ფორმით თარგმნა. ასეთ დროს გამოსავალია პროზაული თარგმანი, რომელიც, რა თქმა უნდა, განსხვავდება პნეკარედისაგან და ბევრად უფრო შემოქმედებითია თავისი ხასიათით. ზ. გამსახურ-

1 ზ. გამსახურდია, წერილები, ესსები. თბილისი, 1991, გვ. 364.

2 ზ. გამსახურდია, წერილები, ესსები. თბილისი, 1991, გვ. 365.

3 ზ. გამსახურდია, წერილები, ესსები. თბილისი, 1991, გვ. 365.



დღია იმედოვნებს, რომ ჩვენს სინამდვილეშიც თანდათან დაზურვილებული რდება დიდი პოეტების პროზად თარგმნის ტრადიცია.

საინტერესოა ზვიად გამსახურდიას შეხედულებები მთარგმნელის ენობრივი ორიენტაციის საკითხზეც. ზვიად გამსახურდიას მიერ თარგმნილი „ილიადის“ პირველი ქების თარგმანს თავის დროზე კრიტიკული წერილით გამოეხმაურა ცნობილი ენათმეცნიერი ალექსი ჭინჭარაული, რომელმაც მთარგმნელი დაადანაშაულა არქაული სიტყვების ჭარბად გამოყენებასა და აზრობრივ შეუსაბამობებში. ზვიად გამსახურდიამ არგუმენტირებული პასუხი გასცა მეცნიერს. ზ. გამსახურდიას საპასუხო წერილში ნათლად გამოვლინდა მისი მთარგმნელობითი კრედიტი და ენობრივი ორიენტაცია.

ალექსი ჭინჭარაული ზვიად გამსახურდიას ადანაშაულებდა „ძველი და ახალი ქართულის უღვთოდ აღრევაში“, რის შედეგადაც მისი მთარგმნელის ენა აღარც ძველია და აღარც ახალი„, ამ ბრალდების საპასუხოდ ზვიად გამსახურდიამ მიუთითა, რომ ძველი და ახალი ენობრივი ფორმების ინტეგრაცია, ორგანული შერწყმა აუცილებელი პირობაა, ერთი მხრივ, ენის განახლებისა, მეორე მხრივ კი ენობრივი ტრადიციის შენარჩუნებისა, რაც აუცილებლად მოეთხოვება მთარგმნელს.

ამავე პოზიციიდან ეკამათებოდა ზვიად გამსახურდია არლი თაყაიშვილს, ვინც ასევე ილაშქრებდა თარგმანებში არქაული ფორმების გამოყენების წინააღმდეგ. ზ. გამსახურდია აღნიშნავდა, რომ არ იყო სწორი ენათმეცნიერთა მხრიდან ქართული ენის დაყოფა ძველ და ახალ ქართულ ენად, ვინაიდან ყველა მნიშვნელოვანი მწერალი ერთი და იმავე ენობრივი გასაღებით წერს და „მეოცე საუკუნის მწერლების ენას იგივე ლექსიკური ბაზისი აქვს, რაც ცურტაველსა და მერჩულეს“. იგი მიუთითებდა არლი თაყაიშვილს, რომ არქაიზმი სხვაა და პოეტიზმი სხვა. მისი თქმით, ზოგიერთ მკვლევარს ის, რაც არქაიზმი ჰქონია, სინამდვილეში პოეტიზმია – ანეული ინტონაციური ელფერის მქონე სიტყვა, რომელიც ქმნის ამაღლებულ განწყობილებას.


ზვიად გამსახურდიამ თავის თარგმანებში მოახდინა საკუთარი თეორიული თვალსაზრისის პრაქტიკული რეალიზაცია და არქაიზებული სტილით, ძველი ქართული ენის ლექსიკური საუნჯის აქტიური გამოყენებით მოახერხა მკითხველისათვის ეგრძნობინებინა პოეტური სურნელი ამაღლებული ქართული ენისა.

ზვიად გამსახურდიას გამოკვლევების, წერილებისა და ესეების კითხვისას ვრწმუნდებით, რომ მათ ავტორს თანამედროვე დასავლური ლიტერატურათმცოდნების დონეზე შეეძლო ესთეტიკისა და კრიტიკის აქტუალურ პრობლემებზე მსჯელობა.



ზორა ცხადაბა

ისტორიზმის ორიენტირები პოეტის ლილიკაში



მუხრან მაჭავარიანი 90



ვსაუბრობთ რა ისტორიზმის ორიენტირებზე მუხრან მაჭავარიანის პოეზიაში, ვგულისხმობთ წარსულისა და თანმედროვეობის ისტორიულ ფაქტებს, კონკრეტულ სახელებს, მოვლენებს, როგორც მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებას გაძედული პოეტური ნარატივისათვის. ისტორიული მასალა, ისტორიული თემატიკა ითავსებს ალეგორიის, სიმბოლოების, ნიღბის ფუნქციასაც კი ცენტურის გასანეიტრალებლად. თუმცა, იმავე ცენტურისთვის ძნელი მისახვედრი არ იყო ის ფარული მინიშნებები და კონცეპტუალური ნოვაციები, რომელთაც მოიცავდა ავტორის სიტყვა, და მაინც, გადატანით ნათქვამი, განსაკუთრებული ემოციური მუხ-

ტი – წარსულის კონკრეტიკით გაჯერებული, მყარი გარანტი იყო
თავდაცვისათვის. თავდაცვა კი – აუცილებელი.



მუხრან მაჭავარიანი გასული საუკუნის 40-იანი წლების მე-
ორე ნახევარში იწყებს პოეტურ შემოქმედებას (1949 წელს უკვე
„საბას“ ავტორია). ამას წინ უძლოდა 1946 წლის არასასიამოვნო
მოვლენები, სსრკ კომპარტიის ცკ-ის 11 აგვისტოს დადგენილე-
ბები, რომელშიაც გაკიცხული იყვნენ ანა ახმატოვა, მიხაილ ზოშ-
ჩენკო, ნიკოლოზ ტიხონოვი და სხვა რუსი მწერლები. ახმატოვა
და ზოშჩერკო მწერალთა კავშირიდან გარიცხეს, პირველს მრუში
უწოდეს, მეორეს – უპრინციპო, ხულიგანი, ნ. ტიხონოვი კი გაათა-
ვისუფლეს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარეობიდან.
ამ ფაქტმა განაპირობა ანა კალანდაძის პოეზიისადმი ვერდიქტიც,
7 წლით შეჩერდა მისი პირველი კრებულის გამოცემა. როცა გა-
მოიცა, 1953-ში, მასში შესული ლექსების უმრავლესობა გადაკე-
თებულ-განმენდილი იყო (მათიაშვილი 2003: 15). მწერალთა ყრი-
ლობაზე (1946. 7.X) საგანგებოდ იმსჯელეს პოეტი ქალის გარშემო
შექმნილ გაუმართლებელ სენსაციაზე (ცკ-ის მდივანემა პ. შარიამ,
გ. ჯიბლაძემ). უიდეო ლექსების შექმნისკენ მიღრეკილებაში და-
ადანაშაულეს მწერლები: კოლაუ ნადირაძე, გიორგი შატბერაშ-
ვილი, მიხეილ ქვლივიძე, ალიო მაშაშვილიც. ეს იყო კიდევ ერთი
დასტური იმისა, რა მკაცრად კონტროლდებოდა პოეტური აზროვ-
ნება ტოტალიტარული რეჟიმისა და მისი ხელისუფლების წარმო-
მადგენლების მიერ.

50-იანი წლების მეორე ნახევრიდან (სწორედ იმ დროს, 1955
წელს, იძეჭდება მ. მაჭავარიანის ლექსების პირველი კრებული),
იწყება ე. წ. „დათბობა“, შედარებით თავშეკავებული დრო, როცა
არ იყო ფიზიკური ანგარიშსწორება, რეპრესიები, მაგრამ კონიუნ-
ქტურა ისევ მოქმედებდა. განსაკუთრებით მიზანმიმართული იყო
კრიტიკის დამოკიდებულება მუხრან მაჭავარიანისადმი. როგორც
კრიტიკოსი ლევან ბრეგაძე აღნიშნავს, იმართებოდა „მძაფრი კრი-
ტიკული კამპანიები“ (ბრეგაძე 2005: 28). იდევნებოდა ეროვნული
თეითმყოფადობის გამომხატველი აზრი, რეპრესირებული რჩე-
ბოდა ეროვნული ცნობიერება. სოცრეალიზმი, რომელსაც უფრო
ფსევდორეალიზმი ეთქმოდა, კვლავ ინარჩუნებდა დამკვეთის სტა-
ტუსს. მისთვის, რომელიც თავისი მოთხოვნილებების ზუსტ გან-
საზღვრასაც ვერ ახერხებდა, მიუღებელი იყო ის სიახლეები პო-
ეზიაში, რომლებიც, შეიძლება ითქვას, ნეორეალისტური ხედვით
შემოვიდა ქართულ მწერლობაში. გამოჩნდა, რომ, მიუხედავად
ყველაფრისა, თავისუფალი აზროვნება, პიროვნების თავისუფ-
ლება მაინც ვერ ჩაკლეს. სწორედ ამ ნიშნით მიიქცია იმთავითვე


ყურადღება მუხრან მაჭავარიანია. მან თავისი პოეტური ნაწერები ვით ახალ ემოციებითან ერთად ახალი სულისკვეთება მოიტანა, მის ტექსტებში არა მხოლოდ სათქმელი იყო ახალი, არამედ პოეტური სტილიც, სალექსო სტრუქტურა...»

მუხრან მაჭავარიანის პირველი წარდგენა შედგა თსუ ახალდაარსებულ მწერალთა წრის სხდომაზე. პატონი ზურაბ ჭუმბურიძე გვიყვებოდა სტუდენტებს იმის შესახებ, თუ რამდენად სენსაციური იყო ეს დღე: მან წაიკითხა რამდენიმე ლექსი, თამამად, ომახიანად, რაღაც ძალიან განსხვავებული. აუდიტორიას ერთნაირი განცდა არ ჰქონია. ზოგი გაეგებით შეხვდა, ზოგიც – პირიქით, გაოცებით და დუმილით. მივიჩნიეთ, რომ ჩვენ წინაშე იყო ერთობ უცნაური და რაღაც მეტად თავისებური, გაურკვეველი პოეტი. არადა, ამ დროს უკვე „საბას“ ავტორი ყოფილაო... მალე კი ყველასთვის ცხადი გახდა, რომ მუხრან მაჭავარიანის სახით მოვიდა მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ქართული პოეზიის ალამდარი. მისი „უცნაურობაც“ მალევე გაირკვა. ის სრულიად განსხვავებული სახით და ღირსეული ამბიციით გამოჩნდა.

როგორც ვთქვით, „საბა“ მისი ადრეული პოეზიის ნიმუშია, შედევრი არა მხოლოდ მის შემოქმედებაში, არამედ – ზოგადად ქართულ პატრიოტულ ლირიკაში. როცა მუხრან მაჭავარიანის პოეზიას მთლიანობაში ეცნობი, განსაკუთრებული დაკვირვება არაა საჭირო, მიხვდე მთავარს: მისთვის უპირველესია ეროვნული კონცეფცია, ბედი ქართლისა – სრულიად ბუნებრივი, იმანენტური, ღრმად განცდილი, რომელსაც თავისთვად გულისხმობს ეს იმანენტურობა. კრიტიკოსი თეომურაზ დოიაშვილის შეფასებით, „მუხრან მაჭავარიანი თხუთმეტსაუკუნოვანი ქართული მწერლობიდან მოდის, სულით ხორცამდე ეროვნული პოეტია... საქართველოში გამორჩეული სიყვარულით უყვართ მუხრან მაჭავარიანის პატრიოტული ლექსები. ზოგი თვლის, რომ პატრიოტული ლირიკის პოპულარობა ჩვენში ისტორიული სიტუაციის შედეგია, რომ თავისუფალი ერების პოეზიისთვის ეს მოტივი არაარსებითია. მაშასადამე, ეროვნული მიზნის განხორციელება თუ არ გააუქმებს, ძალიან გააფერმერთალებს პატრიოტული ლექსების ზემოქმედებას. სულხან-საბასი არ იყოს, ჩვენს უკან, ღმერთმა ქნას, ჩვენს ქვეყანაში უკეთესობა შეიქნას, მაგრამ მე ღრმად მწამს, რომ ქართველი კაცისთვის ყოველთვის ძვირფასი იქნება „ელევია“ და „ჩემო კარგო ქვეყანაგ“, „განთიადი“ და „აღმართ-აღმართ“. ამ შედევრთა გვერდით მეგულება მე მუხრან მაჭავარიანის საუკეთესო პატრიოტული ლექსები“ (დოიაშვილი 2003: 23-24).

მუხრან მაჭავრიანს უპრეცენდენტო ადგილი უჭირავს XXI საუკუნის
 უკუნის ქართულ პოეზიაში, როგორც ველიკოდერუჟავული ბრძოლის
 ტიკის მნარე ოპონენტს. „საბა“, როგორც ლირიკული ტექსტი, არა-
 ფერს გვეუბნება ამ პოლიტიკაზე იმ მარტივი მიზეზით, რომ მასში
 XVII საუკუნის საქართველოს ისტორიის ტრაგიკული რეალობაა
 მოცემული (ჯერ კიდევ შორსაა გეორგიევსკის ტრაქტატამდე).
 ლექსი დაყოფილია სურათებად, რომელიც განსაკუთრებულ
 მხატვრულ ეფექტს ქმნის. მოხუცი საბა ლუდოვიკო მეთოთხმე-
 ტის დიდებულ სასახლეში, ვერსალში... კედლიდან გამომზირალი
 13 ლუდოვიკო... ლოდინი... ნებირი, უდარდელი მეფე, რომლის
 „სიყრუემ ხალხს ხმა დაუკარგა“. ეს უკვე მინიშნებაა, რომ იგი სა-
 ბას ვერაფერს გაუკეთებს. არაფრისმთქმელი მისი ყასიდი ოხვრა
 – რამდენიმე შორისდებულით გამოხატული უნებურად, რადგან
 „თქვა და კიდეც ინანა“... შემდეგ პოეტური პაუზა ქვეტექსტი-
 სა და წარმოსახვისათვის – განბილებული ელჩი, რომელსაც არ
 გამოეპარებოდა გულგრილი მასპინძლის ნაძალადევი წუხილი...
 ხელმოცარული, უიმედობით შეძრული მოხუცის ტრაგიკული გა-
 მოსვლა... წვიმა, თოვლი და ყინვა – განწირული სამშობლოს უბე-
 დობის მეტაფორები. „საქართველოა მისთვის წვიმაც, თოვლიც
 და ყინვაც“... ასე მიჰყება ტექსტს პოეტი მხატვარი და პოეტი
 ნარატორი. თხრობის ამგვარი ეფექტი ლექსს ბოლომდე გასდევს.
 ტრაგიკულ ფინალს არარიტორიკული კითხვა ასრულებს: „მოგ-
 წყინდა განა უნაყოფოდ, ელჩო, ყიალი?! გულს ნუ გაიტებ!.. მუხა
 კვლავაც შეიმოსება... „გულს ნუ გაიტებ!“ – ეს თითქოს ძახილის
 წინადადებაა, ძახილის ნიშნით და მრავალწერტილით, თუმცა არც
 შეძახებაა, არც ბრძანება, სამძიმრის სიტყვა უფროა, ელეგიური,
 – სანუგეშოდ მოხუცისათვის, წარმოსახვაში ხელჯოხიანს და აკან-
 კალებულს რომ ხედავს. ეს ავტორის ტკივილია, რუსულ ტოტალი-
 ტარიზმს დაქვემდებარებული ქვეყნის შვილისა, რომლისთვისაც
 ყოვლად მიუღებელია საქართველოს პოლიტიკური ორიენტაცია
 ჩრდილოეთისაკენ. საბას პოზიციის კრახი ახალგაზრდა (21 წლის)
 პოეტის ტრაგედიაცაა. ფაქტობრივად იქ გადაწყდა ქართლის ბე-
 დისნერა. – უარი ევროპისგან. ამ ლექსის პათოსი – ძლიერი, უეჭ-
 ველი და მართალი, თანდაყოლილად იქცა მუხრან მაჭავარიანისთ-
 ვის. თავის ერთ-ერთ ბოლოდროინდელ ლექსში წერს:

(იქაც კი ვით აქ, – კუბოს კარამდე)
 არამც და არამც! –
 არ გავემენდ მე ხმას! –
 ვერ დამადუმებს მე მოძალადე!



საბას თემა არაერთხელ გამოჩნდება შემდგომ ლექსებშიც თუ 1953 წელს არის დაწერილი „ორი ცრემლიდან“ – საინტერესო ციტაციების ლოგით. „ჩემს უკან, ღმერთმა ქნას, ჩემს ქვეყანაში უკეთესობა შეიქნას“. საბას ამ ეპიგრაფიდანვე იგრძნობა ავტორის განწყობა, დიდი წინაპრის აუხდენელი ნატვრის გამო. ისევ გარეგნული და შინაგანი პორტრეტის სინთეზით გამოითქმის მთავარი: „დროდადრო ცრემლი ისევ წვეთავს საბას წვერიდან“... საერთოდ, ეპიგრაფები მუხრან მაჭავარიანის საყვარელი პოეტური ხერხია. ლექსს „უბნობა ნაევროპალი საბასი“ წამდლვარებული აქვს მისივე სიტყვები: „მივედით მონაკო ქალაქსა... ზღვაში ერთი მაღალი კლდე შემოსულიყო თბილისის მეტებივითა... ჯენევიას თემში შემოვედით... გეგუთის მსგავსი ალაგები იყო... ალიკორნას საზღვარს შევედით, დავაკება შეიქმნა, ოდიშის მსგავსი ადგილი“... ლექსში წარმოსახულია უცხოეთში საბას შესვედრა სამშობლოს ხედებთან და დასკვნა: – „საქრთველო ქართველს ამა ქვეყნისას, სადაც მიდის თან მიჰყვება ყველგან“.

1949 წელი. ისევ ბედი ქართლისა ლექსში „XVIII საუკუნე“, სათქმელი გადატანილი შორ წარსულში, ზმნები – ნამყო დროში, პრობლემა – ძველიც და თანამედროვეც: „საპრალო საქართველო ობოლი ბავშვივით გამვლელს და გამომვლელს მუხლებზე ეხვეოდა: – დამჩაგრეს, ბატონო, მიშველეთ უდედმამოს... თხოვდა ხან საფრანგეთს, ხან რუსეთს“... შემდეგ ირონია: „ლექსები იციო?!.. პატარა საქართველოს პალე-როიალში ლექსი ათქმევინეს“... შედეგი –

ბოლოს როგორც იქნა, რუსეთმა იშვილა
პატარა საქართველო, ობოლი საქართველო,
მაგრამ მამობილი შკაცრი გამოადგა;
გაეპარებოდა ხოლმე მამობილსა
და დედის საფლავზე ტიროდა საქართველო.

ამავე წელსაა (1949) დაწერილი „იქნებ, ილია ჩამობრძანდა პეტერბურლიდამ!“ ილიას მონატრება ალეგორიულად მიანიშნებს ილიას გზის, დაკარგული თავისუფლების, „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“ იდეას:

ილია გინდათ?! – მოითმინეთ! – ვიტყვი ხმამაღლა, –
ამ მატარებელს ჩამოჰყვება იგი ამაღამ.



კიდევ ერთს გავიხსენებთ ძველი თარიღით, 1951 წელში დაწყებულის, უსათაუროს: „კრნანისის ველი, ქართველის მკერდი შეღებილია ყაყაჩოსავით, მახვილით ხელში – ნინაპრის გვერდით მინდა ვიბრძოდე – გარნა შორს არის“. ის, რაც შორს არ არის, ახალგაზრდა პოეტისთვის, ზოგადად, ქართველისთვის, სასურველი თუ გარდაუვალი ბრძოლის პერსპექტივაა. კრნანისი არაერთხელ გვხვდება ამ წლებისა და შემდგომ ლექსებშიც. განსაკუთრებული დატვირთვა აქვს დიდ ნინაპართა სახელებს: დავით აღმაშენებელი, დავით გურამიშვილი, აკაკი, ვაჟა... თითქოს ახალ დიდგორს მონატრებული „ლმერთკაცი“ (ლექსის სახელწოდება), „იმერთა წყალთა ვინც თევზნი შთასხნა, ვინც ვერ ისვენებს საფლავში ახლა!“ და ა. შ.

60-იანი წლების სულიერი ამბოხი იყო პირდაპირ, ყოველგვარი შეფარვის გარეშე ნათქვამი „დღე მოიწევს კრიალა“ და „ახლა კი დროა“ (1964), რომლებიც მუხრან მაჭავარიანმა ნაიკითხა თსუ სააქტო დარბაზში სტუდენტებთან, პოეზიის საღამოზე, რომელსაც სტუმრობდნენ მე-20 საუკუნის სამოციანელები და თავად მ. მაჭავარიანი. ყველასთვის მოულოდნელი იყო ეს გამოსვლა. ერთი ლექსი რომ ნაიკითხა, დარბაზი დაინგრა. ხის სკამებზე დარტყმის ხმა, ტაში და ოვაცია...

თუ ფიქრობს ვინმე, –
გავკმინდოთ ენა! –
შენც არ მომიკვდე! –
არა და ვერა!
შოთა რომ არა!
ვაჟა რომ არა!
ტატო რომ არა!...
კიდე, – ხო, მარა...
ესენი როა?! –
ესენი როა! –
ახლა კი დროა! –
ახლა კი დროა! –
სოლომონ რომა,
კვლავ დაიქუხოს
საქართველომა.
(„ახლა კი დროა“)

ამას მოჰყვა მეორე ლექსი:

ირიურაუბს... დღე მოიწევს კრიალა, –
ტოროლა ცას შეასკდება... იალა!..



ჩირგვიანა, ჩიტიანა, ხიანა,
ფოთლიანა, ღელიანა, ტყიანა, —
დედამიწა ხარობს ყველაფრიანა”

ნაკუნწ-ნაკუნწ-ნაკუნწ-ნაკუნწ კი არა!
გაუმარჯოს, გაუმარჯოს მთლიანად!
მინიანა, კაციანა, ციანა, —
საქართველოს მოთმინების ფიალას.

(„დღე მოიწევს კრიალა“)

ოვაცია გაგრძელდა. ოფიციოზი არ ყოფილა, გარდა ადგილობრივებისა. ჯანსულ ჩარკვიანმა სცენაზე მდგომს მხარზე ხელი დაჰკრა, გადაკოცნა. მუხრან მაჭავარიანი მეორე დღესვე სამსახურიდან დაითხოვეს. ჯანსულ ჩარკვიანი გააფრთხილეს. ეს ხმა ქალაქში, უნივერსიტეტში მაშინვე გავრცელდა. ხელისუფლების რეაქცია საკმაოდ მწვავე იყო, მაგრამ იმდროინდელ სტუდენტობას, ვისაც ის ღამე ახსოვს, შეუძლია თქვას, რომ ასეთი ემოციური და ამაღლებული განწყობა, ალბათ, მანამდე არასოდეს ჰქონია.

ეს სულიერი ამბოხი გრძელდება 70-იან და შემდგომ წლებშიც. ენა, მამული, მამულის ღირსების დამცველ ნინაპართა უკვდავი სახელები, თანამედროვე საქართველოს ჯერ კიდევ „ნაკრძალი“ სოციალურ-პოლიტიკური ზონა - პოეტურ სამსჯავროზე გამოტანილი - ალეგორიულად, იგავურად, მაგრამ მაინც გამჭვირვალედ, - ესაა კვლავ და კვლავ მუხრან მაჭავარიანის ცხოვრებისა და შემოქმედების მისია. ლირიკულ ციკლში „1832“ - მთავარი სათქმელია, რომ: „ისევ დგას დღის წესრიგში ბედი ქართლისა და ქართლის ჭირი“. უხიფათო არ იყო ამ გზით სიარული „საბჭოთა პოეტისათვის“, „მართლის თქმის“ პრინციპი ყველაფერს სძლევდა, ერის ცნობიერებას სჭირდებოდა ფხიზელი და ძლიერი შემოძახება: „როდემდე უნდა გვეძინოს ყურზე?!“... ან: „ნეტავი, ჩვენში ყოველგვარი რამ ჩაჰქლა რისკი?! და დუმილისკენ, ღრმა დუმილისკენ გვეჭიროს უნდა როდემდე კურსი?!“ „დუმილი რეკავსო“ და ამ დუმილის, მოჩვენებითი სიმშვიდის გასარღვევად, შელახული, დაკარგული ღირსების აღსაღებენად ამხელს როგორც საკუთარ, ასევე სხვის დანაშაულსაც; დუმილი, შეგუება არსებულ სინამდვილესთან უზნეობად აღიქმება პოეტის მიერ: „ვარ დამნაშავე, - რამეთუ ვითმენ, რაც მესმის იმას და რასაც ვხედავ“ („ს. დოდაშვილი“). იქ, სადაც მხილებაა, თვითირონიაც არის. სათქმელის სემანტიკური ცენტრი ზმნებზეა გადატანილი და ეს ზმნები თითქმის ყოველთვის პირველ პირშია. „თვალი მტერზე უნდა გვეჭიროს“... „ჩვენ კი ხმლისა ნილ ჯიხვისანი გვიჭირავს რქანი“, „ვინ, რენა მოგვიანების გამოსახული არ არის“.



ვინ შეგვინდობს“ და სხვ. ქართლის ბედის ირონიას იროჩიოთვე და გამოხატავს. „ვახტანგის ადგილს იჭერს ხეჩუა. გვეცლებს ქართველი თვალდახელსშუა!“ კონკრეტულ მინიშნებებსაც არ ერიდება, ყოველ შემთხვევისთვის, სათაურშია აღიბი (მაგალითად, „სიტყვა თქმული ბიძინა ამილახორის მიერ“). მაგრამ ამის გარეშეც უკომპრომისოა პოეტი იმ ლექსებშიც, რომლებიც 1832 წლის ციკლს არ განეკუთვნება: „შენ ვინ გინოდა ვაჟუაცი?“ „ვაი, ჩვენს პატრონს“, „თქვა ოპიზარმა“, „კრწანისი“, „ამერიმერი“ და სხვ. მამხილებელი ტონი თავისთავად მომდინარეობს პოეტის სულიერი იმპულსებიდან, ამიტომაც ძლიერია მისი ზემოქმედება მკითხველის ცნობიერებაზე. გადამდებია ის მტკივნეულობა, რომელსაც ლირიკული სუბიექტი განიცის: საქმის და სიტყვის დაშორება, „კმაყოფილი სიფათი რეგვნის“ და სხვ.

პოეტის თანამედროვე ახალი გენერაცია, ანუ „ძისძენი მეფე გუბაზის“, დახოცილები ქართულ სუფრაზე – დილომში წვანან სამარაბდენი“. სიცოცხლის უმაღლესი ღირებულების – ზნეობრიობის დაქვეითება და მოშლა განაპირობებს პოეტის გამაფრთხილებელ სიტყვას: „კმარა, გვიანდა იქნება მერე! გვიახლოვდება, ვხედავ წერტილი... და საქართველოს უკვდავი მტერი, – სიცილით კვდება ჯალალედინი“ („თქვა ოპიზარმა“).

ეროვნული პრობლემების და მასთან დაკავშირებულ განწყობილებათა ვარიაციები მნიშვნელოვანია ამ წლების სხვადასხვა ლექსში: „ამას არ უნდა დასტური სხვისა“, „გურამიშვილის არ იყოს“, „შუღლი“, „ნუ გათათოდები“, „თუ სიკვდილია“, „რისტვისლა“ და სხვ. „ქართველი ამას იკადრებს?! – არა!“ – ამ ლექსის საფუძველი გამხდარა პეტრე კონჭოშვილის ნიგნი „მოგზაურობა წმ. ქალაქსა იერუსალიმსა და წმ. ათონის მთაზედ – (1901, თბილისი)“, რომელშიც გამოხატულია გულისტკივილი იმის შესახებ, რომ ათონის მთაზე ივერიის მონასტრის ქართული წარწერების შინაარსი შეცვლილი ყოფილა: „საქართველოს მეფენი“ – „ბიზანტიის მეფეებით“, „თორნიკე ერისთავის“ მაგიერ „ნიკითორე – ბერძენი კეისარი და ასე შემდეგ, რომ: „გამოუყვანეს ქართულ ტაძრებს უტიფრად წირვა“... ლექსის ძირითადი კონცეფცია მაინც თანამედროვე ყოფას უკავშირდება, როცა „გვინგრევენ წარსულს, გვაოხრებენ, ჩვენ ყურზე გვძინავს. იგივე ხდება, უცხოეთში კი არა, – აქაც. აგერ ჩვენს თვალწინ – ძველი ძეგლი, ზედ ხრამის პირას, კაცმა არ იცის, – სად, როგორ გაპქრა“...

70-იანი წლების ერთ-ერთი აქტუალური თემაა ენის საკითხი, რომელმაც განსაკუთრებული სიღრმით იჩინა თავი მუხრან მაჭავარიანის ლირიკაში. „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისა“, „რაშია

საქმე“, „იარს უსასრულოდ რომელიც ამიერ“, „ენა ქართული“, „სი-ტყვე თქმული ფილადელფიოს კიკნაძის მიერ“ და სხვ. მამხელებრივი ლი, მკაცრი და, ამასთან, ირონიული ტონი ნარმართავს ამ ლექსში „ყველა იმ სიგლახის“ ნარმოჩენას, რომელიც ქვეყნის ეროვნული უბედურების ხელშემწყობი მიზეზი იყო („როდესაც უცხოს კოცნი იაზონს“ და სხვ.). „სულყველაფერზე თავის კანტურით“, როგორც პოეტი ასკვნის, „ენაც დავეარგეთ, კნინდა ქართული“.

ქართულ პოეზიაში დამკვიდრებულმა ამგვარმა სულისკვეთებამ ბევრად შეუწყო ხელი ეროვნულ სიფხიზღეს ქართველ ახალგაზრდობაში, რომელმაც უმთავრესი როლი შეასრულა ქართული ენის სახელმწიფო ენად დარჩენის საქმეში. საბჭოური ტოტალიტარიზმი აღსასრულს უახლოვდებოდა. „ტოტალიტარიზმის დასუსტების და კვდომის სიმპტომი იყო ლიტერატურაში სიმართლის თანდათანობით ზრდა, ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის დაცვა“ (ვასაძე 2010: 16).

არანაკლებ მტკიცნეული, უფრო მეტიც – ტრაგიკულია მუხრან მაჭავარიანის პოსტსაბჭოური პოეტური ნარატივი. ზოგადად, ნარაცია პოეზიისთვის არც ისე მისადაგებულია, მაგრამ, კონკრეტულ შემთხვევებში, ის სტილური თავისებურებაცაა და ამის პარადიგმად გვესახება მუხრან მაჭავარიანის ლირიკული ტექსტები. მნიშვნელოვანია მისი სათაურებიც, ხშირად – ირონიზებული, საგანგებოდ ვრცელი, პაროდიუბული და ა.შ. ზოგიერთი რუსულადაა დასათაურებული. მაგ., „О русификаторах“, რომელშიც მნარედ დაისმის კითხვები:

ვით შემიძლია, შევუნდო მე მათ? –
ჩემმა რაც მათგან იწვნია ერმა?..

მეოცე საუკუნის 90-იანი წლების მოვლენებს იგი აღიქვამს როგორც ტრაგედიას XX საუკუნის საქართველოს ისტორიაში. ამ წლებისაა „1989-1992“ (სათაური):


ერი გაერდა! ხალხი გახალხდა!
სამი წლის წინათ შევძახე,
ხელი მეკიდა ზეცაზე,
თურმე, – მოიცა პანა ხანს!
და ნახავ: კი არ გახალხდა,
პირიქით:
ნახდა, მთლიანად წახდა.

ისე, რომ „გამოლვიძებას ამნაირს, რომ გვძინებოდა, გვერჩია“
„ახლა თუ გინდა მართალი“). „1937 – 1990 – 1992“ (სათაფრი) სა-
მი საპეტოსნერო თარიღი, – ესაა ტექსტის მინიშნება: „ეს რა სას-
ტიკი გულში ზრახვა ჰქონია, თურმე ამ – ვითომ სათნო, – ათას
ცხრაას ოთხმოცდათორმეტს“. არსებულ რეალობაში ქართველთა
ნაცვლად ქართველობანას მოთამაშებს ხედავს. ორად გაყოფილ
ქვეყანაში „ძმაკალიობა“ (ლექსის სათაური) გახშირდა: „საქართ-
ველოში სუფევს დომხალი: ხარ მოლალატე, რახან დუმხარო“. არა-
და, დუმილი არ ეთქმის იმას, რომ ერთი სოლიდური პოეტური კრე-
ბული (250 ლექსამდე) გამოცემული აქვს 1994 წელს, დანარჩენები
შემდეგ... „ძმაკალიობა“ მთელი ციკლის დასათაურებაცაა, – ძმა-
თა სისხლით დაღდასმულთა სახეებითა და ქმედებებით.

მტკიცნეულია პოეტისთვის ახალი რუსობანას გათამაშება მა-
შინ, როცა „ის იყო იძირკვებოდა თამაში რუსობანასი! ის იყო, გმი-
რი ხევსური მკვდრეთით დგებოდა სამასი! – გამოგვეცხადა (კრულ
იყოს!), – სისხლი რომ სცხია ძამასი და ისევ რუსობანასი დაგვაწყე-
ბინა თამაში“ („რუსობანა“). 1991 – 92 წლების მოვლენებს პოეტი
სახელმწიფო გადატრიალებად მიიჩნევს, ირონიულად შენიშნავს:
„მომხდარია ჯანყი! ისიც, – თურმე, – სახალხო ჯანყი?! – ჯანყი?!
რა ჯანყი?! – რისი ჯანყი?! კარგი, – რა! – კარგი!“... („კარგი, რა,
კარგი!“). შეიძლება ითქვას, ეს ლექსები 90-იანი წლების ყოველდ-
ლიური ცხოვრებაა, – დანახული და შეფასებული პოეტის თვალ-
თახედვით. თუნდაც „შეხვედრა თბილისის აეროპორტში“, როცა
საქართველოში, – პოეტის სიტყვით, უღმერთობის ცეცხლი ენთო,
სისხლი წვიმდა, სამეგრელო ზღუქუნებდა, ხოლო „ხალხს მიარღ-
ვევდა ზოგიერთი მაშინ ცოლითურთ ერთი კაცისკენ (საკოცნე-
ლად) მუჯლუგუნებით! არა „ამხანაგ“, – უკვე „ბატონ“ ერთი კა-
ცისკენ! – შეხვდა დამპლეთი რომელსაც ისე, ბალღნი ხვდებიან
საახალწლოს როგორც ნაძვის ხეს!“

სამოქალაქო თუ ძმათამკვლელი ომის ფაქტი არაერთხელ გა-
ისულერებს მკაცრად, მტკიცნეულად, დაურიდებლად, სახელდებუ-
ლად:

ვინც ანადგურებს ახლა ჭყონდიდს, ზუგდიდს, ჭალადიდს!
ვინც სისატიკით მურვანს ედრება! –
დაბოლოს ისიც,
არაერთი, ვით სხვა ჯალათი, –
თუ სული შერჩა, –
ალბათ, ქრისტეს მიეკედლება.
(„კბილი კბილის წილ“)



ქვეყნის ქაოსში იგი კვლავ საბჭოთა რუსეთის ხელწერაში ჩემი მიზანი დავს. „სიცოცხლე და სიკვდილი რუსულად“ (სათაური), ეს ლირიკული ტექსტი სწორედ ამ არეულობასა და უძედურებას წარმოსახავს. სასტიკია პოეტური ვერდიქტი მათ მიმართ. „რუსთათვის ვისაც ქართველების სურს მირთმა ლანგრით, შეგირდად, – ვეჭვობ, – გამოადგეს მას თემურლანგი“.

პოეტს აწუხებს აფხაზეთის პრობლემა, იქ შექმნილი ტრაგიკული ვითარება, ტექსტი კომენტარის გარეშე ნათელია და მრავლის-მეტყველი:

ფერი მიჰსადა,
თვით უგლის ეპეს,
ყველა ჩვენს დუშმანს
აგორებულმა
აფხაზეთში
უშადადუშმა!
ერთაშორისი,
ესეც შენი, –
აჟანდე,
Дружба!

მრავლადაა ტექსტები ყოველგვარ უზნეობაზე, ჩვეულებრივ ყოფით თუ პოლიტიკურ სივრცეში, ახალ „ყვარყვარებზე“, პურის რიგებზე, სტალინისა და ნიკიტას მონატრებაზე, ახალი საქართველოს ახალ ორჯონიქიძეებზე. არ ერიდება დაასახელოს „ნითელი ინტელიგენცია“, რომელიც, მისი სიტყვით, „უნინდელი უამის დაბრუნებას ცდილობდა“ და ა.შ. „სხვა საქართველო, მართლაც, სად არის?“ – ესაა რიტორკული კითხვა, გულისტკივილის გამომხატველი, პოეტის სუბიექტური განცდა. დანგრეული თბილისი... ახალი პარლამენტი – „აბლაბუდაში გაბმული პუჭურიკის“ მსგავსი; ირონიული – „სამშობლოს ჩემსას ესენგეში ეშველა შესვლით“, „რუსეთუმე...“ და სხვ. ქადაგი ჩოლოყაშვილის მონატრება, როცა ქვეყანას მართავდა საეჭვო რეპუტაციის ხალხი, „შარაგზის ავაზაკები“, რომლებიც „ბრძანებდნენ მომიტინგეთა ადგილზე ჩაძალებას“:

უნდა დატოვოს ყველამ ქალაქი, –
მომხრე ბრძანდება ვინც იმ ჯალათის!..
ახლა, ამ ვირთან
ღირს ლაპარაკი?!
ბიჭი არ იყოს ონიკაანთის?!
ნაღდი ფეხზეა ყველა ჩათლახი,
გიჟის ხამს ეცვას ვისაც ხალათი!

ქაქუც! – ავაპმე!
აფუსუბ! – სადა ხარ!..
ფხაა საჭირო ჩოლოყაანთი.

მწვავეა და მოურიდებელი იმ ვითარებაში პოეტის განაცხადი:

ქვეყანა ჩვენი, – სიმხდალემ ჩვენმა,
ხელთ უგდო ქურდებს, როგორც გულაგი!
საქართველოში,
ახლა რომ ბნელა!
ასე ოდესმე
ბნელებულა-ყე?!

პოეტი, რომელიც თავისი ცხოვრების წესით, შემოქმედის ნატურით იყო მტკიცე, შეუვალი, იმასაც იტყვის: „ეს, სად ვყოფილ-ვარ?! – მიცხოვრია თურმე რა ხალხში?! არა! სიცოცხლე მართლა არა ღირს!“ თუმცა, მაინც სძლევს ადამიანურ-მოქალაქეობრივი სურვილი:

ამ ჩემმა ზათქი რომ არ ჰყოს გულმა
(ცეცხლში ვითარცა ქვა სკდება ფილთა), –
დროზე და მალე ვიხილო უნდა, –
მე საქართველო, როგორიც მინდა!

ამ წლებში კვლავ გრძელდება ციკლი „1832“ – ლექსით „სიტყვა ალექსანდრესი (ბატონიშვილისა), – მითხრა რომელიც მაშინ, – თეთრი ღამის ადგილს, დღე რომ იჭრდა შავი“, – ეს ვრცელი სათაური სათქმელის გამოხატვის საშუალებაა, ირონიზებულია რეალობა, რომელსაც ლექსი ეხება. ირონიაა ბატონიშვილის ნათქვამიც (ანუ თავად ავტორის):

ვწყევ მამას ჩემსა,
თუმც, ვიცი, მამის
წყევლა
წესიერს
არ ჰმართებს
შვილსა!
არადა
ტვინში ამასხა სისხლმა!
გულზე მასივებს მოგება ნიშნის:
– აპა,
აღსრულდა

ხელმწიფური
 ან
 ჰაზრი
 მისი
 და სჭამ
 ნაყოფსა
 შენ
 მისგან ტკბილსა.

ესაა ინტერტექსტუალური გადაძახილი (ნ. ბარათაშვილის „საფლავი მეფის ირაკლისა“), რომელიც უცხო არ არის მუხრან მაჭავარიანის ლირიკულ ტექსტებში. რაც შეეხება ერეკლეს მიმართ გამოთქმულ მოსაზრებსს (შეფასებას), თუ მუხრან მაჭავარიანის შემოქმედებას მთლიანად გადავხედავთ, არაერთხელ შევხვდებით მის სახელს, სახეს, როგორც სათაყვანოს, ღირსეულს. გავიხსენოთ პოეტის „რომელი მეფე ერეკლე მე ვარ, ანდა რომელი მსაჯული მისი“ და ძევრი სხვა. ამ ლექსებში იგრძნობა ისიც, რომ მუხრან მაჭავარიანისთვის, მიუხედავად რუსულ პოლიტიკასთან მისი დამოკიდებულებისა, გასაგები იყო მეფე ერეკლეს არჩევანი – ორი უბედურებიდან ერთ-ერთის არჩევა (დაახლოებით ასე აფასებს ისტორიკოსთა უმრავლესობა ერეკლეს გადაწყვეტილებას საქართველოს ორიანტაციის საკითხში). მისთვის ერეკლე მამულისათვის თავშეწრიულია. ერთსტროფიანი ლექსის სათაური ასე იკითხება. „ჩემი ეპიტაფია, – ნასაწერი საფლავის ქვის ორივე მხარეზე (ქვედაზეც, ზედაზედაც), – მკვდარმაც რომ ნაიკითხოს და ცოცხალ-მაც“:

შენი არ იყოს, – ჩემო ირაკლი!
 ვერ ვიდეეგმირე! – ვერ ვინინაპრე! –
 ჭირმა ჩემმა და ჩემმა სილალემ! –
 მამულმა შენებრ შემიწირა მე.

90-იანი წლების მოვლენები, უკვე ისტორიად ქცეული, კრიტიკულად და მრავალმხრივაა ასახული პოეტის ბოლო წლების ლირიკაში. საგულისხმოდ მიგვაჩნია და დავასრულებთ მისი ერთ-ერთი გამონათქვამით:

ჯერ კიდევ, უამმა უნდა განვლოს, ჩანს, ერთობ ბევრმა,
 თავისი თავი თავის ტყავში რომ იგრძნოს ერმა.



სიკუდილის ნინ მისი უკანასკნელი სიტყვებიც, რომელიც უფრო დაამთავრა, ასეთი იყო: „არადა, არამცთუ სხვაგან, ამჟამად, თვით საქართველოში, სამწუხაოდ, არიან ქართველები, რომლებსაც მაინცდამაინც დიდად არაფრად მიაჩნიათ შენი ქართველობა“... (გოგოლაშვილი 2011: 67). ეს სიტყვა აქ განყდა... ამაზე დაფიქრება ღირს და ჩვენი ვალიცაა. მუხრან მაჭავარიანის გარდაცვალებასთან დაკავშირებით პოეტი რაულ ჩილაჩავა წერდა: „50-იანი წლების ბოლოს ჭაბუქმა პოეტმა თამამად დაიწყო დრომოჭმული სტერეოტიპების მსხვრევა და სიახლეს მონურებული მკითხველი მანამდე უცნობ რიტმებს, აზრებსა და სახეებს აზიარა. „ამ ვინრო ქუჩაში კომუნიზმი ვერ შემოეტევა“... – განაცხადა მან და მომავალში აუხდა კიდეც წინასწარმეტყველება...“

ჩემი და, ალბათ, ბევრი ჩემისთანის ნარმოსახვაში მუდამ ცოცხლობდა ასეთი პოეტური სამება: „მურმანი – ანა – მუხრანი“. ყველა მათგანმა გადააბიჯა 80 წლის ასაკს და შესანატრი ქრონოლოგიური თანამიმდევრობით გადალახა საწუთროს მიჯნა. პოეტი თავისი უეცარი განმორებით თითქოს ახდენს ვირტუალური სამების კანონზომიერებას. ბეჭედს ურტყამს მის საუკუნო არსებობას.

ბოლოს ისევ მუხრანის სტრიქონს გავიხსენებ: „ეს გზა მეც ვიცი, საითკენ მიდის!“ ახლა, როცა მუხრან მაჭავარიანის მინიერი გზა დასრულდა, ჰკითხეთ ნებისმიერ ქართველს, საითკენ მიდის ის სხვა, უსასრულო გზა, რომელიც ეს-ესაა დაწყო და პასუხად უსათუოდ გაიგონებთ: „რა თქმა უნდა, უკვდავებისკენ“ (ჩილაჩავა 2011: 9).

საუბარს მუხრან მაჭავარიანზე დავამთავრებთ უნმიდესისა და უნეტარესის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის სიტყვებით, რომელიც მიემართება პოეტს: „ადამიანი მოდის ერთხელ, რათა აღასრულოს თავისი მოვალეობა. არიან ადამიანები, რომლებიც მხოლოდ თავიანთ ჯვარს ატარებენ. თუმცა, არიან ადამიანები, რომლებიც ატარებენ ერის ჯვარსაც, ერის ტკივილს, ბედს, ავსა და კარგს. ბატონი მუხრანი ბრძანდებოდა ის პიროვნება, რომელსაც ტკიოდა ერის ტკივილი. ამავე დროს, ის ხედავდა მომავალს. პოეტი და მწერალი ერის მომავალს უნდა ხედავდეს და ყველაფერს აკეთებდეს, რათა ქვეყანაში მშვიდობა და ბედნიერება სუფევდეს.“

თავს უფლებას მივცემთ, გავიმეოროთ – მუხრან მაჭავარიანმა ერის ჯვარი ატარა თავისი ცხოვრებისა და შემოქმედების დიდ და რთულ გზაზე.

დამოწმებანი

ბრეგაძე 2005: ბრეგაძე ლ. პოსტსაბჭოური კულტურის სივრცე და ლიტერატურული პროცესი. - თბ., 2005.

გოგოლაშვილი 2011: გოგოლაშვილი გ. ფიქრები მუხრან მაჭავარიანზე, ანუ მასალები ბიოგრაფიული ნარკვევისათვის. // „ოდეს ლექსშილა ხმაურობდა პოეტის სისხლი“. - თბ., „ინტელექტი“, 2011.

დოიაშვილი 2003: დოიაშვილი თ. დაბრუნება. - თბ., „მერანი“, 2003.

ვასაძე 2010: ვასაძე თ. დიალოგი თემაზე - „ტოტალიტარიზმი და ლიტერატურა“. // საერთაშორისო სიმპოზიუმის - „ტოტალიტარიზმი და ლიტერატურული დისკურსი“ - მასალები. - თბ., ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2010.

მათიაშვილი 2003: მათიაშვილი მ. ანა კალანდაძეს კომუნისტური ცენზურა ლექსებს უჩეხავდა. დიალოგი პოეტთან. - გაზ. „ვერსია“, 26.VI. 2003.

მაჭავარიანი 1991: მაჭავარიანი მ. ერთტომეული. - თბ., „საქართველო“, 1991.

მაჭავარიანი 1995: მაჭავარიანი მ. „გიკვირს? – ნუ გიკვირს?!“ - მოსკოვი, გრაალის ფონდი, 1995.

ჩილაჩავა 2010: ჩილაჩავა რ. „ეს გზა მეც ვიცი, საითვენ მიდის!“ // „ოდეს ლექსშილა ხმაურობდა პოეტის სისხლი“. - თბ., „ინტელექტი“, 2011.


ცხადაია 2006: ცხადაია ზ. XX საუკუნის ქართული ლირიკის ისტორიანი. - თბ., „მერანი“, 2006.



მარიმ გაჩეჩილაძე

ოთარ ჯიშვარიანი – მხატვარი მნიშვნელობა

ოთარ ჯიშვარიანი XX საუკუნის 50-იანელთა თაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. თავისი შემოქმედების ოთხი ათეული წლის მანძილზე, მის მთავარ საქმიანობას თანამედროვე ქართული წიგნის მხატვრული დონის ამაღლებისთვის ზრუნვა წარმოადგენდა.



ხელოვანს სამ ასეულამდე წიგნი აქვს გაფორმებული და თუკი ვინმეს შეიძლება ენოდოს – მხატვარი-მწიგნიბარი ეს სახელი წამდვილად მასაც ეკუთვნის. თუმცა ოთარ ჯიშვარიანის შემოქმედება მხოლოდ წიგნის გრაფიკით არ შემოიფარგლებოდა, იგი პარალელურად მუშაობდა ფერწერასა და დაზგურ გრაფიკაში, ქმნიდა შრიფტის გარნიტურებს, პლაკატებს, შეასრულებული აქვს ასევე მონუმენტური მოზაიკური პანო, შემონახულია ასევე გობელენი-სათვის განკუთვნილი რამდენიმე ესკიზიც.

შემოქმედებით მუშაობასთან ერთად, მხატვარი სიცოცხლის ბოლომდე აქტიურად იყო ჩართული ქართული სახვითი ხელოვნების განვითარების პროცესებში.

მეოთხეულს რომ უფრო ნათელი წარმოსადგენა შეექმნას ოთარ ჯიშვარიანის მიერ განეულ ღვანლზე, შევეცდებით ზოგადად გადავავლებინოთ თვალი მხატვრის შემოქმედებით ბიოგრაფიას.

საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრი ოთარ ჯიშვარიანი 1929 წლის 29 აგვისტოს დაიბადა იმერეთში, ხონის რაიონის, სოფ. გუბში. ს. დიდი ჯიხაიშის სამუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1949 წელს მისაღებ გამოცდებს აბარებს თბილისის სამ-



მამაკაცის პორტრეტი. ქ.ფ., 1954

ხატვრო აკადემიაში, ხდება გრაფიკული მომღელება ფიგურის ფაკულტეტის სტუდენტი, რომელსაც 1955 წელს ამთავრებს.

თოარ ჯიშვიარიანის აკადემიაში სწავლის ბოლო წლები სერგო ქობულაძის დირექტორობის პერიოდს¹ ემთხვევა. თბილისის სამხატვრო აკადემიის ფონდებში შემორჩენილია მხატვრის სტუდენტობის დროინდელ ნამუშევრები, რომლებშიც ჯერ კიდევ სწავლის პროცესში მყოფი, IV-V კურსის სტუდენტის მიერ ნახატის ფლობის საოცარი უნარია გამოვლენილი. (ილ. 1)

ხატვის ოსტატობის მაღალ პროფესიულ დონეზე შესწავლას იმ წლების სამხატვრო აკადემიაში დიდი ყურადღება პქნდა დათმობილი. გრაფიკის ფაკულტეტზე სწავლებისთვის შექმნილი განსაკუთრებული პირობების შესახებ ნათელ ნარმოდგენას გვაძლევს ამონარიდი ბატონი ლევან ცუცქირიძის ინტერვიუდან: „ბატონი სერგოს დროს ხატვის კლასში რომ შემოსულიყავით, აბსოლუტური სიჩუმე იდგა და ფანჯრის ხმა ისმოდა. აი, ისეთი დისკიპლინა და თან დიდი სიყვარული იყო. არანაირი არეულობა და გაუგებრობა არ ყოფილა, როგორც შემდგომ წლებში მოხდა და, პრინციპში, დღესაც ხდება. ბ-ნმა სერგომ აკადემიის დერეფნებში ბერძნული ხელოვნების და მთელი კლასიკოსების ასლები დადგა. შესვენების დროს რომ გამოვდიოდით, ვუყურებდით ამ ნამუშევრებს. რამხელა სიყვარულია არა, აქ?! და აკადემიაში შემოიტანა კლასიკური მუსიკა. საღამოს, ხატვის საათები როდესაც გათავდებოდა, დერეფნაში ისმოდა კლასიკოსების მუსიკა. აი, ასეთ ატმოსფეროში ვიზრდებოდით ჩვენ სერგო ქობულაძის დროს”².

გარდა სერგო ქობულაძისა ახალგაზრდა მხატვართა აღზრდას უფროსი თაობის ნამყვანი მხატვრები უძღვებოდნენ, მხატვრები,

1 საქართველოს სახალხო მხატვარი სერგო ქობულაძე თბილისის სამხატვრო აკადემიის დირექტორის მოვალეობას ასრულებდა 1952-1959 წლებში.

2 სოფიო ჩიტორელიძე, ინტერვიუ ლევან ცუცქირიძესთან. იხ.: ელექტრონული ურჩალი „არს გეორგიკა“, <http://georgianart.ge/index.php/ka/component/content/article/191.html?ed=17> (ინფორმაცია აღებულია – 28.08.2019, 09:36).



ურნალი „ნიანგი“. 1957, № 5

რომელთაც საფუძველი ჩატარდა ეს თანამედროვე სახვით ხელოვნებაში გრაფიკის დარგის მომავალ წარმატებას. მათ თავისი შემოქმედებითაც წარუშლელი წვლილი შეიტანეს ამ დარგის განვითარებაში. განსაკუთრებით კი ეს ითქმის ევროპული განათლებით აღჭურვილ აკადემიის ერთ-ერთ დამაარსებელ პროფესორ იოსებ შარლემანზე, რომელიც 1918 წელს ჩამოვიდა საქართველოში და საბოლოოდ აქვე დარჩა საცხოვრებლად. იოსებ შარლემანი აკადემიის დაარსების პირველივე დღიდან სათავეში ედგა გრაფიკის კათედრას, თავადვე გასწია თავდაუზოგავი შრომა ამ დარგის განვითარებისთვის, საფუძველი ჩაუყარა წიგნის გრაფიკაში ქართული შრიფტისა და ორნამენტის დამკვიდრებას. ოთარ ჯიშკარიანის პროფესიონალ მხატვარდ ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს ასევე სამსონ ნადარეიშვილმა და ლადო გრიგორიაშ, ამ უკანასკნელმა ქართული შრიფტისა და წიგნის გრაფიკის განვითარებას დაუთმო მთელი თავისი შემოქმედება და მომავალი თაობის მხატვართა აღზრდა-ჩამოყალიბებაზეც წარუშლელი კვალი დატოვა.

ასეთი მაღალი პროფესიული ცოდნით აღჭურვილი ტოვებს ოთარ ჯიშკარიანი თბილისის სამხატვრო აკადემიას და ეს ცოდნა მისი შემდგომი წარმატებების მყარი საფუძველი ხდება.

როგორც მერაბ ბერძენიშვილი აღნიშნავს – „ოთარი ნამდვილად პროფესიონალი მხატვარი-გრაფიკოსი იყო, რომელმაც ძალზე კარგად იცოდა ის სპეციფიკური მხარე გრაფიკისა, რომელიც დღეს ბევრმა მიივინება: გრავიურა ხეზე, ლითონზე, ლითოგრაფია, ოფორტი. ჯერ კიდევ ჭაბუკმა ქართული კულტურის დეკადისათვის უმშვენიერესი პლაკატები შექმნა (თავის მეგობრებთან ერთად). ამ პლაკატებს დიდი გამოხმაურება მოყვა, თითქმის ევროპის ყველა ქვეყანაში იყო ექსპონირებული. მოუღლელად იღვნოდა, ჭაბუკობიდან იყო ჩართული მხატვრულ ცხოვრებაში. მრავალი წიგნი გააფორმა, მრავალი გამოფენის მონაწილე იყო. მთელი ცხოვრება

მხატვრის დაძაბული ცხოველებით ბით იცხოვრა. შექმნა „ანბანთქება“, რომელმაც კიდევ ერთხელ გამოავლინა მისი მაღალი პროფესიული ოსტატობა.“¹

მხატვარი სტუდენტობის დროიდანვე იწყებს თანამშრომლობას პერიოდული გამოცემლობების რედაქციებთან, ქმნის ილუსტრაციებს ჟუნალებისთვის – „ნიანგი“, „დილა“, „პიონერი“. (ილ. 2, 3)

1950-იანი წლებიდანვე ახლენს თავისი ნამუშევრების ნარდგენას ფართო საზოგადოებისთვის. მუდმივად იფინება – რესპუბლიკურ, საკუშირო და უცხოეთში მოწყობილ



ჟურნალი „დილა“. 1964, № 5

სამხატვრო გამოფენებზე და სიცოცხლის მანძილზე ორ პერსონალურ გამოფენასაც მართავს.²

შემოქმედებითი გზის დასასწილივე მხატვარს ოთარ ჯიშვარიანს მხატვრულ ცხოვრებაში წარმოქმნილ მნიშვნელოვან პროცესებში მოუხდა ჩართვა. ქვეყანაში მოსკოვში ჩასატარებელი 1958 წლის ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადისათვის მზადება მიმდინარეობდა. დეკადის წარმატებით წარმართვისათვის და მისი პოპულარიზაციისათვის სათანადოდ წარდგენა იყო აუცილებელი, რაც სარეკლამო სამუშაოების მაღალ დონეზე მომზადებით იქნებოდა შესაძლებელი. დაგეგმილი ღონისძიებების რეკლამირებისთვის მხატვარ-გრაფიკოსთა რამდენიმე ჯგუფი მუშაობდა, მათ საქმიანობას კი პროფესორი ლადო გრიგოლია ხელმძღვანელობდა³.

1 მერაბ ბერძენიშვილი. ბევრი მაქვს მოსაგონარი. - გაზ. ოთარ ჯიშვარიანი. 29 აგვისტო, 1995 წელი, გვ. 7.

2 პირველი პერსონალური გამოფენა 1972 წლის აპრილში მოეწყო გამოცემლობა „მერნის“ საგამოფენო დარბაზში; მეორე პერსონალური გამოფენა – 1986 წლის მაისში „მხატვრის სახლში“.

3 დეკადისათვის შექმნილი საერთო აფიშა ლადო გრიგოლიას ეკუთვნის; გრიგოლედოვის თეატრის წარმოდგენების აფიშები – ლადო გრიგოლიასა და ინა დიონიაგორცევას; რესთაველის თეატრის აფიშები ვახტანგ გიორგობანმა, შეთა კუპრაშვილმა და სერგო კაშხიანმა შესასრულეს; მარჯანიშვილის თეატრისა – მერაბ და ელგუჯა ბერძენიშვილებმა, ლეონარდო შენგელიამ, ირაკლი გორდელაძემ;



აფიშა საქართველოს სახელმწიფო
კვარტეტისათვის. 1958



აფიშა ზ. ფალიაშვილის სახელობის
ოპერისა და ბალეტის
თეატრისათვის. 1958

ოთარ ჯიშვარიანის, დავით დუნდუასა და ნოდარ მალაზონიას ერთობლივი მუშაობით შეიქმნა პლაკატები თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრისათვის, ასევე ცალკეული კონცერტებისა და გამოფენებისათვის. მათ მიერ შესრულებულმა პლაკატებმა დიდი მოწონება დაიმსახურა. ცნობილი საბჭოთა მხატვარი, ფერმწერი და გრაფიკოსი ნიკოლოზ დენისოვსკი ეხმიანება რა ქართველ პლაკატისტთა მიერ, იმ პერიოდისთვის სრულიად „უცხო ხელნერით“ შესრულებულ სარეკლამო „პროდუქციას“ კონკრეტულად ამ მხატვრებთან მიმართებაში ნერს: „აი ახალი პლაკატი. შავი ვიოლინო თეთრ ფონზე. ეს არის საქართველოს სახელმწიფო კვარტეტის აფიშა – მხატვრების ო. ჯიშვარიანის, ნ. მალაზონიას, დ. დუნდუას ნამუშევარი. (ილ. 4, 5) ჩვენ არაერთხელ გვინახავს პლაკატები კვარტეტების წარმოდგენების შესახებ, მაგრამ ვერცერთი მათგანი ვერ შეგვინიშნავს. აი,

ოპერის თეატრის – ოთარ ჯიშვარიანმა, ნოდარ მალაზონიამ და დავით დუნდუამ. ცალკეული კონცერტებისა თუ საღამოების სარეკლამო ბანერები, მოსაწვევები და პროგრამებიც ამავე მხატვრების მიერ იყო შესრულებული.



კარლო კალაძე. პოემები და
ლექსები. გამ. „მერანი“, თბ., 1970

ეს ვიოლინო კი, ჩვენ გვამახსოვრებელი
რდება, იმიტომ რომ მხატვრები
მიაგნეს თეთრი ფონისა და შავი
ვიოლინოს ნარმატებულ კომ-
ბინაციას, სხვა სიტყვებით რომ
ვთქვათ, მათ იპოვნეს პლაკატის
ისეთი ენა, რომელსაც მნახველი
ჩასწორდება და ამახსოვრდება.


ამავე ავტორებს ეკუთვნით
პლაკატები „ოტელო“, „გორდა“,
„დაისი“, „ორლეანელი ასული“,
„ჩრდილოეთის პატარძალი“.
პლაკატები მარტივია – ტექსტი
თითქმის იგივეა, მაგრამ უფრო
რთულია მათი შესრულება იმ-
გვარად, რომ თვალშისაცემნი
და დასამახსოვრებელნი იყვნენ
მაყურებლისთვის. თუმცა ისი-
ნი მრავალი პლაკატის ფონზეც
შეცნობადი და გამორჩეულია.¹

ოთარ ჯიშვარიანი სარეკლამო-პროპაგანდისტულ ხელოვნებას
შემდგომ წლებშიც უბრუნდება და თავისი შემოქმედების მანძილ-
ზე ძევრ მნიშვნელოვან, საყოველთაოდ აღიარებულ პლაკატებს
ქმნის და ხშირად სათანადო ჯილდოსაც იღებს.


როგორც ზევითაც აღნიშნეთ, ყველაზე მეტი შრომა ოთარ
ჯიშვარიანს წიგნის გრაფიკაში აქვს ჩადებული. მისი მთავარი ამო-
ცანა წიგნის ორგანიზმის მთლიანობის მიღწევაა. მხატვარი ძირი-
თადად ყდის, ტიტულ-კონტრტიტულის, შმუცტიტულების და თავ-
სართ-ბოლოსართების კომპოზიციებს ქმნის, რომლებიც ხშირად,
მინიატურულ, გრაფიკულ ილუსტრაციებს ნარმოადგენენ. ყდები-

1 «Вот новая афиша. Чёрная скрипка на белом фоне. Это афишиа Государственного квартета Грузии – работа художников О. Джишакиани, Н. Малазония, Д. Дундуа. Не раз мы читали афиши о выступлениях квартетов, но ни одна из них мы не заметили. А вот эту скрипку мы заполнили, потому что художники в своём решении нашли удачные сочетание белого фона и чёрной скрипки, другими словами, они нашли такой плакатный язык, который дойдет до зрителя и запомнится ему. Этим же авторам принадлежит афишиа „Отелло“, „Горды“, „Даиси“, „Орлеанской девы“, „Невесты севера“. Они просты – почти одно текст, но тем сложней выполнить их так, чтобы они бросались в глаза и запоминались зрителем. Однако на фоне многих плакатов они узнаются и различаются.»

იხ.: Декада грузинского искусства и литературы в Москве. Тб., изд. "Заря Востока", 1959, стр. 306.



მუხრან მაჭავარიანი. ოქვი
(ლექსები). გამ. „მერანი“, თბ., 1971



აყვავდი ტურფა ქვეყანავ.
ალბომი. გამ. „ნაკადული“, თბ.,
1971

სა და სხვა მხატვრული ელემენტების შესრულებისას შერჩეული შრიფტის ფორმები წიგნის შინაარსაა მისადაგებული, შესაბამისად სასათაურო ასო-ნიშნები ხან მკაცრი, კლასიკური, ჩამოსხმული ფორმებით, ხან კი მსუბუქი, ელასტიკური კონტურით იქმნება, ასევე იცვლება ნახატის ხასიათიც. ამგვარი მიდგომით შესრულებული წიგნი მკითხველისთვის ხელში აღებისთანავე ცნობადს ხდის რა ხასიათის ნაწარმოებთან აქვს საქმე – დრამატულთან, ტრაგიკულთან, ლირიკულთან, დეტექტივთან, სამეცნიეროსთან თუ სხვა... (ილ. 6, 7, 8)

საბავშვო ნაწარმოებებისა თუ ზღაპრების გაფორმების შემთხვევაში მხატვარი მიზნად ისახავს წიგნის შინაარსის ნახატით გადმოცემას, სახიერად წარმართავს თხრობას, კადრისებური თვალმიდევნებით, თვალნათლივ ნარმოადგენს ტექსტში მოთხრობილ ამბებს. ამის სანიმუშოდ გამოდგება თუნდაც იროდიონ ევდოშვილის ლექსთა კრებული „მე წყარო ვარ“, რომელშიც მხატვარი, უწყვეტი დასურათებით, ფურცლიდან-ფურცელზე გადასვლით „ამოგზაურებს“, პატარა მკითხველს წიგნის „ორგანიზმში“, ნახატით აწვდის ტექსტის შინაარსს. (ილ. 9)

წიგნის ხელოვნების განვითარებაში მის მიერ შეტანილი წვლილი მხოლოდ პირადი მხატვრული შემოქმედებით არ შემოიფარგლება, არამედ სამსახურეობრივი მოღვაწეობითაც, რადგან იგი აკადემიის დამთავრებისთანავე იყო ჩართული ნამყვან გამომცემლობებთან თანამშრომლობით, სხვადასხვა წლებში მუშაობს წამყვან რედაქციებში მხატვრულ რედაქტორისა თუ მთავარი



იროდიონ ევფოშვილი „მე წყარო ვარ“. გამ. „ნაკადული“, თბ., 1963

მხატვრის თანამდებობებზე¹. მისივე რეკომენდაციითა და ხელშეწყობით გამომცემლობებთან თანამშრომლობისთვის იწვევდნენ წამყვან მხატვრებს – თენგიზ მირზაშვილს, ჯემალ ლოლუას, დავით დუნდუას, ზურაბ ლეჟავას, ნოდარ და მამია მალაზონიებს, ზურაბ ნიუარაძეს, დიმიტრი ერისთავსა და სხვებს. ზოგიერთ მათგანთან თანავტორობითაც აფორმებს წიგნებს (თენგიზ მირზაშვილი, დავით დუნდუა).

ოთარ ჯიშვარიანის ზრუნვა წიგნის მიმართ მის განსაკუთრებულ დამოკიდებულებაში გამოიხატება, რომელზეც მისივე სიტყვები მეტყველებს. ერთ-ერთ სტატიაში მხატვარი წერს: „წიგნის „შექმნა“ კოლექტიური საქმეა. წიგნი რომ სრულფასოვანი იყოს, საჭიროა მხატვრის, ტექრედაქტორის, სტამბის მუშაქების შეთანხმებული და გულდადებული მუშაობა. ამასთანავე, აუცილებელია, შესაბამისი მაღალხარისხოვანი პოლიგრაფიული მასალები...“

„... გამომცემლობაში მხატვარი ერთ-ერთი მთავარი ფიგურაა და მისი როლის გაზრდა დიდად არგებს ქართული წიგნის გაფორმების კულტურას...“

¹ ოთარ ჯიშვარიანი წლების განმავლობაში იყო გამომცემლობების - „ნაკადული“, „მერანი“, „ხელოვნებას“ მთავარი მხატვარი. შასი ინიციატივით მხატვრის კვირეულთან დაკავშირებით მომზადდა და გამოიცა გაზეთი „მხატვრი“-ს პირველი წომერი (1971 წ.), ასევე მის მცდელობით გაიხსნა გამომცემლობა „მერნი“-ს საგამოცენო დარბაზი.

.... ქართული წიგნის მხატვრულ-პოლიგრაფიული დოწის ასაკი
მაღლებლად აუცილებლად მიგვაჩინია კიდევ ერთი საკითხის მოყვა
ვარება — ექსპერიმენტული ლაბორატორიის შექმნა. უნდა ითქვას,
რომ ამ ხუთიოდე ნლის წინ გვქონდა ასეთი ლაბორატორია, მაგ-
რამ, სამწუხაროდ, იგი ჩვეულებრივ საამქროდ აქციეს და ფერადი
ბეჭდვის სტამბას შეუერთეს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ასეთი
ლაბორატორიები თუ საამქროები წარმატებით მუშაობენ მოსკოვ-
სა და მოძმე რესპუბლიკების ქალაქებში, საყოფანო არ უნდა გახ-
დეს მისი კვლავ აღდგენის გადაუდებელი საჭიროება.




დღევანდელობის მთავარი მოთხოვნა — ხარისხი და ეფექტუ-
რობა — პირდაპირ უკავშირდება ექსპერიმენტული ლაბორატო-
რიის არსებობას, რომლის მთავარი დანიშნულებაა იაფი, მარტივი
და დახვენილი წიგნების ახალი ნიმუშების შექმნა და წარმოებაში
დანერგვა. იქ მხატვრებს, დიზაინერებსა და პოლიგრაფიისტებს
საშუალება ექნებათ სხვა მასალებთან ერთად გამოიყენონ ყველა
ასორტიმენტის ქაღალდი, მუყაო, ქსოვილი, კოლენკორი, ლიდერი-
ნი, ლითონი, პლასტიკატები....¹

მხატვრის ღვანლი რა თქმა უნდა შეუმჩნეველი არ დარჩენილა.
ამაზე მეტყველებს ის მრავალი ჯილდო, რომელიც მას ხშირად გა-
დაეცემოდა სახელმწიფოს მხრიდან.²

გარდა წიგნის გრაფიკისა ოთარ ჯიშკარიანს განსაკუთრებული
წვლილი აქვთ შეტანილი ქართული ასო-ნიშნების ფორმათა მხატვ-
რულ დახვენასა და შრიფტების მრავალფეროვანი გარნიტურებს
შექმნაში, საყოველთაოდაა ცნობილი მის მიერ შედგენილი ალბო-
მი „ანბანთქება“, რომელიც ცალკე, დამოუკიდებელ კვლევა-შეფა-
სებას იმსახურებს. თვითონეული ასო-ნიშანისთვის „სადიდებელი“

1 ოთარ ჯიშკარიანი, წიგნი და მხატვარი. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 29 აპრილი, 1977.

2 1963-1980 წწ. მიღებული აქვს მრავალი საკავშირო ჯილდო და დიპლომი.
მათ შორის: საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის გამოცემის საქმეში
ნაყოფიერი მუშაობისათვის – საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
საპატიო სიგელი (1963 წ.-ის 18 მაისი), საიუბილეო მედლი – „За доблестный
труд вознаменование 100-летия со дня рождения Владимира Ильича
Ленина“ (1970 წ. 25 აპრილი), წიგნის საუკეთესო მხატვრული გაფორმებისა
და პოლიგრაფიული შესრულების რესპუბლიკურ კონკურსში მონაწილეობისას,
საუკეთესო მხატვრული გაფორმებისათვის დიპლომი (1971 წ. 5 მაისი), როგორც
გამომცემლობა „ხელოვნების“ მთავარი მხატვარს მიენიჭა ნიშანი – „Победитель
Социалистического Совернования 1975 года“ (1976 წ. 12 თებერვალი), ოსეთის სსრ
ავტონომიის უმაღლესი საბჭოს მიერ, სასტუმრო „ვლადიკავკაზის“ მშენებლობაში
შეტანილი წელილისათვის საპატიო ორდენი (1977 წ. 5 აგვისტო) და სხვ. 1980 წ.
12 მარტს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით
მიენიჭა საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის საპატიო ნოდება.



ანბანთქება. გამომცემლობა
„საბჭოთა საქართველო“ -
თბ., 1986

მხატვრული კომპოზიცია შედგენილია ასომთავრულის, ნუსხა-ხუცურისა და მხედრულის დახვენილი შეხამებით ერთმანეთთან და ქართული არქიტექტურული ძეგლების ფორმებთან, ასტროლოგიურ სიმბოლოებთან და ორნამენტის დეტალებთან. (ილ. 10, 11, 12)

რ. მუხიგულაშვილი, ეხება რა „ანბანთქების“ გამოცემას, წერს: „ცნობილმა ქართველმა გრაფიკოსმა, საქართველოს სსრ დამსახურებულმა მხატვარმა ოთარ ჯიშკარიანმა ხანგრძლივი შემოქმედებითი მუშაობის შედეგად თავისი სანუკვარი ჩანაფიქრი



განახორციელა – შექმნა ქართული დამწერლობის განვითარების
მხატვრული კომპოზიციები, რომელსაც „ანბანთქება“ უწოდა.
დიდი რუდუნებით შეგროვილმა მასალებმა, მხატვრულმა ალლობ
შემოქმედს უზადოდ შეასრულებინა „ანბანთქების“ 36 მხატვრული
ტილო...“


„... თითოეულ ასო-ნიშანზე მოცემულია მისი რიგითი ნომერი და
რიცხვითი მნიშვნელობა. ყოველ ასო-ნიშანზე, აუცილებლად არის
დასახელებული ქართული კულტურის ძეგლები, საქართველოში
გავრცელებულ ცხოველთა და ფრინველთა სახელები, მცენარე,
მდინარე, ქართული სოფლისა და ქალაქის სახელნოდებანი. მოყვა-
ნილია ქართული ხალხური ანდაზები, რუსთაველის აფორიზმები,
პროზისა და პოეზიის ნიმუშები. თითოეული კომპოზიცია შვიდი-
რვა ნახატით არის შესრულებული. ერთი სიტყვით, მკითხველები
ეზიარებიან უზარმაზარ სამყაროს, რომელშიც ნათლად იკვეთება
ქართული ანბანის ბუნება.“¹

„ანბანთქება“ სამჯერ გამოიცა (1986, 1997 და 2012 წ.წ.) და
ალბათ მომავალშიც მრავალჯერ გამოიცემა, რადგან მასზე დრო
არ მოქმედებს. ეს ნამუშევარი ქართული ანბანის უკვდავებისთვის
დადგმულ ძეგლს წარმოადგენს.

გარდა „ანბანთქებისა“, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, მხატ-
ვარს შესრულებული აქვს მხატვრული შრიფტის მრავალფერო-
ვანი ნიმუშები კონკრეტულად გააზრებული სხვადასხვა ნიგნების
ყდების, ტიტულ-კონტრტიტულებისა თუ შმუცტიტულების გა-
საფორმებლად. მასვე ეკუთვნის ლიტერატურული უურნალების:
„ცისკრის“, „ლიახვის“, „კრიტიკის“ გარეკანის შრიფტებიც.

მნიშვნელოვანია ასევე, რომ ოთარ ჯიშვარიანი ბევრი სასიკეთო
ერთობრივი მოქმედებისა თუ ღონისძიების დაგეგმვის ინიციატო-
რი იყო. მან შემოიკრიბა მეგობრები, მხატვრები და სხვა პროფე-
სიის შემოქმედი ადამიანები და ტრადიციად აქცია საქართველოს
სხვადასხვა კუთხებში „შემოქმედებითი სტუმრობა“. დიდია მისი
თაობის წვლილი საქართველოს მაღალმთიანი, მივიწყებული კუთ-
ხეების, მხატვრულად გაცოცხლებაში”; ამ მხატვართა მოგზაურო-
ბების დროს იქნა შესრულებული ნამუშევრები, რომლებიც ასახავ-
დნენ მთათუთეშის, ხევსურეთის, სვანეთისა თუ რაჭის პეიზაჟებს,
მთის სოფლების მკვიდრთა ყოფა-ცხოვრების სცენებს. ამგვარი
მოქმედებით კი მათი მომდევნო თაობის მხატვრებსაც უდვიდებდ-
ნენ ინტერესს მშობლიური ქვეყნისადმი. ვ. მარდალეიშვილის მიერ
მხატვართან შემდგარ ინტერვიუში ვკითხულობთ: „ნელინადი


1 რ. მუხიგულაშვილი, ქება ჩვენი ანბანისა. გაზ. „კომუნისტი“, 28 აგვისტო, 1982.



უშგული. ტ.ზ., 1971



დიკლო. ქ. პასტელი, 1975



პარიზი. ქ. აკვ. ტუში, 1973

ისე როგორ გავიდოდა, რომ თენგრის მიმზად ზაშვილთან, შურმან ლებანიძესთნ, შოთა დილიძესთან ერთად მთაში არ ავსულიყავი. იქვე ვაკეთებდი ჩანახატებს... საერთოდ, მიმართია, რომ მხატვარი ზედმინევნით უნდა იცნობდეს მშობლიურ ბუნებას, მის მრავალფეროვნებას. ამას ახალგაზრდების გასაგონად უფრო ვამბობ...¹

საქართველოს სხვადასხვა კუთხებში მოგზაურობისას შექმნილი ფერწერული ტილოები თუ გრაფიკული ნამუშევრები

განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ოთარ ჯიშკარიანის შემოქმედებაში – „იმერეთი“ (1967), „კავკასიონი“ (1969), „გომბორი“ (1969), „სვანეთი“ (1970), „უშგული“ (1971- ილ. 13), „იალღებზე“ (1970), „დიკლო“ (1971 - ილ. 14), „ომალო“ (1972), „შენაქო“ (1974) და სხვ.

მრავლად აქვს ასახული საქართველოს ქალაქების ხედებიც (თელავი (1969), ძველი თბილისი);

შექმნილი აქვს ასევე სხვადასხვა ქვეყნებში მოგზაურობისას შესრულებული ნამუშევრებები – ბრიუგე (1968), „კუბა“ (1972), „პარიზი“ (1973 - ილ. 15), „ჰავანა“ (1973) და სხვ.

განსაკუთრებული ემოციურობითაა გაჯერებული ოთარ ჯიშკარიანის მიერ შესრულებული პორტრეტები. მათ შორის გამორჩეული „მეუღლის პორტრეტი“, „ნინო ნიგნით“, „მარინე“. (ილ. 16, 17)

ოთარ ჯიშკარიანის შემოქმედება, გარდა ფერწერისა და გრაფიკისა, მონუმენტურ ფერწერას, კერძოდ კი, მოზაიკასაც შეეხო. ამის შესახებ გაზირი ალიტერატურული საქართველო „გვატყობინებს, სადაც ვკითხულობთ: „ქალაქ ორჯონივიძეში მწყობრში ჩადგა

1 ვ. მარდალეიშვილი, მზერა ქართველია... გაზ. „კომუნისტი“, 18 ივნისი, 1986.

ახალი სასტუმრო „ვლადი-
კავკაზი“. ამ თანამედროვე
შენობის გაფორმებაში მო-
ნაწილეობდნენ ქართველი
მხატვრებიც – გამომცემ-
ლობა „ხელოვნების“ მთავა-
რი მხატვარი ო. ჯიშვარიანი,
გამომცემლობა „საქართ-
ველოს“ მთავარი მხატვა-
რი დ. დუნდუა და უურნალ
„საქართველოს ქალის“
მხატვრული რედაქტორი ლ.
შენგელია. ქართველმა ოს-
ტატებმა შექმნეს მოზაიკუ-
რი პანო თემაზე „ნართული
ეპოსი“ და „კოსმოსი“. მათვე
შეასრულეს ინტერიერები
და ჭედური კომპოზიცი-
ები, რომელებშიც ეროვნუ-
ლი მოტივები შერნყმულია
თანამედროვეობასთან.“¹
(ილ. 18)

ოთარ ჯიშვარიანი თავის
ქვეყანაზე უზომოდ შეყვა-
რებული ადამიანი იყო და
უდიდესი ტკივილით განიც-
დიდა 1989 წლის 9 აპრილ-
თან მოყოლებული, 1990-
იანი წლების დასაწყისში
განვითარებულ ტრაგიკულ
მოვლენებს. ნიშანდობრივია
მერაბ ბერძენიშვილის მო-
გონება, სადაც იგი წერს: „საქართველოში უკიდურესად დაძაბუ-
ლი მდგომარეობა იყო. ყოველ მოედანზე მიტინგები იმართებოდა.
თეატრებსა და დიდ დარბაზებში თავყრილობები. და სწორედ ერთ-
ერთი შეკრებისას რუსთაველის თეატრის სცენიდან გაისმა სიმღე-
რა „ჩემო კარგო ქვეყანავ“. სიმღერას მთელი დარბაზი აჰყვა. მე
და ოთარი ერთად ვისხედით. უცებ ფეხზე წამოიჭრა და გარეთ გა-




მეუღლის პორტრეტი. ქ. გუაში, 1965



ნინო წიგნით. ქ. გუაში, 1965

¹ ჯილდო ქართველ მხატვრებს. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 28 ოქტომბერი, 1977.



დეკორატიული პანო „დილა“. მოზაიკა.
ქ. ალაგირი, 1975

ბელ სამშობლოში განვითარდა. 1995 წლის 22 იანვარს, 66 წლის
ასაკში მხატვარი გარდაიცვალა, მაშინ როდესაც ჯერ კიდევ ბევრი
შემოქმედებითი ჩანაფიქრი ჰქონდა განსახორციელებელი.


ვარდა. როცა მიზეზზე ქვეყნის-ი
სე, მითხრა, ცრემლები
მახრიობდაო. მისი მოჭარ-
ბებული სიყვარული თავი-
სი ხალხისა და ქვეყნისად-
მი მძაფრად ვლინდებოდა
ყველაფერში... განსაკუთ-
რებით მის ხელოვნებაში,
სადაც ყოველი ნაწარმოები
ქართული ანდამატითაა
გაუღენითილი.“¹

ოთარ ჯიშვარიანის ამქ-
ვეყნიდან ნაადრევად ნასვ-
ლის მთავარი მიზეზიც ეს
გახდა. მისმა გულმა ვეღარ
გაუძლო იმ მძიმე ტრაგე-
დიას რაც მის სათაყვანე-
ო მოვალეობა და მის მა-
ტერიალური მენეჯერი გადა-
დარღვევაში გადაიცვალა.

¹ მერაბ ბერძენიშვილი. ბევრი მაქვს მოსაგონარი. გაზ. ოთარ ჯიშვარიანი. 29
აგვისტო, 1995 წელი, გვ. 7.



მიხეილ ქავთარია



ჩამოყალიბდა როგორც თვალსაჩინო მეცნიერი, ფართო დიაპაზონის მკვლევარი, გამორჩეული არქეოგრაფი და ლიტერატურათმცოდნე, იგი იშვიათი გამონაკლისი იყო იმ თვალსაზრისით, რომ ერთნაირად ფლობდა ქართულ მნერლობას და საქართველოს ისტორიას. მასში შერწყმული იყო მაღალი კვალიფიკაციის ფილოლოგი და საქართველოს ისტორიის ასეთივე დონის მკვლევარი. როგორც აღიარებულია, სწორედ ეს გარემოება განსაზღვრავდა მისი მრავალრიცხვოვანი შრომების მეცნიერულ ღირებულებას. იგი ასზე მეტი სამეცნიერო შრომისა და რამდენიმე მონოგრაფიის ავტორია.

მიხეილ ქავთარიამ 1948 წელს ხაშურის | საშუალო სკოლა დაამთავრა. ამავე წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა, შემდეგ — ასპირანტურა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში განაგრძო თავისი დიდი

წინაპრების კალისტრატე ცინცაძისა და კორნელი კეკელიძეს „მოწყვეტილი გაკვალული გზა. სიცოცხლის ბოლომდე ამ გზით იარა.“

მიხეილ ქავთარიას მეცნიერული ინტერესები მრავალმხრივია. იგი პირველწელის ბოლომდე ამ გზით იარა კორნელი კეკელიძეს, ისე აღორძინებისა და გარდამავალი ხანის მნერლობის საკითხებს და დამაჯერებელ, მნიშვნელოვან შედეგებსაც აღწევს.

1965 წელს გამოქვეყნდა მისი შრომა „დავით გარეჯის ლიტერატურული სკოლა“. მასში მონოგრაფიულად არის შესწავლილი დავით გარეჯის ლიტერატურული სკოლის, როგორც კულტურულ-საეტაპო ისტორია და მისი განვითარების ძირითადი ეტაპები, ნაჩვენებია დავით გარეჯის ლიტერატურულ-შემოქმედებითი კერის მნიშვნელობა გვიანდეთ დალური ხანის ქართული კულტურის ისტორიაში, გამომზეურებული და დახასიათებულია ამ ხანის უცნობი პიმოგრაფები. შრომას დიდი გამოხმაურება მოჰყვა.

1977 წელს მ. ქავთარიამ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია „XVII-XVIII საუკუნეების ქართული პიმოგრაფია“. შრომამ, რომელიც იმავე წელს ცალკე წიგნად გამოქვეყნდა, დიდი აღიარება მოიპოვა. შრომა ეხება XVII – XVIII საუკუნეების ქართულ პიმოგრაფიას, რომელიც შეუსწავლელი იყო. გამოყოფილია ქართული პიმოგრაფიის განვითარების გზა, გამოვლენილი და შეფასებულია ქართველთა პოეტების პიმოგრაფიული მემკვიდრეობა. ავტორის მიერ ყურადღება გამახვილებულია ლიტურგიკულ-პიმოგრაფიულ კრებულზე – სადღესასწაულო, ნაჩვენებია სადღესასწაულოს წარმოშობის, განვითარებისა და რედაქციებად დაყოფის მთელი პროცესი. ეს იყო სრულიად ახალი, დასაბუთებული სამეცნიერო ფაქტი ქართული პიმოგრაფიის შესწავლის სფეროში.

არ შეიძლება არ ვახსენოთ მიხეილ ქავთარიას მოღვაწეობა ხელნაწერთა ინსტიტუტის არქეოგრაფიულ მუშაობაში. იგი აქტიური მონაწილე იყო ქართული ხელნაწერების მეცნიერული აღნერილობისა, თანამონაწილეა როგორც აღმნერი თუ რედაქტორი ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდების, ახალციხისა და გორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმების ხელნაწერთა აღნერილობებისა; მისი მონაწილეობა სინის მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის ქართული ხელნაწერების აღნერილობის შედგენაში, რომელიც გამოქვეყნდა ათენში ქართულ, ბერძნულ და ინგლისურ ენებზე 2005 წელს.

2008 წელს მიხეილ ქავთარიამ მინანილეობა მიიღო უმნიშვნელოვანესი ნარატიული ძეგლის „ქართლის ცხოვრების“ ახალ გამოცემაში. ტექსტის გამოცემისას ძირითადად გამოყენებული იყო ვახტანგ VI-მდელი რედაქციის ნუსხები.



გერმანიაში 2010 წელს გამოქვეყნდა ცნობილი ლიტურგიკული წარმომადგენლების ძეგლი „იაკობის ჟამისწირვის“ ტექსტი გამოკვლევითურით (თანაავტორობით).

ამ ბოლო წლებში მიხეილ ქავთარია კვლავ მიუბრუნდა დავით გარეჯის ლიტერატურული სკოლის ნარმომადგენლების მოღვაწეობის გაშუქებას, რაც მისი წიგნის „დავით გარეჯის ლიტერატურული სკოლის“ ერთგვარი გაგრძელება-გაღრმავებას წარმოადგენდა. მაგრამ მან ამჯერად ახალგაზრდა დოქტორანტს სადისერტაციო თემად მიანდო დავით გარეჯის ლიტერატურული სკოლის ერთ-ერთი თვალსაჩინო ნარმომადგენლის, გაბრიელ მცირის საგანმანათლებლო შრომების ტექსტების კვლევა-გამოქვეყნება. მიხეილ ქავთარიას ხელმძღვანელობითა და რედაქტორობით უკვე გამოიცა გაბრიელ მცირის ნაწარმოებთა ნაწილი (V კრებული). სამუშაო გრძელდება, მაგრამ ხელმძღვანელის გარეშე...

წავიდა ჩვენგან, გაიყოლა დიდი სიყვარული, დაგვიტოვა სევდა, ცრემლი...

მეგობრები

ლ. კიკნაძე, ფილოლოგის დოქტორი,
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

ლ. ჯლამაია-გრიგოლია,
ფილოლოგის დოქტორი,
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

სამწუხაროა, როდესაც ამქვეყნიურ სიცოცხლეს გამოაკლდება ადამიანი, და უფრო მეტად სამწუხარო – ასეთი დიდებული პიროვნება, მეცნიერი და მოღვაწე, როგორიც ბრძანდებოდა ბატონი მიხეილ ქავთარია.

მიუხედავად დიდი სამეცნიერო დატვირთვისა, იგი ყოველთვის ნახულობდა დროს, მობრძანებულიყო მწიგნობართა ასოციაციაში, ალმანახ „მწიგნობრის“, რედაქციაში, რომლის სარედაქციო საბჭოს წევრიც ბრძანდებოდა. მისთვის დამახასიათებელი საოცრად ნათელი სახით, ხალისით, თავისებური სითბოთი და ღიმილით თითქოს გვამხნევებდა და მხარს გვიქერს. არასოდეს არ უთქვამს უარი რედაქციის არც ერთ დავალებაზე, როგორც თვითონ ბრძანებდა ხოლმე.

იგი შესანიშნავი ბიბლიოფილიც იყო. აღსანიშნავია, რომ თავისი პირადი წიგნები ბატონმა მიხეილმა უშურველად გადასცა ქალაქ ხაშურის ბიბლიოთეკას.



მძიმე დანაკლისია ჩვენთვის მისი გარდაცვალება, მაგრამ ის სითბო, სიკეთე, სიყვარული და მამულიძვილური შემართება, რაც ჩვენ შორის დატოვა, მარადის ენთება ჩვენს გულებში, როგორც საოცარი სხივი დიდბუნებოვნებისა.

საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასო-
ციაციის რესპუბლიკური გამგეობა

ალმანახ „მნიგნობრის“ სარედაქციო საბჭო



ნახელი ფუნდები

შორენა ოსიაოვა

პირველი ქართული გაზეთი – 200

საქართველოში გაზეთის ბეჭდვა შედარებით გვიან, მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში, დაიწყო. პირველი გაზეთი, შესრულებული ქსილოგრაფიის მეთოდით, მერვე საუკუნეში ჩინეთში გამოვიდა. პირველი ევროპული გაზეთი კი ი. გუტენბერგის მიერ საბეჭდი დანადგარის გამოგონებას უკავშირდება. ითვლება, რომ სიტყვა გაზეთი და პროფესია უურნალისტი ვენეციაში მეთექვსმეტე საუკუნეში წარმოიშვა. პირველი ევროპული გაზეთი სტრასბურგში 1609 წელს დაიბეჭდა, თუმცა მისი წინამორბედი ბაზრობის დღეებში გამომავალი არარეგულარული საინფორმაციო გამოცემები იყო.

ნაბეჭდ გაზეთს წინ უსწრებდა ე.ნ. ზეპირი გაზეთი, რომლის ტრადიცია საქართველოშიც არსებობდა, თბილისში არსებულა ადგილი „სალაყბო“, სადაც ხალხი ინფორმაციის გაცვლის მიზნით იკრიბებოდა. ზეპირი გაზეთის ტრადიცია გვიანამდე შენარჩუნებულა საქართველოში: ხევსურეთში – საფიხვნო, თუშეთში – ბეხვნე, დასავლეთ საქართველოში იგივე ფუნქციას წისქვილი ასრულებდა.

საქართველოში გაზეთის ბეჭდვის პირველი ინიციატორი იყო იოანე ბატონიშვილი, გიორგი XII-ეს შვილი, რომელმაც მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს გამოთქვა ქართული გაზეთის გამოცემის სურვილი. იგი წერდა, გაზეთით თვეში ორჯერ გამოვა – ხალხიც შეეჩევა და შემოსავალიც იქნება.


პირველი ქართული გაზეთი თბილისში, 1819 წლის 8 მარტს, დაიბეჭდა, სახელწოდებით „საქართველოს გაზეთი“. იგი კვირაში ერთხელ, პარასკევის ბიბით გამოდიოდა, რადგან ფოსტა რუსეთიდან საქართველოში ამ დღეს ჩამოდიოდა ხოლმე, შაბათს კი თბილისიდან საქართველოს მაზრებში იგზავნებოდა. ეს იყო კავკასიაში დაბეჭდილი პირველი გაზეთი. 1820 წელს „საქართველოს გაზეთს“

სახელწოდება შეეცვალა
და დაერქვა „ქართული: მომული ზეთი“. უცნობია გაზეთის
რედაქტორის, სტატიის ავტორის, მთარგმნელისა
და გაზეთში მომუშავე სხვა
პერსონალის ვინაობა. სა-
ვარაუდოდ მასში კავკასიის
შტაბის მოხელეები თანამშ-
რომლობდნენ. ბატონშა ნო-
დარ ტაბიძემ გამოთქვა ვა-
რაუდი, რომ მთარგმნელად
გაზეთში კანცელარიაში
მომუშავე თარჯიმანი ნა-
ზაროვი მუშაობდა. თუმცა,
დაზუსტებული ცნობები
ამის შესახებ არ მოგვეპოვე-
ბა. მეცხრამეტე საუკუნეში
მკვლევრები განსხვავებულ
ცნობებს გვაწვდიან გაზე-
თის შესახებ.

„საქართველოს გაზე-
თი“, რომელსაც 1820 წელს
სახელი გადაერქვა და
გრაფიული იშვიათობა იყო
კარშივე. გაზეთის მოძიება-
რის“ რედაქცია. 1887 წლის
ობას უხდის სოფიო დოდაშ-
ვრცელებელ საზოგადოებას
ქართველოს გაზეთის“ ერთი
ეყნდა ცნობა: კანცელარიის
აღდებში უპოვია 1821 წელს
მელსაც წმინდა გიორგის გა-
ამრავი ვარაუდი გამოოქვეს

„საქართველოს გაზეთი“ სახელი გადაერქვა და „ქართული გაზეთი“ ენოდა, ბიბლიოგრაფიული იმპიათობა იყო მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარშივე. გაზეთის მოძიება-სა და შეგროვებას ცდილობდა „ივერიის“ რედაქცია. 1887 წლის №156-ში „ივერიის“ რედაქცია მადლობას უხდის სოფიო დოდაშვილს, რომელმაც წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას შესწირა 1819 წლის მარტის თვის „საქართველოს გაზეთის“ ერთი ნომერი. 1890 წლის №144-ში გამოქვეყნდა ცნობა: კანცელარიის ჩინოვნი ივანე ბაბალოვს ძველ ქაღალდებში უპოვია 1821 წელს გამოცემული „ქართული გაზეთი“, რომელსაც წმინდა გიორგის გამოსახულება ახლდა. მკვლევრებმა უამრავი ვარაუდი გამოიქვეს პირველი ქართული გაზეთის გარშემო.

ზაქარია ჭიჭინაძე მისი გამოცემის თარიღად 1817 წელს ასახელებდა და ამტკიცებდა, რომ 1817 წლის 22 აგვისტოს ბომერი საკუთარი თვალით ჰქონდა ნანახი. გრ. ყიფშიძე „Периодическая печать на Кавказе“-ში წერდა, რომ პირველი გაზეთი - „საქართველოს გაზეთი“ 1817 წელს თბილისში დაიბეჭდა და 1820 წლამდე




გამოდიოდა, ამას საცენზურო კომიტეტის საარქივო მასალებით დაყრდნობით ამტიცებდა. გრიგოლ ყიფშიძის მტკიცებით, წირნის ტაძართან არსებულ საეკლესიო მუზეუმში გაზეთის 1818 წლის №25 ინახებოდა. თუმცა მის მიერ მოყვანილი შინაარსიდან ჩანს, რომ საუბარია 1819 წლის აგვისტოს ნომერზე „ქართულ გაზეთს“ გრ. ყიფშიძე და ზ. ჭიჭინაძე სხვა გამოცემად თვლიდნენ და მისი გამოცემის თარიღად 1821 წლს ასახელებდნენ.

„საქართველოს გაზეთის“ შექმნა ა. ერმოლოვის სახელს უკავშირდება. სანქტ-პეტერბურგის არქივში შემონახულია დოკუმენტი, რომელიც ა. ერმოლოვმა პეტერბურგში გაგზავნა. დოკუმენტში საუბარია გაზეთის გამოცემის მიზნებზე. იგი ამტკიცებდა, რომ გაზეთი საქართველოს მაცხოვრებელთა ინტერესებისთვის იქმნებოდა, რათა ადგილობრივი მოსახლეობა განათლებულ ხალხთა ჩვეულებებს გასცნობოდა. დოკუმენტში საუბარი არ არის რუსეთის ცარისტულ ინტერესებზე, თუმცა მითითებულია, რომ ეს პერიოდული ორგანო კავკასიის შტაბის კორპუსში იხსნება, რაც თავისთავად მქაცრ ცენზურას ნიშნავდა.

გაზეთის გამოცემას წინ უძლვოდა გამოცხადება, რომელიც თბილისში და საქართველოს სხვა მაზრებში გავრცელდა. ეს წარმოადგენდა თავისებურ პროგრამას. გაზეთის გამოცემა ქართულ ენაზე 1819 წლის 1 მარტიდან იგეგმებოდა და უნდა შესულიყო შემდეგი პუნქტები:


1. მოხელეთა დაჯილდოების შესახებ;
2. ადგილობრივი მმართველის განწესებები და ბრძანებები;
3. საქართველოსა და მისი მოსაზღვრე ქვეყნების ამბები;
4. მსოფლიო სიახლეები და აღმოჩენები;
5. ამონარიდები რუსული პრესიდან, რომლებიც ადგილობრივებისთვის საინეტერესო შეიძლებოდა ყოფილიყო;
6. გაზეთის გამოცემა იგეგმებოდა კვირაში ერთხელ – 1820 წლის იანვრამდე;
7. ბოლო პუნქტში გამომცემლები იმედს გამოთქვამდნენ, რომ გაზეთის ხელისმომწერნი კმაყოფილები დარჩებოდნენ როგორც შინაარსით, ისე გაზეთის დროული მიწოდებით. გამომცემლები ტექსტის ბოლოს აღნიშნავდნენ, რომ გამომწერთა რიცხვი ნათელყოფდა, თუ რამდენად დიდი იქნებოდა ინტერესი გაზეთის მიმართ.

გამოცხადების ტექსტის შესწავლის საფუძველზე შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ „საქართველოს გაზეთი“ ოფიციალუ-



„საქართველოს გაზეთი“ და „ქართული გაზეთი“

რი ორგანო იყო, რომელშიც აისახებოდა იმპერიაში მიმდინარე მოვლენები. დღეს უცნაურად გვეჩვენება ის ფაქტი, რომ გაზეთი ქართულ ენაზე გამოდიოდა. ევგენი ვეიდენბაუმი ამ მოვლენას შემდეგნაირად ხსნის: „რუსული ენა იმ დროს იმდენად ნაკლებად გავრცელებული იყო ქალაქის მცხოვრებთა შორისაც კი, რომ თავადაზნაურების ნარმამოდგენელთა უმეტესობას, რომლებიც საქართველოს უმაღლესი მთავრობის ექსპედიციებში მსახურობდნენ, არ შეძლოთ თავისი გვარის რუსულად დაწერა“. მთავარმართებელი ი. ერმოლოვის სურვილი, ეზიარებინა ახალი ქვეშევრდომები რუსული ხელისუფლების წესებისთვის, იმდენად დიდი იყო, რომ მან საბოლოოდ გაზეთის მოსახლეობისთვის გასაგებ ენაზე ბეჭდვა გადაწყვიტა. ვეიდენბაუმივე გვაწვდის ცნობებს, რომ გაზეთი თავდაპირველად რუსულად ინერებოდა და შემდეგ ითარგმნებოდა ქართულად. ამის დასტურად მას კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის არქივში დაცული დოკუმენტები მოჰყავს. კავკასიის შტაბში ინახებოდა საქადალდე „1820 წელს შემოსული ქართული გაზეთის ჟურნალი“, მასში ინახებოდა 1820 წელს დაბეჭდილი „საქართველოს გაზეთის“ რუსული ხელნაწერი ვარიანტი. მ. გოცაძის აზრით, „მას (გაზეთს) ამკარად თარგმნის ხელი ეტყობოდა და ცხადია, არც იდგა შესაფერის დონეზე“.



მართლია, „საქართველოს გაზეთის“ უპირველეს დანიშნულებულებას ცარისტული პროპაგანდა წარმოადგენდა და მთავრობა დაინტერესებული იყო მისი გამოცემით, მაგრამ იგი საჭიროებდა გარკვეულ სახსრებს. ამიტომ გაზეთს დაედო მინიმალური ფასი, რომელიც ქალალდისა და ბეჭდვის ხარჯებს აანაზღაურებდა. გაზეთის გამოსაცემად აუცილებელი იყო არანაკლებ 500 ხელისმომნერის შეგროვება. როგორც ჩანს, ერმოლოვს გაზეთის გამოცემის ხელმძღვანელობა სამოქალაქო გუბერნატორ რომან ხოვენისთვის დაუვალებია. გუბერნატორს ყველა მაზრის მმართველისთვის მიუმართავს თხოვნით, შეეგროვებინათ გაზეთის გამომწერები, იგივე თხოვნით წერილობით მიუმართავს ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობის წინამდობლ კონსტანტინე მუხრანბატონისთვის.

თავდაპირველად გაზეთის ფასად დასახელდა 2 რუბლი თბილისელებისთვის და 1 აბაზი (20 კაპიკი) რევიონებისთვის, ეს იყო საფოსტო ხარჯი, თუმცა ეს თანხა საკმარისი არ აღმოჩნდა და გამოცემის საპოლოო ნლიური ფასი 3 მანეთი გახდა. მაგრამ ეს მცირე თანხაც ძვირი იყო იმდროინდელი ქართველი მოსახლეობისთვის. მარტის თვისთვის 500 ხელმონერა ვერ შეგროვილა. „საქართველოს გაზეთის“ 1819 წლის №3-ში დაიბეჭდა ცნობა, რომ გაზეთის გამოცემა შეუძლებელი იქნებოდა, რომ არა სომეხთა არქიეპისკოპოს ნერსესის დახმარება, რომელსაც ბოლო კვირას მოუგროვებია თანხა ასზე მეტი გამომწერისგან. „საქართველოს გაზეთის“ პირველი ნომერი ერთი კვირის დაგვიანებით, 8 მარტს გამოვიდა. გასაკვირი არ არის სომეხთა ეპისკოპოსის ასეთი მონდომება, რადგან ნერსესი დიდ იმედებს ამყარებდა რუსეთის ხელისუფლებაზე სომხეთის გასათავისუფლებლად მუსულმანთა მმართველობისაგან. ნერსესის მონდომება შეუმჩნეველი არ დარჩენილა ხელისუფლებისთვის, განეული დახმარებისთვის მან წმინდა ანას პირველი ხარისხის ორდენი მიიღო.

გაზეთის ფორმატი, შრიფტი და ზოგადად, მისი გარეგნული მხარე იმ პერიოდისთვის სრულიად დამაკმაყოფილებელი იყო. გამოცემის ფორმატი დახახლოებით თაბახის ფურცლისოდენა იყო, იბეჭდებოდა ორ სვეტად. შრიფტი მკვეთრი და ადვილად გასარჩევია, თუმცა გაზეთის ენა 1820 წლამდე უფრო არქაული იყო, რაც სავარაუდოდ ხაზს უსვამდა მის ოფიციალურ მხარეს. 1820 წლიდან გაზეთის სათაურთან გაჩნდა გველემაპთან მებრძოლი წმინდა გიორგის გამოსახულება, მას სახელი შეეცვალა და „ქართული გაზეთი“ ეწოდა. შესაძლოა ეს იყო მიზეზი იმისა, რომ რიგი მკვლევრებისა, მაგალითად, გრიგოლ ყიფშიძე, სახელშეცვლილ გამოცემას სხვა გაზეთად თვლიდა. გაზეთი „ივერია“ ასე ახასი-



ათებს „ქართულ გაზეთს“: „დაბეჭდილია მშვენიერის აპრეტინოდი სქელ ქაღალდზე და სიდიდითაც საწერი ქაღალდის თაბახს მაღლიან აღემატება“. გაზეთის სახელწოდების, გარეგნული მხარის, ასევე მისი ენის ცვლილებას მკვლევრები რედაქტორის შეცვლას უკავშირებენ. შესაძლოა, ეს ვარაუდი სიმართლეს შეესაბამებოდეს და გაზეთში მომხდარი ცვლილებები რედაქტორის ან მთარგმნელის შეცვლასთან იყოს დაკავშირებული.

„საქართველოს გაზეთის“ პირველ ნომერში გამოქვეყნებული სტატიები ყოველგვარ ეჭვს აქარწყლებს გაზეთის დანიშნულების შესახებ. პირველი ნომრის პირველი ცნობა შეეხება პეტერბურგის სამეფო კარზე ახალი წლის აღნიშვნას, ხოტბას ასხამს იმპერატორს, მის სამხედრო ძლიერებას და ყოველივე ეს ძალიან საზეიმოდ და გულწრფელი აღფრთოვანებითა და თაყვანისცემით არის მოთხრობილი.

იგი შემდგომ წლებშიც არ დაღატობს აღებულ გეზს – რუსეთის სამეფო კარის ცხოვრება, პეტერ პირველის საგმირო საქმეები და საიმპერატორო კარის სხვა ამბები კვლავაც ფართო ასახვას პოულობს საგაზეთო სტატიებში. საინტერესო და საგულისხმოა 1819 წლის №18-ში გამოქვეყნებული ცნობა ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის ვაჟის, დავითის გარდაცვალების შესახებ. ამ ცნობამ თითქოს წერტილი დაუსვა ქართლ-კახეთის სამეფოს აღდგენის იმედს.

გარდა სამეფო კარის ამბებისა, გაზეთში იბეჭდებოდა უმაღლესი ბრძანებულებები, გამოცხადებები, უცხოეთის ამბები და შერეული მასალები.

დღევანდელი გადასახედიდან საქართველოში გამომავალ გაზეთს პირველ რიგში საქართველოში მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენები უნდა აესახა, მაგრამ „საქართველოს გაზეთის“ შემთხვევაში საქმე სხვაგვარად იყო. 1819 – 1820 წლის იმერეთ-გურიის აჯანყებების შესახებ რაიმე სახის ცნობა გაზეთში არ დაბეჭდილა. როგორც ცნობილია, ამ აჯანყებების ჩაქრობაში აქტიური მონაწილეობა მიუღიათ ქართველ თავადაზნაურებსაც. გაზეთში ასევე ქვეყნდებოდა ცნობები კავკასიის ომის შესახებ, სადაც რუსული ჯარი მშვიდობისმყოფლის როლშია და მხოლოდ მის საგმირო საქმეებზეა გამახვილებული ყურადღება. ჩრდილოკავკასიელები კი, რომლებიც თავისი დამოუკიდებლობისთვის იბრძოდნენ, მეამბოხე ყაჩაღებად იყვნენ ნარმოჩენილი. საგულისხმოა აგრეთვე ცნობები თურქეთის შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება ცდილობდა სააშკარა-ოზე არ გამოეტანა ქვეყანაში მიმდინარე მძიმე პოლიტიკური და



ეკონომიკური პროცესები, დღევანდელი მკითხველისთვის მჟანიცალი შემაძრნუნებელია აქ ინფორმაციის სახით მოყვანილი განცხადებები. ჩვენთვის ცხადი ხდება, რომ ქართველი თავადაზნაურობა უკიდურეს ეკონომიკურ სიდუხჭირეს განიცდის, მამულები ვალებში იყიდება. მძიმე საკითხავია განცხადებები ყმების გაყიდვის შესახებ, იყიდებოდნენ ცალ-ცალკე და მთელი ოჯახები. ხშირად ქვეყნდებოდა განცხადებები გაქცეული ყმების შესახებ, მოყვანილი იყო მათი ფიზიკური დახასიათებები. ფაქტობრივად, ადამიანი პირუტყვივით ყიდვა-გაყიდვის საგნად იყო ქცეული. იქვე იყო განცხადებები დეზერტირი ჯარისკაცების შესახებ. როგორ ჩანს, ცნობები ძლევამოსილი რუსული ჯარის შესახებ სიმართლეს არ შეესაბამებოდა.

გაზეთში იძექდებოდა აგრეთვე შერეული ამბები, რაც ალბათ სახალისო საკითხავი უნდა ყოფილიყო, ეს ამბები ძირითადად უცხოეთს შეეხებოდა, მაგალითად, იძექდებოდა ცნობები ას წელს გადაცილებული ადამიანების შესახებ, აგრეთვე მოყვანილი იყო ევროპული ენებიდან თარგმნილი ანეკდოტები. ამავე გაზეთში დაიძექდა იმ დროს პოპულარული სანტიმენტალური მხატვრული ნაწარმოებები: „მოთხოვთ ქალის მარიამისა“, „ამბავი უფლისა დელამოტისა“. სანტიმენტალური ჟანრის ეს ნაწარმოებები მაღალი მხატვრული ლირებულებით ვერ დაიკვეხნის. შთაბეჭდილება იქმნება, რომ ისინი რეალობისგან ყურადღების გადასატანად დაუბეჭდავთ.

1819 წელს გამოვიდა გაზეთის 43 ნომერი, 1820 წელს – 51, 1821 წლის კომპლექტს ჩვენამდე სრული სახით არ მოულწევია, ამიტომ დაზუსტებით ვერ ვიტყვით, რამდენი ნომერი გამოიცა. 1822 წელს, გოროდოვოის დიდი ძალისხმევის მიუხედავად, საჭირო რაოდენობის ხელმომწერების შეგროვება ვერ მოხერხდა. ვეიდენბაუმის ცნობის მიხედვით, თბილისში მხოლოდ 19 ხელისმომწერი მოგროვილა, ამ სიაში პირველ ადგილზე ვინმე ივანე ყორლანოვი ყოფილა ჩანიშნული. ვეიდენბაუმი თავის „Кавказские этиоды“-ში წერდა, რომ „საქართველოს გაზეთმა“ ვერ გადალახა გულგრილობა განათლებისადმი, რომელსაც ხალხს ა. ერმოლოვი უქადაგებდა. ამ წინადადებაში გარკვეული სარკაზმი იგრძნობა.

მიუხედავად მრავალი ნაკლოვანებისა, „საქართველოს გაზეთი“ საქართველოს უურნალისტიერის ისტორიაში შევიდა როგორც ქართული გაზეთის შექმნის პირველი მცდელობა. ფასდაუდებელია ამ გამოცემაში დაბეჭდილი მასალები, რომლებიც ქართველთა ყოველდღიურ ყოფას აღწერს.

გამოყენებული ლიტერატურა



ტაბიძე ნოდარ. პირველი ქართული გაზეთი: საქართველოს გაზეთი. — თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1969.

ჯოლოვა თამაზ. ქართული უურნალისტიკის ისტორია (XIX საუკუნეები). ნაკვ. 1, [„საქართველოს გაზეთი“, „ტფილისის უნყებანი“, „სალიტერატურო ნანილი ტფილისის უნყებათანი“, „ცისკარი“ (გიორგი ერისთავისა), „ცისკარი“ (ივანე კერესელიძისა)]. — თბილისი, ნეკერი, 2011.

კალანდაძე ალექსანდრე. ქართული უურნალისტიკის ისტორია. ნ. 1, 1819 – 1853. — თბილისი, განათლება, 1977.

Вейденбаум Е.Г. «Кавказские этюды». — Тифлис : Издание Центральной книжной торговли, 1901.

«Периодическая печать на Кавказе» / [Гр. Кипшидзе, Ф. Султанов]. — Тифлис, Электропечатная Груз. изд., 1901.

ნიმუშის სამოწმოსათვალი

მერიანები მეცნიერ-ილუსტრატორთა ოჯახი

შუასაუკუნეების ევროპაში ხელნაწერი წიგნების შემქმნელები ტექსტებს ამკობდნენ ფერადი მინიატურებით, მხატვრული ინიციაებითა და ილუსტრირებული მინდვრებით. არაკვალიფიციურ მკითხველს ესაჭიროებოდა წიგნის შინაარსის განმარტება ტექსტში ჩართული ილუსტრაციების გამოყენებით. თვით „ილუსტრაცია“ ხომლათინური სიტყვაა და ნიშნავს განმარტებას. ინ-მატეუს მერიანი უფროსი (1593-1650) კუნაბულების ბეჭდვისას ამ პრობლემის გადაჭრა საკმაოდ რთული აღმოჩნდა. ეს ამოცანა წარმატებულად გადაჭრა ალბრეხტ პფისტერმა (დაახლ. 1410-1466). მან ქსილოგრაფიული წესით დაბეჭდილი ილუსტრაცია შეუთავსა მოძრავი შრიფტით ანაწყობ ტექსტს და გამოსცა ბეჭდური, ილუსტრირებული წიგნი.

მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების პარალელურად ვითარდებოდა წიგნის ბეჭდვის ხელოვნება. საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ტექნიკურმა ილუსტრაციამ. გრავირება, როგორც ილუსტრირებული ხელოვნების სახეობა, თითქოს ცალკე გამოიყო. გრავიურების ბეჭდვას მრავალი ოსტატი ემსახურებოდა. ამ მხრივ მნიშვნელოვანი წარმატებები ჰქონდათ მერიანებს – შვეიცარიელ გრავიორ-გამომცემელთა ოჯახს.





მერიანები ბაზელში ცხოვრობდნენ. ოჯახის უფროსი მატერიალური ტრთა საბჭოს წევრი, შეძლებული და პატივცემული ქალაქელი გახლდათ. 1593 წლის 22 სექტემბერს ოჯახში დაიბადა ვაჟი – მატეუს მერიან უფროსი. მამამ ბიჭუნას ბავშვობიდანვე შეამჩნია გამომსახველობითი ხელოვნებისადმი დიდი ინტერესი და მომავალ მხატვარს კარგი განათლება მისცა. 1603 წელს ცამეტი წლის ჭაბუკი მშობლებმა სასწავლებლად გაგზავნეს ციურიხის მახლობლად მდებარე, ცნობილი მხატვრის – დიტრიხ მაიერის (1572-1658) სახელოსნოში. იგი შუშაზე ხატვისა და ოფორტის დიდოსტატი გახლდათ. დიტრიხთან მატეუსმა სამი წელი დაჰყო და შემდეგ სწავლა განაგრძო სტრასბურგში. ახალგაზრდა მხატვარი საკუთარი პროფესიისათვის საჭირო მოგზაურობას შეუდგა. მან საფრანგეთში, პატარა ქალაქ ნანსში უაკ კალოოს (1592-1635) სახელოსნოში დაიწყო მუშაობა, სადაც ოფორტის სერიებს ბეჭდავდა. ნანსიდან მატეუსი საცხოვრებლად გადავიდა პარიზში, სადაც თითქმის ერთი წელი დაჰყო. მან საკუთარი უნიკალური სტილით შექმნა საფრანგეთის დედაქალაქისა და მშობლიური ბაზელის დაწვრილებითი გეგმები, რომლებიც დიდი ზომის გრავიურებზე ასახა.¹ იმ დროიდან მატეუსის შემოქმედების მთავარი თემა გეოგრაფიული ნაშრომების ილუსტრირება გახდა. 1615 წელს ახალგაზრდა მხატვარი მშობლიურ ბაზელში დაბრუნდა. საფრანგეთში მოდებულმა შავი ჭირის ეპიდემიამ მისი ოჯახის რამდენიმე წევრი შეინირა. მატეუსი დიდხანს ვერ გაჩერდა ბაზელში და იტალიისკენ გაემგზავრა, თუმცა ეპიდემიის გამო ალპების უღელტეხილი ვერ გადაკვეთა. იგი აუგსბურგში ჩავიდა და მხატვარ ლუკა კოლიანის (1579-1637) სახელოსნოში დაიწყო მუშაობა, სადაც დიდი გამოცდილება მიიღო ორნამენტული გრავიურების ბეჭდვაში და გამოსცა 24 ფურცლიანი პირველი ალბომი – „იტალიური გროტესკი“.²

მერიანი ბედმა წაიყვანა მაინცსა და ვორმსოს შორის მდებარე გერმანიის პატარა ქალაქ ოპენპეიმში, სადაც მან ცნობილი გრავიორისა და მოგზაურის იოპან თეოდორ დე ბრის (1561-1623) სახელოსნოში დაიწყო მუშაობა. თეოდორის შვილი – იოპანი თვითონაც სახელგანთქმული მესტამბე-გამომცემელი, გრავიორი და წიგნის გამავრცელებელი გახლდათ. მერიანმა ბრის სახელოსნოში დაბეჭდა თავისი მშობლიური ქალაქის – ბაზელის დიდი გეგმა, რომლისთვისაც ჯერ კიდევ 1615 წელს დაამზადა ოთხი (53,5x35 სმ.) საგრავიურო დაფა.

1 Книговедение/энциклопедический словарь. – М. 1982.

2 Немировский, Е. Л. Шедевры мирового полиграфического искусства.– М. – 1990. – ч. 2.

მატეუსი 1617 წელს დაქორნინდა პრის ულამაზეს ქალიშვილთან და მარია მაგდალენაზე. ამ ქორნინებიდან მათ ოთხი ქალიშვილი და სამი ვაჟი შეეძინათ. კველა მათგანმა საკუთარი ბედი, მეტ-ნაკ-ლებად, საგამომცემლო და საგრავიურო საქმეს დაუკავშირა. 1623 წელს, სიმამრის გარდაცვალების შემდეგ, მატეუსი დამოუკიდებელი გამომცემელი გახდა. იგი სათავეში ჩაუდგა საგრავიურო და საგამომცემლო საქმეს, რის გამოც დროის უმტეს ნანილს ატარებდა ფრანკფურტში, სადაც 1626 წელს გადასახლდა კიდეც და შეუდგა ილუსტრირებული ბიბლიის დიდი ციკლის გამოსაცემად მომზადებას.


1635 წლიდან მატეუსმა დაიწყო ილუსტრირებული ისტორიული ჟურნალის – „Theatrum Europaeum“ – ბეჭდვა, რომელიც მოიცავდა მსოფლიოს ქვეყნებისა და ქალაქების რუკებს, გეგმებსა და მიმდინარე მოვლენების აღნერილობებს. მერიანისა და მისი მოსნავლების გრავიურები მოგვითხრობენ ევროპის ოცდაათწლიანი შემაძრნუნებელი ომისა და მრავალ ქვეყანაში გავრცელებული შავი ჭირის ეპიდემიის შესახებ. პოპულარული ჟურნალი რამდენჯერმა გამოიცა. მატეუსმა დაბეჭდა მრავალი ილუსტრირებული წიგნი, მათ შორის, ინგლისელი მწერლის ფილიპ სიდნეის მეცხვარის რომანად წოდებული „არკადია“. ამ გამოცემისათვის მხატვარმა თცი სრულფურცლოვანი გრავიურა დაამზადა, სატიტულე ფურცელზე კი ავტოპორტრეტი განათავსა.¹

მატეუს მერიანის კველაზე ცნობილ გამოცემად იქცა სერია სახელწოდებით „Topographia Germaniae“, რომლის ბეჭდვა 1642 წლიდან დაიწყო. ეს იყო გერმანული სახელმწიფოებისა და მათი მოსაზღვრე ქვეყნების გეოგრაფიული აღნერილობა. ისინი შეადგინა გერმანელმა მოგზაურმა და გეოგრაფმა მარ-



ისტორიული ჟურნალი „Theatrum Europaeum“. სატიტულე ფურცელი. ფრანკფურტი. 1633

1 Щелкунов М. И. История, техника, искусство книгопечатания. – М., Л., 1926.



ტინ ცაილერმა (1589-1661). ამრიგად, ჩვენ შეგვიძლია მატეუს ფელი რიანს ვუწოდოთ მხატვარი, რომელმაც საფუძველი ჩაუტარდა მეცნიერო-დოკუმენტურ ილუსტრაციას. ხელოვნებათმცოდნები ზოგჯერ მას ემოციების ნაკლებობას სწამებდნენ, თუმცა სწორად ასეთი უნდა ყოფილიყო დოკუმენტური ილუსტრაცია.

გამოცემის ყოველი ტომი იწყებოდა სატიტულო ფურცლით, რომელიც სპილენძზე გრავირების მეთოდით იყო დაბეჭდილი. ტიტულის ასეთი ფურცლები აუცილებელი ნორმა იყო მეჩვიდმეტე საუკუნის გამოცემებისათვის. მის ქვეშ განთავსებული ლათინური ნარჩერა: „ტიპოგრაფია მაინცისა, ტრირისა და კელნისა“, გრძელ-დებოდა გერმანული ტექსტით, რომელიც მკითხველს აუნყებდა, რომ „Theatrum Europaeum“ მოიცავს მნიშვნელოვანი ქალაქებისა და ადგილების აღწერილობას მაინცის, ტრირისისა და კელნის საარქიეპისკოპოსობებში“.¹

„Topographia“-ის 1646 წელს გამოცემული ტომის სატიტულო ფურცლის გრავიურაზე წარმოდგენილი წარჩერა ოვალურ ფირფიტაზეა განთავსებული, რომელიც რთული არქიტექტურული კონსტრუქციის ნაწილია. სიმბოლური დატვირთვა აქვს ოთხი ქალის ფიგურას: ერთი რელიგიისა განასახიერებს; მეორე – პოლიტიკას; საფეხურზე ჩამომჯდარი ქალბატონი უდავოდ მეცნიერების სიმბოლოა. კონსტრუქციის თავზე ქალბატონი მოჩანს ეპისკოპოსის სამოსით, რაც საკმაოდ თამამი გადაწყვეტილება უნდა ყოფილიყო. გამოცემის დამოუკიდებელი ტომები ეძღვნება ბავარიას, ბოგემას, მორავიას, შვეიცარიას, ავსტრიას, საქსონიას და სხვა.

ტომი, რომელიც ბავარიას ეხება, სხვების მსგავსად, იწყება სპილენძზე გრავირების მეთოდით დაბეჭდილი სატიტულო ფურცლით, რომლის ილუსტრაციის ზომები 278x175 მმ-ია. მასზე მითითებულია წიგნის სახელწოდება, მბეჭდავ-გამომცემლის სახელი



„Topographia“. სატიტულო ფურცლი. 1646

¹ Немировский, Е. Л. Шедевры мирового полиграфического искусства.– М., – 1990. – ч. 2.

— მატეუს მერიანი და წიგნის დაბეჭდვის თარიღი — 1644 წელი.
 ტექსტის მიხედვით ირკვევა, რომ 1640 წელს ბავარიაში იყო **34**
 ქალაქი, 75 მონასტერი, 229 ციხე-სიმაგრე, 2874 ეკლესია, 4700
 სოფელი, 1270 მდინარე სახელწოდებით, 2700 უსახელო მდინარე,
 720 მთის მწვერვალი და ა.შ.

აღნერილობები ანბანის მიხედვით არის ანუმობილი. თითქმის ყოველი გვერდის შემდეგ ჩართულია გრავიურა დასახელებული ადგილის ხედებით. პატარა ქალაქის ან სოფლის შემთხვევაში ჩართული ფურცლები ორად არის გაკეცილი, რომელზედაც ორ-ორი გრავიურაა განთავსებული. დიდი ქალაქების ილუსტრაციები რამდენიმე ჩართული ფურცლით არის დამშვენებული. მაგალითის-თვის, მიუნხენის აღნერილობა ცხრა გვერდს იყავებს, რომელთა შორის ჩართულია ოთხი გრავიურა. დიდი ქალაქის გეგმები, გამოსახულია ზედხედში, ჩიტის ფრენის მანძილიდან. მნიშვნელოვანი შენობები აღნიშნულია ციფრებით, რომლებსაც განმარტებები ახლავს.

მხატვარმა შესანიშნავად იცოდა გერმანიის ყოვედლიური ცხოვრება, რასაც დიდი სიყვარულით ასახავდა გრავიურებზე: მინდვრებზე მოფუსფუსე მიწათმოქმედი გლეხები, მდელოებზე ჯოგის მოდარაჯე მწყემსები, მოჯირითე ცხენოსნები, ფრინველებზე თუ ცხოველებზე მონადირე ახალგაზრდები. ილუსტრაციებზე ვხედავთ მდინარეებზე მოცურავე გემებს, ნავებში მოკალათებულ მგზავრებსა თუ მეთევზებს. მატეუსთან ერთად ბავარიის ტომის ილუსტრაციებზე მუშაობდნენ მისი შვილი — კასპარი, შემდგმში სახელგანთქმული ჩეხი გრავიორი ვენცელ ხოლარი და გეორგ პეტერ ფიშერი.

1645 წელს გარდაიცვალა მატეუსის მეუღლე — მარია მაგდალენა. ამ დროს მხატვარი 52 წლის იყო. მან მალევე შეირთო ცოლად ახალგაზრდა ჰოლანდიელი გოგონა — იოპანა სიბილა ჰეიმი. ახალ-დაქორნინებულებს შეეძინათ ქალიშვილი — ანა მარია სიბილა — წიგნის მომავალი მხატვარ-ნატურალისტი და ვაჟი — მაქსიმილიანი, რომელიც სიცოცხლის მესამე დღეს დაიღუპა.

1650 წელს პატარა ქალაქ შვალბახში ხანგრძლივი ავადმყოფობის შედეგად, მატეუსი გარდაიცვალა. საგამომცემლო საქმიანობა განავრდეს მისმა შვილებმა — მატეუს უმცროსმა და კასპარმა.

მატეუს უმცროსი ოჯახის უფროსი შვილი გახლდათ. იგი 1621 წლის 25 მარტს დაიბადა ბაზელში. მატეუსი ბავშვობიდანვე ეზიარა მხატვრობას და პირველი გაკვეთილები მიიღო მამის სახელოსნოში. იგი გახლდათ ხელოვნებათმცოდნის, მთარგმნელისა და გრავიორის — იოახიმ ფონ სანდრარტის (1606 – 1681) მოსწავლე.



მატეუს მერიანი უმცროსი
(1621 – 1687)

გრესზე, სადაც დახატა კონგრესის მონანილეთა პორტრეტები. 1647 – 1648 წლებში მატეუსი მსახურობდა გენერალ ფონ ვრანგელთან, რომლის რამდენიმე გამოსახულება შეასრულა.¹

ბაბუის – თეოდორ დე ბრის გარდაცვალების შემდეგ, ის მხარში ამოუდგა მამას, რომელიც სიმამრის დანატოვარ გამომცემლობას ხელმძღვანელობდა. მამის გარდაცვალების შემდეგ ის თვითონ ჩაუდგა სათავეში საგამომცემლო საქმეს და გააგრძელა ისტორიულ ჟურნალებს – „Theatrum Europaeum“ და „Topographia Germaniae“ გამოცემა. პირველი მათგანი – „Theatrum Europaeum“ გამოდიოდა 1738 წლამდე და სულ 21 ტომი, „Topographia“ – კი 1688 წლამდე გამოდიოდა და სულ 31 ტომი დაიბეჭდა. ყოველი მათგანი ილუსტრირებული რუკებით, ქალაქებისა და სოფლების მრავალრიცხოვანი პეზიზაჟებით იყო დამშვენებული. სერიულ გამოცემაში 92 რუკა და გეგმა, 1486 ჩართული ფურცელი და 2142 გრავიურა იყო. „ინფორმაციული“ ფორმატზე დაბეჭდილ ტომებში ჩაკრული ფურცლები რამდენჯერმე იყო გადაკეცილი. უნდა აღინიშნოს, რომ სამეცნიერო-დოკუმენტური ილუსტრაციები განსაკუთრებულ სიზუსტით იყო შესრულებული. 1648 წლამდე გამოცემულ ტომებში ქალაქების, სოფლების, დასახლებების, შენობა-ნაგებო-

1637 წელს ყმანვილი მასნავე ლებელთან ერთად შეგაემზადა ზავრა ამსტერდამში, 1639 წელს ლონდონში და 1641 წელს პარიზში. მოგზაურობის დროს მატეუს უმცროსი ეცნობოდა ევროპელი ფერმწერების ნამუშევრებს. მას მჯიდრო ურთიერთობა ჰქონდა ანტონ ვან დეიკთან და პიტერ პაულ რუბენსთან. 1642 წელს მატეუს ფრანგ-ფურტში დაბრუნდა, 1643-1647 წლებში კი სასნავლებლად იტალიაში გაემგზავრა. მხატვარი, 1647 წელს, პოლიტიკური აგენტის სტატუსით მონანილეობდა ნიუბრეგში გამართულ მსოფლიო კონ-

1 <https://de.wikipedia.org/wiki/Matth%C3%A4us-Merian-der-J%C3%BCngere>
Matthäus Merian der Jüngere.



„Topographia ფრანგულტი. დაბეჭდილი მატეუს მერიანის მიერ ბების, ციხე-სიმაგრეებისა და გარემოს ხედების გრავიურები მერიან უფროსმა თავისი ნახატების მიხედვით შექმნა, რომლებსაც ნატურიდან ხატავდა.¹

„ტოპოგრაფიის“ ყოველი ტომი იყიდებოდა საკმაოდ დაბალ ფასად – 4 ფლორინად, რაც დაახლოებით 24 დოლარის ტოლი იყო. გამოცემა დიდი პოპულარობით სარგებლობდა და მაღავე გახდა საჭირო მისი მეორედ გამოცემა, მესამე კი 1700 წლის შემდეგ გამოვიდა. მოგვიანებით, „პარენრაიტერ ფერგალმა“ დაბეჭდა მისი ფაქსიმილური გამოცემა.

ამ სერიული გამოცემების გარდა მატეუს უმცროსმა მხოლოდ რამდენიმე წიგნი გამოსცა. მას მნიშვნელოვანი წარმატებები ჰქონდა პორტრეტულ ჟანრში. გენერალ ფონ ვრანგელთანაც მუშაობისას რამდენჯერმე დახატა მისი გამოსახულება. 1658 წელს ფრანგულდში ლეაპოლდ I-ის კორონაციაზე მან მრავალი მონაწილის პორტრეტი შეასრულა. ფერმწერმა, გრავიორმა და გამოცემელმა შექმნა ბამბერგისა და ფრანგულტის რამდენიმე ეპლესის საკურთხეველი. მატეუს უმცროსი გარდაიცვალა 1687 წლის 15 თებერვალს ფრანგულტში.

ამ ოჯახის მესამე წარმომადგენელი, რომელმაც მნიშვნელოვანი საფუძველლი ჩაუყა ენტომოლოგიურ ილუსტრაციებს, გახლდათ მატეუს უმცროსის ნახევარ და



მარია სიბილა მერიანი
(1647-1717)

¹ Немировский, Е. Л. Шедевры мирового полиграфического искусства.– М., – 1990. – ч. 2.



— ანა მარია. იგი 1647 წლის, 4 აპრილს დაიბადა ფრანკფურტში, მამამისის — მატეუს უფროსის გარდაცვალების დროს, მარიას სის იყო შეუსრულდა სამი წელი. მატეუსის ქვრივი — იოჰანა სიბილა ჰეიმი 1651 წელს, ცოლად გაჰყვა იაკობ მარელს¹, ქვრივს სამი პატარა ბიჭუნათი. იოჰანა და იაკობი ოთხი მცირენლოვანი შვილის აღზრდას შეეჭიდნენ. მარელი „ბლუმენმალერი“ (ყვავილების მხატვარი) გახლდათ. იგი ქსოვილებისა და სხვა მასალების მოხატვით არჩენდა ოჯახს. პატარა მარიას აღზრდა-განათლებაზეც მამინაცვალი ზრუნავდა. მან პირველმა შეამჩნია გოგონას ხატვისადმი მიდრეკილება და ფერწერის ხელოვნებას აზიარა. ყვავილოვანი ნატურმორტის ხატვის გაკვეთილებს მამინაცვლის გარდა გოგონას პოლანდიელი მხატვარი აბრაჰამ მინონიც უტარებდა.

1664 წლის მაისში თვრამეტი წლის მარია ცოლად გაჰყვა მარელის ერთ-ერთ მოსწავლეს, იოჰან ანდრეას გრაფს.² ახალგაზრდა ოჯახი, რომელსაც უკვე პატარა ქალიშვილი ჰყავდა, 1670 წელს საცხოვრებლად გადავიდა ნიურნბერგში, სადაც იოჰანმა დააფუძნა პატარა სტამბა. მარიას სიყვარულმა ყვავილების ხატვისადმი მოულოდნელად შეიძინა პრაქტიკული დანიშნულება. იგი შეუდგა თავსაფრებისა და მაგიდის გადასაფარებლების ყვავილებით მოხატვას. მანვე აკვარელის ფუძეზე შექმნა სპეციალური საღებავი, რომელიც არ ირეცხებოდა წყლის ჭავლით და არ ხუნდებოდა მზის სხივების მოქმედებით. მდგრადი საღებავის წყალობით ქსოვილის ორივე მხარე არაჩვეულებრივად გამოიყურებოდა. ნიურნბერგელი ქალბატონები აღფრთოვანებას ვერ მაღავდნენ და უხვად ყიდულობდნენ მარიას დახვენილ პროდუქციას.

იმ დროისათვის დიდი პოპულარობით სარგებლობდა მრავალფეროვანი და მრავალგვარი ნაყმებით ნაქარგი ტანსაცმელი, სანოლის თეთრეული, ხელსახოცები, პირსახოცები, მაგიდის გადასაფარებლები და სახლის დასამშვენებლად საჭირო ათასგვარი დეკორატიული ქსოვილი.

ქალბატონებმა მარია სიბილას მიმართეს თხოვნით: გამოეცა წიგნი და ესწავლებინა მათთვის ქარგვის ხელოვნება. მან 1675 წელს გამოსცა პირველი დამხმარე სახელმძღვანელო აღბომი სქემებით, ქარგვის მოყვარულთათვის, რომელსაც „ყვავილების

¹ იაკობ მარელი (1614 – 1681) – ნატურმორტების დიდოსტატი. დაიბადა გერმანიაში ქალაქ ფრანკფორტში. იგი ითვლება უტრეხტშისა და ფრანკფურტის ფერწერული სკოლის ერთ-ერთ ბრწყინვალე ნარმომადგენლად.

² იოჰან ანდრეას გრაფი (1637 – 1701). ვენეციასა და რომში დაჰყო ექვსი წელი და გამოწენილი მხატვარი გახდა. რომში წმინდაა პეტრეს ტაძრის ინტერიერისათვის შექმნა ესკიზები.



«ყვავილების ახალი ნიგნი». 1675

კიდევ ერთი გამოცემის დაბეჭდვა გადაწყვიტა. მან სამივე გამოცემა გააერთიანა და მრავალგრავიურიანი ალბომი წარუდგინა მკითხველს, რომლის გრავიურებს მხატვარი თვითონ ამზადებდა და აფერადებდა. აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ გრავიურების ბეჭდვა ხისა და მითუმეტეს, სპილენძის საგრავიურო დაფებზე განსაკუთხებულ ფიზიკურ შესაძლებლობებს მოითხოვდა.

მეჩვიდმეტე საუკუნის სამოცდაათიან წლებში მერიანი მნერებით დაინტერესდა და დროის უმეტეს ნაწილს ენტომოლოგიის შესწავლას ანდომებდა. ამ დროისათვის იგი ორი ქალიშვილის დედა გახლდათ. მხატვარი მნერებს მინდვრებსა და ტყეებში ეძებდა, ავროვებდა კოლექციებს და აკეთებდა ჩანახატებს. მისი ხოჭოებისა და პეპლების კოლექციები ევროპის საუკეთესო ენტომოლოგიურ კოლექციებად იქცნენ. 1674 წლიდან მხატვარი შეუდგა მნერების სისტემატიზაციის შესწავლას და აღმოაჩინა, რომ მსოფლიოში ყველა ფერი ძალიან სწრაფად გარდაიქმნება. მნერები განვითარების ერთი ფაზიდან მეორეში გადადიან: კვერცხიდან მატლი, მატლიდან ჭუპრი, ჭუპრიდან კი პეპლა იჩეკება. მერიანმა დაიწყო მუშაობა ნაშრომზე „ნიგნი მუხლუხების შესახებ“. ასე დაიბადა

ახალი ნიგნი“ უნოდა. აღმო ნების შემდეგ – 1677 წელს გამოვიდა მეორე ალბომი, 1680 წელს კი მესამე. ყოველ გამოცემაში მხატვრის მიერ ხელით გაფერადებული თორმეტი გრავიურა იყო სატიტულე ფურცლის ჩათვლით. სამივე ალბომს ახლდა ბუნებისა და ხელოვნების მოყვარული მკითხველისათვის განკუთვნილი შესავალი, ყვავილებით დამშვენებულ ოვალურ გვირგვინში ჩაბეჭდილი ტექსტი. პირველი გამოცემა ლათინურ, დანარჩენი ორი, კი გერმანულ ენაზე იყო დაბეჭდილი.¹

მარიას ალბომები დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ და ავტორმა 1680 წელს

1 Щелкунов М. И. История, техника, искусство книгопечатания. – М.; Л., 1926.



„მუხლუხოების აჩვეულებრივი
გარდასახვა“. 1679

გამოცემა: „მუხლუხოების აჩვეულებრივი ულებრივი გარდასახვა და შათმაცხადან განსაკუთრებული ფერადოვანი საკვები...“ მხატვარმა დაწვრილებით შეისწავლა და აღწერა მუხლოხოები, მატლები, ჩრჩილები, ბუზები, მათი წარმოშობა, კვება და გარდასახვა. ნატურიდან ჩახატული მწერების გამოსახულებები გადაჰქონდა სპილენძის საგრავიურო დაფებზე, რომელთა სამუალებითაც მათ ზღაპრულ სამყაროს ფურცლებზე ბეჭდავდა. მარიამ 1679 წელს ნიურნბერგში გამოსცა ენტომოლოგიური ალბომი.¹


1686 წელს მარია გასცილდა ანდრეას გრაფს, დაიბრუ-

ნა მამისეული გვარი და განევრიანდა ლაბადისტების რელიგიურ სექტაში. იგი დედასთან და ორ ქალიშვილთან – იოპანა პელენთან და დოროთეა მარიასთან ერთად დასახლდა ნიდერლანდების პროვინციაში, ფრისლანდიაში, ვალტის სასახლეში. 1691 წლიდან ოჯახი საცხოვრებლად ამსტერდამში გადავიდა. მარია სიბილას გერმანელ მხატვრად მოიხსენიებენ, პოლანდიელები მას თავის თანამემამულედ თვლიან. ზოგიერთი ავტორის აზრით, კი იგი შევიცარიელი იყო, რადგან მამამისი – მატეუს მერიანი წარმოშობით ბაზელიდან გახლდათ.

მარია სიბილა მერიანის მთავარ ნაშრომად იქცა „სურინამიული მწერების მეტამორფოზები“. ანა მარია 1699 წლის ივნისში გაემგზავრა სურინამში, ნიდერლანდების სამხრეთ ამერიკულ კოლონიაში. იმ დროისათვის ეს წამონება უსაფრთხო არ იყო, აღარც მხატვარი გახლდათ ახალგაზრდა. გემზე ასვლამდე მან ანდერძიც კი შეადგინა და ნოტარიუსთან დაამოწმა.

მარიამ სურინამში ორი წელი დაჰყო. ამ დროის მანძილზე იგი დილაუთენია მიდიოდა პლანტაციებსა და ჯუნგლებში მხარზე მოლბერტგადაკიდებული. ის მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს

1 Немировский, Е. Л. Шедевры мирового полиграфического искусства.– М., – 1990. – ч. 2.



„სურინამიული მწერების მეტამორფოზები“. 1726

გასაოცარ ნატურმორტებს ქმნიდა. მერიანის ყურადღებას იპყრობდნენ მწერთა სახეობები. მხატვარი აკვარელის საღებავებით ხატავდა პერგამენტის თხელ ფურცლებზე.


1701 წელს მარიამ დაასრულა სურინამში მოგზაურობა და ეპროპაში დაბრუნებისთანავე დაიწყო თავისი ნახატების გამოსაცემად მომზადება. გრავირება მისთვის უკვე რთული პროცესი იყო, რისთვისაც მან პროფესიონალებს მიმართა. ალბომისათვის გათვალისწინებული 60 ილუსტრაციიდან ავტორმა თავისი ხელით მხოლოდ სამის გრავირება შეძლო. 35 ნახატისთვის სპილენძზე გრავირება შეასრულა პიტერ სლუიტერმა, 21 – ოზეფ მულდერმა და ერთი – დანიელ სტოპენდალმა. გრავიურების გაფერადება კი მხატვარმა ვერავის მიანდო და ეს სამუშაო თვითონ შეასრულა საკუთარი ქალიშვილის დახმარებით. მანვე დაწერა ტექსტი. სამეცნიერო-ბოტანიკური შენიშვნები, მისივე თხოვნით, შეადგინა პროფესიორმა კასპარ კომელინმა (1663 – 1731). ალბომი გამოიცა ამსტერდამში 1705 წელს. მარია ვარაუდობდა ალბომის სამ ვარიანტად გამოცემას: ლათინურ, ჰოლანდიურ და გერმანულ ენებზე, მაგრამ ხელმომწერთა სიმცირის გამო, ბოლო ვარიანტი არ დაბეჭდილა. მისი ტირაჟი განისაზღვრა ხელმომწერთა სავარა-

უდო რაოდენობით და სულ ცოტათი გადააჭარბა 60 ეგზემპლარის, მათგან შემორჩენილია 12 ეგზემპლარი.¹

ალბომი შედგენილია დიდი ფორმატის (500x345 მმ) ფურცლებით. წიგნის სატიტულე ფურცელი ულამაზესი შრიფტული ანაკრეფით არის წარმოდგენილი, რომელიც კოლოფონით მთავრდება. ფურცლის მეორე მხარეს მცირე მიძღვნაა „ბუნების მოყვარულთათვის“. მომდევნო ორ გვერდზე დაბეჭდილია მარია სიბილა მერიანის მკითხველისათვის განკუთვნილი წერილი.

წიგნის ბლოკი ანყობილია ერთიანი სქემის მიხედვით: გრავიურას მოსდევს ორ გვერდზე განთავსებული ტექსტი, შემდეგ ისევ გრავიურა და ა.შ. ილუსტრაცია შეესაბამება ტექსტის შინაარსს. წიგნში 60 მთლიანფურცლიანი გრავიურაა, რომელზედაც 90 სხვადასხვა სახეობის მწერია გამოსახული.


მარია სიბილა ხატავდა არა ქინძისთავზე დამაგრებულს მწერებს, როგორც მაშინ იყო მიღებული, არამედ, ხოჭოებს, მატლებს, ჭუპრებსა და პეპლებს ტროპიკულ მცენარეთა ფოთლებზე, ღეროებზე, ყვავილებსა და ნაყოფებზე გამოსახვდა. ალბომის ფურცლებით მკითხველი ეცნობოდა მაშინ ევროპისათვის ჯერ კიდევ უცნობ და ეგზოტიკურ ხილსა და ბოსტნეულს: ბანანს, ანანასს, ამერიკულ ალუბალსა და ვანილს. მწერები წარმოდგენილია განვითარების ფაზების მიხედვით ყოფით დინამიკაში. გრავიურებზე ჩვენ ვხედავთ არა მარტო მწერებსა და მცენარეებს, არამედ ტროპიკული სამყაროს სხვა ბინადრებს: ლოკოკინებს, გველებს, ბაყაყებსა და ხვლიკებს.



წიგნის ბეჭდვის ადრეული პერიოდისათვის დამახასითებელი იყო გრავიურების ხელით მოხატვა. ამ მეთოდს იყენებდნენ ჯერ კიდევ ინკუნაბულების ბეჭდვამდე ქსილოგრაფიული წესით

მარია მერიანის ჩანახატი

1 Щелкунов М. И. История, техника, искусство книгопечатания. – М.; Л., 1926.



ნაბეჭდი წიგნების გასაფერადებლად, მაგრამ მაშინ იხატებოდა მხოლოდ რამდენიმე ეგზემპლარი და თანაც, ამას ხშირად გამომზუდა ცემელი კი არა, მკითხველი აკეთებდა. მარია სიბილამ კი შექმნა ერთგვარი საგამომცემლო სიმბიოზი, რომელიც გულისხმობდა პოლიგრაფიული ბეჭდვისა და ხელით მოხატვის ტექნიკის შეწყვეტილებრივი შედევრები იფორტის ხელოვნებაში.

მარია ნამუშევრების შესასრულებლად პერგამენტის ფურცლებს იყენებდა, გამონაკლისის სახით – ძონბის ქაღალდს. მხატვარი და მეცნიერი აკვარელისა და გუაშის საღებავებით ხატავდა. ნახატის ქვედა ფენას ფუძის სახით, თეთრი ფერის საღებავით დებავდა, რომლის საშუალებით პერგმენტის ზედაპირი ერთგვაროვანი და ნაზი მოჩანდა. სამასი წლის შემდეგაც, საღებავის ფერები საღად და გასაოცრად გამოიყურება. განსაკუთრებულად დახვენილ ნამუშევრებზე არაჩევეულებრივი სიზუსტითაა შესრულებული თითოეული დეტალი. მერიანი თითქმის არ იყენებდა ჩრდილებს და განათების ეფექტს უგულებელყოფდა. მისი ხატვის ტექნიკა გვაიძულებს აღფრთოვანებით უუყუროთ პერგამენტის ფურცლებზე თითქოს ჯერ კიდევ ახლახანს დამთავრებულ და გაუმშრალ ნახატებს. „დავცერით ბუნების უმშვენიერეს სამყაროს, რომელსაც ჩვენ ვერ ვამჩნევთ ჩვენი მოქლე ზაფხულის მანძილზე“ – წერდა მათზე ერთ-ერთი მკვლევრი.¹

მარია დეტალურად გადმოგვცემდა მწერების ცხოვრებას. იგი წერდა: „ვერასოდეს ნარმოვიდგენდი, რომ ასეთი მახინჯი, შავი მუხლუხოსაგან, უმშვენიერესი პეპელა გამოიჩეკებოდა“... საკუთარ მრავალნლიან, დაუღალავ შრომას მარია მერიანი ასე ხსნიდა: „მინდოდა მკითხველისთვის ნარმედგინა ღვთის სასწაული, იმისთვის, რომ მედიდებინა უფალი, როგორც ამ პატარა არსებათა შემქმნელი“².

ალბომი „სურინამიული მწერების მეტამორფოზები“ შედარებით დაბალ ფასში იყიდებოდა: 45 გულდენად, აქედან 30 გულდენი გრავიურების გაფერადებისათვის იყო განკუთვნილი, 15 – ბეჭდვისა და სხვა პოლიგრაფიული საქმიანობისათვის.

მარია სიბილა ამსტერდამში 1717 წლის 13 იანვარს ორი წლის ავადმყოფობის შემდეგ, სამოცდაათი წლის ასაკში გარდაიცვლა. მდიდარი მხატვრული მექანიდრეობა მან თავის თრ ქალიშვილს დაუტოვა.

1 Булгаков, Ф.И. Иллюстрированная история книгопечатания и типографского искусства. – Т. 1.- С-П., – 1889.

2 Немировский, Е. Л. Шедевры мирового полиграфического искусства.– М., – 1990. – ч. 2.

Ма́рко́вич Га́рда́у́зва́льд би́л Ше́мде́г а́мсфу́рда́мэлма́ га́момб́е́мэл-
ма́ о́кто́бре́н си́нти́рви́кма́ Ше́и́сю́нди́да са́хэлга́мтэ́мчү́лли́ а́лбоми́к, «У́зэ́л»
са́гра́вий́урон дага́, А́йрви́лли́ га́момб́е́мис 60 гра́вий́урон си́нти́рви́к
12 гра́вий́урон да́ 1719 №́лэ́с га́момб́е́мис „Су́рни́на́мчи́нчү́лли́ ми́нчэ́рэ́д би́л мэ́-
тфа́момрото́нчэ́д би́л“ а́хла́ли га́момб́е́мас. Мис га́момб́е́маса́дэ́гэ́лла́д а́кви́р-
ли́с са́дэ́гэ́лла́с а́хла́ли га́момб́е́маса́дэ́гэ́лла́д а́кви́р-
ли́с. Мэ́тфа́момрото́нчэ́д би́л мэ́тса́мэ́ га́момб́е́маса́дэ́гэ́лла́д 1726 №́лэ́с дага́дэ́гэ́лла́д
тэ́аага́шо. Мис ми́шы́га́ мэ́тса́тэ́е га́момб́е́маса́дэ́гэ́лла́д, ро́мэ́лли́ц დа́идэ́гэ́лла́д 1730
№́лэ́с а́мсфу́рда́мши́ да́ ми́шы́га́ – 1771 №́лэ́с та́ри́хи́шо. У́зэ́л ма́т-
га́нни́ га́нни́с а́кви́ртэ́рэ́д бу́л и́шви́атонда́с ნа́рмона́дгэ́нни́с. Та́на́мэ́дэрнви́е
ми́нчэ́тэ́вэ́лэ́с Ше́нчэ́лли́ га́момб́е́маса́дэ́гэ́лла́д а́лбоми́к фи́лэ́сий́и-
лэ́ур га́момб́е́маса́дэ́гэ́лла́д, ро́мэ́лли́ц 1975 №́лэ́с дага́дэ́гэ́лла́д а́кви́р-
ли́с.

Ма́рко́вич Га́рда́у́зва́льд би́л Ше́мде́г миси́ ю́мци́рниси́ ქа́лли́шви́ли́ дон-
ро́тэ́е ма́рко́вич Га́рда́у́зва́льд (1678-1743) ცო́ლა́д га́момб́е́маса́дэ́гэ́л
ფე́рнене́рн с ге́орги́е (1673-1740). დო́рнო́тэ́е მე́ულლე́სთა́ნ
და́ ბავშვე́ბთა́ნ ე́რთა́დ 1717 №́лэ́с ოქტო́მბე́რში სანქტ-პე́ტერბუ́რ-
გში გа́და́вი́да са́ცხоврэ́дლа́д. გზე́ლი და́კავე́ბუ́лли́ იყო́ са́ზაფხუ-
ლო́ სამე́ფო́ სასახლე́ში პლა́ფონნე́д би́л мო́ხატვი́თ, та́на́მე́დროვე́თა
პო́ტრე́ტე́ბი́სა და ნმი́ნდა პე́ტრე́ს ლუ́თე́რანუ́ლი ე́კლე́სი́სთვი́ს
რე́ლიgióнი თე́მატი́კი ფე́рნე́რუ́ლი ნიმუ́შე́д би́л ხა́ტვი́თ. ცო́ლ-
ქმა́რი ზრუ́ნვა პე́ტრე́ დი́დი́ მი́ერ და́არსებუ́лли́ კუ́ნსტკა́მე́რი́ს
– იშვი́ათი ნივთე́ბი კა́ბინე́ტი გა́ფორმე́ბაზე. მე́ცნიე́რე́ბა́თა ა́კა-
დე́მი́ს და́არსე́ბი შе́მდე́г ისი́ნი ა́კადე́მი́ს მო́სწავლე́ებს ფე́р-
ნე́რის კუ́რს უ́კითხა და და́არსებუ́ლი კუ́ნსტკა́მე́რი́ს
– იშვი́ათი ნივთე́ბი კა́ბინე́ტი გა́ფორმე́ბაზე. მე́ცნიე́რე́ბა́თა ა́კა-
დე́მი́ს და́არსე́ბი შе́მდე́г ისი́ნი ა́კადე́მი́ს მო́სწავლე́ებს ლე́ონარდ
ე́ილე́რი. მი́სი ნ्यა́ლო́ბი მო́ხვდა რუ́სეთში მა́рко́вич Га́рда́у́зва́льд
სა́ზაფხუ-
ლი და და́არსე́ბი ნა́ნილი́ც. პე́ტრე́ პი́რვე́ლი და́ინტე́рე-
სე́ბუ́лли́ იყო́ მა́рко́вич Га́рда́у́зва́льд სა́ზაფხუ-
ლი და და́არსე́ბი ნა́нილი́ც. მა́н სა́კუ́тარი მუ́ზე́умი́სა-
თვი́ს 1717 №́лэ́с შე́იძი́на მე́рко́вич Га́рда́у́зва́льд ნა́მუ́შე́ვრე́ბი. მე́ფი́ს მსგა́вსა́დ,
მრა́ვა́ლი მკვლე́ვა ა́რ მხო́ლო იყო́ აღფრთვა ნე́д бу́лли́ მა́рко́вич Га́рда́у́зва́льд
კო́ლექ्�ცი́თ. სანქტ-პე́ტერბუ́რგი მე́ცნიე́რე́ბა́თა ა́კადე́მი́ს ბი́ბ-
ლი́ოთე́კაში და ცუ́лли́ ა́რ მხო́ლო „Metamorphosis insectorum
surinamensisium“, ა́რ მე́დ მხატვრი მი́ერ პე́ტრა მე́ნტზე ა́კვა́р-
ელი́ს სა́дэ́гэ́лла́д შე́სრუ́ლე́ბუ́лли́ 196 ნა́ხა́ტი. ისი́ნი ფუ́რცე́ლო́ვანი სა-
ხი́თ გა́მო́სცა გე́рმა́ნი́ს დე́мок्रა́ти́უ́ლმა რე́სპუ́ბლი́კაში.¹

მხატვრი́სა და ბუ́нე́ბი და́ულა́ლავი მკვლე́ვრი შე́მოქმე́დება
ა́რ მხო́ლო ხე́ლოვნე́ბი ისტო́რი́კო́სე́ბი, ა́რ მე́დ ბო́ტანი́კო́სე-

1 Немировский, Е. Л. Шедевры мирового полиграфического искусства.– М., 1990. – ч. 2.



ბის, ენტომოლოგებისა და სამეცნიერო ილუსტრაციების ტექნიკისა და მკვლევრების უდაო ინტერესის ინვეზს. მისი სახელი და ნამუშევრები კარგადაა ცნობილი ევროპაში, იაპონიაში, ამერიკაში, რასაც ცხადყოფს მარია სიბილას ნახატების გამოფენების სიმრავლე და წიგნების მრავალჯერადი გამოცემა. სამეცნიერო ლიტერატურაში საკმაოდ ბევრია დაწერილი მარიამ სიბილას კვლევის მნიშვნელობაზე ენტომოლოგიასა და ბოტანიკაში. ხელოვნების კრიტიკოსები აღიარებენ მისი მხატვრული უნარ-ჩვევების თავისებურებებს.

მარია სიბილა მერიანის სახელის უკვდავსაყოფად გერმანიის სახელმწიფომ მისდამი პატივისცემა ფულის ერთეულზე ასახა: გერმანული მარკის 500 პანელოტიან ვალუტის წინა მხარეს მისი პორტრეტი და ნიუნბერგის სტილიზებული პეიზაჟია აღძეჭდილი.

მერიანების ოჯახმა საფუძველი ჩაუყარა სამეცნიერო-დოკუმენტური ილუსტრაციის შექმნას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Булгаков, Ф.И. Иллюстрированная история книгопечатания и типографского искусства. – Т. 1.- С-П., – 1889.
2. Немировский Е. Л. Шедевры мирового полиграфического искусства.-Ч. 1.- М., 1990.
3. Щелкунов М. И. История, техника искусство книгопечатания. – М.; Л., 1926.
4. Книговедение/энциклопедический словарь. – М., 1982.



პარალელურ ეს პიროვნებები

მანანა სამაშვილი

სენეკას „ტრაგედიები“

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის უცხოენოვან წიგნთა-
გან ყველაზე ძველი გამოცემაა 1506 წელს ფლორენციაში დაბეჭ-
დილი რომაელი პოეტისა და ფილოსოფოსის, ლუციუს ანეუს სენე-
კას (დაახლ. ძვ. წ. 4 – ახ. წ. 65) ტრაგედიები – *Senecae (Seneca, Lucius Annaeus). Tragoediae. Impressum est Florentiae: Studio et impensa Philippi de Giunta. Florentini, anno à nativitate Christi millesimo quingentesimo sexto, tertio nonas Aprilis [1506].* წიგნი
დაბეჭდილია ოტალიელი ჰუმანისტის, ფილიპო ჯუნტას (1533 – 1600) სტამბაში, რომელმაც გვიანი აღორძინების ხანის (XV – XVI საუკუნეების) ევროპელ გამომცემელთა შორის დიდ წარმატებას
მიაღწია.

თავდაპირველად ჯუნტების ოჯახის წევრები – ძმები ლუკან-
ტონიო და ფილიპო წიგნების ცნობილ ვენეციელ გამომცემლებ-
თან, ალდებთან თანამშრომლობდნენ; ფილიპოს მიერ აღნიშნულ
სტამბასა და საკუთარ საკანცელარიო მაღაზიაში მიღებული გა-
მოცდილება ძალზე გამოადგა ახალი საქმიანობის წამოსაწყებად.
ჯუნტების პირველი წიგნები ალდების პროდუქციის მიბაძიოთ,
„კოპირებით“ იქმნებოდა და წიგნების ბაზარზე მათ სერიოზულ
კონკურენციას უწევდა. ლათინურ ენაზე დაბეჭდილი, ბერძენ და
ევროპელ კლასიკოსთა თხზულებების იაფფასიანი წიგნები კარ-
გად იყიდებოდა და ახალი საგამომცემლო სახლის მეპატრონებს
დიდ ფინანსურ მოგებას აძლევდა. ფლორენციაში ფილიპო ჯუნ-
ტას სტამბის ამოქმედების თარიღად 1497 წელია მიჩნეული. ლუ-
კანტონიომ კი საგამომცემლო საქმე ვენეციაში წამოიწყო და იქ
დამკვიდრდა. 1491 წლიდან 1509 წლამდე ჯუნტების წარმატების
ერთ-ერთი მიზეზი ძმების შეთანხმებული კომერციული საქმი-
ანობა გახლდათ, თუმცა ფილიპოს ფლორენციულ სტამბასა და
მაღაზიებს ლუკანტონიოს ვენეციურ გამომცემლობასთან და წიგ-



ნების ბაზართან დაქვემდებარებული პოზიცია ეკავა. ძმების მიერ გამოქვეყნებული ლიტერატურა ფორმატით და შინაარსითაც განვითარებულ სხვავებული იყო: ლუკანტონიო გამოსცემდა დიდი ზომის, მდიდრულად გაფორმებულ ლიტერატურული, სამედიცინო და იურიდიულ წიგნებს, ფილიპო კი ფლორენციული ტრადიციის მომხრე დარჩა: მან გაითვალისწინა მშობლიური ქალაქის მოსახლეობის გემოვნება და ევროპელ ჰუმანისტთა მცირე ფორმატის გამოცემების ბეჭდვა არჩია. ფლორენციულმა მესტამბემ კარგად აუღო ალლო იმ პერიოდის მრავალფეროვან კულტურულ ტენდენციებს: თავიდან ის ბეჭდავდა კლასიკოსთა თხზულებებს ბერძნული შრიფტით, ამას მოჰყვა ლათინურნოვანი წიგნები (1503–1515 წლები).

ფილიპო ჯუნტას ტიპოგრაფიაში დაიბეჭდა წიგნები გრავირებული თავფურცლებითაც, თუმცა ამ პროდუქციას აერთიანებდა ერთი ძირითადი მიმართულება – ეს იყო მაღალხარისხოვანი ქალალდის გამოყენებით, ადვილად საკითხავი შრიფტითა და პატარა ფორმატზე მორგებული ტექსტის დახვენილი დიზაინით დაკაბადონებული გამოცემები. წიგნების შინაარსისა და ფორმის ამგვარმა თანხვედრამ კომერსანტს შორს გაუთქვა სახელი. აღნიშნული სტამბის „ინ ოქტავოს“ ფორმატის მომცრო ფორმატის წიგნების ტექსტი აკრეფილია Nicolas Jenson-ის ნახაზის საფუძველზე შექმნილი და ალდების მიერ დამუშავებული პოპულარული შრიფტით – ანტიკვით. ეს სრულყოფილი ლათინური შრიფტი გამოირჩევა უძველესი იტალიური ხელნაწერების მსგავსი დახვენილი გრაფიკული მოხაზულობით. ამ თვისებების გამო ჯუნტას ტიპოგრაფიის წიგნები დღესაც თანამედროვედ გამოიყურება და მკითხველს დიდ ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებს.

ფლორენციელი წიგნებით მოვაჭრების და მესტამბეების ჩანაფიქრმა ალდების მიერ უკვე დამკვიდრებული გამოცემების ფორმატს სხვა დატვირთვაც შესძინა: ჯუნტებმა წიგნის ბეჭდვის ისტორიაში ერთ-ერთმა პირველებმა მიაქციეს ყურადღება თხზულების შინაარსს და ანტიკური ლიტერატურის კლასიკოსების ლათინურნოვან თხზულებათა ტექსტის რედაქტირებით მიიზიდეს მკითხველი. მათ გამოცემებს, როგორც წესი, წინ უძლოდა სარედაქციო წერილი, სადაც აქცენტები იყო გაკეთებული წიგნის მნიშვნელობასა და ლიტერატურის თეორიის საკითხებზე. როდესაც ჯუნტებმა მოიხვეჭეს დამოუკიდებელი გამომცემლების სახელი, ვენეციასა და ფლორენციის გარდა საგამომცემლო ფილიალები დაარსეს – ლიონში (ლუკანტონი და ჯაკომო ჯუნტები), მადრიდში, ჟენევასა და ლონდონში. ჯუნტებისა და მათი შთამომავლების საქმიანობამ მე-16 საუკუნეში თითქმის მთელი ევროპა მოიცვა.

ფილიპო ჯუნტას სტამბის სენეკას თხზულებების ლათინურენოვანი გამოცემა დაბეჭდილია თხელ ჭვირნიშნიან ქართლულზე, ტექსტის რუბრიკები გამოყოფილია შედარებით დიდი ზომის მთავრული ასოებით, ხოლო გვერდის ზედა მხარეს გამოტანილია თხზულების სათაურის შესაბამისი ცვლადი კოლონტიტული. აღნიშნული გამოცემის გვერდები არ არის დანომრილი. ფლორენციული სტამბის მოღვაწეობის პირველ წლებში დაბეჭდილ ამ ნიგნს, ალდ მანუცის ადრინდელი გამოცემების მიმსგავსებით, არა აქვს კლასიკური თავფურცელიც სატიტულო გვერდზე მხოლოდ ნიგნის ავტორის გვარი და თხზულებათა უანრული რუბრიკა დაბეჭდილი. საგამომცემლო მონაცემები გვხვდება ბოლო გვერდის კოლოფონის ფორმის ტექსტში: აქ მითითებულია მესტამბისა და რედაქტორის გვარები და გამოცემის დაბეჭდვის თარილი. ტექსტში მთავრული შრიფტითაა ნაბეჭდი ავტორისეული სენტენციები და იდეურად საინტერესო ფრაზები. ამის გაკეთება ტექსტის დამუშავების გარეშე შეუძლებელი იყო და რედაქტორ-გამომცემელთა მხრიდან სათანადო ერუდიციას მოითხოვდა. ციტირების ეს მეთოდი ცვლიდა დღევანდველ ბრჭყალებს და ის ჯუნტების საგამომცემლო სახლის მიერ დამკვიდრებულ ერთ-ერთ სიახლედ ითვლება. სენეკას ნიგნის რედაქტორი და რამდენიმე ნაწილიანი ვრცელი შესავალი წერილის ავტორია პროფესიონალი ფილოლოგი და თეოლოგი – ბენედეტო რიკარდინი¹ (1500 – 1599 წ. წ.). სენეკას 10 თხზულების² 1506 წლის გამოცემა პ. რიკარდინის მიერ ჯუნტას აღნიშნული კომპანიისთვის რედაქტირებული ბოლო ნიგნი აღმოჩნდა. რედაქტორმა ის ფლორენციელ თეოლოგსა და ფილოსოფოსს, დომენიკო ბენიციენის მიუძღვნა.

ზემოთ აღნიშნული ეგზემპლარი შემკობილია თხის ტყავის შავი ყდით. საგანგებო ყურადღებას იმსახურებს ფორზაცის ქაღალდზე დაკრული ვარდისფერი „მაროკოული აბრეშუმის“ ქსოვილი და ყდის დახვეწილი ოქროსფერი ორნამენტი. ნაზი ყვავილოვანი ნაყშია ნიგნის ყუის დანაყოფებზეც, სადაც, ქვედა მხარეს, იკითხება ლათინურ ასოებიანი მონოგრამა „A. A. R.“ ასეთი ლამაზი ყდა მხოლოდ ნიგნის დიდმა მოყვარულმა შეიძლება შეუკვეთოს. ყდის დამკვეთის მონოგრამა გახსნილია ავანტიტულზე, სადაც მე-19

1 ბენედეტო რიკარდინი ლ. ა. სენეკას ტრაგედიების 1506 წლის გამოცემაში მოხსენებულია, როგორც „Benedicti 'Philologi'" (1500 – 1599).

2 ზემოთ აღნიშნულ გამოცემაში დაბეჭდილია სენეკას ათი ტრაგედია: 1. გამბაგბული ჰერკულესი, 2. თოესტე, 3. თებელები (ანუ „ფინიკიელები“), 4. იპოლიტე (ანუ „ფედრა“), 5. თიდიპისი, 6. ტრია (ანუ „ტრიოლი ქალები“), 7. მედეა, 8. აგამემნონი, 9. ოქტავია, 10. ჰერკულესი ერნაზე.

საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი ფრანგი ბიბლიოფილის, წიგნის ისტორიული ტორიის მკვლევრისა და გამომცემლის, ანტუან რენუარის შემოქმედება (1765 – 1853 წ.წ.) ავტოგრაფია – „Ant. Aug. Renouard“.

შეძლებული ვაჭრისა და მენარმის შეიღმა¹ ანტუან რენუარმა ცხოვრების განსხვავებული გზა აირჩია: მართალია, ოჯახური ტრადიციის დაცვით მას ქსოვილის (მარლის და აპრეშუმის) სანარმოც ჰქონდა, მაგრამ ბავშვობის დროინდელმა გატაცებამ თანდათან სერიოზული სახე მიიღო და რენუარის ძირითად საქმიანობად იქცა; მომავალმა ბიბლიოფილმა წიგნების შეგროვება 13 წლის ასაკიდან დაიწყო. დროთა განმავლობაში მას წიგნებისადმი სრულიად გამორჩეული და სერიოზული დამოკიდებულება ჩამოყყალიბდა, რამაც რენუარის მთელი არსება მოიცვა. ბიბლიოფილს განსაკუთრებით აინტერესებდა ანტიკური ლიტერატურა და აღორძინების




ა. ო. რენუარი (მხატვარი – Georg Vinzenz Rüttimann)

ბისა და ინტელიგენციის თავშეყრის საყვარელ ადგილად გადაიქცა.

ანტუან რენუარი, როგორც თავისი ქვეყნის ღირსეული მოქალაქე, ახალგაზრდობიდანვე ჩაერთო საფრანგეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში: ის გახდა პარიზის კომუნის საბჭოს

1 ანტუან რენუანტ რენუარის მამას პარიზის ცენტრში ჰქონდა ბამბისა და აბრეშუმის ქსოვილის სანარმო.




წევრი და რევოლუციის სხვა აქტივისტებთან ერთად ორჯერ საპატიმროშიც კი აღმოჩნდა. რევოლუციის დასრულების შემდეგ ის შეებრძოლა ტენდენციას, რომელიც შეძლებულ მემამულეთა მიერ შეგროვებული უძვირფასესი წიგნებისა და სახვითი ხელოვნების ნიმუშების განადგურებისაკენ იყო მიმართული. რენუარმა მოამზადა საფრანგეთის კულტურის ისტორიაში საეტაპო მნიშვნელობის პროექტი და მთავრობის მიერ პროექტის ოფიციალურ ბრძანებად გამოქვეყნების შემდეგ გადაუგზავნა ყველა სამთავრობო უწყებას, ბიბლიოთეკასა და კულტურის ობიექტს. რენუარის მიერ შემუშავებული ახალი კანონით საფრანგეთში აიკრძალა კულტურის მატერიალური ძეგლების გაპარტახება და განადგურება. ის მოწოდებდა ხალხს კერძო ბიბლიოთეკების კოლექციების დაცვისა და პატრონობისკენ.

ა. ო. რენუარის
მონოგრამა
წიგნის ყუაზე

საფრანგეთის კულტურის ისტორიის მკვლევარნი აღნიშნავენ ა. რენუარის მრავალმხრივი მოღვაწეობის ასპექტებს და უკვირთ, როგორ

ათავსებდა ეს საინტერესო პიროვნება კოლექციონერობას და წიგნების პატენტირებული, წარმატებული გამყიდველის გასაოცარ უნარს. მისი წიგნების მაღაზიებში იყიდებოდა XVI – XVII საუკუნეების იშვიათი გამოცემებიც, თუმცა ყველაზე ფასეულ წიგნებსა და ხელნაწერებს ის პირადი ბიბლიოთეკისთვის იძნდა. პროფესიონალი ბიბლიოფილის მიერ შეგროვებული წიგნები, სათანადო ანოტაციებითა და კატალოგების თანხლებით პერიოდულად იყიდებოდა მის მიერ მოწყობილ აუქციონებზე.

ანტუან რენუარს კარგად ესმოდა ძველი, იშვიათი გამოცემების ფასი და როცა ხელში ჩაუვარდებოდა საინტერესო, გარევნულად შელახული ეგზემპლარი, მათ ახალი ტყავის ყდებით მოსავდა. ცნობილია, რომ ის ყდებს უკვეთავდა



სენეკას ტრაგედიები.
ფ. ბოზერიანის მიერ
გაფორმებული წიგნის
ყდით

Ant. Aug. Renouard. 1794.

ა. ო. რენუარის ავტოგრაფი წიგნის ფორზაცზე


მე-19 საუკუნის ფრანგ ოსტატს ფრანსუა პოზერიანს. ძმებმა პოზერიანებმა (უან კლოდმა და ფრანსუამ) ამ პერიოდში ისე მოიხვეჭეს სახელი, რომ საფრანგეთის ნაციონალური ბიბლიოთეკის საგანძურის ერთ-ერთი კომპლექტატორის, ბიბლიოგრაფ ჟოზეფ ვან პრაეს გადაწყვეტილებით, უმცროს ძმას, ფრანსუას დაევალა ნაპოლეონის საიმპერატორო ბიბლიოთეკის ასობით წიგნისა და ხელნაწერის ტყავის ყდებით შემოსვა. პოზერიანმა გაუწია პოპულარიზაცია ფორზაცებად აპრეშუმისა და ტილოს ქსოვილის გამოყენებას და შექმნა მცენარეული და გეომეტრიული ორნამენტების ორიგინალური ნახაზები. მის მიერ გაფორმებული წიგნების ვიზუალური მხარე იმდენად მდიდრული და დახვეწილია, რომ მათ, როგორც ხელოვნების ნიმუშებს, აუქციონებზე საკმაოდ მაღალი ფასი აქვს. საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ზემოთ აღნიშნული ეგზემპლარის ყდაც ცნობილი ფრანგი ოსტატის ხელითაა დამზადებული და გადაწყვეტილია ამ დიზაინერი-სათვის სახასიათო ნეოკლასიცისტურ სტილში.

სენეკას „ტრაგედიების“ საინტერესო ნარმოშობის წიგნის თავფურცელზე იკითხება მფლობელთა სხვა მნიშვნელოვანი მინაწერებიც. ყველაზე ძველი ავტოგრაფი „Alexand[r] Corsini“ სავარაუდოდ, მე-17 საუკუნისაა და ის ფლორენციელი პატრიციების – კორსინების დინასტიის ნარმომადგელს


ეკუთვნის. საყურადღებოა სხვა ავტოგრაფიც: „Ex Libris Natalis Saliceti“, რაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ აღნიშნული გამოცემის მეორე მფლობელი ყოფილა ცნობილი იტალიელი მეცნიერი, ქირურგი და რომის უნივერსიტეტის „La Sapienza“-ს პროფესორი



ნატალ სალიჩეტი



ნიგნის თავფურცელი
ა. კორსინის და ნ. სალიჩეტის
ავტოგრაფებით



ნიგნის ბოლო გვერდი
საგამომცემლო მონაცემებით

— ნატალ სალიჩეტი (1714 – 1789 წ.წ.). ის თავისი დროის იტალიაში საუკეთესო მეურნალად აღიარეს. თანამედროვენი სალიჩეტის მოიხსენიებენ, როგორც კეთილშობილ, თავმდაბალ და ელეგანტურ პიროვნებას. მან ადვილად შეძლო სტუდენტთა თუ თანამემამულეთა კეთილგანწყობის მოპოვება. ამავე დროს, ის იყო ერთერთი პირველი პრაქტიკოსი მეცნიერი, რომელიც ქირურგიასა და ანატომიაში ატარებდა საჩვენებელ საჯარო ლექციებს.

სალიჩეტიმ მოკლე ხანში მთავრობისა და ვატიკანის უმაღლეს პირთა ნდობა დაიმსახურა: 1756 წლიდან ის გახდა პაპის პენედიქტ XIV-ის ოჯახის ნარმატებული ექიმი¹, 1775 წელს კი სალიჩეტი მიინვიეს რომის პაპის პიუს VI-ის პირად მეურნალად და მიანიჭეს იმპერიის მთავარი ექიმის – „არქიატრის“ წოდება. პარალელურად ის ეწეოდა სამეცნიერო-კვლევით მუშაობას და აქვეყნებდა სტა-

1 რომის პაპის, ბენედიქტე XIV-ის ავადმყოფობასა და გარდაცვალების მიზანად მონამცვლა მიჩნეოდა. ოჯახის მთავარმა ექიმმა ნ. სალიჩეტიმ პაპის სიკვდილის შემდგომ ჩაატარა ექსპერტიზა და დანერა პროფესიონალური დასკვნა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის აბიექტური შეფასების საფუძველზე. ამით გააქარწყლა ვატიკანის მაღალინონსნებისა და მოსახლეობის ეჭვები იეზუიტთა მიერ რომის პაპის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების შესახებ.

ტიტოს. სალიჩეტი აირჩიეს რამდენიმე იტალიური და ევროპული რაციალი სამეცნიერო და ლიტერატურული აკადემიის წევრად.

ცნობილია, რომ იტალიელი ექიმი შესანიშნავი ლიტერატორიც გახლდათ, რომელსაც დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა მნერლებთან და კრიტიკოსებთან დისკუსიებში მონაწილეობა. თანამედროვენი იგნებენ, რომ მისთვის ყველაზე საუკეთესო გასართობს წიგნის კითხვა წარმოადგენდა. სელიჩეტის აღფრთოვანებას ინვევდა გამოცემები ისტორიაზე, მოგზაურებსა და პოეზიაზე. მას საერთოდ არ ჰქონდა თავისუფალი დრო, რადგან მოცალეობისას თავისი საყვარელი ჰობით იყო დაკავებული. სალიჩეტის მდიდარ ბიბლიოთეკაში 3500 დასახელების გამოცემა იყო დაცული. მეცნიერის პირადი ბიბლიოთეკა გაიყიდა მისი გარდაცვალების წელსვე, რაც გახდა ამ წიგნების ევროპელ ბუკინისტთა კოლექციებში მოხვედრის მთავარი მიზეზი. სამედიცინო წიგნებისა და სხვადასხვა შინაარსის სამეცნიერო პუბლიკაციების გარდა, ექიმი უპირატესობას ანიჭებდა ევროპელი განმანათლებლებისა და ანტიკური ხანის მნერალთა თხზულებებს. მას მრავლად ჰქონდა მე-16 იტალიურ სტამბებში დაბეჭდილი პალეოტიპები. სენეკას „ტრაგედიების“ 1506 წლის იშვიათი გამოცემაც სალიჩეტის გემოვნებით შერჩეული ეგზემპლარია, რომელიც ერთ დროს მის პირად ბიბლიოთეკაში ყოფილა დაცული.

სენეკას „ტრაგედიების“ ბოლო მფლობელის, პროფესიონალი ბიბლიოგრაფის – ანტუან რენუარის ყველაზე დიდ დამსახურებად ითვლება გვიანი ალორძინების ხანის ევროპელ გამომცემელთა მიერ დაბეჭდილი ლიტერატურის „მატიანების“, ანუ კატალოგების გამოქვეყნება. კატალოგებში მას შეჰქონდა ისეთი წიგნებიც კი, რომლებიც ფიზიკურად უკვე აღარ მოიპოვებოდა. რომ არა ენთუზიასტი ბიბლიოფილის თავდაუზოგავი შრომა, დღეს სრული წარმოდგენა არ გვექნებოდა ალდ მანუცისა და ეტიენების საგამომცემლო კომპანიების მიერ დაბეჭდილი პროდუქციის შესახებ. ალდების მოღვაწეობის პერიოდის შესანიშნავლასთან ერთად, ანტუან რენუარი დაინტერესდა მისი მიმდევრების – ჯუნტების საგამომცემლო საქმიანობით, შექმნა შესანიშნავი მონოგრაფია ამ მესტამბეებზე და იქვე დაურთო ორივე ძმის მიერ გამოცემული წიგნების სრული კატალოგი. რენუარის ამ ნაშრომის სახელწოდებაა – „Annales de l'imprimerie des Alde, ou Histoire des trois Manuce et de leurs éditions... Les Junte. Noms de mm. les souscripteurs aux Annales. Paris, A.A. Renouard, 1825“. კატალოგის 365-ე გვერდზე, ფილიპო ჯუნტას სტამბის პროდუქციის ქრონოლოგიური თანმიმდევრობით დალაგებულ სიაში, მე-16 ნომრადაა შეტანილი ლ. ა.

სენეკას „ტრაგედიების“ 1506 წლის გამოცემა. როგორც ირკვევა, ფილიპო ჯუნგას ამ წელს დაუბეჭდავს მეორე წიგნიც – ჰანტუს „ღვთაებრივი კომედია“, რომელიც სენეკას თხზულებების სადა გამოცემისგან განსხვავებით, გაფორმებულია ხის საგრავიურო დაფაზე დაბეჭდილი რამდენიმე ცნობილი ილუსტრაციით.

დასადგენია სენეკას თხზულებების ამ იშვიათი კრებულის საქართველოში ჩამოტანის ისტორია. სავარაუდოდ, ეს წიგნიც, როგორც საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის არაერთი ძველნაბეჭდი გამოცემა, ერთ-ერთი ქართველი ერუდიტის მიერ საფრანგეთის ბუკინისტურ მაღაზიაშია შეძენილი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Renouard, A. A. Annales de l'imprimerie des Alde, ou Histoire des trois Manuce et de leurs éditions. V. 3. Paris: A.A. Renouard, 1825.
2. Essays in Renaissance Thought and Letters: In Honor of John Monfasani. Leiden ; Boston: BRILL, 24 juil. 2015.
3. Spano, Nicola. L'universita di Roma. Rome: Casa editrice „Mediterranea“, 1935.
4. Storia dell'università degli studj di Roma detta comunemente La Sapienza che contiene anche un saggio storico della letteratura romana dal principio del secolo 13. sino al declinare del secolo 18. dell'avv. Filippo Maria Renazzi... V. 4. Rome: Pagliarini, 1806.
5. Hélène Soldini. „Les Giunta, une famille de libraires-imprimeurs entre Florence et Venise . Journée d'étude“. Les livres des Giunta: de Venise et Florence à la Normandie „, Apr. 2016, Caen, France (<https://hal.archives-ouvertes.fr/hal-01765216/document>)
6. William Pettas. I Giunti di Firenze: editori del Cinquecento in Italia, Francia e Spagna. (Storia dell'editoria/<http://www.bibliotecheoggi.it/2005/20050303101.pdf>



მაია სიმონიშვილი

შუალედის ფილფილიდან დავით კაპაბაძის ხელოვნებამდე



იელის ბიბლიოთეკა

იელის ბიბლიოთეკა მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესია, ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის ბიბლიოთეკისა და პარვარდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის შემდეგ. უნივერსიტეტის კამპუსი და ბიბლიოთეკა ნიუ პერებში, კონექტიკუტის შტატში მდებარეობს. მისი კოლექცია 15 მილიონი ნაბეჭდი და ელექტრონული მასალისგან შედგება და ბიბლიოთეკის ისტორიულ-არქიტექტურულ კომპლექსის 15 შენობაშია წარმოდგენილი. აქ დაცული მასალები მოიცავს როგორც ანტიკურ პერგამენტებსა და შუმერული დამწერლობის ფირფიტების მდიდარ კოლექციას, ისე თანამედროვე მეცნიერებისა და ხელოვნების ნიმუშებსაც. ბიბლიოთეკის მთავარ შენობაში, სტერლინგის მემორიალურ ბიბლიოთეკაში, რომელიც გოთიკური სტილის ტაძრის ნაგებობას წარმოადგენს, ამოტვიფრულია წარწერა „ბიბლიოთეკა უნივერსიტეტის გულია“.

იელის ყველა დარგობრივი ბიბლიოთეკა მდიდარი და საინტერესო კოლექციით გამოიჩინება.

იელის ბეინეკეს იშვიათ და ხელნაწერ წიგნთა ბიბლიოთეკა – მსოფლიოში უდიდესი იშვიათი წიგნების ბიბლიოთეკის ახალი



იელის ბიბლიოთეკა

შენობაც მარმარილოთი და გრანიტით აშენდა. ქიმიური ქარის მოფიქრებული, რომ ზუსტად იმდენ სინათლეს ატარებს, რამდენიც იშვიათი ხელნანერებისა და მასალების შენახვისთვის არის საჭირო.

საღამოობით, მზის ჩასვლის პერიოდში, შენობის

კედლები ბუნებრივი შუ-

ქით, ვარდისფრად ანათებს და საოცარ სანახაობასაც ქმნის.


აქ 500 000-ზე მეტი იშვიათი წიგნი და მილიონობით უძველესი ხელნანერია. 180 000 ტომი შუშის საგანგებო კოშკშია მოთავსებული და სპეციალური დაცვით, მათ შორის, ხანძრის საწინააღმდეგო დამცავებით არის აღჭურვილი.

ამ მნიშვნელოვან კოლექციაში 1629 წელს ქალაქ რომში გამოცემული პირველი ქართულენოვანი ნაბეჭდი წიგნი და პიკასოს მიერ დახატული ფიროსმანიც ინახება. აქ შეხვდებით მსოფლიოს ყველაზე გამოუცნობ, ვოინიჩის ხელნანერსაც, რომლის ამოხსნას მსოფლიო წიგნის ექსპერტები მრავალი წლის განმავლობაში ცდილობენ.



რობერტ ჰაასის სახელობის ხელოვნების ბიბლიოთეკა მისი დამაარსებელი ფილანთროპის სახელს ატარებს. მასში გაერთიანებულია ხელოვნების, არქიტექტურის, წიგნის ხელოვნებისა და დრამის კოლექციები, სულ 125 000 ტომი, ძველნანებები და უნიკალური გამოცემები, 300 000 ხელოვნების წიგნი და პერიოდიკა.

კვლევებისა და სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი იელის უნივერსიტეტის სტუდენტებს, მეცნიერებსა და თანამშრომლებს სხვადასხვა ინტერდისციპლინარული კვლევებისთვის აუცილებელ ლიტერატურასა და მომსახურებას სთავაზობს.

იშვიათი წიგნების ცნობილი ბიბლიოთეკის



რობერტ ჰაასის სახელობის ხელოვნების ბიბლიოთეკა




იელის საღვთისმეტყველო
ბიბლიოთეკა

გვერდით, საპატიო ადგილზე დაგენერირდა იკავებს იელის კლასიკური ლიტერატურის ბიბლიოთეკა, რომელიც ანტიკური პერიოდის პერგამენტებიდან შემერის ლურსმნული დამნერლობის ფირფიტების უდიდესი კოლექციის ჩათვლით, მრავალ საიდუმლოს ინახავს. აქ შეხვდებით შუმერული კერძების რეცეპტებს, ალექსანდრე მაკედონელის დახასიათებას, უძველეს მათემატიკურ ალმოჩენებს... საინტერესოა, რომ უნივერსიტეტის მეცნიერები ხშირად შიფრავენ მათვის მოულოდნელ ტექსტებსაც.

კლასიკური ბიბლიოთეკის შემდეგ, ინტერესს იწვევს იელის საღვთისმეტყველო ბიბლიოთეკა, რომელიც ქრისტიანობის ყველა მიმართულებას სწავლობს. განსაკუთრებით ძლიერია ბიბლიის შესწავლა, ქრისტიანობის ისტორია. ეს კოლექციაც მსოფლიოში უდიდესია და სასულიერო პირები ხშირად აკითხავენ ცოდნის განვითარებისთვის.

ჩვენი დიდი ყურადღება დაიმსახურა იელის ფილმის შესწავლის ცენტრმა, რომელშიც ქართული ფილმებიც გვხვდება. ფილმების არქივთა საერთაშორისო ფედერაციასთან პარტნიორობით, კოლექცია 6000 ფილმსა და ფირს მოიცავს. ჟანრებისა და ქვეყნების მიხედვით დალაგებული კოლექცია პოლივუდის ფილმებიდან იშვიათი ექსპერიმენტული კოლექციების ჩათვლით, კინომოვარულებისა და კინომცოდნების საგანძურია. ფილმის შესწავლის ცენტრში, რომელიც 1982 წელს შეიქმნა, სხვადასხვა ცნობილი რეჟისორისა და კოლექციონერის არქივებსაც შეხვდებით. კინოს პროფესიონალები აქ ფილმების აღდგენას, განახლებასა და შენარჩუნებასაც სწავლობენ. კოლექციის მასალებს ლექციებისთვის იყენებენ, რომ სტუდენტები აუდიოვიზუალური მეთოდებით აქტიური სწავლის პროცესში ჩართონ.

აქვე ინახება მნიშვნელოვანი არქივი, ფორტუნოვის ვიდეოკოლექცია, რომელიც დეტალურად აღნერს პიტლერის პერიოდისა და პოლოკოსტის რეალურ ფაქტებს. 4 400 ინტერვიუ და 12 000



იელის ბეინეკეს იშვიათ და ხელნაწერ
ნიგნთა ბიბლიოთეკა

საათიანი ჩანაწერები ამ უკანასკნელი
პერიოდის ისტორიული და კულტურული
ძეგლის რეჟიმის მთელ სი-
ნამდვილეს ნარმოუდ-
გვნს. ეს არქივი 1979
წელს, პოლოკოსტს გა-
დარჩენილთა ფილმის
პროექტის ფარგლებში
შეიქმნა.

რეგიონების შესწავ-
ლისა და ჰუმანიტარუ-
ლი კვლევების დეპარ-
ტამენტი სხვადასხვა
რეგიონის ისტორიასა

და ცხოვრებას ეთმობა. აქ გაეცნობით უცნობ ფაქტებს ამერიკის სხვადასხვა რეგიონების, კომპერატივისტიკის, ევროპის ისტო-
რიის, აღმოსავლეთის, იბერო-ამერიკული და იუდაისტური ტექს-
ტების, ფილოსოფიის შესახებ.

ლილიან გოლდმანის სახელობის სამართლის ბიბლიოთეკა იელის სტერლინგის სახელობის შენობაშია და იურისტებისთვის მრავალ ძვირფას ხელნაწერსა და საკანონმდებლო ტექსტს გვთა-
ვაზობს. სამართლის ბიბლიოთეკის მთავარი მიზანი 21-ე საუკუნის მოთხოვნების შესაბამისი მასალების შექმნა და უზრუნველყოფა გახლავთ. მართლაც, იელის გამოცემებს შორის ხშირად შეხვდე-
ბით ბიბლიოთეკების კოლექციების ბაზაზე შექმნილ აქტუალურ და თანამედროვე ლიტერატურას. ამ მხრივ ხაინტერესოა სტალი-
ნის ციფრული არქივიც. იელის უნივერსიტეტის გამოცემლობამ 2011 წელს გახსნა აღნიშნული ვებ-გვერდი და სტალინის სრული პირადი არქივიდან, რომელიც მოიცავს 40 000 დოკუმენტს, ქრი-
სტერლინგიურად გააციფრა მისი პირადი ცხოვრების, სამთავრობო საქმიანობისა და საერთაშორისო ურთიერთობების ამსახველი მასალები. აღსანიშნავია, რომ საქართველოს პარლამენტის ეროვ-
ნული ბიბლიოთეკის მკითხველებს უკვე პქნდათ ამ არქივის გაც-
ნობის შესაძლებლობა. ამ საკითხის პროცესი ულ კვლევას იელის მეცნიერებიც განაგრძობენ.

სტერლინგის მემორიალურ ბიბლიოთეკის შენობა კამპუსში უდიდესია. ის 1930 წელს აშენდა იელის უნივერსიტეტის კურს-
დამთავრებულის, ჯეიმს გემბლ როჯერსის პროექტით და ჯონ
უილიამ სტერლინგმა დააფინანსა. მასში 2,5 მილიონი წიგნი თა-
როების 16 სართულზეა მოთავსებული. შენობა გოთიკური კათედ-



რალის სტილშია, 60-ფუტიანი ჭერითა და 3 300 ძვირფასი ვიტრუალი ჟით. ვიტრაჟების ავტორი ხელოვანი ოუენ ბონავითია.

აღსანიშნავია ლუის უოლპოლის სახელობის ბრიტანული კოლექცია, რომელიც მეთვრამეტე საუკუნის ბრიტანეთის ამბებს გადმოგვცემს. ის ბრიტანელი მწერლის, პორაციო უოლპოლის პირად ბიბლიოთეკასა და მრავალ ხელნაწერს ინახავს. 32 000 იმვიათი ტომი მეთვრამეტე საუკუნის ბრიტანეთის კულტურის სრულ აღწერას წარმოადგენს.

აქ ნახავთ ბრიტანეთის ხელოვნების იშვიათ კოლექციას, 35 000 სატირულ ნახატს, პორტრეტებსა და სხვა თვალსაჩინოებებს. ეს კოლექცია ცალკე შენობაში ინახება და ამავე პერიოდის ავეჯს, ყოფით საგნებსა და ცხოვრების წესსაც გვაცნობს. აქ ხშირად იმართება გამოფენები, ლექციები და კვლევითი პროგრამებიც.

იელის მათემატიკის ბიბლიოთეკა მკითხველებს მოულოდენლ სიურპრიზებს თავაზობს. აქ ნახავთ უძველეს მათემატიკურ ჩანაწერებს, გამოთვლით ხელსაწყოებს, დისერტაციებსა და შრომებს, მათემატიკოსთა ცხოვრების დეტალებს.

კუშინგისა და უითნის სამედიცინო კოლექციის მიხედვით, საუცხოო ციფრული კოლექციები იქმნება, აქ მედიცინის ისტორიის შესახებ უნიკალურ ინფორმაცია ინახება. მათ შორის, უძველესი სამედიცინო ხელსაწყოები და თანამედროვე მიღწევები; იგი მომავალი მედიკოსების სამუშაო ადგილია.

ჩვენი დიდი ინტერესი გამოიწვია გილმორის სახელობის მუსიკალურმა კოლექციამ, სადაც განსაკუთრებული კოლექციები, ისტორიული ხმოვანი ჩანაწერები, მსოფლიო და ამერიკული მუსიკის ისტორია და დღემდე უცნობი ნოტები, მრავალი კომპოზიტორის ხელით შექმნილი მუსიკალური ჩანაწერები, ნოტები, ნერილები, მუსიკალური ორგანიზაციები და მსოფლიო მუსიკის საგანძური გაგვაცნეს.

დაბოლოს, იელის ბრიტანული ხელოვნების ცენტრი, რომელიც ხელოვნების შესახებ სხვადასხვა პერიოდის კვლევას, 30 000 თანამედროვე ნიგნსა და ასამდე თანამედროვე პერიოდულ გამოცემას იცავს. აგრეთვე, მრავალ ფილმსა და ხელოვნების ნიმუშსაც.

ფოტოგრაფიის არქივში 200 000 იშვიათი მასალა მეთექვს-მეტე-მეოცე საუკუნეების ბრიტანულ და ევროპულ ხელოვნებას გვასწავლის. საზოგადოებრივი და პირადი კოლექციები შემოსულია ამერიკიდან, კანადიდან, ავსტრალიიდან და სხვა.

აქ ინახება ცნობილი ამერიკელი კოლექციონერისა და მხატვრის, ქეთრინ დრაიერის მიერ შექმნილი „ანონიმური საზოგადოების“ ხელოვნების ნიმუშთა იშვიათი კოლექცია. დრაიერი ავან-



გარდული ხელოვნების მოყვარული იყო და ევროპაში ნამუშერვრეტნა აგროვებდა. ეს უძირფასესი კოლექცია იელის უნივერსიტეტის სამხატვრო გალერეის მთავარი სიმღიდოა. მასში ამერიკელი კოლექციონერი მეგობრის, ქართველი მხატვრის, დავით კაკაბაძის ნამუშევრები საპატიო ადგილს იკავებს.

ჩვენ ვეცადეთ, თქვენთვის ამ ერთი სტატიის მეშვეობით გაგვეცნო იელის უნიკალური ბიბლიოთეკის მნიშვნელობა, თუმცა, ნანახი მონათხრობზე ბევრად შთამბეჭდავია.

შირეარსი



ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება -140

ლევან გეგურიშვილი, მთავარი კულტურული კერა	3
გურამ თაყნიაშვილი, ნიკო ცხვედაძე განმანათლებელი და აღმშენებელი.....	9
მაია მიძაპერიძე, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საბიბლიოთეკო საქმიანობა	16

დრო და ადამიანები

ხათუნა მემანიშვილი-კალაძეარიშვილი ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებითი პროცესის გააზრებისათვის.....	29
--	----

წიგნი და ცხოვრება

ლელა ნიშარაძე, ბესარიონ ნიშარაძე მწიგნობარი და საზოგადო მოღვაწე.....	39
---	----

ნომადი გართაძე, ქართველოლოგის თანამედროვე გამოწვევები და მათი დაძლევის გზები	47
---	----

საპირლიოთაკო საქმე

ალექსანდრე ლორიძე, საბიბლიოთეკო საქმე გვიანფეოდალურ საქართველოში.....	60
--	----

ნიგნის მუზეუმები

ნოდარ გრიგორაშვილი, ი. გრიშაშვილის პიბლიოთეკა-მუზეუმი	71
--	----

ჩვენი საგანძური საზღვარგარეთ

პარმენ მარგველაშვილი, ოქსფორდის უნივერსიტეტში დაცული ქართული განძი	78
---	----

ლიტერატურის თეორია

ლევან ბეგურიშვილი, ზეიად გამსახურდიას თეორიულ-ლიტერატურული შეხედულებები	97
--	----

პოეზია ძართული

ზოია ცხალაია, ისტორიზმის ორიენტირები პოეტის ლირიკაში	103
---	-----

ყალბით და ფუნჯით

მარიამ გაჩეჩილაძე ოთარ ჯიშკარიანი – მწიგნობარი მხატვარი	118
--	-----

განსენება

მიხეილ ქავთარია	133
-----------------------	-----

წარსულის ფურცლები

შორენა თსიაოვა პირველი ქართული გაზეთი – 200	137
--	-----

ნიგნის პეტლვის ისტორიისათვის

ნინო ხველეულიძე, მერიანები მეცნიერ-ილუსტრატორთა ოჯახი.....	145
პალეოტიპები და პირზღვილები	
მანანა სამაშვილი, სენეკას „ტრაგედიები“.....	160
მსოფლიოს უდიდესი პირზღვილები	
მარა სიმონიშვილი, შუმერების ფირფიტებიდან დავით კაკაბაძის ხელოვნებამდე	169

ქართველი კარ

ცე

საგამომცემლო განყოფილების
ხელმძღვანელი შოთა კობიაშვილი
უფროსი რედაქტორი სოფიო კობიაშვილი
რედაქტორი რუსულან ბულისკერია.

დააკაბალონა ლერი შარიქაძემ

რედაქციის ნებართვის გარეშე
ალმანახის მასალების გამოფენება არ შეიძლება.

საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის
მწიგნობართა ასოციაცია.

თბილისი, რუსთაველის გამზ., 40/1. ტ.: 293-29-12, 293-31-79.



MTSIGNOBARI

'19

An annual Almanac of Bibliophiles has been issued since 1980 year. It provides articles about books and book's authors, libraries and bibliophiles, researches in the world of books and book-lovers of different sides and countries.

Editor-in-chief LADO MINASHVILI

Painter ANZOR TODRIA

Ilia Chavchavadze
Georgian Association
Of Book-Lovers

Tbilisi-2019



021/38

მარიამ ელიას

All Soviet Authors of Bibliophiles has been issued since 1980
Year. It contains articles about books and book's authors
literaries and bibliophilic monographs in the field of books and
book-lovers of different sizes and countries

Editor-in-chief TADO MINSHAVIT
Publisher VNZOR JORDA
Editorial office
Georgian Association
of Book-lovers

„გერმანების შეკვეთი“

F 1285
2019



9 772587 546004 >